
სს ნენსკრა ჰიდრო

ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები

ტომი 9

მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა



გამოქვეყნება ავტორიზებულია

2017 წლის თებერვალი

SLR

ანგარიშის გამოცემის და შესწორების აღრიცხვა

განახლება	თარიღი	აღწერილობა	მოამზადა:	შეამოწმა:	დაამტკიცა:
1	21 თებერვალი 2017	სანქციონირებულია სს ნენსკრა ჰიდროს მიერ გამოსაქვეყნებლად	კლ. რეპუსარდი მ. ჭელიძე გ. ეფლბი	დ. ბაფინი	ტაეკ ვონ სეო

განმარტება მხარეთა კომპეტენციის შესახებ:

წინამდებარე ანგარიში მომზადებული იქნა კომპანია SLR Consulting-ის მიერ სათანადო ცოდნის, ყურადღების და მონდომების გამოყენებით და ანგარიშის შემკვეთთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჭირო მუშახელის და რესურსების გამოყენებით. აქ მოცემული ინფორმაცია დაფუძნებულია შეკრებილი მონაცემების ინტერპრეტაციაზე და მიჩნეული იქნა დაზუსტებულად და სწორად.

წინამდებარე ანგარიშის მომზადებულია შემკვეთის მიერ ექსკლუზიურად გამოსაყენებლად: ანგარიში არ შეიცავს და მისგან არ გამომდინარეობს არავითარი გარანტიებს ნებისმიერი მესამე მხარისთვის. ანგარიში არ შეიძლება გადაეცეს სხვა მხარეებს SLR-სგან წერილობითი ნებართვის მიღების გარეშე. SLR არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას შემკვეთი მხარის ან სხვების წინაშე იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც სცილდება სამუშაოთა შეთანხმებული მოცულობის ფარგლებს.

წინამდებარე დოკუმენტი შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას და დაცულ ინტელექტუალურ საკუთრებას. ის არ შეიძლება ნაჩვენები იყოს მესამე მხარეთათვის SLR-ის და შემკვეთის თანხმობის გარეშე.

SLR Consulting France SAS
155-157 Cours Berriat - 38000 Grenoble France
T: +33 4 76 70 93 41
www.slrconsulting.com

სარჩევი

ანგარიშის გამოცემის და შესწორების აღრიცხვა ..... A

სარჩევი ..... B

აბრევიატურები ..... E

რუკების ჩამონათვალი ..... G

დიაგრამების ჩამონათვალი ..... G

ცხრილების ჩამონათვალი ..... H

ტერმინების განმარტება ..... J

წინასიტყვაობა i

რეზიუმე ii

1 შესავალი 1

1.1 მიმოხილვა 1
1.2 LALRP-ის მიზანი და პრინციპები 5
1.3 ანგარიშის სტრუქტურა 6

2 სამართლებრივი ჩარჩო 8

2.1 შესავალი 8
2.2 ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული ქართული კანონი და ნორმები 8
2.3 განხორციელების ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და პროექტის კომპანიას შორის 10
2.4 კრედიტორის პოლიტიკის მოთხოვნები 11
2.5 შედარებითი ანალიზი და ზომები ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო პოლიტიკას შორის განსხვავებების აღმოსაფხვრელად 13

3 აღწერა, სოციო-ეკონომიკური ინფორმაცია და დაზარალებული თემების პროფილი 20

3.1 მეთოდოლოგია 20
3.2 დაზარალებული ადამიანების აღწერა 21
3.3 დაზარალებული მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური პროფილი 22

4 მიწის მოთხოვნები და ზემოქმედების შეფასება 45

4.1 მიწის შესყიდვის საჭიროება 45
4.2 მიწის მოთხოვნების მინიმიზაცია 51
4.3 ზემოქმედების შეფასება 53

5 შესაბამისობის კრიტერიუმები და უფლებები 95

5.1 შესაბამისობის კრიტერიუმები 95
5.2 უფლებათა მატრიცა 98

6 ქონების დანაკარგის შეფასება 106

6.1 შეფასებისათვის აქტივების მონაცემების შეგროვება 106
6.2 სრული ჩანაცვლების ღირებულება როგორც კომპენსაციის საფუძველი.107
6.3 აქტივების შეფასება და კომპენსაციის ღირებულება 107
6.4 დაზარალებული ადამიანების მიერ კომპენსაციის ღირებულების მოწონება 109

7 საარსებო საშუალების აღდგენის პროგრამა 110

7.1 მიმოხილვა 110
7.2 ფურაჟის ტრანზიტული მიწოდება 111
7.3 საარსებო საშუალებების აღდგენა მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის 112
7.4 საარსებო წყაროების აღდგენა უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის 115

8 ინსტიტუციური მექანიზმები 118

8.1 პროექტსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული მიწის შესყიდვის ხელშეკრულება 118
8.2 საოპერაციო მიდგომა კრედიტორების მოთხოვნებზე შესათანხმებლად 119
8.3 ვალდებულება 123

9 შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელება 132

9.1 საქმიანობები შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) ფარგლებში 132
9.2 განხორციელების განრიგი 138

10ინფორმაციის გამოქვეყნება, კონსულტაცია და მონაწილეობა 142

10.1 ინფორმაციის გამოქვეყნება 142
10.2 კონსულტაცია და ჩართულობის აქტივობებში მონაწილეობა 143
10.3 სამომავლო კონსულტაციების პროგრამა 151

11საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი 155

11.1 საჩივარზე რეაგირების პროცესი 155
11.2 საჩივრების დახურვა 159
11.3 საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია 160
11.4 კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია 161

12მონიტორინგი და შეფასება 163

12.1 მონიტორინგი 163

12.2 შეფასებები 165
12.3 მონიტორინგისა და შეფასების განრიგი 167
12.4 მონიტორინგის ინდიკატორები.....167

13ბიუჯეტი და დაფინანსება.....170

13.1 დაფინანსება 170
13.2 ბიუჯეტი 171

დანართი 1 - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპროპრიაციის პროცედურის აღწერა.....175

დანართი 2 - შეფასების მეთოდოლოგია.....178

დანართი 3 - აქტივების ინვენტორიზაციამდე დარიგებული ლიფლეტები187

დანართი 4. დაზარალებული მიწის ნაკვეთების რუკები 200

დანართი 5. საჩივრის რეგისტრაციის ფორმის ნიმუში 201

დანართი 6. საჩივრების მონაცემთა ბაზის ნიმუში.....202

აბრევიატურები

ADB	Asian Development Bank	აზიის განვითარების ბანკი
AH	Affected Household	დაზარალებული საოჯახო მეურნეობა
AP	Affected Person	დაზარალებული პირი
CLO	Community Liaisons Officer	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი
COO	Chief operating Officer	მთავარი ოპერაციული სპეციალისტი
E&S	Environmental & Social	გარემოსდაცვითი და სოციალური
EBRD	European Bank for Reconstruction and Development	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIB	European Investment Bank	ევროპის საინვესტიციო ბანკი
EPC	Engineering-Procurement-Construction	პროექტირება-შესყიდვები-მშენებლობა
ESIA	Environmental & Social Impact Assessment	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESMS	Environmental & Social Management System	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა
GEL	Georgian Lari	ქართული ლარი
GLAC	Guide to Land Acquisition and Compensation (summary of LALRP for community members)	მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო (LALRP-ის შეჯამება საზოგადოების წევრებისათვის)
GoG	Government of Georgia	საქართველოს მთავრობა
GRC	Grievance Redress Committee	საჩივრების განმხილველი კომიტეტი
GRM	Grievance Redress Mechanism	საჩივრების განხილვის მექანიზმი
GSE	Georgian State Electrosystem	საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
ha	Hectare	ჰექტარი
HH	Household	საოჯახო მეურნეობა
HPP	Hydropower Project	ჰიდროელექტროსადგურის პროექტი
IFC	International Finance Cooperation	საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFI	International Financial Institution	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი
IP	Indigenous Peoples	მკვიდრი მოსახლეობა
KDB	Korean Development Bank	კორეის განვითარების ბანკი
km	Kilometre	კილომეტრი
kV	Kilowatt	კილოვატი
LALRP	Land Acquisition and Livelihood Restoration Plan	მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა
MOF	Ministry of Finance	ფინანსთა სამინისტრო
MW	Megawatt	მეგავატი
NAPR	National Agency of Public Registry	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
NGO	Non-Governmental Organization	არასამთავრობო ორგანიზაცია
NTS	Non-Technical Summary	არატექნიკური რეზიუმე
PAH	Project Affected Household	პროექტის შედეგად დაზარალებული საოჯახო მეურნეობები
PAP	Project-Affected Person	პროექტის შედეგად დაზარალებული პირი
PF	Partnership Fund	საპარტნიორო ფონდი
PR	EBRD Performance Requirements	EBRD-ის მოთხოვნები (პროექტის) განხორციელების მიმართ
PRRC	Property Rights Recognition Commission	საკუთრების უფლების აღიარების კომისია
PS	IFC Performance Standards	IFC-ის ოპერაციული სტანდარტები

RU	Resettlement Unit	განსახლების განყოფილება
SACE	Servizi Assicurativi del Commercio Estero (Italian export credit agency)	Servizi Assicurativi del COMMERCIO Estero (იტალიური საექსპორტო საკრედიტო სააგენტო)
SEP	Stakeholder Engagement Plan	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
SPS	Safeguard Policy Statement	უსაფრთხოების პოლიტიკის მემორანდუმი
SR	Safeguard Requirement	უსაფრთხოების მოთხოვნა
TBC	To Be Confirmed	დასადასტურებელია

რუკების ჩამონათვალი

რუკა 1-1 პროექტის მიმოხილვა 4
რუკა 3-1 ნენსკრას ხეობაში მდებარე საზაფხულო საძოვრები, რომლებიც პროექტის განხორციელებით ზარალდება 43
რუკა 3-2 - ნაკრას ხეობაში მდებარე საზაფხულო საძოვრები, რომლებიც პროექტის განხორციელებით 44

დიაგრამების ჩამონათვალი

დიაგრამა 1: შემოსავლების წყაროების შედარება საოჯახო მეურნეობების უფროსების სქესის მიხედვით 27
დიაგრამა 2 - შემოსავლის წყაროების წილი დაზარალებული საოჯახო მეურნეობების სავარაუდო წლიურ შემოსავალში 29
დიაგრამა 3 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მფლობელობაში არსებული მოწყობილობები და აპარატურა განაწილებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული, დეკლარირებული, სავარაუდო შემოსავლის წილის მიხედვით 36
დიაგრამა 4 - მიწის შესყიდვა კაშხლის ადგილზე.... 48
დიაგრამა 5 - მიწის შესყიდვა ელექტროსადგურის არეალზე.... 49
დიაგრამა 6 - მიწის შესყიდვა ნაკრას სადერივაციო არხის და წყალამგდების მონაკვეთზე.... 50
დიაგრამა 7 - პროექტის ფარგლებში გამოყენებული მიწის ნაკვეთები/ადგილები 60
დიაგრამა 8 - ელექტროსადგურის მშენებლობით დაზარალებულ საოჯახო მეურნეობის შემოსავლის წყაროების სავარაუდო წილი 62
დიაგრამა 9 - ელექტროსადგურის უბნის ახლომახლო საძოვრების მარშუტები და ტერიტორია (ნენსკრას ხეობა).... 65
დიაგრამა 10 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შემოსავლის წყაროებისა და შემოსავლის წყაროების წილის სავარაუდო დონეები (ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი)76
დიაგრამა 11 - კაშხლისა და რეზერვუარის არეალის ახლოს მდებარე საძოვრების მარშუტები და უბნები (ნენსკრას ხეობა).... 84
დიაგრამა 12 - საძოვრების მარშუტები და არეალი ნაკრას წყალამღების ინფრასტრუქტურასთან მიმართებაში 89
დიაგრამა 13 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შემოსავლის სავარაუდო დონეები და წილი (ნაკრას ჯებირი) 91
დიაგრამა 14 - მიწის შესყიდვის პროცესის ბლოკ-სქემა.... 125
დიაგრამა 15 - ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების საზღვრები (როგორც დაკანონებადი, ასევე იმ მიწისათვის, რომლის დაკანონებაც შეუძლებელია). 139
დიაგრამა 16 - 2017 LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის მოცემული გეგმის განხორციელების განრიგი.... 140
დიაგრამა 17 - საარსებო საშუალებების აღდგენის სამუშაო გეგმის განრიგი 141
დიაგრამა 18 - საჩივრების მართვის პროცესი 162

ცხრილების ჩამონათვალი

ცხრილი 1 - პროექტის მთავარი კომპონენტები და ძირითადი მახასიათებლები 1
ცხრილი 2 - საქართველოს კანონმდებლობასა და კრედიტორთა მოთხოვნების სხვაობის ანალიზი..... 14
ცხრილი 3 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისა და ადამიანების რაოდენობა..... 22
ცხრილი 4 - დაზარალებული მეურნეობების დემოგრაფიული მახასიათებლები 23
ცხრილი 5 - დაზარალებული მეურნეობების უფროსთა ასაკი..... 23
ცხრილი 6 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების უფროსთა სქესი და დაზარალებული მეურნეობების საშუალო ზომა 24
ცხრილი 7 - დაზარალებული მეურნეობების უფროსთა განათლების დონე..... 24
ცხრილი 8 - დაზარალებული მეურნეობების რაოდენობა, რომლებმაც მოახდინეს შემოსავლის წყაროების დეკლარირება..... 26
ცხრილი 9 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შემოსავლის წყაროები..... 27
ცხრილი 10 - მიწიდან მიღებული შემოსავლის წყაროები..... 28
ცხრილი 11 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მიერ დეკლარირებული სავარაუდო წლიური შემოსავალი 29
ცხრილი 12 - საძოვრების დაკარგვით დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საშუალო სავარაუდო შემოსავალი 31
ცხრილი 13 - დაზარალებული მოსახლეობის მფლობელობაში არსებული მოწყობილობა და აღჭურვილობა 34
ცხრილი 14 - მოწყვლადობის კრიტერიუმების მიხედვით საოჯახო მეურნეობების მოწყვლადობის განაწილება 39
ცხრილი 15 - შემოსავლის წყაროები და დაზარალებული, მოწყვლადი საოჯახო მეურნეობების დანაკარგები..... 40
ცხრილი 16 - მიწის მოთხოვნები პროექტის ფარგლებში..... 47
ცხრილი 17 - მიწის შესყიდვის ზემოქმედების მნიშვნელობის მიმოხილვა 54
ცხრილი 18 - პროექტის ფარგლებში მშენებლობისათვის აუცილებელი მიწის დაზარალებული მოსახლეობის მიერ გამოყენება..... 54
ცხრილი 19 - მიწის სტატუსის მიხედვით მიწის შესყიდვის დაყოფა (კომპონენტები განსაზღვრულია) 55
ცხრილი 20 - პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვის ზემოქმედების შეჯამება 56
ცხრილი 21 - ზემოქმედება ელექტროსადგურზე უკიდურესად..... 64
ცხრილი 22 - ეკონომიკური გადაადგილება, რომელიც გამოწვეულია ნენსკრას გზის გაფართოებით..... 69
ცხრილი 23 - მაჩლიჭალასა და ქვემო მემულის საფურაჟე ერთეულის დანაკარგის გამოთვლა79
ცხრილი 24 - საოჯახო მეურნეობის დონეზე დაკარგული შემოსავლის სავარაუდო წილი - ნაკრას ჯებირი 80
ცხრილი 25 - ზემოქმედება ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის უბანზე 82
ცხრილი 26 - ზემოქმედება ნაკრას წყალამგდების უბანზე..... 86
ცხრილი 27 - ლაგირის საძოვრის საფურაჟე ერთეულის დანაკარგის გამოთვლა..... 92

ცხრილი 28 - საოჯახო მეურნეობების დონეზე დაკარგული შემოსავლის წილის გამოთვლა - ნაკრას ჯებირი 93
ცხრილი 29 - ადამიანების კატეგორიები, რომლებმაც დაკარგეს მიწა და მიწის სამართლებრივი სტატუსი 97
ცხრილი 30 - უფლებათა მატრიცა 99
ცხრილი 31 - მნიშვნელოვნად და უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შეჯამება 110
ცხრილი 32: დახმარება მესაქონლეობის მდგრადი წარმოების განვითარებაში 115
ცხრილი 33 - ნაბიჯ-ნაბიჯ მიდგომა მიწის შესყიდვისადმი (დაკანონებადი ან იმგვარი მიწისადმი, რომლის დაკანონებაც/ლეგალიზება შეუძლებელია) 121
ცხრილი 34 - ს.ს. ნენსკრა ჰიდროს გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებაზე. 127
ცხრილი 35 - მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალების აღდგენის განხორციელების საქმიანობები 132
ცხრილი 36 - დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან ჩატარებული კონსულტაციების ქრონოლოგია 144
ცხრილი 37 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობის იდეები და მოსაზრებები საარსებო საშუალებების აღდგენის ზომებთან დაკავშირებით 150
ცხრილი 38 - ს.ს. ნენსკრა ჰიდროს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სამომავლო საქმიანობები 151
ცხრილი 39 - კონტრაქტორის დაინტერესებული პირების ჩართულობა სამუშაოების ადრეულ ეტაპზე 153
ცხრილი 40 - მშენებლობის ძირითად ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართვის საქმიანობები 153
ცხრილი 41 - დაინტერესებული პირების ჩართულობის საქმიანობები ოპერირების ეტაპზე154
ცხრილი 42 - საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტის შემადგენლობა 159
ცხრილი 43 - მონიტორინგისა და ანგარიშგების საქმიანობების განრიგი 167
ცხრილი 44 - მონიტორინგის ინდიკატორები 168
ცხრილი 45 - LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა 2017 წლის იანვარში 172

ტერმინების განმარტება

კომპენსაცია	გადახდა ფულადი ფორმით ან შეძენილი აქტივების ნატურალური ჩანაცვლებითი ღირებულებით.
დახმარების მიღების უფლება	რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მოიცავს კომპენსაციას, შემოსავლის აღდგენას, გადაადგილებაში დახმარებას, შემოსავლის ჩანაცვლებას და ადგილის შეცვლას, რომელთა მიღების უფლებაც გააჩნიათ დაზარალებულ პირებს, მათი ზარალის ბუნებიდან გამომდინარე და რომელთა მიზანიცაა მათი ეკონომიკური და სოციალური ბაზის აღდგენა.
ეკონომიკური გადაადგილება	ეკონომიკური გადაადგილება ნიშნავს მიწის, აქტივების, აქტივებზე წვდომის, შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვას (i) მიწის იძულებითი შეძენის, ან (ii) მიწით სარგებლობის ან კანონით განსაზღვრულ პარკებზე და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის იძულებითი შეზღუდვის შედეგად.
გაუმჯობესებები	პირის, ოჯახის, დაწესებულების ან ორგანიზაციის მიერ აშენებული კონსტრუქციები (საცხოვრებელი ერთეული, ღობე, მოსაცდელი ფარდულები, პირუტყვის სადგომები, ტექნიკური ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი ობიექტები, მაღაზიები, საწყობები და ა.შ.) და დათესილი/დარგული ნათესები/მცენარეები
მიწის შესყიდვა	„მიწის შესყიდვა“ გულისხმობს პროექტის მიზნებისათვის მიწის მოპოვების ყველა მეთოდს, რაც შეიძლება მოიცავდეს პირდაპირ შეძენას, ქონების ექსპროპრიაციას და წვდომის უფლების შესყიდვას, როგორიცაა გასხვისების ზოლების სერვიტუტი. მიწის შესყიდვა შეიძლება ასევე მოიცავდეს: (ა)აუთვისებელი და გამოუყენებელი მიწის შესყიდვას, იმისდამიუხედავად, აკავშირებს თუ არა მიწის მესაკუთრე ასეთ მიწას შემოსავლის ან საარსებო მიზნებთან; (ბ) სახელმწიფო მიწაზე საკუთრების აღდგენას, რომელიც გამოიყენება ან დაკავებულია ფიზიკური პირების ან ოჯახების მიერ; და (გ) პროექტის ზემოქმედებას, რომელსაც შედეგად მოჰყვება მიწის დატბორვა ან სხვა რაიმე სახით გამოუსადეგარად ქცევა, ან მასზე წვდომის დაკარგვა. „მიწა“ მოიცავს ყველაფერს, რაც ამ მიწაზე იზრდება და მუდმივად არის მასზე დამაგრებული, როგორიცაა ნათესები, შენობები და სხვა გაუმჯობესებები.
პროექტის შედეგად დაზარალებული პირების (PAP)	პროექტის შედეგად დაზარალებული პირი (PAP) იძულებითი განსახლების კონტექსტში ნიშნავს ნებისმიერ პირს/ადამიანებს, ოჯახებს, ფირმებსა თუ კერძო სტრუქტურებს, რომლებიც ფიზიკურად არიან გადაადგილებული (სხვაგან გადასვლა, საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის დაკარგვა, ან თავშესაფრის დაკარგვა) ან/და ეკონომიკურად გადაადგილებული (მიწის, აქტივების, აქტივებზე წვდომის, შემოსავლის წყაროების ან საარსებო საშუალებების დაკარგვა) (i) მიწის იძულებითი შეძენის ან (ii) მიწით სარგებლობის ან კანონით განსაზღვრულ პარკებზე და დაცულ ტერიტორიებზე წვდომის იძულებითი შეზღუდვის შედეგად.
პროექტის შედეგად დაზარალებული ოჯახი (PAH)	ყველა წევრი ოჯახისა, რომელიც ცხოვრობს ერთ ჭერქვეშ და ფუნქციონირებს, როგორც ერთიანი ეკონომიკური ერთეული და რომლებზეც უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა პროექტმა. იგი შეიძლება შედგებოდეს ერთი ცალკეული სრული ოჯახისგან, ან ოჯახთა ვრცელი ჯგუფისაგან.
რეაბილიტაცია	დახმარება და საკომპენსაციო ღონისძიებები, რომლებიც გათვალისწინებულია იძულებითი განსახლების პოლიტიკის ჩარჩოთი, გარდა შეძენილი აქტივების ჩანაცვლებითი ღირებულების გადახდისა.
სხვაგან გადასვლა /ფიზიკური გადაადგილება	PAP/PAH-ის სხვაგან გადასვლა/ფიზიკური გადაადგილება მისი პროექტამდე არსებული საცხოვრებელი ადგილიდან.
ჩანაცვლებითი	სრული ჩანაცვლებითი ღირებულება განისაზღვრება, როგორც აქტივების

ღირებულება	საბაზრო ღირებულება პლუს ასეთი აქტივების აღდგენასთან დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სტრუქტურებისა და აქტივების ცვეთა არ გაითვალისწინება. მიწის სრული ჩანაცვლებითი ღირებულება ეფუძნება შემდეგ ელემენტებს: (i) სამართლიანი საბაზრო ღირებულება; (ii) გარიგების ხარჯები; (iii) დარიცხული პროცენტი, (iv) გარდამავალი და აღდგენის ხარჯები; (v) სხვა შესაბამისი გადასახადები, ასეთების არსებობის შემთხვევაში.
განსახლება	პროექტის მხრიდან PAP-ის ქონებასთან ან/და საარსებო საშუალებებთან მიმართებაში გამოწვეული ნებისმიერი და ყველა უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად მიღებული ყველა ზომა, მათ შორის კომპენსაცია, სხვაგან გადასვლა (სადაც ეს მართებულია) და სტიქიის შედეგად დაზიანებული/მოცილებული ინფრასტრუქტურა და ნაგებობები.
საკრებულო	ეს არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. ადგილობრივი თვითმმართველობის საშუალო დონე შედგება საქართველოს 67 რაიონისა და ექვსი ქალაქისგან: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ბათუმის და სოხუმი. წარმომადგენლობითი შტო რაიონის დონეზე არის რაიონული დონის ადგილობრივი საბჭოები (რაიონის საკრებულო), ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება წარმოდგენილია რაიონის გამგეობის (გამგებლის) მიერ. თვითმმართველობის დონე შედგება დასახლებებისგან (თვითმმართველი ქალაქი) ან დასახლებების ჯგუფებისგან (მუნიციპალიტეტები). დასახლებები შეიძლება იყოს სოფლები, დაბები (ე.ი. მცირე ზომის ქალაქები) (მინიმუმ 3,000 ადამიანი) და ქალაქები (მინიმუმ 5,000 მოსახლე). თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი შტოები წარმოდგენილია შესაბამისად საკრებულოს და მუნიციპალური დონის გამგებლის მიერ. თვითმმართველობის ექსკლუზიური პასუხისმგებლობა მოიცავს მიწათსარგებლობასა და ტერიტორიულ დაგეგმარებას, ზონირებას, მშენებლობის ნებართვებსა და ზედამხედველობას, საცხოვრებელს და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარებას.
კრედიტორები	პროექტის დამფინანსებელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ჯგუფი. კრედიტორების ჩართულობას გავლენა აქვს იმ გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლების თვალსაზრისით, რომლებიც დაკმაყოფილებული უნდა იქნას პროექტით გათვალისწინებული საქმიანობებისას. პროექტი არა მხოლოდ შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან, არამედ კრედიტორების სოციალურ და გარემოსდაცვით პოლიტიკასთან.
სოციალურად დაუცველი ოჯახები	სოციალურად დაუცველი ნიშნავს ნებისმიერ ოჯახს, რომელიც შეიძლება არაპროპორციულად დაზარალდეს ან განსახლების შედეგების გამო მარგინალიზაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს, ე.ი.; (i) კმაყოფაზე მყოფი წევრებიანი ოჯახები, რომლებსაც ქალი უძღვება; (ii) ოჯახის დავრდომილი უფროსები სამუშაოს ან დამხმარე საარსებო საშუალებების გარეშე; (iii) ღარიბი ოჯახები ოფიციალური სიღარიბის ზღვარის მიხედვით; (iv) მოხუცებისგან შემდგარი ოჯახები სამუშაოს ან დამხმარე საარსებო საშუალებების გარეშე; (v) კულტურული და ეთნიკური უმცირესობები. ზოგი ადამიანი ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში იღებენ ლტოლვილთა შემწეობას. ეს ლტოლვილები არიან იძულებით გადაადგილებული პირები, რომლებიც ჩამოვიდნენ ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში აფხაზური კონფლიქტის შემდეგ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი სვანები არიან და დასახლდნენ ადგილობრივ თემებში, რომელთანაც მათ ჰქონდათ ნათესაური კავშირები, ლტოლვილის სტატუსი არ განიხილება, როგორც სოციალური დაუცველობის კრიტერიუმი პროექტის ზემოქმედების თვალსაზრისით.

წინასიტყვაობა

2015 წლის აგვისტოში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მიერ ეროვნული გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცესის ფარგლებში საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილ იქნა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ბსგზშ) საბოლოო ვარიანტი. ბსგზშ ანგარიში მომზადებულ იქნა „გამა კონსალტინგის“, საქართველოს გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანიის მიერ. ბსგზშ-ს შესრულება მოიცავდა საველე კვლევებს 2011 და 2014 წლებში და 2015 წლის მაისში გამართულ საჯარო საკონსულტაციო შეხვედრებს. გარემოსდაცვითი ნებართვის მინიჭება მოხდა გარემოსდაცვითი ორგანოების მიერ 2015 წლის ოქტომბერში. წინამდებარე დოკუმენტში 2015 წელს წარდგენილი ბსგზშ მოხსენიებულია, როგორც 2015 წლის ბსგზშ (2015 ESIA)

მას შემდეგ მოხდა მიმართვა რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისადმი[1] (კრედიტორებისადმი) მათ მიერ პროექტში ინვესტიციების თაობაზე. თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის შესაბამისად კრედიტორებმა ურჩიეს, რომ უნდა ჩატარებულიყო ბუნებრივი და სოციალური გარემოს (E&S) რიგი დამატებითი კვლევები, რათა შევსებულიყო 2015 წლის ბსგზშ-ს ანგარიში.

წინამდებარე ანგარიში არის დამატებითი E&S კვლევების ტომი n°9 - მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა (LALRP), მომზადებული „SLR Consulting“-ის მიერ და გამოცემული 2017 წელს. იგი ეფუძნება ნენსკრა ჰესის კომპონენტების განმარტებას და განხორციელების გრაფიკს 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით. ეს განმარტება მოიცავს დამატებით დეტალებს, მოწოდებულს EPC კონტრაქტორის მიერ მას შემდეგ, რაც გამოვიდა 2015 წლის ბსგზშ ანგარიში.

ეს დოკუმენტი წაკითხული უნდა იქნას სხვა დამატებით E&S კვლევებთან ერთად; ამაში შედის:

- ტომი 1: არატექნიკური რეზიუმე
- ტომი 2: პროექტის აღწერა
- ტომი 3: სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
- ტომი 4: ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება
- ტომი 5: ქვედა ბიეფის ჰიდროლოგიასა და წყლის ხარისხზე ზემოქმედების შეფასება
- ტომი 6: ბუნებრივი საფრთხეები და კაშხლის უსაფრთხოება
- ტომი 7: დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
- ტომი 8: გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
- **ტომი 9: მიწის შეძენისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა (წინამდებარე ტომი).**
- ტომი 10: კუმულატიური ზემოქმედების შეფასება

[1] 2017 წლის იანვარში კრედიტორებს შორის იყვნენ აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), Servizi Assicurativi del Commercio Estero (SACE) და კორეის განვითარების ბანკი (KDB).

რეზიუმე

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმას (LALRP), მომზადებულს ბუნებრივი და სოციალური გარემოს (E&S) დამატებითი კვლევების ფარგლებში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტისათვის (ჰესი).

პროექტი შემუშავებულია სს „ნენსკრას ჰიდრო“-ს (JSCNH) მიერ, რომლის მთავარი აქციონერებიც არიან „K-water“, კორეის მთავრობის სააგენტო და საპარტნიორო ფონდი - საქართველოს მთავრობის საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი. „K-water“ და საპარტნიორო ფონდი წინამდებარე დოკუმენტში მოხსენიებული არიან, როგორც „საპროექტო კომპანია“.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), აზიის განვითარების ბანკი (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), *Servizi Assicurativi del Commercio Estero* (SACE) და კორეის განვითარების ბანკი (KDB) – წინამდებარე ანგარიშში ერთობლივად მოხსენიებული, როგორც *„კრედიტორები“* – მოიაზრებიან პროექტისათვის ფინანსური დახმარების გამწევ მხარეებად.

A. პროექტის მიმოხილვა

შემოთავაზებული პროექტი წარმოადგენს 280 მეგავატი (MW) სიმძლავრის ჰესს მდინარე ნენსკრაზე, რომელიც მდებარეობს საქართველოს სვანეთის რეგიონში. პროექტის მთავარი კომპონენტები მოიცავს 130 მეტრის სიმაღლის ქვის ნაყარ კონსტრუქციას, რომელიც ქმნის 176 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის წყალსაცავს და უკავია 270 ჰა ფართობი. მოხდება მდინარე ნაკრას დერივაცია მთავარ სქემაში 14-კილომეტრიანი სადერივაციო გვირაბის მეშვეობით, რაც მოითხოვს სადერივაციო კაშხლის, სადერივაციო გვირაბის შესასვლელისა და მიმღები არხის მშენებლობას ნაკრას ხეობაში. ელექტროსადგური მდებარეობს ქვედა ბიეფში, 15 კილომეტრში ნენსკრას კაშხლიდან და წყალსაცავის წყალი მიეწოდება ელექტროსადგურს 15-კილომეტრიანი სადაწნევო გვირაბის გავლით.

აუცილებელია ნენსკრას ხეობის გასწვრივ კაშხლის ტერიტორიასთან მიმავალი არსებული გზის მოდერნიზაცია, რათა სამშენებლო ტრანსპორტს მიეცეს კაშხლის სამშენებლო მოედანთან (საიტთან) მისვლის საშუალება და ეს გულისხმობს გზის რამდენადმე გაფართოებას. მსგავსი გზის მოდერნიზაცია საჭიროა ნაკრას ხეობაში.

ძირითადი სამშენებლო პერიოდის დაწყება დაგეგმილია 2017 წლის სექტემბრიდან გარკვეული ადრეული სამუშაოებით - მათ შორის, გზის მოდერნიზაციით - რომლებიც სრულდება 2015 წლის სექტემბრიდან 2017 წლის სექტემბრამდე. ხელსაყრელი პირობების არსებობის შემთხვევაში ელექტროენერგიის გამომუშავების დაწყება დაგეგმილია 2020 წლის ბოლოსთვის.

დროებითი სამშენებლო ბანაკის მონტაჟი - ერთის კაშხლის საიტზე და ერთისაც ელექტროსადგურზე - დაიწყება 2017 წლის მეორე კვარტალში, მუშაობა ნაკრას გზის მოდერნიზაციაზე დაიწყება 2017 წლის მეოთხე კვარტალში, ხოლო დროებითი სამშენებლო ბანაკის მონტაჟი ნაკრას სადერივაციო მიმღების საიტზე დაიწყება 2018 წლის მესამე კვარტალში.

A.1 LALRP-ის მიზანი, პრინციპები და ამოცანები

LALRP-ის მიზანია, მოახდინოს იმის დოკუმენტირება, თუ როგორ დაიგეგმა მიწის შესყიდვა და საარსებო საშუალებების აღდგენა და როგორ მოხდება ამის განხორციელება - უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი არ ექნება ოჯახების ფიზიკურ გადაადგილებას. LALRP მომზადდა და განხორციელებული იქნება კრედიტორების პოლიტიკის პრინციპებისა და მიზნების, ასევე იმ პროცედურების შესაბამისად, რომლებიც ეხება იძულებით განსახლებას და არის IFC-ის PS5, EBRD-ის PR5, EIB-ის ბუნებრივი და სოციალური გარემოს სტანდარტი 6 და აზიის განვითარების ბანკის SPS 2.

ზემოხსენებული სხვადასხვა პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ:

- თავიდან აიცილეთ, ან თუ ეს გარდაუვალია, შეამცირეთ და შეარბილეთ პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული იძულებითი განსახლების ზემოქმედება დაზარალებულ პირებზე;
- მიაწოდეთ ამომწურავი და ზუსტი ინფორმაცია პროექტის შესახებ და შეუქმენით პროექტის შედეგად დაზარალებულ პირებს (PAP) მნიშვნელოვანი შესაძლებლობები დაპროექტებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში მონაწილეობისათვის, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ დაუცველ პირთა მოთხოვნილებებს;
- უზრუნველჰყავით, რომ მოხდეს უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული ადამიანების სრულად კომპენსირება და წარმატებით განსახლება; ეკონომიკური გადაადგილების შედეგად დაზარალებული პირების საარსებო საშუალებების ხელახლა შექმნა და მათი ცხოვრების დონის შეძლებისდაგვარად გაუმჯობესება, ასევე ღარიბი და დაუცველი ოჯახების საარსებო საშუალებების გაუმჯობესება სტანდარტებამდე, რომლებიც აჭარბებს ეროვნული სიღარიბის ზღვარს;
- არ დაუშვათ დაზარალებულ პირთა გაღატაკება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშრებით მიწის იძულებითი შეძენისა და საარსებო საშუალებების დაკარგვის გამო;
- უზრუნველჰყავით, რომ ყველა დაზარალებული პირი ინფორმირებული იქნას განსახლების პროცესის შესახებ და შეიტყოს პროექტის ფარგლებში არსებული საჩივრების მოგვარების სისტემის შესახებ;
- საჭიროების შემთხვევაში, გაუწიეთ დამატებითი დახმარება სოციალურად დაუცველ ჯგუფებს.

A.2 პროექტის კომპონენტები, რომლებსაც მოიცავს LALRP

წინამდებარე LALRP ეფუძნება ნენსკრა-ჰესის კომპონენტების განმარტებას და განხორციელების გრაფიკს 2016 წლის დეკემბერის მდგომარეობით. ეს განმარტება მოიცავს დამატებით დეტალებს, რომლებიც მოწოდებულ იქნა EPC კონტრაქტორის მიერ 2015 წლის ESIA ანგარიშის გამოცემის შემდეგ. წინამდებარე LALRP მოიცავს პროექტის კომპონენტებს, რომლებთან მიმართებაშიც პროექტის შემუშავებამ საკმარის ეტაპს მიაღწია, რათა მოხდეს მიწის შეძენის მოთხოვნების განსაზღვრა. აქ შედის (i) კაშხლის საიტი და წყალსაცავის ტერიტორია, (ii) ელექტროსადგურის ტერიტორია, (iii) ნაკრას სადერივაციო ჯებირის ტერიტორია; (iv) ოპერატორის სოფელი და (v) ნენსკრას მისასვლელი გზის მოდერნიზაციის სამუშაოები.

წინამდებარე LALRP-ის ფარგლებში აღიარებული პრინციპები და პროცედურები ასევე გამოყენებული იქნება იმ კომპონენტებისთვის საჭირო მიწის შესაძენად, რომლებიც მოცემულ ეტაპზე არ არის განსაზღვრული, კერძოდ: (i) ნაკრას გზის მოდერნიზაცია, (ii) ნაგავსაყრელი უბნები ელექტროსადგურზე, (iii) 35 კვ დენით მომსახურების ხაზის მშენებლობა ელექტროსადგურსა და კაშხლის საიტს შორის; (iv) 110 კვ დენის ხაზი ხუდონის ქვესადგურიდან ელექტროსადგურამდე, რომელიც საჭიროა მშენებლობის დროს. მოხდება LALRP-ის განახლება, რათა მასში შევიდეს ხსენებული კომპონენტები მას შემდეგ, რაც დადგინდება მიწის შეძენის საჭიროება ამ კომპონენტისთვის. მიწაზე წვდომა სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო იქნება 2017 წლის ივნისისთვის ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკისა და ნაგავსაყრელი უბნებისთვის, ისევე როგორც ელექტრომომარაგების ხაზებისთვის. აქედან გამომდინარე, განახლებული LALRP ამ კომპონენტებისთვის მომზადდება 2017 აპრილში. ნენსკრას გზის მოდერნიზაცია უნდა დაიწყოს 2017 წლის ოქტომბერში და განახლებული LALRP, რომელიც ამ საკითხს მოიცავს, მომზადდება 2017 წლის ივლისში.

LALRP 220 კვ გადამცემი ხაზისთვის, რომელიც ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქვესადგურს ხუდონის ახალ ქვესადგურთან დააკავშირებს, მომზადდება და განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე/GSE) მიერ.

B. სამართლებრივი ბაზა

პროექტი შეეცდება, თავიდან აიცილოს იძულებითი ექსპროპრიაციის საჭიროება მეგობრული (დაინტერესებული მყიდველი - ნებაყოფლობითი გამყიდველი) შეთანხმების მიღწევით დაზარალებულ ოჯახებთან. თუმცა, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, შეიძლება განხორციელდეს ექსპროპრიაციის პროცესი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოში მიწის ექსპროპრიაციისას აქცენტის გამახვილება ხდება ექსპროპრიაციის ფორმალურ, სამართლებრივ პროცედურებზე. კრედიტორების უსაფრთხოების პროცედურები აღიარებს როგორც აუცილებლობას, ასევე სამუშაოდ ადგილობრივი ლიცენზიის საჭიროებას, რაც გულისხმობს მჭიდრო კონსულტაციებს დაზარალებულ მოსახლეობასთან, დაკარგული აქტივების სამართლიან და თანასწორ ანაზღაურებას სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით, საარსებო საშუალებების აღდგენას იმ მასშტაბით, რომლითაც ისინი დაზარალდა, საჩივრების მოგვარების სისტემას და მონიტორინგის პროგრამას. JSCNH გამოიყენებს კრედიტორების უსაფრთხოების პროცედურებს, მათ შორის კომპენსაციას არარეგისტრირებული ან არაოფიციალური მფლობელებისა, რომლებიც განისაზღვრებიან როგორც პირები, რომლებსაც არ გააჩნიათ ოფიციალური იურიდიული უფლებები მათ მიერ დაკავებულ მიწაზე, მაგრამ აქვთ პრეტენზია ასეთ მიწებზე, რომლებიც აღიარებული ან აღიარებადია საქართველოს კანონმდებლობით. მიწის მოპოვება განხორციელდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება დაზარალებული ადამიანების კომპენსაციით უზრუნველყოფა სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით და მიწაზე წვდომის და გამოყენების კანონიერი უფლების მოპოვება.

C. დაზარალებული ოჯახების სოციალ-ეკონომიკური პროფილი

უშუალოდ პროექტის შედეგად პოტენციურად დაზარალებული ყველა ადამიანი და დასახლება განლაგებულია მდინარეების ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში.

იმ დროისათვის, როდესაც იწერებოდა წინამდებარე LALRP, არ იყო მოსალოდნელი არანაირი ფიზიკური გადაადგილება. პროექტით გათვალისწინებული მიწის

მოპოვების შედეგად დაზარალებული პირები დაზარალდებიან მხოლოდ მიწის, ნათესი კულტურების, ხეების ან ნაგებობების დაკარგვისა და ეკონომიკური გადაადგილების შედეგად.

საერთო ჯამში, მიწის შეძენის შედეგად დაზარალდება 80-მდე ოჯახი. ამ 80 ოჯახში წარმოდგენილია 366 პიროვნება. ამ ოჯახების განაწილება პროექტის კომპონენტების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 1. 80 დაზარალებული ოჯახიდან 4 დაზარალებულია ნენსკრას გზის მოდერნიზაციის, ისევე როგორც პროექტის ერთ-ერთი სხვა კომპონენტის შედეგად: ელექტროსადგურის საიტი, ნენსკრას კაშხლის სამშენებლო საიტი, ნენსკრას კაშხლის წყალსაცავი, ნაკრას წყალამღების ტერიტორია.

ცხრილი 1 - დაზარალებული ოჯახების და ადამიანების რაოდენობა

ტერიტორია/ობიექტი[c]	დაზარალებული ოჯახების რაოდენობა	დაზარალებული პირების რაოდენობა
ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის ტერიტორია	20	101
ელექტროსადგურის საიტი	4	25
ოპერატორის სოფელი	1	4
ნენსკრას გზა	32[a]	156
ნაკრას ჯებირი და სადერივაციო გვირაბის მიმღები არხი	27	111
სულ	80[a]	366

[a] ეკონომიკური გადაადგილების შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან 4 დაზარალებულია ნენსკრას გზის გაფართოების, ხოლო ერთი - პროექტის სხვა კომპონენტის შედეგად.

[b] A: სახნავ-სათესი F: ტყე P: საძოვარი R: საცხოვრებელი

[c] 35 და 110 კვ მომსახურების ხაზების, ნაკრას მისასვლელი გზის მოდერნიზაციის სამუშაოების პროექტის, ისევე როგორც ნარჩენების საყრელი უბნებისა და სამშენებლო ბანაკის განლაგება ელექტროსადგურზე განისაზღვრება 2017 წლის ივნისისათვის და შესაბამისად, მათი ზემოქმედება ოჯახებზე წინამდებარე ნაშრომში არ შედის (იხ 4.3.2).

2016 წლის ბოლოს დაზარალებული ოჯახებიდან 11-ს თავიანთი მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული ჰქონდათ, როგორც ნენსკრას გზის მოდერნიზაციის შედეგად დაზარალებული ტერიტორიის გასწვრივ არსებული მათი კერძო საკუთრება. ამ 11 ოჯახიდან 2-ს ქალები უძღვებიან. სხვა დაზარალებულ ოჯახებს თავიანთი მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული არ აქვთ.

ოჯახების მიერ განცხადებული სხვადასხვა შემოსავლის წყაროები მოცემულია ცხრილში 2 ქვემოთ. ოცდაცხრა დაზარალებულ ოჯახში არის მინიმუმ ერთი წევრი, რომელიც საჯარო მოხელედ მუშაობს და იღებს რეგულარულ ხელფასს, 9-ში კი არის მინიმუმ ერთი წევრი, რომელიც იღებს ხელფასს კერძო კომპანიაში. დაზარალებული ოჯახების ორი მესამედი იღებს პენსიას ან სოციალურ შემწეობას. სოფლის მეურნეობა (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა) არის შემოსავლის წყარო ოჯახების ნახევარზე მეტისთვის. კერძო კომპანიებიდან და პენსიების ან შემწეობის სახით მიღებული შემოსავლის წილი უფრო მეტია ოჯახებში, რომლებსაც ქალები უძღვებიან, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის წილი კი მეტია იმ ოჯახებში, რომლებშიც ოჯახის უფროსი მამაკაცები არიან.

ცხრილი 2 - დაზარალებული ოჯახების შემოსავლის წყაროები

		დაზარალებული ოჯახების რაოდენობა	ხელფასი სკვარო სამსახურში	ხელფასი კერძო კომპანიაში	პენსია/შეწევნა	რეგულარული ფულადი გზავნილები	მიწის ოჯარა	სოფლის მეურნეობა	ხე-ტყის ჭრა	ხე-ტყის დამუშავება	მეორად სატყეო პროდუქცია	დამუშავებული საკვები (ყველი, ღომელი ...)	პასუხი არ არის
ყველა დაზარალებული ოჯახი	რაოდ.	80	29	9	52	2	1	45	3	5	1	2	4
	%	*100%*	*36%*	*11%*	*65%*	*3%*	*1%*	*56%*	*4%*	*6%*	*1%*	*3%*	*5%*

ოცდაათმა დაზარალებულმა ოჯახმა უპასუხა კითხვარს შემოსავალთან დაკავშირებით. უმაღლესი განცხადებული სავარაუდო წლიური შემოსავალი იყო 30,000 ლარი, ხოლო ყველაზე დაბალი იყო დაახლოებით 2000 ლარი. საშუალო სავარაუდო წლიური შემოსავალი დაახლოებით 10,000 ლარს შეადგენდა. ოჯახების განაწილება შემოსავლის დონის მიხედვით მოცემულია ცხრილში 3 ქვემოთ.

ცხრილი 3 – დაზარალებული ოჯახების მიერ განცხადებული სავარაუდო წლიური შემოსავალი

ოჯახების მიერ განცხადებული სავარაუდო წლიური შემოსავალი	რესპოდენტი ოჯახების რაოდენობა	რესპოდენტი ოჯახების %
სავარაუდო წლიური შემოსავალი 1,000-დან 5,000 ლარამდე	6	20%
სავარაუდო წლიური შემოსავალი 5,000-დან 10,000 ლარამდე	9	30%
სავარაუდო წლიური შემოსავალი 10,000-დან 15,000 ლარამდე	5	16.7%
15,000 ლარზე მეტი სავარაუდო წლიური შემოსავალი	10	33.3%
სულ რესპონდენტი ოჯახები	30	100%

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოციალ-ეკონომიკური გამოკითხვებისას რამდენიმე მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო, როგორებიცაა ხე-ტყის ჭრა, შესაძლოა არასაკმარისად ან საერთოდ არ იქნა განცხადებული. ოჯახების ავეჯი და აღჭურვილობა მიუთითებს ცხოვრების ისეთ დონეზე, რომელიც ვერ მიიღწევა მხოლოდდამხოლოდ ორივე ხეობაში არსებულ მცირე ფერმერულ საქმიანობაზე დაყრდნობით. ეს გვიჩვენებს, რომ განცხადებული შემოსავლის დონე შესაძლოა ნაკლებობით იქნა მითითებული ბევრი გამოკითხულის მიერ.

ოჯახი დაუცველად არის მიჩნეული, თუკი:

- ის სოციალურ სამსახურებში დარეგისტრირებულია, როგორც ღარიბი;
- ოჯახს ქალი უძღვება;
- ხანშიშესული ადამიანი უძღვება ოჯახს (≥ 70 წლის), რომელშიც არ არის შემოსვლის შემომტანი არცერთი სხვა წევრი; ან
- ოჯახს უძღვება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

80 დაზარალებული ოჯახიდან ოცდაშვიდზე ვრცელდება ზემოთ მოყვანილი სამი კრიტერიუმიდან მინიმუმ ერთი და ისინი მიიჩნევა დაუცველად. დაზარალებული

ოჯახების განაწილება დაუცველობის კრიტერიუმების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში 4 ქვემოთ.

ქვეყნის დონეზე, საქართველოს მოსახლეობის 11% რეგისტრირებულია ეროვნული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ[2]. საპროექტო ტერიტორიაზე ოჯახების თითქმის მეხუთედი (65 353 ოჯახი, ანუ 18.4%) აცხადებს, რომ იღებს სიღარიბის საარსებო შემწეობას. თხუთმეტი დაზარალებული ოჯახი (ანუ 19%) იღებს ამ სიღარიბის შემწეობას.

ქალთა მიერ გაძღოლილი ოჯახები წარმოადგენენ ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში მუდმივად მცხოვრები ოჯახების საერთო რაოდენობის 23% (იხ. ტომი 3 -. სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება). ისინი წარმოადგენენ დაზარალებული ოჯახების 11%-ს (80-დან 9 ოჯახი).

ცხრილი 4 - დაუცველი ოჯახების განაწილება დაუცველობის კრიტერიუმების მიხედვით

დაუცველობის კატეგორია	დაზარალებული ოჯახების რაოდენობა
სულ დაუცველი ოჯახები	27
სულ სიღარიბის შემწეობის მიმღები დაუცველი ოჯახები	17
სულ ქალების მიერ გაძღოლილი ოჯახები	9
სულ ხანშიშესული ადამიანების მიერ გაძღოლილი ოჯახები, რომლებშიც არ არის შემოსავლის შემომტანი არცერთი სხვა წევრი	7
სულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ გაძღოლილი ოჯახები	0

[2] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სოციალური მომსახურების სააგენტოზე დაყრდნობით, http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=188&lang=eng

D. მიწის შეძენით გამოწვეული ზემოქმედება

D.1 მიწის საჭიროების შეჯამება

მიწის საჭიროება პროექტისათვის წარმოდგენილია ცხრილში 5 ქვემოთ.

ცხრილი 5 - მიწის საჭიროება პროექტისათვის

კომპონენტები/საიტები	სულ მოსაპოვებელი მიწის ფართობი (ჰა)	მუდმივი სამუშაოების ფართობი (ჰა)	დროებითი ობიექტების ფართობი (ჰა)[g]
კაშხლის საიტი	560	353 (კაშხალი = 83 ჰა; წყალსაცავი = 270 ჰა)	207 (სამშენებლო ბანაკი, დამხმარე სტრუქტურები და ნაგავსაყრელი უბნები)
ოპერატორის სოფელი	2.5	2.5 (ოპერატორის სოფელი[a])	---
ელექტროსადგურის საიტი	171	11.3 (ელექტროსადგური, GIS, სტრუქტურები, მომსახურება გზის, სარქველის კამერა, დაწნევითი მილსადენი და გამათანაბრებელი ჭა, 11 კვ ელექტრომომარაგების მომსახურების ხაზი ელექტროსადგურსა და გამათანაბრებელ ჭას შორის)	159.7 (სამშენებლო ბანაკი და ნაგავსაყრელი უბნები[b])
ნაკრას წყალამღები	36.7	0.9 (ჯებირი და სადერივაციო გვირაბის მიმღები არხი)	35.8 (სამშენებლო ბანაკი და ნაგავსაყრელი უბნები)
ნენსკრას გზის გაფართოება[c]	1.2	1.2	---
ნაკრას გზის გაფართოება[d]	TBD	TBD	TBD
35 კვ ელექტრომომარაგების მომსახურების ხაზი[e]	36.0	36.0	---
110 კვ ელექტრომომარაგების მომსახურების ხაზი[f]	21.0	---	21.0
სულ	828.4	404.9	423.5

[a] მოიცავს, სახლებს, დასასვენებელ ადგილებს, სახელოსნოებს

[b] კალკულაცია - უნდა განისაზღვროს შემდგომ ეტაპზე - ტერიტორია მითითებულია წინასწარ ვარიანტში

[c] გზის გაფართოება სოფელ ჭუბერის საცხოვრებელ უბნებში

[d] უნდა დადასტურდეს შემდგომ ეტაპზე

[e] კალკულაცია - უნდა განისაზღვროს მოგვიანებით. სერვიტუტი ნენსკრას ელექტროსადგურსა და კაშხალს შორის, 18 კმ სიგრძის, 20 მ სიგანის, მოიცავს 0.5 ჰა-ს პილონებისთვის. კალკულაცია ეფუძნება ვარაუდს, რომ ხაზის გასწვრივ ყოველ 100 მეტრში არსებობს 25მ² ფუძის კონტურიანი (ე.წ. „კვალი“) პილონი.

[f] კალკულაცია - უნდა განისაზღვროს მოგვიანებით. სერვიტუტი ხუდონის ქვესადგურსა და ნენსკრას ელექტროსადგურს შორის, 7 კმ სიგრძის, 30 მ სიგანის, მოიცავს 0.1 ჰა პილონებისთვის. კალკულაცია ეფუძნება ვარაუდს, რომ ხაზის გასწვრივ ყოველ 100 მეტრში არსებობს 25მ² ფუძის კონტურიანი პილონი.

[g] G მოიცავს კარიერის უბნებს, კარიერის ზონებს, ნარჩენების საყრელ ტერიტორიებზე და მისასვლელ გზებს, რომლებიც საჭიროა მშენებლობის დროს

D.2 ზემოქმედებათა თავიდან აცილება და მინიმიზაცია

მიწის საჭიროებიდან გამომდინარე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მაქსიმალურად შემცირების, ასევე დაზარალებული პირების რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს მიერ მიღებულ იქნა შემდეგი შემარბილებელი ზომები.

- ელექტროსადგურის საიტზე: შესწავლილი იქნა ელექტროსადგურის მდებარეობის რამდენიმე ვარიანტი. შერჩეულ იქნა მინიმალური სოციალური ზემოქმედების გამომწვევი ვარიანტი (შესწავლილი ალტერნატივების დეტალური აღწერილობებისთვის იხ. ტომი 2 – „პროექტის აღწერა“).
- საძოვარი ტერიტორიების ხელმისაწვდომობა: სს „ნენსკრა ჰიდრო“ თავიდან აიცილებს ყოველგვარ პოტენციურ ზემოქმედებას, გამოწვეულს საძოვარი ტერიტორიების შეზღუდული ხელმისაწვდომობით მშენებლობის პერიოდში. EPC კონტრაქტორი შეინარჩუნებს იმ საძოვრების ხელმისაწვდომობას, რომლებიც მდებარეობს სამუშაო საიტებიდან მოშორებით და რომლებიც შეიძლება ჩაეკეტა დროებით ობიექტებს, როგორიცაა ბანაკი ან საიტის ნაგებობები. სამშენებლო პერიოდის ბოლოს ყველა დაბრკოლება აღმართზე მდებარე საძოვარი ტერიტორიების გზაზე მოცილებულ იქნება ან შეიცვლება.
- ნენსკრას გზის მოდერნიზაცია: შერჩეულ იქნა ისეთი განლაგება, რომლის შემთხვევაშიც მაქსიმალურად იქნება გამოყენებული არსებული გზის პლატფორმა, ხოლო იქ, სადაც გზა დასახლებებზე გადის, გამოწვეული ზემოქმედება მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი.
- ინფრასტრუქტურის არსი და დეტალური საპროექტო სახე, რომლებიც ჯერჯერობით ცნობილი არ არის (ნაკრას გზის გაფართოება, 110კვ ელექტრომომარაგების ხაზი და მომსახურების ხაზი, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკი და ნარჩენების საყრელი უბნები), შემუშავდება თემებთან ინტენსიური კონსულტაციების პირობებში მკაფიო მიზნით: შემცირდეს ყოველგვარი უარყოფითი ზემოქმედება საარსებო საშუალებებზე.

D.3 ზემოქმედებები

მიწის შეძენით გამოწვეული ზემოქმედებების შეჯამება წარმოდგენილია ცხრილში 7 ქვემოთ.

მიწის შეძენის შედეგად დაზარალებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გამოყენებული მიწების წილები ნაჩვენებია ცხრილში 6 ქვემოთ.

ცხრილი 6 – მიწის მოპოვების შედეგად დაზარალებული მიწათსარგებლობის წილი

სოფელი (ხეობა)	მიწათსარგებლობის ტიპი	სულ ფართობი (ჰა)[a]	მიწის მოპოვების (მუდმივი და დროებითი) ტერიტორიაში შესული ტიპის მიწის წილი	მიწის მუდმივი მოპოვების ტერიტორიაში შესული ტიპის მიწის წილი
ჭუბერი (ნენსკრას ხეობა)	საცხოვრებელი და განაშენიანებული ტერიტორიები	420		
	სახნავი მიწა (დამუშავებული ან დაუმუშავებელი)	490	5.2%	0.75%
	საძოვარი	695	2%	0.8%

სოფელი (ხეობა)	მიწათსარგებლობის ტიპი	სულ ფართობი (ჰა)[a]	მიწის მოპოვების (მუდმივი და დროებითი) ტერიტორიაში შესული ტიპის მიწის წილი	მიწის მუდმივი მოპოვების ტერიტორიაში შესული ტიპის მიწის წილი
	ტერიტორიები			
ნაკი (ნაკრას ხეობა)	საცხოვრებელი და განაშენიანებული ტერიტორიები	104		
	სახნავი მიწა (დამუშავებული ან დაუმუშავებელი)	120		
	საძოვარი ტერიტორიები	549	1.1%	0.16%

[a] *შეფასებები ეფუძნება აეროფოტოების ინტერპრეტაციას (დათარიღებული 2010 წლით).*

დაზარალდება 3 საძოვარი ტერიტორია; კერძოდ, *მაჩლითჭალა* ნენსკრას წყალსაცავში, *ქვემო მემული* ნენსკრას კაშხლის სამშენებლო ბანაკთან და *ლაგირი* ნაკრას წყალამღების საიტზე. გლეხებს ამ საძოვრებით სარგებლობის საშუალება მიეცემათ კოლექტიური ჩვეულებითი გამოყენების უფლებით. ამ საძოვრების დაკარგვით ზარალდება ოჯახების სამი სხვადასხვა ჯგუფი.

ცხრილი 7 – მიწის შესყიდვით გამოწვეული ზემოქმედებების შეჯამება

ტერიტორია/ობიექტი[c]	დაზარალებული ოჯახების რაოდენობა	დაუცველი ოჯახების რაოდენობა	ქალების მიერ გაძღოლილი ოჯახების რაოდენობა	მიწათსარგებლობის ტიპი[b]	დაზარალებული სახელმწიფო ინფრასტრუქტურა	მიწის დაკარგვა დაზარალებული ოჯახების მიერ	დაკარგული კონსტრუქცია	დაკარგული ხეები	დაკარგული ერთწლიანი კულტურები
ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი	20	4	1	F / P	---	131	13 ხის ქოხი, ღობე	--	0.1 ჰა კარტოფილი
ელექტროსადგურის საიტი	4	---	---	A / F	---	16.55	ღობეები, 1 საქონლის სადგომი, 1 დაუკავებელი სახლი	1027	0.01 ჰა სიმინდი
ოპერატორის სოფელი	1	---	---	F	---	2.5	--	--	--
ნენსკრას გზა	32[a]	14	6	A	---	1.17	ღობეების 32 მონაკვეთი + 2 ხის ფარდული	59	--
ნენსკრას ჯებირი და სადერივაციო გვირაბის მიმღები არხი	27	11	2	F / P	1 ხიდი	32	1 ხის ღობე, 1 ქვის კედელი, 1 ხის ქოხი	--	--
სულ	80[a]	28[a]	9	A / F / P	1 ხიდი			1096	0.1 ჰა კარტოფილი. 01 ჰა სიმინდი

[a] ეკონომიკური გადაადგილების შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან 4 დაზარალებულია ნენსკრას გზის გაფართოების, ხოლო ერთი - პროექტის სხვა კომპონენტის შედეგად.

[b] A: სახნავ-სათესი F: ტყე P: საძოვარი R: საცხოვრებელი

[e] 35 და 110 კვ მომსახურების ხაზების, ნაკრას მისასვლელი გზის მოდერნიზაციის სამუშაოების პროექტის, ისევე როგორც ნარჩენების საყრელი უბნებისა და სამშენებლო ბანაკის განლაგება ელექტროსადგურზე განისაზღვრება 2017 წლის ივნისისათვის და შესაბამისად, მათი ზემოქმედება ოჯახებზე წინამდებარე ნაშრომში არ შედის (იხ. §4.3.2).

დაზარალებულ ოჯახებზე ზემოქმედების ხარისხი შეფასებულ იქნა პროდუქტიული აქტივების დანაკარგების წილთან და ოჯახების შემოსავალზე ასახულ შედეგებთან მიმართებაში. მნიშვნელოვნად დაზარალებული ოჯახები ისინია, რომლებიც დაკარგავენ თავიანთი პროდუქტიული აქტივების 10%-ს ან მეტს[3]. მძიმედ დაზარალებულები დაკარგავენ თავიანთი პროდუქტიული აქტივების 20%-ზე მეტს. პროექტით გათვალისწინებული მიწის მოპოვებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელობა შეჯამებულია ცხრილში 8 ქვემოთ.

ცხრილი 8 – ზემოქმედების განაწილება ხარისხისა და პროექტის კომპონენტის მიხედვით

ტერიტორია/ობიექტი	დაზარალებული ოჯახების რაოდენობა	დაბალი ხარისხის ზემოქმედება/ უმნიშვნელო	საშუალო/ მნიშვნელოვანი	მაღალი/მძიმე
ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი	20	---	11	9
ელექტროსადგურის საიტი	4	---	---	4
ოპერატორის სოფელი	1	1	---	---
ნენსკრას გზა	32[a]	29[a]	---	---
ნენსკრას ჯებირი და სადერივაციო გვირაბის მიმღები არხი	27	27	---	---
სულ	80[a]	56	11	13
[a] ეკონომიკური გადაადგილების შედეგად დაზარალებული ოჯახებიდან 4 დაზარალებულია ნენსკრას გზის გაფართოების, ხოლო ერთი - პროექტის სხვა კომპონენტის შედეგად.				

E. ანაზღაურების მიღების უფლება და კომპენსაციები

LALRP-ით გათვალისწინებული ზომებით სარგებლობის უფლების საბოლოო თარიღი განსაზღვრულია, როგორც აღწერის და აქტივების ინვენტარიზაციის დასაწყისი. წინამდებარე LALRP-ში შესული პროექტის კომპონენტებისთვის საბოლოო თარიღი იყო 2015 წლის 26 ოქტომბერი. პროექტის კომპონენტებისთვის, რომლებიც არ იყო განსაზღვრული 2017 წლის იანვრისთვის, საბოლოო თარიღი საჯაროდ გამოცხადდება ადგილობრივ თემებში, როდესაც ეს კომპონენტები განსაზღვრული იქნება, 2017 წლის ივნისამდე.

კომპენსაციების მატრიცა დაზარალებული პირებისთვის წარმოდგენილია ცხრილში 9 შემდეგ გვერდზე.

[3] თანახმად აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის მოთხოვნისა 2 იძულებითი განსახლების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვნად დაზარალებულის სტატუსის ზღვრულ მაჩვენებლად ადგენს პროდუქტიული (შემოსავლის მომცემი) აქტივების 10%-ის ან მეტის დაკარგვას.

ცხრილი 9 - კომპენსაციების მიღების უფლების მატრიცა

PAP-ების კატეგორია	სახლის დაკარგვა (დაკავებული სახლის) ფიზიკური გადაადგილება	საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე ნაგებობები და სხვა სტრუქტურები (ხის ქოხები, ღობეები)	ნათესი კულტურების, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების დაკარგვა	საძოვრის ან ხე-ტყის საჭრელი ტერიტორიის დაკარგვა (საერთო გამოყენების)
რეგისტრირებული მიწის მფლობელი (ლეგალიზებადი მიწა)	*(ჯერჯერობით არ გამოვლენილა არცერთი შემთხვევა)* საცხოვრებლად სხვაგან გადასვლის პროგრამა (გადასვლის ადგილის გამოვლენა და უზრუნველყოფა და თუ საჭირო დარჩა, დროებითი საცხოვრებლის გამოყოფა + დახმარება გადასვლაში და შემწეობა + ტრანსპორტი + 3 თვის მინიმალური შემწეობა + საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საარსებო წყაროს აღდგენის ღონისძიებები	მუდმივი დაკარგვა: კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით დროებითი დაკარგვა: მიწა იჯარით იქნება აღებული თუ ნარჩენი მიწის ნაკვეთი გამოუსადეგარი ხდება, პროექტი სრულად შეიძენს მას, თუ PAP ასე მოისურვებს	მუდმივი დაკარგვა: კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით დროებითი დაკარგვა: მიწა იჯარით იქნება აღებული თუ დარჩენილი მიწის ნაკვეთი გამოუსადეგარი ხდება, პროექტი სრულად შეიძენს მას, თუ PAP ასე მოისურვებს	კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით + გამოსადეგი ნარჩენი მასალის დატოვების უფლება (საკომპენსაციო პაკეტზე გავლენის გარეშე)	კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით	გარდამავალ პერიოდში პირუტყვის საკვების მიწოდება (ფულადი ფორმით ან ნატურით)
ჯერ კიდევ დასარეგისტრირებელი მიწის მეპატრონე, (ლეგალიზებადი მიწა)	როგორც ზემოთ არის მითითებული.	როგორც ზემოთ არის მითითებული. + დახმარება რეგისტრაციაში	როგორც ზემოთ არის მითითებული. + დახმარება რეგისტრაციაში	როგორც ზემოთ არის მითითებული.	როგორც ზემოთ არის მითითებული.	როგორც ზემოთ არის მითითებული. + დახმარება რეგისტრაციაში
არალეგალიზებადი მიწის მესაკუთრე	როგორც ზემოთ არის მითითებული.	კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით თუ დარჩენილი მიწის ნაკვეთი გამოუსადეგარი ხდება, პროექტი სრულად შეიძენს მას, თუ PAP ასე მოისურვებს	კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით თუ დარჩენილი მიწის ნაკვეთი გამოუსადეგარი ხდება, პროექტი სრულად შეიძენს მას, თუ PAP ასე მოისურვებს	როგორც ზემოთ არის მითითებული.	როგორც ზემოთ არის მითითებული.	გარდამავალ პერიოდში პირუტყვის საკვების მიწოდება (ფულადი ფორმით ან ნატურით)
მეიჯარე/მოიჯარე *(ჯერჯერობით არცერთი შემთხვევა არ არის გამოვლენილი)*	თუ ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, საცხოვრებლის ქირის დასაფარი დახმარება ნაღდი ფულით, სანამ ზემოქმედება გრძელდება. თუ ზემოქმედება მუდმივია, საცხოვრებლის	თუ ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, საცხოვრებლის ქირის დასაფარი დახმარება ნაღდი ფულით, სანამ ზემოქმედება გრძელდება. საცხოვრებლის ქირის დასაფარი 3 თვიანი დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება	N/A	თუ ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, საცხოვრებლის ქირის დასაფარი დახმარება ნაღდი ფულით, სანამ ზემოქმედება გრძელდება. საცხოვრებლის ქირის დასაფარი 3 თვიანი	N/A	N/A

PAP-ების კატეგორია	სახლის დაკარგვა (დაკავებული სახლის) ფიზიკური გადაადგილება	საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე ნაგებობები და სხვა სტრუქტურები (ხის ქოხები, ღობეები)	ნათესი კულტურების, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების დაკარგვა	საძოვრის ან ხე-ტყის საჭრელი ტერიტორიის დაკარგვა (საერთო გამოყენების)
	ქირის დასაფარი 3 თვიანი დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში	ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში		დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში		
სასოფლო-სამეურნეო მოიჯარეები და იჯარის მოსავლით გადამხდელები *(ჯერჯერობით არცერთი შემთხვევა არ არის გამოვლენილი)*	N/A	N/A	საცხოვრებლის ქირის დასაფარი 3 თვიანი დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში	თუ ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, საცხოვრებლის ქირის დასაფარი დახმარება ნაღდი ფულით, სანამ ზემოქმედება გრძელდება. საცხოვრებლის ქირის დასაფარი 3 თვიანი დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში	ნათესებისა და ერთწლიანი კულტურების კომპენსაცია სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით + საცხოვრებლის ქირის დასაფარი 3 თვიანი დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში	საცხოვრებლის ქირის დასაფარი 3 თვიანი დახმარება ნაღდი ფულით + დახმარება ჩანაცვლებითი ქონების გამოვლენასა და ქირაობაში ან იჯარით აღებაში
დაზარალებული ბიზნესის მფლობელი *(ჯერჯერობით არცერთი შემთხვევა არ არის გამოვლენილი)*	N/A	1 წლის წმინდა შემოსავლის ფულადი ანაზღაურება. შეფასება დაფუძნებული უნდა იყოს საგადასახადო დეკლარაციაზე ან, მისი არარსებობის შემთხვევაში, საარსებო მინიმუმის მნიშვნელობაზე.				
დაზარალებული ბიზნესის თანამშრომელი *(ჯერჯერობით არცერთი შემთხვევა არ არის გამოვლენილი)*	N/A	დაკარგული ხელფასის ფულადი ანაზღაურება, რომელიც ტოლია მინიმუმ 3 თვის და მაქსიმუმ 6 თვემდე ხელფასისა, რაც დაფუძნებული უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე + საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებებით სარგებლობის უფლებაზე (იხ. ნაწილი 7)				
თემი *(ზემოქმედებას დაქვემდებარებული 1 ხიდი ნაკრას ჯებირზე, რომელიც ხიდად იქნება გამოყენებული, როგორც კი დასრულდება მისი*	N/A	N/A	N/A	N/A	N/A	N/A

PAP-ების კატეგორია	სახლის დაკარგვა (დაკავებული სახლის) ფიზიკური გადაადგილება	საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე ნაგებობები და სხვა სტრუქტურები (ხის ქოხები, ღობეები)	ნათესი კულტურების, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების დაკარგვა	საძოვრის ან ხე-ტყის საჭრელი ტერიტორიის დაკარგვა (საერთო გამოყენების)
მშენებლობა)						
დაუცველი პირები	იგივე ზომები, რომლებიც ზემოთ არის მითითებული, კონკრეტული დახმარებითა და დაუცველობის შემწეობით. (შემწეობა ექვივალენტურია 3 თვის საარსებო მინიმუმის - 326 ლარის, რადგან თვიური საარსებო მინიმუმი 3-თვიანი პერიოდისთვის = 978 ლარს პროექტის შედეგად დაზარალებულ თითო ოჯახზე)					
მნიშვნელოვნად დაზარალებული პირები (პროდუქტიული (შემოსავლის მომტანი) აქტივების 10%-ის ან მეტის დაკარგვა)	იგივე ზომები, რომლებიც ზემოთ არის მითითებული + საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებები (იხ. ნაწილი 7)					
მძიმედ დაზარალებული პირები 20%-ზე მეტი პროდუქტიული აქტივების დაკარგვა)	იგივე ზომები, რომლებიც გამოიყენება მნიშვნელოვნად დაზარალებული პირების შემთხვევაში + მძიმედ დაზარალებულთა შემწეობა (ექვივალენტურია 3 თვის საარსებო მინიმუმის - 326 ლარის, რადგან თვიური საარსებო მინიმუმი 3-თვიანი პერიოდისთვის = 978 ლარს პროექტის შედეგად დაზარალებულ თითო ოჯახზე)					

F. შეფასების მეთოდოლოგია

კრედიტორები მოითხოვენ, რომ სრული ჩანაცვლებითი ღირებულება იყოს ქონებრივი დანაკარგების კომპენსირების საფუძველი, თუ შეუძლებელია ნატურალური სახით კომპენსაცია (ე.ი. მიწა მიწის სანაცვლოდ). ნენსკრას პროექტისთვის გადაწყდა, რომ ნატურალური ფორმის ნაცვლად შეთავაზებულ იქნას კომპენსაცია ნაღდი ფულით. ეს ნაწილობრივ ხდება დაზარალებულების სურვილიდან გამომდინარე და შესაფერისი ალტერნატიული მიწის ნაკვეთების სიმცირის გამო ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში. თითქმის ყველა პოტენციური სახნავი მიწის ნაკვეთი უკვე გამოიყენება, ხოლო დარჩენილი მიწა მეტწილად უნაყოფოა. დაუზარალებელი ოჯახებისგან მიწის ნაკვეთების შეძენა განიხილებოდა, როგორც მიწაზე წვდომის გადაცემა ერთი ოჯახიდან მეორეზე. შემარბილებელი ღონისძიებების გარდა, JSCNH ხელს შეუწყობს ადგილობრივ მოსახლეობას თემის განვითარების ინიციატივების მეშვეობით, დამატებით ფულად კომპენსაციაზე. JSCNH-ის თემში ინვესტირების პროგრამა აღწერილია ანგარიშებში ტომი 3 - სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და ტომი 8 – ESMP.

აქტივების შეფასება მოხდა ოფიციალური დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. ექსპერტმა გაითვალისწინა საბაზრო ღირებულება წინა შეფასებიდან, იქ სადაც ასეთი არსებობდა და ასევე გამოიყენა მთავრობის საბაზრო კვლევაში არსებული ინფორმაცია მიწის, სტრუქტურების, ნათესებისა და ხეების შესაფასებლად. საბაზრო პირობები - აქედან გამომდინარე, საბაზრო ფასები - განსხვავდება საქართველოს რეგიონების მიხედვით. შესაბამისად, გათვალისწინებულ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი საბაზრო ფასები.

აქტივების ინვენტარიზაცია უკვე დადასტურდა დაზარალებული პირების მიერ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ინვენტარიზაციის ფორმას, რითაც ისინი დაეთანხმნენ დაზარალებული აქტივების სიას. შეფასება მოგვიანებით მათთან ერთად იქნება განხილული საკომპენსაციო პაკეტთან დაკავშირებული მოლაპარაკების მსვლელობისას, 2017 წლის პირველ თვეებში.

G. საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამა

საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამა შეჯამებულია ცხრილში 10 ქვემოთ:

ცხრილი 10 – საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამა

მიზანი	ღონისძიება	პროგრამით სარგებლობისთვის უფლებამოსილი დაზარალებული ოჯახების რაოდენობა
საძოვარი ტერიტორიების დაკარგვით დაზარალებული ოჯახები	პირუტყვის საკვების დროებითი მიწოდება (ან ნაღდი ფული პირუტყვის საკვების საყიდლად) გარდამავალ პერიოდში, რომელიც წარმოადგენს პერიოდს, როდესაც (i) საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებები შემუშავების სტადიაში იმყოფება, მაგრამ არ არის ამოქმედებული და (ii) როდესაც საძოვრები ხელმიუწვდომელია, რადგანაც ხდება მათი გამოყენება მშენებლობის დროს - ეს მოიცავს დროებით დაზარალებული საძოვრების სარეაბილიტაციოდ საჭირო	51 ოჯახი (რომელთაგან 14 დაუცველია, ხოლო 3-ს ქალები უძღვებიან)

მიზანი	ღონისძიება	პროგრამით სარგებლობისთვის უფლებამოსილი დაზარალებული ოჯახების რაოდენობა
	დროს. დაგეგმილია, რომ გარდამავალი პერიოდი უნდა შეადგენდეს 7 წელს.	
მნიშვნელოვნად დაზარალებული ოჯახები	- სამუშაოზე აყვანისას შეღავათის გაწევა და უნარ-ჩვევების ტრენინგი - დახმარება მიღებული ფულადი კომპენსაციის მართვაში - დახმარება არსებული ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესების საქმეში (სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მეფუტკრეობა, კაკლის წარმოება, სათევზე მეურნეობა) - ალტერნატიული შემოსავლის წყაროს შემუშავებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერა - *ქვემო მემულის* საძოვრის დაკარგვით დაზარალებული პირებისთვის: დაუზარალებელი საძოვრებისკენ მიმავალი არსებული ბილიკების გაუმჯობესება - დახმარება ლეგალიზაციისა და მიწის საკუთრების საკითხებში	24 ოჯახი (რომელთაგან 3 დაუცველია, ხოლო 1-ს ქალი უძღვება)
მძიმედ დაზარალებული ოჯახები	- მნიშვნელოვნად დაზარალებული პირებისთვის გათვალისწინებული ყველა ზემოაღწერილი ღონისძიება - დახმარების გაწევა პირუტყვის საკვების არსებული წარმოების მოსავლიანობას გასაზრდელად - დახმარება თხილის მოშენების, გაზრდისა და გაყიდვის საქმეში - დახმარების მეფუტკრეობის განვითარებასა თაფლის გაყიდვაში - დახმარება საბაზრე მებოსტნეობის განვითარებაში	13 ოჯახი (რომელთაგან 1 დაუცველია და არცერთ ოჯახს ქალი არ უძღვება)

H. ინსტიტუციური მექანიზმები

JSCNH-ს აკისრია საერთო პასუხისმგებლობა LALRP-ის განხორციელებასა და მონიტორინგზე, თუმცა მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის პროცესს JSCNH და საქართველოს მთავრობა ერთობლივად მართავენ: მიწის შესყიდვის პროცესი იმართება ერთობლივად მთავრობისა და JSCNH-ის მიერ, საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებებს ატარებს JSCNH.

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (NASP) დავალებული აქვთ, მთავრობის სახელით შეასრულონ განხორციელების ხელშეკრულების ის დებულებები, რომელიც ეხება მიწის შეძენას. ეს როლი აკისრია საპარტნიორო ფონდს - ოპერატიულ სამთავრობო სააგენტოს, რომელიც JSCNH-თან ერთად მართავს მიწის შესყიდვის პროცესს ნენსკრას ჰესისთვის. NASP შეისყიდის კერძო საკუთრებაში არსებულ მიწას და გადასცემს მას

JSCNH-ის საკუთრებაში. საქართველოს მთავრობა მიანიჭებს JSCNH-ს სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებულ მიწაზე მშენებლობის უფლებას.

ხსენებულ ფარგლებში, საპარტნიორო ფონდმა და JSCNH-მა ჩამოაყალიბეს მეთოდი მიწის შეძენის პროცესისთვის, რომელიც შესაბამისობაშია კრედიტორების პოლიტიკასთან. JSCNH ხელს შეუწყობს ტრადიციულ მიწის მესაკუთრეებს თავიანთი მიწის რეგისტრაციაში, თუ ეს უკანასკნელი ლეგალიზებადია. JSCNH და საპარტნიორო ფონდი აწარმოებენ მოლაპარაკებებს თითოეულ დაზარალებულ ოჯახთან რეგისტრირებული მიწის შესაძენი ფასის თაობაზე და ისინი დაეხმარებიან NASP-ს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაში. სახელმწიფოს სახელზე რეგისტრირებულ მიწაზე მდებარე ქონებისა და აქტივების დაკარგვასთან დაკავშირებით JSCNH მოლაპარაკებებს აწარმოებს საკომპენსაციო პაკეტის თაობაზე და ხელს მოაწერს კომპენსაციის შესახებ ხელშეკრულებას თითოეულ დაზარალებულ ოჯახთან. რადგანაც მიწა პროექტის საკუთრებაში მხოლოდ დაზარალებული პირებისთვის კომპენსაციის გადახდის შემდეგ გადავა, შეთანხმებული კომპენსაციის გადახდა დაზარალებული ოჯახებისთვის მოხდება უშუალოდ JSCNH-ის მიერ, რათა თავიდან იქნას აცილებული დროში ყოველგვარი გაჭიანურება.

როდესაც დეტალური პროექტი ხელმისაწვდომი იქნება 2017 და 2018 წლებში, JSCNH განაახლებს LALRP-ს, რათა გაითვალისწინოს იმ კომპონენტების ზემოქმედება, რომლებიც არ იყო განსაზღვრული წინამდებარე LALRP-ის დაწერისას. ამაში შედის ნაკრას გზის მოდერნიზაცია, ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკი და ელექტროსადგურის ნარჩენების საყრელი უბნები.

საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამას წარმართავს და განახორციელებს JSCNH-ის სოციალური გუნდი. ზოგიერთ კონკრეტულ ღონისძიებას შეასრულებს EPC-ს კონტრაქტორი, კერძოდ კი დროებითი მიზნებისთვის გამოყენებული მიწის რეაბილიტაციას და დაუზარალებელ საძოვრებზე წვდომის შენარჩუნებას (*ზედა მემული* და *შკვანდირი*, ასევე საძოვრები ნაკრას წყალამღების საიტის ჩრდილოეთით).

I. განხორციელების გრაფიკი

პროექტით გათვალისწინებული მშენებლობის გრაფიკი იყოფა ორ ეტაპად: ადრეული სამუშაოები, რომელიც 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და გაგრძელდება 2017 წლის სექტემბრამდე, და ძირითადი სამშენებლო ეტაპი, რომელიც დაიწყება 2017 წლის სექტემბერში. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება 2020 წლისთვის, ხოლო სამუშაოების ჩაბარება - 2021 წლისთვის.

ცხრილში 11 ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგმება LALRP-ის განსახორციელებლად მანამ, ვიდრე მოხდება მიწაზე შესვლა ძირითადი სამშენებლო საქმიანობის დასაწყებად.

ცხრილი 11 - ნაბიჯი, რომლებიც უნდა გადაიდგას მიწაზე შესვლამდე ძირითადი სამშენებლო სამუშაოების დასაწყებად

პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო საქმიანობა/ LALRP-ით გათვალისწინებული ღონისძიებები	გრაფიკი
LALRP-ის პროექტის მომზადება ნენსკრას კაშხალისა და წყალსაცავის საიტისთვის, ნენსკრას გზის მოდერნიზაციისთვის, ნაკრას წყალამღების ტერიტორიისთვის, ელექტროსადგურის საიტისთვის. შესასყიდი მიწის ტერიტორიების განსაზღვრა, აღწერა, აქტივების ინვენტარიზაცია და შეფასება, ზემოქმედებათა შეფასება, კომპენსაციისა და საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებათა განსაზღვრა და მოლაპარაკებების დაწყება მიწის საკომპენსაციო პაკეტების თაობაზე	შესრულებულია 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე
ინფორმაცია ყველა დაზარალებული ოჯახისთვის შეთავაზებული საკომპენსაციო პაკეტის შესახებ, რომელიც შესულია LALRP-ის პროექტში დაზარალებული ლეგალიზებადი მიწის რეგისტრაცია (ელექტროსადგურზე და ნენსკრას გზის გასწვრივ)	2017 წლის თებერვლიდან მარტამდე
LALRP-ის პროექტის გამოქვეყნება, რომელიც მოიცავს ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის საიტს, ნაკრას წყალამღებ საიტს, ნენსკრას გზის მოდერნიზაციას და ელექტროსადგურს. LALRP-ის წინამდებარე პროექტში არ შევა იმ დროისათვის ნაკრას გზის მოდერნიზაცია, ელექტროგადამცემი ხაზები, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკი და ნაგავსაყრელი უბნები.	2017 წლის მარტი
მიწის აღების ტერიტორიების, ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკის და ნაგავსაყრელი უბნების განსაზღვრა	2017 წლის მარტი
აღწერა, აქტივების ინვენტარიზაცია-შეფასება და კომპენსაციის პაკეტების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკისა და ნაგავსაყრელი უბნებისთვის მიწის შესასყიდად	2017 წლის მარტი-აპრილი
კომპენსაციისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა დაზარალებულ ოჯახთან ნენსკრას ხეობაში	2017 წლის აპრილი
კომპენსაცია გადახდილია ყველა დაზარალებული ოჯახისთვის ნენსკრას ხეობაში	2017 წლის მაისი
LALRP-ის დანართის გამოქვეყნება ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკისა და ნაგავსაყრელი უბნებისთვის	2017 წლის მაისი
მიწის მოპოვების ტერიტორიების განსაზღვრა ნაკრას გზის მოდერნიზაციისთვის	2017 წლის მაისი
აღწერა, აქტივების ინვენტარიზაცია-შეფასება და კომპენსაციის პაკეტების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყება ნაკრას გზის მოდერნიზაციისთვის მიწის შესასყიდად. ნაკრას გზის გასწვრივ დაზარალებული ლეგალიზებადი მიწის რეგისტრაციის დაწყება.	2017 წლის ივნისი
მისასვლელი EPC კონტრაქტორის მიერ ნენსკრას გზის მოდერნიზაციისთვის მოთხოვნილ მიწასთან, მისასვლელი კაშხალსა და ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკებთან, ელექტროგადამცემ ხაზებთან	2017 წლის ივნისი
LALRP-ის დანართის გამოქვეყნება ნაკრას გზის მოდერნიზაციისთვის	2017 წლის ივლისი
კომპენსაციისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმებულია ყველა დაზარალებულ ოჯახთან ნაკრას ხეობაში	2017 წლის აგვისტო
კომპენსაცია გადახდილია ყველა დაზარალებული ოჯახისთვის ნაკრას ხეობაში	2017 წლის სექტემბერი
მისასვლელი EPC კონტრაქტორის მიერ ნაკრას გზის მოდერნიზაციისთვის მოთხოვნილ მიწასთან	2017 წლის ოქტომბერი
მისასვლელი EPC კონტრაქტორის მიერ ნაკრას წყალამღები საიტისთვის მოთხოვნილ მიწასთან	2018 წლის ივნისი

J. ინფორმაციის გამოქვეყნება, კონსულტაციები და დაზარალებული პირების მონაწილეობა

დაზარალებულ თემებთან რამდენჯერმე გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები განსახლების პოლიტიკასთან, პრინციპებთან და კომპენსაციის მიღების უფლებასთან დაკავშირებით:

- დაზარალებული პირების აღწერის და აქტივების ინვენტარიზაციის მსვლელობისას, 2015 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში;
- საჯარო საინფორმაციო შეხვედრების დროს ჭუბერსა და ნაკში 2015 წლის დეკემბერში, დაზარალებულ პირებს გააცნეს დამატებითი E&S კვლევების წინასწარი შედეგები
- PAP-ებთან საძოვრების დაკარგვასთან დაკავშრებით მიმდინარე დიალოგისას, რომელიც დაიწყო 2016 წლის თებერვალში;
- ინტერვიუების, არაფორმალური შეხვედრებისა და ფოკუს ჯგუფების დისკუსიების დროს, რომლებსაც რეგულარულად ჰქონდა ადგილი 2015 წლის სექტემბერში დამატებითი E&S კვლევების დაწყების შემდეგ.
- შეფასება და აქტივების ინვენტარიზაცია მოწონებული იქნა დაზარალებული პირების მიერ ინვენტარიზაციისა და შეფასების ფორმაზე ხელმოწერის გზით.
- 2016 წლის ოქტომბერში ჩატარდა სპეციალური კვლევა საძოვრების დაკარგვით ოჯახების დონეზე გამოწვეული ზემოქმედების დეტალურად შესასწავლად. ხსენებული კვლევა ჩატარდა მთიან რაიონებში მესაქონლეობის საკითხებში სპეციალიზებულ ექსპერტთა მიერ. დაზარალებული ფერმერების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამის შესამუშავებლად, რომელიც ტექნიკურად და სოციალურად განხორციელებადი იქნებოდა.
- 2016 წლის აპრილიდან დეკემბრამდე ტარდებოდა რეგულარული დისკუსიები და მოლაპარაკებები ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მცხოვრებ დაზარალებულ ოჯახებთან კომპენსაციის პრინციპებთან და მშენებლობის პერიოდში მოსალოდნელ სიტუაციასთან დაკავშირებით. დროებითი ფიზიკური გადაადგილება თავიდან იქნა აცილებული. EPC კონტრაქტორი განსაზღვრავს და მიიღებს ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ელექტროსადგურის სიახლოვეში მცხოვრები ოჯახებისთვის მთელი სამშენებლო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესაბამისი პირობები.

LALRP-ის პროექტი გამოქვეყნდება ადგილობრივ დონეზე ორივე ხეობაში და ინტერნეტში 2017 წლის მარტში. მას შემდეგ, რაც დაზარალებულ პირებთან ამ კონსულტაციის შედეგები და მათი შენიშვნები შეტანილ იქნება საბოლოო LALRP-ში, მოხდება მისი დამტკიცება კრედიტორების მიერ 2017 წლის ივნისში.

JSCNH-ის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა რეგულარული და გამჭვირვალე კომუნიკაციის პროცესი დაზარალებულ პირებთან ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში. გაიხსნა პროექტის საინფორმაციო ოფისი სოფელ ჭუბერში. JSCNH-ის სოციალური გუნდის შემდეგმა წევრებმა დაიწყეს მუდმივ რეჟიმში მუშაობა სოფელ ჭუბერში 2016 წლის დეკემბერში: სოციალური ოფიცერი, თემში ინვესტირების ოფიცერი, მიწის შესყიდვის და კომპენსაციის მენეჯერი. ამ გუნდში ასევე შედის საზოგადოებასთან ურთიერთობის ორი ოფიცერი (CLO), რომლებიც სამუშაოზე აყვანილ იქნენ ამ ორი

ხეობიდან (ერთი ჭუბერიდან და ერთიც - ნაკიდან). საზოგადოებასთან ურთიერთობის ეს ორი ოფიცერი მუშაობს თითოეულ ხეობაში 2015 წლის შემდეგ.

K. საჩივრებზე რეაგირების სისტემა

სს „ნენსკრას ჰიდრო“-მ შექმნა საჩივრების განხილვის ორიარუსიანი სისტემა, როგორც საშუალება, რომელიც ხელს შეუწყობს სამართლებრივი პროცესის ნაცვლად მომრიგებლური პროცესის გამოყენებას დაზარალებული ხალხის საჩივრების მოსაგვარებლად. პირველი იარუსი იქნება საჩივრის განხილვა პროექტის დონეზე და მომჩივანისთვის საჩივარში გამოთქმული საკითხის გადაჭრის გზის განმარტება. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი უარს ამბობს საკითხის გადაჭრის შემოთავაზებულ გზაზე, საჩივარი გადადის საჩივრებზე რეაგირების კომისიაში (GRC), რომელიც წარმოადგენს საჩივრებზე რეაგირების მეორე დონის მექანიზმს. ეს ორგანო შეიქმნება თითოეული ხეობისთვის. საჩივრებზე რეაგირების კომისია შეიკრიბება ყოველკვირეულად ან ორ კვირაში ერთხელ საფუძველზე და მასში შევლენ:

- ადმინისტრაციული ოფიცრების წარმომადგენლები (თემში მესტიის მუნიციპალიტეტის *გამგეობის* წარმომადგენელი და სოფლების ჭუბერისა და ნაკრას დელეგატი მესტიის *საკრებულოში*)
- პროექტის წარმომადგენლები: საველე სოციალური მენეჯერი, მიწის შეძენისა და კომპენსაციის ოფიცერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები,
- JSCNH მიწის შეძენისა და კომპენსაციის ოფიცერი,
- ორი PAP (ერთი კაცი, ერთი ქალი). მათ აირჩევს დაზარალებული მოსახლეობა. სს JSCNH საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი განმარტავს და გამოაქვეყნებს ამ პროცესს 2016 წლის ივლისში მოწყობილ შეხვედრებზე. გრაფიკის თანახმად და თემთან ერთან შერჩეული გზებით ისინი მოაგროვებენ კანდიდატურებს და მოახდენენ არჩევნების ორგანიზებას.

მომჩივანს ნებისმიერ დროს შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ის არ ისურვებს პროექტის საჩივრების მართვის სისტემა გამოყენებას, ან თუ საჩივრის მოგვარება ვერ ხერხდება GRC-ის დონეზე.

ყველა მიღებულ და შემოსულ საჩივარზე რეაგირება და მათი მოგვარება დოკუმენტირებული იქნება სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს მიერ.

L. მონიტორინგის მექანიზმები

შიდა მონიტორინგი მოხდება რეგულარულად JSCNH-ის სოციალური ჯგუფის მიერ LALRP-ის განხორციელების დროს. ეს შიდა მონიტორინგი შესრულდება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების საერთო თანამონაწილეობითი მონიტორინგის ფარგლებში, რაც ასევე მოიცავს წინამდებარე LALRP-ს. ხსენებული თანამონაწილეობითი მონიტორინგის მექანიზმი აღწერილია ტომში 8 ESMP.

შიდა მონიტორინგისთვის გამოიყენება ის მაჩვენებლები, რომლებიც დაკავშირებულია LALRP-ის პროცესთან, უშუალო შედეგებთან და ზემოქმედებასთან. პროექტის კრედიტორებისთვის წარსადგენად მომზადდება შიდა მონიტორინგის კვარტალური ანგარიშები. მათი მომზადებისა და პერსონალური ინფორმაციის მოპოვების შემდეგ ისინი გამოქვეყნდება JSCNH-ის ვებგვერდზე.

გარე მონიტორი განიხილავს შიდა მონიტორინგის შედეგებს და გადაამოწმებს მათ ყოველ ექვს თვეში ერთხელ საიტზე ვიზიტის გზით. ექვსთვიანი გარე მონიტორინგის ანგარიშები წარედგინება კრედიტორებს.

კომპენსაციის გადახდიდან ორი წლის შემდეგ JSCNH-ის მიწის შესყიდვის გუნდი ჩაატარებს შეფასებას იმის დასადგენად, მიღწეულ იქნა თუ არა LALRP-ის მიზნები. ეს შიდა შეფასება მომზადდება შესრულების ანგარიშის სახით, რომელიც წარედგინება კრედიტორებს.

მას შემდეგ, რაც შესრულების შიდა აუდიტის ანგარიში გაიცემა კრედიტორებზე, დაქირავებული იქნება JSCNH-ისა და კრედიტორების მიერ შეთანხმებული გარე შემფასებელი, რათა ამ უკანასკნელმა მოამზადოს წინამდებარე LALRP-ის შესრულების აუდიტი.

M. დაფინანსების მექანიზმები

როგორც განსაზღვრულია საქართველოს მთავრობასა და JSCNH-ს შორის 2015 წლის 31 აგვისტოს გაფორმებული განხორციელების ხელშეკრულების მე-8 ნაწილში, სს „ნენსკრა“ გადაუხდის საქართველოს მთავრობას:

- პროექტისთვის საჭირო ყველა სახელმწიფო მიწის საფასურს, ერთი 1 აშშ დოლარის ტოლფას თანხას (ყველა გადასახადის, რეგისტრაციის და საგერბო მოსაკრებლებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით) და
- პირად საკუთრებაში მყოფი მიწის შესასყიდი ყველა სამართლებრივი უფლების ღირებულებას, როგორც ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა.

JSCNH უშუალოდ დააფინანსებს შემდეგ ღონისძიებებს, რადგან ისინი არ არის შესული განხორციელების ხელშეკრულებაში:

- საარსებო საშუალებების აღდგენის ყველა ღონისძიებას, რომელიც განსაზღვრულია ნაწილში 7, ასევე ყოველგვარ დახმარებას, რომელიც ესაჭიროება თითოეულ კრედიტორს;
- გარდამავალი პერიოდის შემწეობებს;
- დაუცველობის შემწეობებს;
- საჩივრების განხილვის პროცესის განხორციელებასა და მართვას;
- შიდა და გარე მონიტორინგს, შეფასებასა და შესრულების აუდიტს;
- LALRP-ის განახლებას, რათა მასში შევიდეს ნაკრას გზის მოდერნიზაცია, 35 კვ მომსახურების ხაზი ელექტროსადგურსა და კაშხალს შორის და 110 კვ ელექტრომომარაგების ხაზი ხუდონის ქვესადგურს, ელექტროსადგურის სამშენებლო საიტსა და ნაგავსაყრელ უბნებს შორის.

JSCNH ასევე საკუთარი ინიციატივით დააფინანსებს თემში ინვესტირების პროგრამას (CIP). თემის განვითარების ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებები არ წარმოადგენს საკომპენსაციო ან საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებებს, არამედ ისინი შეავსებს საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებებს (იხილე ESMP-ის ტომი 8 CIP აღწერილობისთვის).

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმას (LALRP), მომზადებულს 2017 წლის იანვარში დამატებითი ბუნებრივი და სოციალური გარემოს კვლევების (E&S) ფარგლებში ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტისთვის (ჰესი) (პროექტი).

1.1 მიმოხილვა

1.1.1 დამპროექტებელი

პროექტი შემუშავებულია JSCNH-ის მიერ (JSCNH-ასევე მოიხსენიება, როგორც საპროექტო კომპანია). JSCNH-ის მთავარი აქციონერები არიან K-water, რომელიც არის კორეის მთავრობის სააგენტო, და საპარტნიორო ფონდი - საქართველოს მთავრობის საკუთრებაში არსებული საინვესტიციო ფონდი.

1.1.2 პროექტის ტიპი და ადგილმდებარეობა

პროექტი წარმოადგენს ახალი, მაღალი დაწნევის ჰიდროელექტროსადგურის პროექტს და იგი მდებარეობს ნენსკრასა და ნაკრას ხეობების ზემო წელში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (იხ რუქა 1-1).

1.1.3 პროექტის მთავარი კომპონენტები

პროექტის მთავარი კომპონენტები და ძირითადი მახასიათებლები შეჯამებულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. დეტალური აღწერა მოცემულია ტომში 2 - პროექტის აღწერა.

ცხრილი 1 - პროექტის მთავარი კომპონენტები და ძირითადი მახასიათებლები

კომპონენტი	მახასიათებელი
კაშხლის ტიპი	ასფალტით მოპირკეთებული ნაყარი ქვა
კაშხლის სიმაღლე	130 მ
კაშხლის სიგრძე	870 მ
წყალსაცავის მოცულობა	176 მილიონი მ^3
წყალსაცავის ფართობი	267 ჰა შევსების მაქსიმალურ დონეზე
ნაკრას სადერივაციო ჯებირი	8.7 მ სიმაღლის ბეტონის კონსტრუქცია 2 რადიალური (სეგმენტური) კარიბჭით ნატანის ჩასარეცხად ბუნებრივ თევზსავალად
ნაკრას სადერივაციო გვირაბი	12.25 კმ სიგრძის
დაწნევითი გვირაბი	15.1 კმ სიგრძის
დაწნევითი მილსადენი (მიწისქვეშა)	1,790 მ სიგრძის
ელექტროსადგური (მიწისზედა)	3 ტურბინა საერთო სიმძლავრით 280 მგვტ

1.1.4 პროექტთან დაკავშირებული ობიექტები

შემოთავაზებული 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზი (TL), რომელიც საპროექტო ელექტროსადგურს ხუდონის ახალ საპროექტო ქვესადგურთან დააკავშირებს, მოახდენს წარმოებული ელექტროენერგიის ევაკუაციას ნენსკრას სქემით და შევა ეროვნულ ქსელში. გადამცემი ხაზის დაპროექტება, აშენება და ოპერირება მოხდება GSE-ს მიერ (მესამე მხარე) და იგი განიხილება, როგორც „ასოცირებული ობიექტი“. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას ელექტროგადამცემ ხაზთან მიმართებაში განახორციელებს GSE, ხოლო დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა (იხ. ტომი 7 - SEP) მოიცავს კონსულტაციებს GSE-სთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ESIA, LALRP და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მომზადდეს კრედიტორების E&S პოლიტიკის შესაბამისად. JSCNH-ში შევიდა მოთხოვნა GSE-სადმი იმის თაობაზე, რომ ამ უკანასკნელმა შეასრულოს ელექტროგადამცემი ხაზის ESIA და LALRP კრედიტორების E&S პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია JSCNH-სა და საქართველოს მთავრობას შორის გასაფორმებელი განხორციელების ხელშეკრულებით.

1.1.5 წინამდებარე LALRP-ში შესული პროექტის კომპონენტები

წინამდებარე LALRP მოიცავს პროექტის კომპონენტებს, რომელთათვისაც დაპროექტება იმ ეტაპამდეა მიყვანილი, როდესაც შესაძლებელია მიწის შეძენის მოთხოვნების განსაზღვრა. ისინი მოიცავს (i) კაშხლის საიტსა და წყალსაცავის ტერიტორიას, (ii) ელექტროსადგურის ტერიტორიას, (iii) ნაკრას სადერივაციო ჯებირის ტერიტორიას; (iv) ოპერატორის სოფლის ტერიტორიას და (v) ნენსკრას გზის გაფართოებას.

წინამდებარე LALRP-ის ფარგლებში აღიარებული პრინციპები და პროცედურები ასევე გამოყენებული იქნება იმ კომპონენტებისთვის საჭირო მიწის შესაძენად, რომლებიც წინამდებარე LALRP-ის წერისას, 2017 წლის იანვარში ჯერ კიდევ არ ყოფილა განსაზღვრული:

- ნაკრას გზის რეაბილიტაცია,
- ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკი და ნაგავსაყრელი უბნები
- 35 კვ დენით მომსახურების ხაზის მშენებლობა ელექტროსადგურსა და კაშხლის საიტს შორის და
- 12-დან 18-კილომეტრამდე სიგრძის 110 კვ ელექტრომომარაგების ხაზი ხუდონის ქვესადგურიდან ელექტროსადგურამდე მშენებლობის დროს.

მოხდება LALRP-ის განახლება, რათა მასში შევიდეს ხსენებული კომპონენტები მას შემდეგ, რაც დადგინდება მიწის შეძენის საჭიროება ამ კომპონენტისთვის. მიწის ხელმისაწვდომობა სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო იქნება 2017 წლის ივნისისთვის ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკისა და ნაგავსაყრელი უბნებისთვის, ისევე როგორც ელექტრომომარაგების ხაზებისთვის. აქედან გამომდინარე, განახლებული LALRP ამ კომპონენტებისთვის მომზადდება 2017 აპრილში. ნენსკრას გზის მოდერნიზაცია უნდა დაიწყოს 2017 წლის ოქტომბერში და განახლებული LALRP, რომელიც ამ საკითხს მოიცავს, მომზადდება 2017 წლის ივლისში.

LALRP 220 კვ გადამცემი ხაზისთვის, რომელიც ელექტროსადგურის გამანაწილებელ ქვესადგურს ხუდონის ახალ ქვესადგურთან დააკავშირებს, მომზადდება და განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე/GSE) მიერ.

265000 270000 275000 280000 285000 290000 295000

4780000 4775000 4770000 4765000 4760000

Nenskra Dam and Reservoir

Nakra Intake

Transfer Tunnel

Headrace Tunnel

Powerhouse and Switchyard

Memuli

Nenskra

Okrili

Tita

Sgurishi

Kari

Zeda Marghi

Devra

Letsperi

Kvemo Marghi

Lekalmakhi

Kedani

Lakhami

Lakhani

Darchi-Ormeleti

Lukhi

Tobari

Laknashura

Lekverari

Lenkvashi

Anili

Kvitsani

Nakra

Latsomba

Nodashi

Shtikhiri

Dizi

Enguri

Khumpreri

Kveda Ipari

Jorkvali

Kheira

Ipari

Lejia

N

WGS 84 UTM 38 N

0 0.5 1 2 3 Km





SLR global environmental solutions

JSC Nenskra Hydro

NENSKRA HYDROPOWER PROJECT

Supplementary Environmental & Social Studies

Vol. 9 - Land Acquisition and Livelihood Restoration Plan

Map 1-1 - Project overview

Scale	Date
1:80,000 @ A3	February 2017

File n°901.6.2_ES Nenskra_Project location_V03Feb2017

Source:
L_6768-B-GE-GE-GE-DW-003_003
L_6768-B-GE-PH-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-HR-GE-DW-001_001
L_6768-B-UW-TT-GE-DW-001_001

Service Layer Credits: Sources: Esri, HERE, DeLorme, Intermap, increment P Corp., GEBCO, USGS, FAO, NPS, NRCAN, GeoBase, IGN, Kadaster NL, Ordnance Survey, Esri Japan, METI, Esri China (Hong Kong), swisstopo, MapmyIndia, © OpenStreetMap contributors, and the GIS User Community

© This drawing and its content are the copyright of SLR Consulting France SAS and may not be reproduced or amended except by prior written permission.SLR Consulting France SAS accepts no liability for any amendments made by other persons.

English	Georgian
NENSKRA HYDROPOWER PROJECT Supplementary Environmental & Social Studies Volume 9 – Land Acquisition and Livelihood Restoration	**ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი** **გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების დამატებითი შესწავლა** **ტომი 9 – მიწის გამოყოფა და ბუნებრივი გარემოს აღდგენის გეგმა**
Map 1.1 - Project Overview	რუკა 1.1 - პროექტის მიმოხილვა
Date : February 2017	თარიღი: 2017 წ. თებერვალი

English	Georgian	English	Georgian
Locations :	ადგილმდებარეობა:	Project components :	პროექტის კომპონენტები:
Tobari	თობარი	Nenskra dam and reservoir	ნენსკრის კაშხალი და წყალსაცავი
Lukhi	ლუხი	Powerhouse and Switchyard	ჰესის შენობა და ქვესადგური
Kedani	კედანი	Headrace tunnel	წყალსატარი გვირაბი
Lekalmakhi	ლეკალმახი	Transfer tunnel	წყლის გადამგდები გვირაბი
Kvemo Margji	ქვემო მარგი	Nakra intake	ნაკრის წყალმიმღები
Letsperi	ლეწფერი		
Devra	დევრა		
Zeda Marghi	ზედა მარგი		
Kari	კარი		
Sgurishi	ზგურიში		
Tita	ტიტა		
Jorkvali	ჯორკვალი		
Kveda Ipari	ქვედა იფარი		
Dizi	დიზი		
Shtikhiri	შტიხირი		
Nodashi	ნოდაში		
Latsomba	ლაცომბა		
Nakra	ნაკრა		
Kvitsani	კვიცანი		
Anili	ანილი		
Lenkvashi	ლენკვაში		
Enguri reservoir	ენგურის წყალსაცავი		
Zugdidi	ზუგდიდი		
Meslia	მესტია		
Russia	რუსეთი		
Turkey	თურქეთი		
Armenia	სომხეთი		
Azerbaijan	აზერბაიჯანი		
Rivers :	მდინარეები:		
Darchi-Ormeleti	დარჩი-ორმელეთი		
Nenskra	ნენსკრა		
Nakra	ნაკრა		
Devra	დევრა		
Tita	ტიტა		
Okrili	ოკრილი		
Ipari	იფარი		
Kheira	ხეირა		
Enguri	ენგური		
Khumpreri	ხუმფერი		

1.2 LALRP-ის მიზანი და პრინციპები

წინამდებარე LALRP-ის ფარგლებში აღიარებულ პრინციპებსა და მიზნებს განსაზღვრავს კრედიტორების მოთხოვნები, მათ შორის აზიის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) და ევროპის საინვესტიციო ბანკისა (EIB). ამ პოლიტიკის ძირითადი მიზნები ძირითადად ერთმანეთის მსგავსია და მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

- თავიდან აიცილეთ, ან თუ ეს გარდაუვალია, შეამცირეთ და შეარბილეთ პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული იძულებითი განსახლების ზემოქმედება დაზარალებულ პირებზე;
- მიაწოდეთ სრული და ზუსტი ინფორმაცია პროექტის შესახებ და შეუქმენით პროექტის შედეგად დაზარალებულ პირებს (PAP) მნიშვნელოვანი შესაძლებლობები დაპროექტებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში მონაწილეობისათვის, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღების მიაქციეთ დაუცველი ოჯახებისა და ქალების მოთხოვნილებებს;
- უზრუნველჰყავით, რომ მოხდეს უარყოფით ზემოქმედებას დაქვემდებარებული ადამიანების სრულად კომპენსირება და წარმატებით განსახლება; ეკონომიკური გადაადგილების შედეგად დაზარალებული პირების საარსებო საშუალებების ხელახლა შექმნა და მათი ცხოვრების დონის შეძლებისდაგვარად გაუმჯობესება;
- არ დაუშვათ დაზარალებულ პირთა გაღატაკება პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობებთან დაკავშრებით მიწის იძულებითი შეძენისა და საარსებო საშუალებების დაკარგვის გამო;
- დარწმუნდით, რომ ყველა დაზარალებული პირი ინფორმირებულია განსახლების პროცესის შესახებ და იცნობს პროექტის ფარგლებში არსებულ საჩივრებზე რეაგირების სისტემას;
- საჭიროების შემთხვევაში გაუწიეთ დამატებითი დახმარება სოციალურად დაუცველ ჯგუფებს, როგორიცაა ქალების მიერ გაძღოლილი ოჯახები.

ეს მიზნები წინამდებარე LALRP-ში მიღწეული იქნება შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპების გამოყენებით:

- თავიდან აიცილეთ, ან თუ ეს გარდაუვალია, მინიმუმამდე დაიყვანეთ იძულებითი განსახლება შემდეგი ასპექტების კომბინირებით:
    - იმის უზრუნველყოფა, რომ დამპროექტებელმა ინჟინრებმა მოახდინონ დაპროექტების პროცესში იძულებითი განსახლების შემცირების საჭიროების ინტეგრირება;
    - პროექტების სტანდარტებში მოქნილობის შეტანა საპროექტო ინფრასტრუქტურის იქ განსათავსებლად, სადაც კი ეს შესაძლებელია;
    - ხშირი შეხვედრების ჩატარება საპროექტო და განსახლების გუნდებს შორის, ასევე დისკუსიების მოწყობა დაზარალებულ პირებთან.
- გამოიყენეთ ინკლუზიური მიდგომა დახმარებისადმი, რომელიც მოიცავს კომპენსაციასა და სხვა სახის დახმარებას მათთვის, ვისაც არ გააჩნია მიწით სარგებლობის კანონიერი უფლება, ისევე როგორც მათთვის, ვისაც გააჩნია

იურიდიული ან აღიარებული ჩვეულებითი უფლება მათ მიწაზე და მათთვის, ვისაც გააჩნია მიწით სარგებლობის უფლება.

- კომპენსაცია იმ მიწისათვის, რომელიც დაიკარგება, უნდა მოხდეს სრული საბაზრო ღირებულებით, ხოლო აქტივებისა - სრული ჩანაცვლებითი ღირებულებით.
- უზრუნველჰყავით ფულადი კომპენსაცია და/ან დახმარება ნატურალური სახით - მათ შორის განსახლების საიტებზე, სადაც ეს ეკონომიკურად მიზანშეწონილია - რომელიც ყველაზე მეტად პასუხობს დაზარალებული პირების საჭიროებებს, იმ ზემოქმედების მასშტაბების შესაბამისად, რომლებსაც ისინი უნდა დაექვემდებარონ.
- უზრუნველჰყავით ტრანსპორტირება და ანაზღაურება სიმშვიდის დარღვევის გამო, რათა შეარბილოთ ზემოქმედება იმ დაზარალებული პირების საარსებო საშუალებებზე, რომლებიც იძულებული შეიქნენ, გადაეტანათ თავიანთი საცხოვრებელი ან/და ბიზნესი (ჯერჯერობით არცერთი შემთხვევა არ არის გამოვლენილი).
- გაატარეთ ზომები საარსებო საშუალებების აღსადგენად ისე, რომ პროექტის განხორციელების შედეგად დაზარალებულმა პირებმა, რომლებიც კარგავენ შემოსავალს პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის გამო, შეძლონ თავიანთი ამჟამინდელი ცხოვრების დონის შენარჩუნება.
- გაატარეთ ყველა დამატებითი ზომა, რათა დააკმაყოფილოთ სოციალურად დაუცველი ჯგუფების საჭიროებები განსახლების დროს.
- უწყვეტად განახორციელეთ კონსულტაციები, გამოქვეყნება და მოლაპარაკებები დაზარალებულ პირებთან განსახლების მთელი პროცესის განმავლობაში, რაც ასევე მოიცავს საჩივრებზე რეაგირების ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე პროცედურის შექმნას.
- განახორციელოს ყველა ფულადი კომპენსაციის გაცემის მკაფიო და გამჭვირვალე პროცესი.

1.3 ანგარიშის სტრუქტურა

წინამდებარე LALRP დაყოფილია შემდეგ ძირითად თავებად:

- თავი 1 არის წინამდებარე შესავალი და მასში მოცემულია პროექტის აღწერილობა, პრინციპები და მიზნები, რომლითაც ხელმძღვანელობს LALRP;
- თავში 2 გაანალიზებულია სამართლებრივი ჩარჩო და პროექტის კრედიტორების მოთხოვნები მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებით;
- თავში 3 აღწერილია დაზარალებული პირების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- თავში 4 ვრცლად განიხილება მიწის შეძენის საჭიროება, მიწის შესყიდვით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანის, ასევე ამ ზემოქმედების მასშტაბების შემცირების ზომები;
- თავი 5 განსაზღვრავს დახმარებისა და კომპენსაციების მიღების უფლებას;
- თავში 6 მოცემულია შეფასების მეთოდოლოგია;
- თავი 7 განმარტავს საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამას;

- თავში ვი 8 განხილულია ინსტიტუციონალური მექანიზმები და პასუხისმგებლობების განაწილება LALRP პროცესში ჩართულ დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- თავი 9 ვრცლად განიხილავს LALRP-ის განხორციელების პროცესს;
- თავი 10 აღწერს ინფორმაციის გამოქვეყნებას, პროექტით დაზარალებულ პირებთან კონსულტაციებს და მათ მონაწილეობას;
- თავი 11 განიხილავს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმს;
- თავი 12 განმარტავს მონიტორინგისა და ანგარიშგების საქმიანობებს;
- თავი 13 აღწერს დაფინანსების მექანიზმებს და იძლევა LALRP-ის ბიუჯეტის მიმოხილვას.

2 სამართლებრივი ჩარჩო

2.1 შესავალი

თავი მოიცავს იძულებით გასხვისებასთან (ექსპროპრიაცია) დაკავშირებული ქართული ნორმების მიმოხილვას, მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული კრედიტორის პოლიტიკის მიმოხილვას და შედარებით ანალიზს, თუ როგორ გადაწყვეტს საპროექტე კომპანია ქართულ ნორმებსა და კრედიტორის პოლიტიკას შორის არსებულ განსხვავებას.

პროექტში მიწის შესყიდვა რეგულირდება თავ 2.3-ში აღწერილი განხორციელების შეთანხმებით, რომელიც მოიცავს მიწის შესყიდვის ნორმებს მეგობრული შეთანხმებების დადებით (მზა მყიდველი - მზა გამყიდველი შეთანხმებები). აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ მიწის ექპროპრიაციის საშუალებით შესყიდვა, რასაც მეტი დრო **შეიძლება** დასჭირდეს, ვინაიდან სამართალწარმოებისათვის მიმართვის აუცილებლობას მოიცავს.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ქართული კანონმდებლობა, რომელიც ფიზიკურ გადაადგილებასთან დაკავშირებით სამართლებრივ მოთხოვნებს ჩამოაყალიბებდა. შესაბამისად, მოცემული თავი ექსპროპრიაციის შესახებ ქართული სამართლებრივი ჩარჩოს მხოლოდ აღწერას მოიცავს.

განსახლება ითვლება იძულებითად, თუკი დაზარელებულ პირებს ან თემებს არ გააჩნიათ მიწის შესყიდვაზე უარის თქმის უფლება, რაც იწვევს მათ ფიზიკურ ან ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეულ გადაადგილებას. პროექტი გამოიყენებს აღნიშნულ მიდგომას მიწის შესყიდვის შემთხვევებში იმის მიუხედავად, განხორციელდება თუ არა ტრანზაქციები მორიგების შეთანხმებული ხელშეკრულებების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი გაკეთდება ყველა მხარისათვის დამაკმაყოფილებელი მორიგების მისაღწევად, პროექტს, საბოლოო ჯამში, შეუძლია მიმართოს ექსპროპრიაციის ზომებს ან მიწის გამოყენებაზე სამართლებრივი შეზღუდვები დააწესოს, თუკი მოლაპარაკებები ვერ მოხერხდება.

2.2 ექსპროპრიაციასთან დაკავშირებული ქართული კანონი და ნორმები

შემდეგი სამართლებრივი აქტები არეგულირებს საქართველოში სახელმწიფოს მიერ საზოგადოებრივი საჭიროებით განპირობებული კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვის უფლებას, რასაც სხვაგვარად "საზოგადოებრივ სიკეთეს" უწოდებენ:

- საქართველოს კონსტიტუცია (1995 წლის 24 აგვისტო);

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წლის 26 ივნისი);

- საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ (2010 წლის 21 ივლისი);

- საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კანონის საკუთრების უფლებების შესახებ (1996 წლის 22 მარტი);

- საქართველოს კანონი საჯარო რეესტრის შესახებ (No820 IIs, 2008 წლის 19 დეკემბერი);

- საქართველოს კანონი ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ (2007);

- საქართველოს კანონი აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ (1999 წლის 23 ივლისი);

- საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (2007)

- საქართველოს კანონი სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ (2009 წლის 4 დეკემბერი);

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (1997 წლის 4 ნოემბერი);

არსებული კანონმდებლობის მიხედვით, კომპენსაცია დაკარგული აქტივების, მათ შორის მიწის, შენობა-ნაგებობების, ხეებისა და ნათესებისათვის უნდა დაეფუძნოს ბაზარზე არსებულ ფასს ამორტიზაციის გარეშე. თუმცა, კანონმდებლობა და განხორციელების ნორმები მოიცავს პრინციპს: ჩანაცვლების ფასი საბაზრო ღირებულებით, რომელიც გონივრული და მისაღებია იქ, სადაც არსებობს სიცოცხლისუნარიანი მიწის ბაზარი (ისევე როგორც ეს საქართველოს შემთხვევაშია). კანონმდებლობა ასევე აკონკრეტებს ზარალის სახეობებს, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და ადგენს, რომ კომპენსაცია უნდა გაიცეს როგორც ფიზიკური აქტივების დაკარგვისათვის, ასევე შემოსავლის დაკარგვისათვის. შემოსავლის დაკარგვა მოსავლის დაკარგვის ან ბიზნესის დახურვის გამო უნდა ანაზღაურდეს იმგვარად, რომ მოიცავდეს ფაქტობრივ დანაკარგს. და ბოლოს, ეროვნული კანონმდებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კონსულტაციებსა და შეტყობინებას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს პროექტით დაზარალებული პირების პროცესში გააზრებული მონაწილეობა.

ზემოთხსენებული კანონები და ნორმები ადგენს შემდეგ ნაბიჯებს ქონების უფლებების სამართლებრივი შეძენისათვის:

- ფაზა 1: ქონების ან სხვის ტერიტორიაზე გავლის უფლების მოპოვება ექსპროპრიაციის გარეშე შესაბამისი კომპენსაციის გადახდით შეთანხების ან ხელშეკრულების საფუძველზე საპროექტო საქმიანობათა დაწყებამდე.
- ფაზა 2: იმ შემთხვევაში, თუ მეგობრული შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია, მიწაზე და/ან სხვა უძრავ ქონებაზე მუდმივი უფლებების მისაღწევად შესაძლოა ამოქმედდეს საქართველოს კანონი "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების საფუძველზე ან სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაბამისი კომპენსაციის გადახდის შემდეგ.

არსებული კანონის მიხედვით, ექსპროპრიაცია ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის (შემდგომში – მინისტრი) ბრძანების საფუძველზე და სასამართლოს გადაწყვეტილებით. ბრძანება ასახელებს საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას ქონებისათვის და ანიჭებს უფლებას საპროექტო ორგანიზაციას მოახდინოს მიწის ძალდატანებითი ან იძულებითი შესყიდვა. ამის შემდეგ, შესაბამისი სასამართლო განსაზღვრავს საზოგადოებრივი სიკეთის გარემოებას და ადგენს: 1. ბრძანება არის თუ არა გამართლებული საზოგადოებრივი ინტერესით და 2. მოხდა თუ არა განსაზღვრული პროცედურების

შესრულება. როდესაც შეფასება დადებითია, სასამართლო კანონიერ ძალას ანიჭებს ექსპროპრიაციის ბრძანებულებას და ამტკიცებს მის აღსრულებას. სასამართლო გადაწყვეტილება, როგორც წესი, ასევე მოიცავს ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების დეტალურ აღწერას და შესაბამის მითითებას ქონების მესაკუთრეთათვის ასანაზღაურებელი კომპენსაციით უზრუნველყოფის აუცილებლობის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია მესამე პირის დანიშვნა დაკარგული აქტივების საბაზრო ღირებულების შესასწავლად და ქონების მეპატრონეთათვის აქტივების ღირებულების მიხედვით გადასახდელი კომპენსაციის განსასაზღვრად.

ექსპროპრიაციის ბრძანების დამტკიცების შემდეგ, დაწესებულებამ ან დაწესებულებებმა, რომლებიც ითხოვენ ექსპროპრიაციის უფლებებს, უნდა შეატყობინონ ქონების ყველა მფლობელს, რომელსაც ბრძანება ეხება. შეტყობინება, როგორც წესი, ხდება ცენტრალურ ან ადგილობრივ გაზეთებში პროექტის მოკლე აღწერის და მისი სამოქმედო არეალის გამოქვეყნებით და უნდა მოიცავდეს იმ ქონების ჩამონათვალს, რომლის ექსპროპრიაციაც იგეგმება. ადმინისტრაციული წესები უძრავი ქონების შესაძენად გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მოლაპარაკებები ქონების გაყიდვის ფასის შესახებ უშედეგოდ დასრულდა. ამგვარ შემთხვევებში მოხდება ექსპროპრიაციის შესახებ კანონმდებლობის გამოყენება (ამოქმედება). მოქმედი კანონის მიხედვით, უძრავი ქონების ექსპროპრიაცია მოითხოვს შემდეგი ნაბიჯების გადადგმას საკუთრების უფლების შესაძენად:

- ნაბიჯი 1: მინისტრის ბრძანების გამოცემა;
- ნაბიჯი 2: ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების სრული ინვენტარიზაცია (ჩამონათვალი);
- ნაბიჯი 3: მიწის მესაკუთრეთა ინფორმირება ექსპროპრიაციის შესახებ ინფორმაციის გამოცემით;
- ნაბიჯი 4: სასამართლოში განცხადების შეტანა;
- ნაბიჯი 5: მიწის მესაკუთრეთა ინფორმირება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო მოსმენის თარიღის შესახებ;
- ნაბიჯი 6: სასამართლოს მიერ განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა;
- ნაბიჯი 7: ექსპროპრიაცია;
- ნაბიჯი 8: სასამართლო პროცესი ნებისმიერი სახის დავის წარმოშობის შემთხვევაში ქონების საბაზრო ღირებულებასთან ან კომპენსაციის ოდენობასთან დაკავშირებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯები აღწერილია დანართ 1-ში.

2.3 განხორციელების ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და პროექტის კომპანიას შორის

განხორციელების ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას, ს.ს. „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი"-ს, ს.ს. “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”-სა და ს.ს. "ნენსკრა ჰიდრო"-ს შორის

აღწერილია 0-ში. ხელშეკრულება მხარეთა შორის გაფორმდა 2015 წლის 31 აგვისტოს. ხელშეკრულება განსაზღვრავს მიწის შესყიდვის პროცესს და ეყრდნობა მიზანმიმართულ მიდგომას მიღწეულ იქნას მეგობრული შეთანხმება მიწის როგორც რეგისტრირებულ, ასევე არარეგისტრირებულ მფლობელებთან. მიწის შესყიდვამ მეგობრული შეთანხმებების მეშვეობით შესაძლებლობა უნდა მისცეს პროექტს თავიდან აიცილოს ექსპროპრიაციის საჭიროება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუკი პროექტისათვის საჭირო მიწის მფლობელებთან მეგობრული შეთანხმებების მიღწევა შეუძლებელია, ხდება 2.2 თავში აღწერილი ექსპროპრიაციის ქართული პროცესის დაწყება. თუმცა, აღნიშნულმა შესაძლოა პროექტის გაჭიანურება გამოიწვიოს.

2.4 კრედიტორის პოლიტიკის მოთხოვნები

კრედიტორის პოლიტიკა განისაზღვრება შემდეგით:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის მოთხოვნები მოცემულია შესრულების მოთხოვნა 5-ით (EBRD PR5);

- აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება SPS (2009), უსაფრთხოების მოთხოვნა 2 - იძულებითი განსახლება (ADB SR2);
- SACE იღებს IFC-ის ოპერაციულ სტანდარტ 5-ს - მიწის შესყიდვა და იძულებითი განსახლება (IFC PS5), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

განსახლება მიიჩნევა იძულებითად, როდესაც დაზარალებულ პირებს ან თემებს არ გააჩნიათ მიწის შესყიდვაზე უარის თქმის უფლება, რაც მათ გადასახლებას იწვევს. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კეთდება მიწის იძულებითი შესყიდვის თავიდან ასაცილებლად, პროექტს შეუძლია ექსპროპრიაციას მიმართოს ან მიწის გამოყენებაზე სამართლებრივი შეზღუდვები დააწესოს, თუკი შეთანხმების მიღწევა ვერ მოხდება. შესაბამისად, ხდება IFC-ის ოპერაციულ სტანდარტ 5-ის (IFC PS5), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შესრულების მოთხოვნა 5-ის (EBRD PR5), აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულება SPS-ს უსაფრთხოების მოთხოვნა 2-ს (ADB's SPS, SR2) ამოქმედება. კრედიტის მისაღებად აუცილებელია ამ მოთხოვნების შესრულება.

კრედიტორების პოლიტიკის რამდენიმე ასპექტის გათვალიწინება მნიშვნელოვანია:

- შესაძლებლობის მიხედვით, განსახლების, კერძოდ კი ფიზიკური გადასახლების, თავიდან აცილებისა და მინიმუმამდე დაყვანისათვის აუცილებელია კონკრეტული ზომების მიღება. იქ, სადაც შეუძლებელია განსახლების თავიდან აცილება, მოითხოვება შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების შემსუქება;
- პროექტის ადრეულ ეტაპზე შემოწმება, რათა მოხდეს იძულებითი განსახლების წარსული, მიმდინარე და სამომავლო ზემოქმედების და რისკების განსაზღვრა;
- ძირითად ამოცანას წარმოადგენს (ფიზიკურად და ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული) გადაადგილებული პირების საარსებო საშუალებების და ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება ან როგორც მინიმუმ, პროექტის წინარე

მდგომარეობამდე აღდგენა. პროექტები პასუხისმგებელია გადასახლებული პირების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე გარანტირებული ვადით ადექვატური საცხოვრისის უზრუნველყოფით;

- უზრუნველყოფა იმისა, რომ იძულებით გადაადგულებულმა პირებმა მიწის ფლობის უფლების ან მიწაზე სხვა სავალდებულო სამართლებრივი უფლების გარეშე მიიღონ დახმარება განსახლებისათვის და კომპენსაცია აქტივების (გარდა მიწისა) დანაკარგისათვის;
- განსახლების გეგმის მომზადება, რომელიც დეტალურად აღწერს გადასახლებული პირების უფლებებს, შემოსავლისა და საარსებო წყაროს აღდგენის სტრატეგიას, ინსტიტუციონალურ შეთანხმებებს, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს, ბიუჯეტს და განხორციელების დროში გაწერილ განრიგს;
- კომპენსაციის გადახდა და განსახლების სხვა უფლების უზრუნველყოფა ფიზიკურ ან ეკონომიკურ განსახლებამდე;
- პროექტის განხორციელების მთელი პროცესის განმავლობაში განსახლების გეგმის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ განხორციელება;
- გადაადგილებული პირები შესაძლოა იყვნენ მფლობელები ან არამფლობელი მობინადრეები და ხალხი, რომლებიც ფლობენ მიწას ფორმალური, ტრადიციული ან სავალდებულო გამოყენების უფლების გარეშე;
- განსახლების მოქმედებები უნდა განხორციელდეს ინფორმაციის გამჟღავნების, კონსულტაციისა და დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირებული მონაწილეობის მეშვეობით;
- საგანგებო ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმ პირებისათვის, რომლებიც მოწყვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან, გადაადგილებული ღარიბებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად;
- განსახლების შედეგების, გადაადგილებულ პირებთა ცხოვრების სტანდარტებზე განსახლების ზემოქმედების მონიტორინგი და ხელმისაწვდომობა; მიღწეულ იქნა თუ არა განსახლების გეგმის ამოცანები საბაზისო პირობებისა და განსახლების მონიტორინგის შედეგების მხედველობაში მიღებით და მონიტორინგის ანგარიშების განსაჯაროებით; აუცილებელია საჩივრის გამოსწორების/ანაზღაურების საგანგებო მექანიზმის ან პროცედურის შემუშავება იმისათვის, რათა მოხდეს დაზარალებული მოსახლეობის ინტერესების დაკმაყოფილება და ხელისშეწყობა; და
- დაკრედიტირების სამივე პოლიტიკა მოითხოვს გეგმის ქონას ფიზიკური გადაადგილების ან ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული გადაადგილებისათვის (ამ დოკუმენტში მოიხსენიება როგორც LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა), იმისათვის, რათა მოხდეს საველე კვლევებიდან მონაცემთა დაზარალებული მეურნეობებისათვის წარდგენა და როგორც მინიმუმ, პროექტამდე არსებული ცხოვრების სტანდარტის აღდგენას.

2.5 შედარებითი ანალიზი და ზომები ეროვნულ კანონმდებლობასა და საერთაშორისო პოლიტიკას შორის განსხვავებების აღმოსაფხვრელად

საქართველოში, მიწის სანაცვლოდ ანაზღაურების უფლების ქონა ეფუძნება მფლობელობის რეგისტრაციას. თუმცა, კრედიტორთა იძულებითი განსახლების პოლისების მიხედვით, დაზარალებულ პირებს შეუძლიათ გარკვეული ფორმის კომპენსაციის მიღება მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა მათ მიწაზე მფლობელობის რეგისტრირებული უფლება ან მიწას განკარგავენ ან იყენებენ მოცემულ პერიოდამდე. კრედიტორების პოლიტიკის მიზანია სიღარიბის ნეგატიური შედეგების შემსუბუქება; აღნიშნული პროექტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მისი მიზანი იმ ნეგატიური შედეგების აღმოფხვრაა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შესაძლოა მიეწეროს პროექტით განხორციელებული საქმიანობების განხორციელებას.

იმ შემთხვევებში, თუკი, საქართველოს კანონმდებლობით, დაზარალებულ მოსახლეობას არ გააჩნია მფლობელობის ან ფლობის უფლება, რაც რეგისტრაციის არქონითაა განპირობებული, კრედიტორთა მოთხოვნების პირობები გამოიყენება კომპენსაციის უფლების, კონსულტაციისა და საჩივრების მექანიზმებისათვის. იქ, სადაც არსებობს კონფლიქტი საქართველოს კანონმდებლობასა და კრედიტორების მოთხოვნებს შორის, ამ უკანასკნელს გააჩნია პრიორიტეტი, თუკი კრედიტორთა მოთხოვნები მხარს უჭერს და აფინანსებს პროექტს.

ცხრილი 2 წარმოგვიდგენს საქართველოს კანონმდებლობასა და კრედიტორთა მოთხოვნების სხვაობის ანალიზს.

თავი 8.2 წარმოგვიდგენს პროექტის მიერ გამოყენებულ ოპერაციულ მიდგომას, რომლის მიზანიც პროექტის მიწის შესყიდვის პროცესის კრედიტორთა პოლიტიკისათვის თანხვედრაში მოყვანაა.

ცხრილი 2 - საქართველოს კანონმდებლობასა და კრედიტორთა მოთხოვნების სხვაობის ანალიზი.

საკითხი	ქართული კანონმდებლობა და ნორმები	მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და საარსებო პირობების აღგენის საერთაშორისო პოლიტიკა	პროექტის **განმახორციელებელი** კომპანიის მიერ მიღებული ზომები, რომელთა მიზანი ქართული კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაა
განსახლების დაგეგმვა	საქართველოს კანონის "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ" მიხედვით, საქართველოს სახელწიფოს გააჩნია საკონსტიტუციო უფლება განახორციელოს ქონების შესყიდვა ექსპროპრიაციის მეშვეობით (მუხლი 21). საქართველოს კანონმდებლობა არ ითხოვს განსახლების გეგმის მომზადებას (მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური კვლევის, პროექტით დაზარალებული მოსახლეობის აღწერის, პროცესის მონიტორინგისა და ანგარიშგების). საქართველოს კანონმდებლობა საგანგებოდ არ განსაზღვრავს საჯარო კონსულტაციების საჭიროებას.	განსახლებისა და მიწის შესყიდვის გეგმის ან ჩარჩოს მომზადება სავალდებულოა იძულებითი განსახლების შემთხვევებში. პროცესი მოიცავს საჯარო კონსულტაციებს და სოციო-ეკონომიკურ კვლევას, რომელიც მოიცავს გენდერული ნიშნის მიხედვით დაყოფილ მონაცემებს და მოწყვლადობის შეფასებას. კრედიტორების მოთხოვნაა მიღებულ იქნას ზომები, რომლებიც იმ საოჯახო მეურნეობების საჭიროებებს დააკმაყოფილებს, რომლებსაც ქალები უძვებიან და რომლის მიხედვითაც როგორც კაცებს, ასევე ქალებს გააჩნიათ კომპენსაციასა და დახმარებაზე ხელმისაწვდომობა.	იხილეთ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 3,4,9, 10 მომზადდა მიწის შესყიდვისა და საარსებო წყაროს აღდგენის გეგმა. გაიმართა კონსულტაცია დაზარალებულ ადამიანებთან, ჩატარდა სოციო-ეკონომიკური კვლევები და მოწყვლადობა მხედველობაში იქნა მიღებული, კერძოდ კი მოხდა იმ საოჯახო მეურნეობების ჩართულობის უზრუნველყოფა, რომლებსაც ქალები უძღვებიან. მათი ხელმისაწვდომობა კომპენსაციასა და დახმარებაზე უზრუნველყოფილია.
გადაადგილების თავიდან აცილება	საგანგებოდ არ ითხოვს შესაძლებლობის შემთხვევაში გადაადგილების თავიდან აცილებას.	აქტიურად ცდილობს თავიდან აიცილოს გადაადგილება პროექტისა და დიზაინის ალტერნატიული ვერსიების მოძიებით და ნეგატიური შედეგების შემცირებით. იქ, სადაც შეუძლებელია გადაადგილების ყველა შედეგის თავიდან აცილება, შემსუბუქების ზომების გამოვლენა ხდება.	იხ. თავი 4.2. პროექტმა მოიძია გადაადგილების თავიდან აცილების გზები (იქ სადაც შესაძლებელია), ნეგატიური შედეგების შემცირება და შემსუბუქება.
უფლებამოსილება	კომპენსაცია მხოლოდ მიწის რეგისტრირებული მფლობელებისათვის ან სხვებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ კანონით აღიარებული უფლებები. თუკი მიწის რეგისტრაცია გამოცემის პროცესშია, კომპენსაციის გადახდა შესაძლებელია რეგულარიზაციის (მოწესრიგების) პროცესის დასრულების შემდეგ.	ფორმალური ფლობის არქონა არ გამორიცხავს კომპენსაციას კეთილსინდისიერი მობინადრეების ან დაზარალებული მხარეებისათვის. გადაადგულებული პირები მიწაზე უფლების ან ნებისმიერი სავალდებულო სამართლებრივი უფლების გარეშე უფლებამოსილია მიიღოს დახმარება განსახლებისათვის ან კომპენსაცია მიწასთან დაუკავშირებელი აქტივების დაკარგვისათვის.	იხ. მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა თავი 5 პროექტმა ვალდებულება აიღო კომპენსაცია გადაუხადოს პირებს მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი ფორმალური მფლობელები.

საკითხი	ქართული კანონმდებლობა და ნორმები	მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და საარსებო პირობების აღგენის საერთაშორისო პოლიტიკა	პროექტის **განმახორციელებელი** კომპანიის მიერ მიღებული ზომები, რომელთა მიზანი ქართული კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაა
კომპენსაცია მიწისათვის	საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 21.3 უშვებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევას სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, შესაბამისი და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება ნაღდი ფულის გადახდით ჩვეული ალტერნატივაა, მაგრამ მიწა-მიწისათვის ანაზღაურებაც შესაძლებელია მფლობელთა თანხმობის საფუძველზე. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს თემის დრონეზე საკომპენსაციო ზომების არსებობას, თუმცა თემის მფლობელობაში არსებული და რეგისტრირებული მიწისათვის სავარაუდოდ შესაძლოა კომპენსაციის მოთხოვნა.	მიწა-მიწისათვის გადაცემას უპირატესობა ენიჭება იმგვარ ეკონომიკურ ფორმაციებში, რომელიც მიწის გამოყენებას ეფუძნება. ნაღდი ფულის კომპენსაცია მხოლოდ მაშინ არის მისაღები, როდესაც მიწა არ მოიპოვება და თუკი მიწის დანაკარგი დაზარალებული მოსახლეობის საარსებო საშუალებებს არ დააზიანებს. მიწის ნაკლებობის დასაბუთება და დოკუმენტირება აუცილებელია კრედიტორების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. სათემო აქტივების ანაზღაურება ხდება თემის დონეზე. ნაღდი ფულით კომპენსაცია, რომელიც ჩანაცვლების **ღირებულებას**, ტექნიკურ დახმარებას და მონიტორინგს ეფუძნება, ხდება იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ნაღდი ფულით კომპენსაციის საჭიროებისამებრ გამოყენება და საარსებო საშუალებების აღდგენის დასრულება. იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული პირები უარს აცხადებენ კომპენსაციის შეთავაზებაზე, რომლებიც კრედიტორების მოთხოვნებს შეესაბამება, და რომლის შედეგადაც, ექსპროპრიაცია ან სხვა სამართლებრივი პროცედურის დაწყება ხდება, პროექტის მფლობელი მოიკვლევს სხვა შესაძლებლობებს და ითანამშრომლებს სახელმწიფო დაწესებულებასთან, და ამ დაწესებულების მიერ ნების დართვის შემთხვევაში, აქტიურ როლს ითამაშებს განსახლების დაგეგმვაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. კომპენსაციის დრო: პროექტის მფლობელმა დროულად უნდა მოახდინოს ეკონომიკური მიზეზებით გადაადგილებული პირებისათვის აქტივების დაკარგვის ან აქტივებთან ხელმისაწვდომობის დაკარგვისათვის კომპენსაციის გაცემა. ეს პროცესი უნდა დაიწყოს	იხ. მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 5 კომპენსაციების ალტერნატივების წარდგენა დაზარალებული მოსახლეობისათვის (იქ, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია). თემის აქტივების შესყიდვა არ ხდება. ნაღდი ფულით კომპენსაციის ხელშეკრულებები ჩანაცვლების **ღირებულებას** ეფუძნება.

საკითხი	ქართული კანონმდებლობა და ნორმები	მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და საარსებო პირობების აღგენის საერთაშორისო პოლიტიკა	პროექტის **განმახორციელებელი** კომპანიის მიერ მიღებული ზომები, რომელთა მიზანი ქართული კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაა
		გადასახლებამდე. იქ, სადაც კომპენსაციას იხდის სამთავრობო დაწესებულება, კლიენტმა უნდა ითანამშრომლოს დაწესებულებასთან გადახდის დაჩქარების მიზნით.	
საჩივრები და საჩივრის საფუძვლები	საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მიხედვით, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. კონსტიტუცია იცავს მოქალაქეებს და მოუწოდებს მათ მიმართონ სასამართლოს მათი უფლებებისა და თავისუფლებათა დასაცავად. ექპროპრირებული მიწის ღირებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის შემთხვევაში, როგორც მფლობელს, ასევე პროექტის განმახორციელებელ კომპანიას შეუძლია სარჩელი წარადგინოს სასამართლოში. მხოლოდ რეგიონალურ სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება გამოიტანოს გადაწყვეტილება მიწის ღირებულებისა და კომპენსაციის შესახებ. საქართველოს კანონმდებლობა აუცილებელს არ ხდის გასაჩივრების მექანიზმის ჩამოყალიბებას დაზარალებული ბიზნესების ან ადამიანებისათვის, თუმცა არსებობს 30 დღიანი პერიოდის აუცილებლობა, როდესაც შესაძლებელია პროექტის მიხედვით მოცული აქტივების სიაზე უარის თქმა არსებითი შეცდომის შემთხვევაში, ტრადიციულად (ჩვეულების საფუძველზე) მფლობელობაში არსებული მიწების შემთხვევაში.	უნდა არსებობდეს გასაჩივრების დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მექანიზმი, რომელიც ღიაა საზოგადოებისათვის და მის შესახებ ანგარიშება ღიად ხდება. პროექტის მფლობელმა უნდა ჩამოაყალიბოს საჩივრების მექანიზმი რაც შეიძლება ადრე, უნდა მოხდეს ფიზიკურ/ეკონომიკური მიზეზებით გადაადგილებასთან დაკავშირებული წუხილების/საჩივრების დროული დაკმაყოფილება/მიღება. დაზარალებული მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს სამართლებრივი დახმარება. საზოგადოებრივი კეთილმოწყობის დაკარგვა: იქ, სადაც პროექტი მოიცავს საზოგადოებრივი კეთილმოწყობის დაკარგვას, კლიენტმა უნდა მოახდინოს გააზრებული კონსულტაციების ჩატარება და აუცილებელია მოხდეს ადგილობრივ დონეზე, დაზარალებულ თემთან ერთად, შესაფერისი ალტერნატივის გამოვლენა და სადაც ეს შესაძლებელია, მასზე თემთან შეთანხმება.	იხ. მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 11 პროექტის განმახორციელებელი კომპანია აყალიბებს პროცესს, რომელიც დაზარალებული მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომს ხდის გასაჩივრების გამჭირვალე და ხელმისაწვდომი მექანიზმის ჩამოყალიბებას მიწის შესყიდვის მთელი პროცესის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული პირები უარს აცხადებენ კომპენსაციაზე და მთავრობა ახდენს ქონების ექსპროპრიაციას გადაუდებელი საჭიროების საფუძველზე, პროექტის მფლობელი ახდენს მთავრობასთან შეთანხმებას, რათა მიიღონ ნებართვა იმგვარი ზომების განხორციელებაზე, რომელიც ერთმანეთთან დაახლოებს ეროვნულ დონეზე და აზიის განვითარების ბანკს შორის არსებულ განსხვავებებს. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აქტიურ როლს შეასრულებს დამატებითი ზომების განხორციელებაში და მთავრობასთან შეთანხმების მიღწევაში.

საკითხი	ქართული კანონმდებლობა და ნორმები	მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და საარსებო პირობების აღგენის საერთაშორისო პოლიტიკა	პროექტის **განმახორციელებელი** კომპანიის მიერ მიღებული ზომები, რომელთა მიზანი ქართული კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაა
ზომები მიწის შესყიდვისათვის	გადაწყვეტილებები მიწის შ შესყიდვასთან და განსახლებასთან დაკავშირებით მიიღება სახელმწიფოს მიერ (ამ შემთხვავაში ნენსკრას მიერ) და არა პროექტის განმახორციელებელი კომპანიის ან დაზარალებული მხარეების მიერ.	ხელშეკრულებების გაფორმებამდე უნდა მოხდეს კონსულტაციების გავლა ყველა დაზარალებულ ადამიანთან, რომელზეც პროექტი ზემოქმედებას ახდენს. კომპენსაცია უნდა შეთანხმდეს აქტივების გადაცემამდე და პროექტით მოცულ არეალში საინჟინრო სამუშაოების დაწყებამდე.	იხ. მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავები 8 და 10 ხელშეკრულებების დადებამდე უნდა მოხდეს კონსულტაციების გავლა ყველა დაზარალებულ ადამიანთან. კომპენსაცია უნდა შეთანხმდეს აქტივების გადაცემამდე და პროექტით განხორციელების არეალში საინჟინრო სამუშაოების დაწყებამდე.
საარსებო საშუალებების აღდგენა	არ შეიცავს მოთხოვნებს საარსებო საშუალებების აღდგენასთან დაკავშირებით.	მოითხოვს თანაბარ ან უკეთეს სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას პროექტის შედეგად დაზარალებული ადამიანებისათვის პროექტის საქმიანობათა განხორციელების შედეგად. გადაადგილებული თემებისათვის უნდა შეიქმნას შესაძლებლობები, რომლებიც გამომდინარეობს პროექტის განხორციელებით მიღებული განვითარების სარგებლებისაგან. საკომპენსაციო დახმარება თემის მიერ მფლობელობაში არსებული რესურსების დაკარგვისათვის. დახმარების გაწევა, რომელიც მოახდენს თემის მფლობელობაში არსებული რესურსების ნებისმიერი სახით დაკარგვის კომპენსაციას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს ინიციატივებს, რომლებიც ზდის დარჩენილი რესურსების პროდუქციულობას, რომელზეც თემს კვლავაც მიუწვდება ხელი, ასევე ნატურით ან ნაღდი ფულით კომპენსაციას დაკარგულ რესურსის ალტერნატიულ წყაროზე ხელმისაწვდომობის მიწოდების ან ხელმისაწვდომობის დაკარგვისათვის.	იხ. მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 4.3. და 7 მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობები სარგებელს იღებენ შემდეგი ზომებისაგან: სამუშაოზე უპირატესი აღვანა და უნარების გადამზადება; მიღებული ფინანსური კომპენსაციის მართვაში დახმარება; მხარდაჭერა არსებული ეკონომიკური საქმიანობების გაუმჯობესებაში; მხარდაჭერა შემოსავლის ალტერნატიული საშუალებების განვითარებისათვის აუცილებელი ინიციატივების განხორციელებაში; დახმარება მიწის მფლობელობის დაკანონებისათვის; ხდება მნიშვნელოვნად დაზარალებული ო მეურნეობისთვის ყველა სახის LR ზომების ხელმისაწვდომის უზრუნველყოფა (იხილეთ ზემოთ); ფურაჟის არსებული პროდუქციული მოსავლის გასაზრდელად სასუქის

საკითხი	ქართული კანონმდებლობა და ნორმები	მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და საარსებო პირობების აღგენის საერთაშორისო პოლიტიკა	პროექტის **განმახორციელებელი** კომპანიის მიერ მიღებული ზომები, რომელთა მიზანი ქართული კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაა
			მიწოდება; დახმარება თხილის მოყვანასა და გაყიდვაში; მეფუტკრეობასა და თაფლის გაყიდვაში დახმარების აღმოჩენა; დახმარება ბოსტნეულის მოყვანაში; ფურაჟის დროებითი მიწოდება.
საარსებო საშუალებების აღდგენა, შემსუბუქება/მონიტორინგი	არ ითვალისწინებს საარსებო წყაროს კომპენსაციას ფერმერისათვის ან კომპენსაციას შემოსავლის იმ საშუალებებისათვის, რომელიც ბიზნესმა შესაძლოა დაკარგოს პროექტის განხორციელების შედეგად.	აუცილებელია მონიტორინგის, შეფასების, ანგარიშგების შესაფერისი ზომების არსებობა საარსებო წყაროს ადღგენისათვის.	იხ. მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 5, 7 და 12 საარსებო წყაროს აღდგენის მონიტორინგი პროექტის განხორციელების განმავლობაში მონიტორინგისა და განსახლების დასრულების შიდა აუდიტების მეშვეობით.
მოწყვლადი ადამიანები	არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს.	მოწყვლადი ადამიანები, რომლებსაც კონკრეტული დახმარების მიღების უფლება აქვთ. უნდა მოხდეს ამგვარი ადამიანების გამოვლენა და განსახლების მთელი საკომპენსაციო პერიოდის განმავლობაში მათი დახმარება. კრედიტორები ითხოვენ ზომების მიღებას ღარიბი და დაუცველი ადამიანებისათვის (მათ შორის ქალები), რომლებიც ზარალდებიან ფიზიკური ან ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული გადაადგილებით - ზომები საშუალებას მიცემს **მათ** გაიმჯობესონ შემოსავალი და იგი, სულ მცირე, შესაბამისობაში მოიყვანონ მინიმალურ ეროვნული სტანდარტებთან.	იხ. მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 3.3.6 და 5 საოჯახო მეურნეობა ითვლება მოწყვლადად (დაუცველად) იმ შემთხვევაში, თუკი: - რეგისტრირებულია სოციალური სერვისების მიმწოდებელ ადგილობრივ ორგანიზაციაში; ან - საოჯახო მეურნეობას უძღვება ქალი; - საოჯახო მეურნეობები, რომლებშიც ხანდაზმული ან შეზღუდული შესაძლებლობების **მქონე ადამიანები საოჯახო მეურნეობის ერთადერთ მარჩენალს** წარმოადგენს; მოხდა ამგვარი საოჯახო მეურნეობების გამოვლენა; ისინი უფლებამოსილნი არიან მიიღონ კონკრეტული დახმარება (იხ.

საკითხი	ქართული კანონმდებლობა და ნორმები	მიწის შესყიდვის, იძულებითი განსახლებისა და საარსებო პირობების აღგენის საერთაშორისო პოლიტიკა	პროექტის **განმახორციელებელი** კომპანიის მიერ მიღებული ზომები, რომელთა მიზანი ქართული კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებს შორის არსებული განსხვავების აღმოფხვრაა
			უფლებამოსილების ცხრილი).
საჯარო კონსულტაცია და ინფორმაციის განსაჯაროება	საქართველოს კანონმდებლობა არ მოიცავს კონკრეტულ დადგენილებას მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით საჯარო კონსულტაციების გამართვის შესახებ, მაგრამ არსებობს ინფორმირებისა და ინფორმაციის განსაჯაროების მოთხოვნები.	აუცილებელია საჯარო კონსულტაციების გამართვა და დაზარალებული მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა მთელი პროექტის განხორციელების განმავლობაში, დაწყებული დაგეგმვის ფაზიდან დასრულებული პროექტის განხორციელებით, რაც მოიცავს მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების მხედველობაში მიღებას და საქმიანობების შესახებ საჯარო შეტყობინების უზრუნველყოფას. განსახლების დოკუმენტაციის განსაჯაროება აუცილებელია.	იხ. მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 10 ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან და დაზარალებულ მოსახლეობასთან კონსულტაციების გამართვის მიზანია მონაწილეობითი მიდგომის დანერგვა რათა მოხდეს ძირითადი პროცესების, კერძოდ კი ფასეულობების განსაზღვრისა და გადასახლების უკეთესი და დროული განხორციელების ხელშეწყობა. საკონსულტაციო საქმიანობების განხორციელების პროცესში მოწყვლადი ჯგუფების მხედველობაში მიღება აუცილებელია. უნდა მოხდეს განსახლების დოკუმენტაციის განსაჯაროება.
მონიტორინგი და შეფასება	არ შეიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს.	განსახლების დაგეგმის ინსტრუმენტისათვის აუცილებელია მონიტორინგისა და შეფასების ზუსტი განსაზღვრა. მონიტორინგი და შეფასება პროექტის განხორციელებამდე არსებულ პირობებთან შედარებით თანაბარი ან უკეთესი პირობების მიღწევის უზრუნველყოფის დადასტურებისათვის ან ამგვარი პირობების უზრუნველსაყოფად ზომების სარეკომენდაციოდ. გარე მონიტორინგი იმ პროექტებისათვის, რომლებიც მაღალ სოციალურ რისკს მოიცავს (და ამგვარად კლასიფიცირდება), მაგალითად ნენსკრა ჰიდროელექტროსადგურისათვის.	იხ. მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა, თავი 12 მოხდება პროექტის განხორციელების განმავლობაში საარსებო საშუალებების აღდგენისა და განსახილების მონიტორინგი მონიტორინგისა და განსახლების საკომპენსაციო შიდა აუდიტის მეშვეობით.

3 აღწერა, სოციო-ეკონომიკური ინფორმაცია და დაზარალებული თემების პროფილი

3.1 მეთოდოლოგია

მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება დაზარალებული პირების და მათი სოციო-ეკონომიკური პროფილის გამოსავლენად, მოიცავს შემდეგ ქვემოთჩამოთვლილ საქმიანობებს:

- 2015 წლის სექტემბერ-ნოემბერში შეგროვებული, ზოგადი სოციო-ეკონომიკური საბაზისო მონაცემების შეფასება[4];
  - საოჯახო მეურნეობების ყოველმხრივი, სოციო-ეკონომიკური კვლევა მოიცავს ყველა საოჯახო მეურნეობას, რომელიც ნენსკრასა და ნაკრას ხეობაში ცხოვრობს. მკვლევარებმა მოინახულეს ყველა სახლი კარდაკარ ვიზიტის მეთოდით და გამოკითხეს ყველა საოჯახო მეურნეობა, რომელიც ორივე ხეობაში მუდმივად ცხოვრობს;
  - საძოვრების რუკის შედგენა;
  - ფოკუს ჯგუფები ქალებთან და სხვა სტრატეგიულ ჯგუფებთან, მაგალითად ფერმერებთან;
  - ინტერვიუები ძირითად ინფორმატორებთან (სკოლის მასწავლებლები, მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი ხეობებში);
  - თემის ინფრასტრუქტურის აღწერა (სკოლები, კლინიკები, სიმინდის წისქვილები, მაღაზიები).
- პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვის მოთხოვნების და მიწის მისაკუთრების საზღვრების განსაზღვრა (აღწერილია თავ 4.1.-ში);
- საკადასტრო სამუშაო სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში არსებული და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამოვლენისათვის (ოქტომბერი 2015);
- აღწერისა და ინვენტარიზაციის პროცესის შესახებ დაზარალებული ადამიანების შეტყობინება (ოქტომბერი 2015) იმისათვის, რათა მოხდეს დაზარალებული ადამიანების აღწერისა და ინვენტარიზაციის მიზნის შესახებ დროულად ინფორმირება;
- დაზარალებული მოსახლეობის აღწერა და აქტივების ინვენტარიზაცია საველე კვლევების მეშვეობით (ოქტომბერი 2015);
- მიწისა და აქტივების ფასეულობის განსაზღვრა (იხ. თავი 6);

4 იხ. ანგარიში - ტომი 3 - დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების სოციალური ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკური საბაზისო სრული კვლევის ჩასატარებლად ორივე ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის შესახებ

- კვლევის წინასწარი შედეგების განსაჯაროება საჯარო საინფორმაციო შეხვედრებზე 2015 წლის დეკემბერს და შემდგომი შეხვედრები დაზარალებულ მოსახლეობასთან (იხ. თავი 10);
- შემდგომი დისკუსიები დაზარალებულ მოსახლეობასთან ზემოქმედების შეფასებისა და საკომპენსაციო სტრატეგიის დამტკიცებისათვის, განსაკუთრებით საძოვრების საკითხებთან დაკავშირებით (მიმდინარეობას 2016 წლის თებერვლიდან მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის ამ გეგმის შედგენამდე);
- დამატებითი სოციო-ეკონომიკური მონაცემების შეგროვება, რომელთა მიზანი შემოსავლის საშუალებებისა და დონეების შესახებ უფრო ზუსტი მონაცემების შეგროვებაა. აღნიშნული მონაცემები გროვდება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც დაზარალდნენ კაშხლისა და წყალსაცავის არეალში, ისევე როგორც ნაკრას წყალამგდების ტერიტორიაზე საძოვრების დაკარგვით და ელექტროსადგურის ტერიტორიაზე დაზარალებული მოსახლეობისაგან (დეკემბერი 2016).

შემდეგ თავში გამოყენებული ყველა მონაცემი წარმოადგენს წინასწარ მონაცემს, რომელიც ზემოთაღწერილი ზომებით შეგროვდა (გარდა იმ შემთხვევაში, თუკი სხვაგვარად არ არის მოცემული).

მეთოდოლოგია განმეორდება მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განახლებისათვის, როდესაც კომპონენტი, რომელიც 2017 წლის იანვარში არ იქნა აღწერილი, განისაზღვრება (ნანკრის გზა, მომსახურეობის ხაზი, 110 კვ. ელექტროენერგიის მიწოდების ხაზი, ელექტროსადგურის ადგილმდებარეობის არეალები და სამშენებლო ბანაკი).

3.2 დაზარალებული ადამიანების აღწერა

მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის შედგენის მომენტისათვის, 2017 წლის იანვარში, პროექტის განხორციელების შედეგად ფიზიკური გადაადგილება მოსალოდნელი არ არის. პროექტის ფარგლებში მიწის შეძენით ადამიანები ზარალდებიან მხოლოდ მიწის, ნათესების, ხეებისა და შენობა-ნაგებობების დაკარგვით.

მთლიანობაში, 80 საოჯახო მეურნეობება დაზარალდა პროექტით განსაზღვრული მიწის მოთხოვნით. აღნიშნული 80 საოჯახო მეურნეობება წარმოადგენს 363 პირს. საოჯახო მეურნეობებების განაწილება პროექტის კომპონენტების მიხედვით მოცემულია ცხრილ 20-ში. დაზარალებული 80 საოჯახო მეურნეობებიდან, 4 დაზარალდა ნენსკრას გზის რემონტის, ისევე როგორც პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის განხორციელების შედეგად: ელექტროსადგურის არეალი, ნენსკრას კაშხლის მშენებლობის არეალი, ნენსკრას კაშხლის წყალსაცავი, ნაკრას წყალამგდების არეალი.

ცხრილი 3 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისა და ადამიანების რაოდენობა

არეალი	შენობა-ნაგებობა/დაწესებულება[c]	დაზარალებული მეურნეობების რაოდენობა	დაზარალებული ადამიანების რაოდენობა
კაშხლისა და წყალსაცავისა რეალი	კაშხლის სტრუქტურა და წყალსაცავი	9	51
	კაშხლის სამშენებლო ბანაკის ადგილი	11	50
ელესქტროსადგურის არეალი		4	25
ოპერატორების სოფელი		1	4
ნენსკრას გზა		32[a]	156
ნაკრას კაშხალი და გადაცემის გვირაბის შემოსვლის არხი		27	111
სულ		80[a]	365

[a] 4 ეკონომიკური მიზეზებით გამოწვეული გადაადგილებით მეურნეობები ზარალდებიან ნენსკრას გზის გაფართოებით და პროექტის ერთ-ერთი სხვა კომპონენტის განხორციელებით.
[b] A: Arable F: Forest P: Pasture R: Residential/ A: სახნავ-სათესი F: ტყე P: საძოვარი R: საცხოვრებელი
[c] 35 და 110 კვ-იანი მომსახურეობის ხაზების, ნაკრამდე მისასვლელის გზის სარემონტო სამუშაოების დიზაინი, ისევე როგორც ნარჩენების განთავსების არეალი და ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკი განისაზღვრება 2017 წელს და შესაბამისად, მათი ზემოქმედება საოჯახო მეურნეობებზე წინამდებარე დოკუმენტში მოცემილი არ არის (იხ. თავი 4.3.2.).

3.3 დაზარალებული მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური პროფილი

3.3.1 დაზარალებული თემების დემოგრაფიული მახასიათებლები

ნენსკრასა და ნაკრას ხეობების საწყისი სოციო-ეკონომიკური კვლევა დეტალურად წარმოდგენილია თავ 3-ში: სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება.

ყველა დასახლებული პუნქტი და ადამიანი, რომელიც შესაძლოა პროექტის განხორციელებით უშუალოდ დაზარალდეს, მდებარეობს ნენსკრასა და ნაკრას მდინარეების ხეობებში.

ნენკსრას ხეობა მოიცავს სოფელ ჭუბერს, ორ პატარა სოფელს, რომელიც სოფელ ხაიშის ნაწილია. ამ ხეობაში 1148 მუდმივი მოსახლეა (268 საოჯახო მეურნეობა), რომელიც მდინარის გასწვრივ მდებარე 13 პატარა სოფელში ცხოვრობს. ნენსკრას ხეობაში მიწის დაკარგვით დაზარალებული ყოველი ადამიანი ცხოვრობს სოფელ ჭუბერში.

ნაკრას ხეობა მოიცავს სოფელ ნაკის და ლახალმულას სოფლის ნაწილს და 300 მუდმივ მოსახლეს ითვლის (85 საოჯახო მეურნეობა), რომელიც 5 მცირე სოფელში ცხოვრობს. ნაკრას ხეობაში მიწის შესყიდვით დაზარალებული ყველა ადამიანი ცხოვრობს სოფელ ნაკიში.

დაახლოებით 30-40 საოჯახო მეურნეობა ამჟამად ორი ხეობის გარეთ ცხოვრობს და ბრუნდება მხოლოდ ზაფხულის თვეებში.

გარდა რამდენიმე პირისა, რომელიც სოფელში საცხოვრებლად დაქორწინების შემდეგ გადმოვიდა, ყველა ადამიანი ხეობაში დაიბადა, საუბრობს ქართულად და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლია.

3.3.2 დაზარალებული მეურნეობების დემოგრაფიული მახასიათებლები

80 დაზარალებული ოჯახი საშუალოდ 4.6 წევრისაგან შედგება. დაზარალებული ადამიანების საერთო რაოდენობაში უფრო მეტი კაცია, ვიდრე ქალი (როგორც ეს ცხრილ #4-შია მოცემული):

ცხრილი 4 - დაზარალებული მეურნეობების დემოგრაფიული მახასიათებლები

	კაცი		ქალი		საერთო რაოდენობა	
ბავშვები 6 წლამდე	17	*(8.6%)*	10	*(6.0%)*	27	*(7.4%)*
7-18 წელი	50	*(25.3%)*	38	*(22.6%)*	88	*(24.0%)*
19-60 წელი	103	*(52.0%)*	87	*(51.8%)*	189	*(51.9%)*
60 წელზე უფროსი	28	*(14.1%)*	30	*(17.9%)*	58	*(15.8%)*
პასუხი არ გასცა	0	*(0.0%)*	3	*(1.8%)*	3	*(0.8%)*
სულ	198	*(100.0%)*	168	*(100.0%)*	365	*(100.0%)*

საოჯახო მეურნეობების უფროსების საშუალო ასაკი 57 წელია (მოცემულია ცხრილ #5-ში). საოჯახო მეურნეობის უფროსი, რომელიც ყველაზე ახალგაზრდაა 21 წლისაა, ხოლო ყველაზე ასაკოვანი 95 წლის.

ცხრილი 5 - დაზარალებული მეურნეობების უფროსთა ასაკი

არეალი, შენობა-ნაგებობა/დაწესებულება[c]	საოჯახო მეურნეობის უფროსთა საშუალო ასაკი	საოჯახო მეურნეობის ყველაზე ასაკოვანი უფროსი	საოჯახო მეურნეობის ყველაზე ახალგაზრდა უფროსი
კაშხლის სტრუქტურა და წყალსაცავი	57	75	40
კაშხლის სამშენებლო ბანაკის ადგილი	58	78	38
ელესქტროსადგურის არეალი	56	58	52
ოპერატორების სოფელი	62	95	37
ნენსკრას გზა	52	87	21
ნაკრას კაშხალი და გადაცემის გვირაბის შემოსვლის არხი	42	42	42
სულ	57	95	21

პროექტის მიწის აღების არეალში დაზარალებული 9 საოჯახო მეურნეობას ქალები უძღვებიან (იხ. ცხრილი #6). როგორც წესი, ამგვარი საოჯახო მეურნეობების წევრთა რაოდენობა ოდნავ ნაკლებია იმ საოჯახო მეურნეობების წევრთა რაოდენობაზე, რომლებსაც კაცები უძღვებიან (3.8 და 4.1. წევრი). საოჯახო მეურნეობების ქალი უფროსები ასევე როგორც წესი უფრო ხანდაზმულები არიან იმ საოჯახო მეურნეობებთან შედარებით, რომლებსაც კაცები უძღვებიან. ცხრავე საოჯახო მეურნეობის უფროსი ქალი ქვრივია.

ცხრილი 6 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების უფროსთა სქესი და დაზარალებული მეურნეობების საშუალო ზომა

არეალი, შენობა-ნაგებობა/დაწესებულება[a]	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, რომელსაც ქალები უძღვებიან	დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებში საოჯახო მეურნეობების მეთაური ქალების საშუალო ასაკი	ოჯახის საშუალო ზომა დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებში, რომელსაც ქალები უძღვებიან	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, რომელსაც კაცები უძღვებიან	დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებში საოჯახო მეურნეობების მეთაური კაცების საშუალო ასაკი	საოჯახო მეურნეობების საშუალო ზომა დაზარალებულ მეურნეობებში, რომელსაც კაცები უძღვებიან
კაშხლის სტრუქტურა და წყალსაცავი	--		--	11	56	5.2
კაშხლის სამშენებლო ბანაკის ადგილი	1	49	4	9	57	4.6
ელესქტროსადგურის არეალი	--		--	4	56	6.3
ოპერატორების სოფელი	--		--	1	42	4.0
ნენსკრას გზა	6	70	3.6	26	60	3.9
ნაკრას კაშხალი და გადაცემის გვირაბის შემოსვლის არხი	2	87	4.5	23	51	3.8
სულ	9	69	3.8	71	56	4.1

დაზარალებული მეურნეობების თითქმის ყველა უფროსს განათლება აქვს მიღებული. მხოლოდ ერთ მათგანს არ აქვს განათლება მიღებული (იხ. ცხრილი #7).

ცხრილი 7 - დაზარალებული მეურნეობების უფროსთა განათლების დონე

	არცერთი (განათლება)		ტექნიკური		დაწყებითი/ბაზისური განათლება/სკოლა		დასრულებული საშუალო განათლება/სკოლა		უმაღლესი განათლება		პასუხი არ გასცა		სულ	
	რაოდენობა.	%	რაოდენობა.	%	რაოდენობა.	%	რაოდენობა.	%	რაოდენობა.	%	რაოდენობა.	%	რაოდენობა.	%
მეურნეობები, რომელსაც ქალები უძღვებიან	0	*0%*	2	*22%*	1	*11%*	5	*55%*	0	*0%*	1	*11%*	9	*100%*
მეურნეობები, რომელსაც კაცები უძღვებიან	1	*1%*	16	*21%*	2	*3%*	31	*44%*	8	*11%*	13	*18%*	71	*100%*
დაზარალებული მეურნეობების საერთო რაოდენობა	1	*1%*	18	*23%*	3	*4%*	36	*45%*	8	*10%*	14	*17%*	80	*100%*

3.3.3 მიწის მფლობელობა

როგორც ეს სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტშია აღწერილი (ტომი 3), მიწის მფლობელობა ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ხასიათდება სამართლებრივი სისტემისა და მიწაზე ჩვეულებითი სამართლის უფლებით, რომელიც ადგილობრივად აღიარებულია. ორივე ხეობაში თითქმის ყველა მიწის ნაკვეთი ოფიციალურად სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწაა და ყველა მიწის ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისაა. მიწის ყველა ნაკვეთი როგორც წესი რეგისტრირებულია როგორც ტყის ფონდის მიწა. მიწის რეგისტრაცია რთული პროცესია, ვინაიდან მფლობელობა ხშირად მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე უნდა დადასტურდეს. ზოგიერთმა ადამიანმა წარმატებით მოახერა რამდენიმე საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის კერძო მიწის ნაკვეთად ოფიციალურად დარეგისტრირება, თუმცა ეს ნაკვეთები კვლავაც სასოფლო-სამეურნეო მიწადაა რეგისტრირებული. ასეთ შემთხვევებში, მიწა რეგისტრირებულია არსებული მფლობელის სახელზე.

მიწის ჩვეულებაზე დაფუძნებული ფლობა სოფლებს შორის არაფორმალურად მტკიცედაა აღიარებულია. დასახლებებს შორის, კერძო მიწის ნაკვეთები კარგადაა მონიშნული და თითქმის ყოველთვის შემოღობილია. დასახლებებს გარეთ, ტყიან ადგილებში, ჩვეულებაზე დაფუძნებული მფლობელობა უმეტეს შემთხვევაში ნათლადაა აღწერილი. გარკვეული ადგილები ოჯახების ჯგუფების მფლობელობაშია, რომლებსაც საერთო წინაპრები ჰყავთ და ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე ამ ადგილებით სარგებლობის უფლება მემკვიდრეობით აქვთ მიღებული.

სხვა დაზარალებულ მეურნეობებს შორის, 11 საოჯახო მეურნეობას მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებული აქვს კერძო საკუთრებად მონაკვეთში, რომელიც ხვდება ნანსკრას გზის რემონტის არეალში. 11 საოჯახო მეურნეობებიდან, 2 საოჯახო მეურნეობის უფროსი ქალია. სხვა დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს მიწის ნაკვეთები დარეგისტრირებული არ აქვთ.

3.3.4 საარსებო წყაროთა საშუალებანი და შემოსავლის წყარო

ამ თავში არსებული მონაცემები ეფუძნება ორ ძირითად, განსხვავებულ წყაროს:

- სოციო-ეკონომიკური კვლევა, რომელიც 2015 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდა და მოიცავს ყველა საოჯახო მეურნეობას, რომელიც ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ცხოვრობენ.
- დამატებითი სოცი-ეკონომიკური კვლევები, რომელიც 2016 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარდა და რომელმაც მოიცვა შემდეგი ობიექტების მშენებლობებით დაზარალებული მოსახლეობა: ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი, ნანკრას წყლის მიღების ადგილი, ელექტროსადგურის არეალი. დამატებითი კვლევების მიზანი გახლდათ უფრო ზუსტად მოეხდინათ დაზაარალებული მეურნეობების შემოსავლის საშუალებების და დონეების დოკუმენტირება. ვინაიდან მეურნეობების შემოსავლის მომტანი აქტივები დაზარალდა ნენსკრას გზის რემონტის შედეგად, ხოლო ოპერატორების სოფლები არ დაზარალებულა (იხ. თავი 4.3.),

მოხდა ამ ორი წყაროს გაერთიანება ქვემოთწარმოდგენილი ანალიზის წარმოსადგენად. შედეგები ეფუძნება რესპოდენტების მიერ გაცხადებულ გამოთვლებს.

3.3.4.1 შემოსავლის წყარო

დაზარალებული მეურნეობების თითქმის ორმა მესამედმა განაცხადა, რომ ისინი დამოკიდებული არიან შემოსავლის 2-დან 5 წყაროზე (როგორც ეს მოცემულია ცხრილ 8-ში). ერთ მესამედზე ნაკლებმა რესპოდენტმა განახადა, რომ ისინი შემოსავლის მხოლოდ ერთ წყაროს ეფუძნებიან.


ცხრილი 8 - დაზარალებული მეურნეობების რაოდენობა, რომლებმაც მოახდინეს შემოსავლის წყაროების დეკლარირება

	შემოსავლის დეკლარირებული წყაროების რაოდენობა						სულ
	პასუხი არ გასცა	1	2	3	4	5	
ყველა დაზარალებული საოჯახო მეურნეობა	6	25	28	16	4	1	80
საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან	1	3	3	1	0	1	9
საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც კაცები უძღვებიან	5	22	25	15	4	0	71

მეურნეობების მიერ დეკლარირებული შემოსავლის სხვადასხვა წყაროები წარმოდგენილია ცხრილში #9. 29 დაზარალებული საოჯახო მეურნეობების ერთი წევრი მაინც მაინც მუშაობს საჯარო მოხელედ და იღებს შესაბამის ხელფასს. ცხრა მათგანის ერთი წევრის მაინც იღებს ხელფასს კერძო კომპანიიდან. დაზარალებული საოჯახო მეურნეობების ორი მესამედი იღებს პენსიას ან სოციალურ დახმარებას (სიღარიბის დახმარება ან დახმარება ლტოლვილებისათვის). საოჯახო მეურნეობების ნახევარზე მეტმა საოჯახო მეურნეობების შემოსავლად სოფლის მეურნეობა დაასახელა (მიწათმოქმედება, ისევე როგორც მესაქონლეობა). როგორც ეს პირველ ნახაზშია მოცემული, საოჯახო მეურნეობებმა, რომლებსაც ქალები უძღვებიან უფრო ხშირად დაასახელეს შემოსავლის წყაროდ ჯერძო კომპანიისაგან მიღებული ხელფასი, პენსია ან დახმარებები იმ საოჯახო მეურნეობებთან შედარებით, რომლებსაც კაცები უძღვებიან. საოჯახო მეურნეობებმა, რომლებსაც ქალები უძღვებიან უფრო ნაკლებ შემთხვევებში დაასახელეს სოფლის მეურნეობა როგორც საოჯახო მეურნეობების შემოსავლის წყარო. როგორც ეს აღწერილია ანგარიშის მესამე ტომში - სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება და თავ 3.3.4.2დ-ში, ხე-ტყის დამზადება რესპოდენტების მიერ შესაძლოა არ იქნა ჯეროვან დონეზე გაცხადებული. საბაზისო კვლევებისას, ხე-ტყის დამზადება ორივე ხეობაში, თემის დომეზე ნაღდი ფულის შემოსავლის მთავარ წყაროდ იქნა აღიარებული. თუმცა, საოჯახო მეურნეობების დონეზე ვერ მოხერხდა სანდო პასუხის მიღება პიროვნებების/ინდივიდების ამ საქმიანობაში ჩართულობის შესახებ.

ცხრილი 9 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შემოსავლის წყაროები

		დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რ-ბა	სხვარა სამსახურიდან მიღებული ხელფასი	კერძო კომპანიიდან მიღებული ხელფასი	პენსია/დახმარება	მუდმივი ფულადი გზავნილი	ქირით აღებული მიწა	სოფლის მეურნეობა	ხე-ტყის დამზადება	ხე-ტყის საექსპლოატაციო სამუშაოები	ხე-ტყის მეორადი პროდუქტები	ბავალეა (ჯემი, გამომცხვარი საკვები)	პასუხი არ გასცა
ყველა დაზარალებული საოჯახო მეურნეობა	რ-ბა.	80	29	9	52	2	1	45	3	5	1	2	4
	%	*100%*	*37%*	*11%*	*65%*	*3%*	*1%*	*56%*	*4%*	*6%*	*1%*	*3%*	*5%*



დიაგრამა 1: შემოსავლების წყაროების შედარება საოჯახო მეურნეობების უფროსების სქესის მიხედვით

80 დაზარალებული საოჯახო მეურნეობიდან, შვიდმა განაცხადა, რომ მიწიდან მიღებული შემოსავლის წყაროზეა დამოკიდებული (მოცემულია ცხრილ 10-ში). ამ ხუთ საოჯახო მეურნეობას კაცი უძღვება. ყველა რესპოდენტმა განაცხადა, რომ ისინი ეყრდნობოდნენ მიწისაგან, ისევე როგორც მიწის გარდა მიღებულ შემოსავლის სხვა წყაროს.

ცხრილი 10 - მიწიდან მიღებული შემოსავლის წყაროები

	საოჯახო მეურნეობები, რომლებმაც მოახდინეს მიწაზე დაფუძნებული და სხვა შემოსავლის წყაროების დეკლარირება	საოჯახო მეურნეობები, რომლებმაც მოახდინეს მიწაზე დაფუძნებული შემოსავლის წყაროების დეკლარირება	პასუხი არ გასცა	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საერთო რ-ბა
კაშხლის სტრუქტურა და წყალსაცავი	8	1	1	10
კაშხლის სამშენებლო ბანაკის ადგილი	8	1	1	10
ელესქტროსადგურის არეალი	4	0	0	4
ოპერატორების სოფელი	1	0	0	1
ნენსკრას გზა	27	1	4	32
ნაკრას კაშხალი და გადაცემის გვირაბის შემოსვლის არხი	24	2	1	27
სულ	69	5	6	80

3.3.4.2 შემოსავლის დონეები

დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შემოსავლის დონეები დეტალურად იქნა შესწავლილი 2016 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ჩატარებული დამატებითი სოციო-ეკონომიკური კვლევებისას. ამ კვევებისას მოცულ იქნა საოჯახო მეურნეობები,, რომლებიც დაზარალდნენ შემდეგი მშენებლობებით: ნენსკრას კაშხლის მშენებლობის არეალი, ნაკრას წყლის მიღების ადგილი და ელექტროსადგურის არეალი. მოხდა 30 საოჯახო მეურნეობამ თანხმობა განაცხადა ინტერვიუზე და მოგვაწოდა მათი ინფორმაცია შემოსავლის წყაროების შესახებ. რიცხვები წარმოდგენილია ვარაუდების სახით. როგორც ეს 3.3.4.2.დ თავშია მოცემული (გვ. 39), შემოსავლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წყარო, კერძოდ კი ხე-ტყის წარმოება, შესაძლოა ჯეროვნად არ იქნა დეკლარირებული (ან საერთოდ არ იქნა დეკლარირებული). ინფორმაცია საოჯახო მეურნეობების ავეჯისა და მოწყობილობების შესახებ, რომელიც მოცემულია თავ 3.3.5-ში, მიუთითებს ცხოვრების სტანდარტებზე, რომლის მიღწევაც მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროში მცირემაშტაბიანი საქმიანობებით შეუძლებელია (აღნიშნული ორივე ხეობაში გვხვდება). აღნიშნული აჩვენებს, რომ დეკლარირებული შემოსავლის დონეები სათანადოდ არ იქნა შეფასებული მრავალი ინტერვიუერის მიერ და რეალობაში, შემოსავლები დეკლარირებულ შემოსავლებზე მეტია.

A. შემოსავლის განაწილება შემოსავლის წყაროების მიხედვით


30-მა გამოკითხულმა, დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობამ პასუხი გასცა შემოსავლის საორიენტაციო დონის შესახებ კითხვას. დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მიერ გაცხადებული ყველაზე მაღალი შემოსავალია 30 000 ლარი, ხოლო ყველაზე მცირე - 2000 ლარი. საშუალო, სავარაუდო, წლიური შემოსავალი

შეადგენდა 10 000 ლარს. საოჯახო მეურნეობების განაწილება შემოსავლის წყაროს მიხედვით მოცემულია ცხრილში 11.

ცხრილი 11 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მიერ დეკლარირებული სავარაუდო წლიური შემოსავალი

დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მიერ დეკლარირებული სავარაუდო წლიური შემოსავალი	რესპოდენტი საოჯახო მეურნეობების რ-ბა	რესპოდენტი საოჯახო მეურნეობების %
სავარაუდო წლიური შემოსავალი 1000-იდან 5 000 ლარამდე	6	20%
სავარაუდო წლიური შემოსავალი 5000-იდან 10 000 ლარამდე	9	30%
სავარაუდო წლიური შემოსავალი 10009-იდან 15 000 ლარამდე	5	16.7%
სავარაუდო წლიური შემოსავალი 15 000 ლარს ზემოთ	10	33.3%
რესპოდენტი საოჯახო მეურნეობების საერთო რ-ბა	30	100%

ქვემოთმოცემული დიაგრამა 2 გვიჩვენებს ხელფასების წილების, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის, პენსიებისა და დახმარების განაწილებას წლიური შემოსავლების სხვადასხვა დონეებისათვის, რაც თავად რესპოდენტების მიერ იქნა შეფასებული. იგი გვიჩვენებს, მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, რესპოდენტმა არ მიიჩნია იგი შემოსავლის ძირითად წყაროდ. რესპოდენტებმა, რომლებმაც განაცხადეს ყველაზე დაბალი შემოსავალი, პენსიებსა და დახმარებებზე არიან დამოკიდებული.



დიაგრამა 2 - შემოსავლის წყაროების წილი დაზარალებული საოჯახო მეურნეობების სავარაუდო წლიურ შემოსავალში

B. ხელფასების დონე

რესპოდენტების მიერ გაცხადებული ხელფასის დონე ვარირებს 100-დან 1000 ლარამდე თვეში. საჯარო მოხელეებს შეუძლიათ თვეში 100 ლარის გამომუშავება (მაგალითად, ბიბლიოთეკარი). მესაზღვრეს თვეში 800 ლარამდე ხელფასი აქვს. კერძო კომპანიების თანამშრომლებს შეუძლიათ გამოიმუშაონ თვეში 270 ლარი (ექთანი). პროექტში ჩართული ადგილობრივი მუშაკი გამოიმუშავებს თვეში 1000 ლარს.

C. სოფლის-მეურნეობის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავლის ძირითადი ნაწილი მეცხოველეობის სფეროში მიღებული შემოსავალია. მოყვანილი მარცვლეული (სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული) ოჯახური მოხმარებისათვისაა განკუთვნილი. თხილის ან ნიგვზის მოყვანა, ასევე თაფლი ზოგიერთი საოჯახო მეურნეობის მიერ შესაძლოა შემოსავლის დამატებით წყაროდ იქნას განხილული.

თხილის ან ნიგვზის წარმოებით მიღებული შემოსავალი დამოკიდებულია ხეების რაოდენობაზე. ერთ-ერთმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ მისმა საოჯახო მეურნეობამ 2015 წელს 8 000 ლარის შემოსავალი მიიღო 400 ძირი თხილის ხილის პლანტაციისაგან.

26-მა დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობამ განაცხადა, რომ მეთაფლეობას მისდევს, ხოლო ექვსმა საოჯახო მეურნეობამ განაცხადა, რომ ისინი მოყვანილი თაფლის გარკვეულ რაოდენობას ყიდიან.

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის დეტალური ანალიზი ჩატარდა იმ ფერმერებისათვის, რომლებიც დაზარალდნენ ნენსკრა კაშხლის სამშენებლო არეალის, ნენსკრა წყალსაცავის და ნანკრას ჯებირისა და წყალამგდების ნაგებობის მშენებლობის ადგილზე საძოვრების დაკარგვით. ჩატარდა 16 საოჯახო მეურნეობის დეტალური ანალიზი. შედეგები მოცემულია ცხრილ 12-ში. ამ საოჯახო მეურნეობების შემოსავლების საშუალოდ დაახლოებით 40% არასასოფლო-სამეურნეო წყაროებიდან მიღებული შემოსავალია (პენსიები და ხელფასები), გარდა ერთი საოჯახო მეურნეობისა, რომელსაც შემოსავლის სხვა არავითარი წყარო არ გააჩნია. საშუალოდ, სოფლის მეურნეობით მიღებული შემოსავალი წარმოადგენს დეტალურ კვლევაში მონაწილე საოჯახო მეურნეობების საერთო შემოსავლების დაახლოებით 2/3-ს.

საოჯახო მეურნეობის მიერ მესაქონლეობის სფეროში შესატანი წვლილი დამატებითი საფურაჟე მარცვლეულის შეძენაა, როდესაც საოჯახო მეურნეობას არ შეუძლია საკმარისი საფურაჟე მარცვლეულის მოწევა. დეტალურ კვლევაში მონაწილე 16 საოჯახო მეურნეობებიდან ხუთმა განაცხადა, რომ სრულად შეეძლოთ საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო საფურაჟე მარცვლეულის მოწევა, ხოლო სხვებმა განაცხადეს, რომ საშუალოდ წელიწადში დაახლოებით 1300 ლარის დამატებითი საფურაჟე მარცვლეულის ყიდვა უწევდათ ძროხების გამოსაკვებად.

ცხრილი 12 - საძოვრების დაკარგვით დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საშუალო სავარაუდო შემოსავალი

	რესპონდენტების რაოდენობა	შემოსავალი პროდუქციის გაყიდვიდან (თხილი, ნიგოზი, თაფლი, ხორცი, ყველი; სამ. ლარებში)	შესყიდვა (მიწიდან,საკვები, სამ. ლარებში)	სასოფლოსამეურნეო შემოსავალი (სამ ლარებში)	სხვა არასასოფლო-სამეურნეო შემოსავალი	არასასოფლო-სამეურნეო შემოსავლის სახეობები	მინამეურნეობის ჯამური შემოსავალი (სამუშაო ლარებში) წლიური	თვიური
საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, რომლებიც ნენსკრას კაშხლის სამშენებლო ბანაკის შედეგად დაზარალდა	10	7,764	873	6,891	5 საოჯახო მეურნეობების 50%	პენსიები და ხელფასები	10,431	~870
საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, რომლებიც ნენსკრას წყალსაცავის მშენებლობის შედეგად დაზარალდა	1	16,060	11,000	5,060	არა	---	5,060	~420
საოჯახო მეურნეობების რაოდენობა, რომლებიც ნაკრას კაშხლისა და წყალამგდების მშენებლობის შედეგად დაზარალდა	5	5,414	470	4,944	საოჯახო მეურნეობების 40%	პენსიები და ხელფასები	7,772	~650
სულ	16	7,548	1,380	6,168	საოჯახო მეურნეობების 43%	პენსიები და ხელფასები	9,264	~770

D. ხე-ტყის დამზადება

უმეტესი რესპოდენტების მიერ ხე-ტყის დამზადება აღიარებულ იქნა ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ეკონომიკაში შემოსავლის მთავარ წყაროდ. საბჭოთა სისტემის დანგრევის შემდეგ ადამიანები ხე-ტყის მასალებს შეზღუდვის გარეშე ამუშავებდნენ. მთავრობამ ბოლო პერიოდში ჩამოაყალიბა ხე-ტყის დამზადების ფართომაშტაბიანი ლიცენზიის პროგრამა, რომლის მიზანიც ტყით დაფარულ ტერიტორიებზე მართვის აღდგენაა. საველე კვლევების ჩატარების დროისათვის მთავრობამ გააგზავნა საკუთარი წარმომადგენლები ახალი სისტემის ადგილზე დანერგვისათვის. შესაბამისად, გასაგებია ადგილობრივი მოსახლეობის თავშეკავება ღიად ისაუბრონ მათი საოჯახო მეურნეობების ჩართულობაზე ხე-ტყის დამზადების, ხე-ტყის სახერხი ქარხნის ბიზნესში როგორც საოჯახო მეურნეობების ინტერვიუების, ასევე თემატური ან ფოკუს ჯგუფების განმავლობაში. ხე-ტყის არსებული პრაქტიკის

სტატისტიკური აღწერა შეუძლებელია, ასევე არ არსებობს ზუსტი მონაცემები მოჭრილი ხეების რაოდენობის ან ამ ბიზნეს-საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის დონის შესახებ.

თუმცა, როგორც ეს აღწერილია ტომ 3-ში - სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება არსებობს უამრავი მტკიცებულება იმისა, რომ ხე-ტყის დამზადება და ტყის ექპლუატაცია ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში, ისევე როგორც მესტიის მუნიციპალიტეტის სხვა ნაწილებში მნიშვნელოვან ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს.

ხუთმა დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობამ განაცხადა, რომ საოჯახო მეურნეობების შემოსავალს შეადგენს ტყის ექპლუატაცია, თუმცა არ მიუთითებია მიღებული შემოსავლის დონე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მცირე ინფორმაცია, რომელიც ამ საქმიანობის შესახებ მოგროვდა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შემოსავლის შესახებ. ნენსკრას ხეობაში ხე-ტყე 150 ლარად იყიდება (1მ3), ხოლო ქვემოთ, ზგურისშუ 400 ლარად (1მ3). იმის გათვალისწინებით, რომ საშუალო ზომის სატვირთო მანქანას შეუძლია 10 მ3 ნედლი ხე-ტყის მასალის გადატანა, ერთი გატანის ღირებულება სავარაუდოდ 1500-დან 4000 ლარამდე მერყეობს. ხე-ტყის სახერხ ერთ ცეხს შეუძლია კვირაში ერთი სატვირთო მანქანის შევსება, რომელზეც 4-5 ადამიანი მუშაობს. ერთი თვის განმავლობაში ცეხი ყიდის 6000-დან 16 000-მდე ლარის პროდუქციას და აღნიშნული შემოსავალი ტყისმჭრელებს შორის ნაწილდება. აღნიშნული საქმიანობა წელიწადში 6 თვის განმავლობაშია შესაძლებელი.

E. სხვა შემოსავალი

ინტერვიუერების მიერ დასახელები სხვა შემოსავლები მოიცავდა შემდეგ საქმიანობებს: საკვების გადამუშავება (მაგალითად მურაბები ან გამომცხვარი პროდუქტები) ან ტყის მეორადი პროდუქტები (სოკოები ან კულინარიული მცენარეები). თუმცა, ამ საქმიანობის მიღებული შემოსავლები მარგინალურად იქნა შეფასებულ შემოსავლის სხვა წყაროებთან შედარებით. დაზარალებული საოჯახო მეურნეობებიდან მხოლოდ ერთმა განაცხადა, რომ შემოსავალს იღებდა ტყის მეორადი პროდუქტების გაყიდვით და ორმა განაცხადა, რომ ყიდდა გადამუშავებულ საკვებს (იხ. ცხრილი 9).

3.3.5 მოწყობილობა და აღჭურვილობა

დაზარალებული მოსახლეობის საკუთრებაში არსებული მოწყობილობის აღწერა საშუალებას იძლევა წარმოდგენა ვიქონიოთ აღჭურვილობაზე. ცხრილი 13 აღწერს დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რაოდენობას, რომლებიც ფლობენ აღჭურვილობისა და მოწყობილობის რამდენიმე ელემენტს. ინფორმაცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას ცხოვრების დონის განვითარების მონიტორინგისათვის.


42-ე გვერდზე მოცემული დიაგრამა 3 თანაფარდობაში მოყავს საოჯახო მეურნეობების მოწყობილობა და აღწურვილობა მათ მიერ 2016 წლის ოქტომბერში ჩატარებული დამატებითი სოციო-ეკონომიკური კვლევების ფარგლებში გამოკითხული საოჯახო მეურნეობების მიერ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებიდან მიღებული შემოსავლის სავარაუდო წილთან. აღნიშნული რიცხვი აჩვენებს, რომ საოჯახო მეურნეობებს, რომლებმაც სოფლის მეურნეობა მათი საოჯახო მეურნეობების შემოსავლის ძირითად საქმიანობად დაასახელეს

(გამოკითხული საოჯახო მეურნეობების სავარაუდო შემოსავლის 60%-დან 100% პროცენტი), სხვა საოჯახო მეურნეობებთან შედარებით, ცხოვრების მსგავსი დონე აქვთ. ცხოვრების ამგვარი დონის მიღწევა ორივე ხეობაში მხოლოდ მცირე ზომის სოფლის მეურნეობის წარმოებით შეუძლებელია. აღნიშნული აჩვენებს, რომ შემოსავლის დონეების სათანადო დეკლარირება არ მოხდა ბევრი ინფორმანტის მიერ და რომ, გარკვეული სახის შემოსავლები, მაგალითად, ხე-ტყის წარმოება, არ იქნა დეკლარირებული.

ცხრილი 13 - დაზარალებული მოსახლეობის მფლობელობაში არსებული მოწყობილობა და აღჭურვილობა

	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საერთო რაოდენობა	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რესპოდენტები	რადიო	ველოსიპედი	ტელევიზორი	L.P.G კავშირი/გაზის ბალონი	კომპიუტერი	მაცივარი	მობილური ტელეფონი/ტელეფონი	სარეცხი მანქანა
	რ-ბა. (%საოჯახო მეურნეობების საერთო რაოდენობა)	რ-ბა. (%საოჯახო მეურნეობების საერთო რაოდენობა)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)	რ-ბა. (გამოკითხული საოჯახო მეურნეობების %)
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც კაცები უძღვებიან	71 100%	57 80%	2 3%	8 11%	55 77%	18 25%	29 41%	49 69%	55 77%	46 65%
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან	9 100%	8 89%	1 11%	2 22%	8 89%	0 0%	5 56%	7 78%	7 78%	6 67%
დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საერთო რაოდენობა	80 100%	65 81%	3 5%	10 15%	63 97%	18 28%	34 52%	56 86%	62 95%	52 80%

	დაზარალებული საოჯახო მეურნეობის საერთო რაოდენობა	დაზარალებული საოჯახო მეურნეობის რესპოდენტები	მოტოციკლეტი/სკუტერები	მანქანა	ნავთის ფარანი	სატვირთო მანქანა	ტრაქტორი	მუსიკალური ცენტრი	სადურგლო მაგიდა	ელექტრონული/მიკროტალღური ღუმელი	სატელიტური ანტენა
	რ-ბა. (%საოჯახო მეურნეობების საერთო რაოდენობა)	რ-ბა. (%საოჯახო მეურნეობის საერთო რაოდენობა)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)	რ-ბა. (%გამოკითხული საოჯახო მეურნეობის)
დაზარალებული საოჯახო მეურნეობი, რომლებსაც კაცები უძღვებიან	71 100%	57 80%	5 7%	26 37%	22 31%	1 1%	5 7%	1 1%	1 1%	19 27%	28 39%
დაზარალებული საოჯახო მეურნეობი, რომლებსაც ქალები უძღვებიან	9 100%	8 89%	0 0%	3 33%	2 22%	0 0%	0 0%	0 0%	0 0%	1 11%	6 67%
დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საერთო რაოდენობა	80 100%	65 81%	5 8%	29 45%	24 37%	1 2%	5 8%	1 2%	1 2%	20 31%	34 52%



	რადიო	ველოსიპედი	ტელევიზია	გათხევადებული ნავთობის აირზე მიერთება/გაზის ბალონი	კომპიუტერი	მაცივარი	მობილური ტელეფონი/ტელეფონი	სარეცხი მანქანა	მოტოციკლი/სკუტერი	მანქანა	კონდიციონერი	ნავთის ლამპა	სატვირთო	ტრაქტორი
საოჯახო მეურნეობები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი სავარაუდო შემოსავლის 30%-ზე ნაკლები მოდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე	0%	100%	88%	88%	75%	13%	63%	50%	63%	0%	13%	25%	25%	0%
საოჯახო მეურნეობები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი სავარაუდო შემოსავლის 30%-დან 60%-მდე მოდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე	0%	100%	100%	100%	83%	42%	42%	50%	25%	42%	42%	17%	0%	25%
საოჯახო მეურნეობები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი სავარაუდო შემოსავლის 60%-ზე მეტი, მაგრამ 100%-ზე ნაკლები მოდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე	0%	100%	100%	100%	100%	40%	60%	20%	40%	40%	20%	0%	0%	0%
საოჯახო მეურნეობები, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათი სავარაუდო შემოსავლის 100% მოდის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე	33%	100%	100%	67%	100%	100%	33%	33%	33%	33%	33%	0%	0%	0%

დიაგრამა 3 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მფლობელობაში არსებული მოწყობილობები და აპარატურა განაწილებული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული, დეკლარირებული, სავარაუდო შემოსავლის წილის მიხედვით

3.3.6 მოწყვლადი საოჯახო მეურნეობები

საოჯახო მეურნეობები მოწყვლადად ითვლება, თუკი:

- სოციალური სერვისის მიმწოდებელ ადგილობრივ ორგანიზაციაში არიან დარეგისტრირებული;
- საოჯახო მეურნეობებს ქალები უძღვებიან;
- საოჯახო მეურნეობების უფროსი ხანდაზმულია (≥ 70 წელი) და საოჯახო მეურნეობებს სხვა მარჩენალი არ ჰყავს;
- საოჯახო მეურნეობების უფროსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.

80 დაზარალებული საოჯახო მეურნეობებიდან 28 მოწყვლადობისათვის აუცილებელ, ზემოთჩამოთვლილი სამი კრიტერიუმიდან ერთს მაინც აკმაყოფილებს. დაზარალებული პირების განაწილება მოწყვლადობის კრიტერიუმების მიხედვით მოცემულია ცხრილ 14-ში. შემოსავლის წყაროები, რომლებიც მათ ინტერვიუების მიმდინარეობისას განაცხადეს, შესაბამისად, მე-15 ცხრილშია მოცემული.

საქართველოში, მოცემული საოჯახო მეურნეობების სიღარიბის მაჩვენებელი განისაზღვრება გამოთვლებით, რომელიც მხედველობაში იღებს პროდუქტიულობას, მოხმარებას, ნაღდი ფულის შემოსავალს და აქტივების ღირებულებას. საოჯახო მეურნეობები, რომელსაც ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვთ ოფიციალურად არიან რეგისტრირებული როგორც უკიდურესად ღარიბი და იღებენ შესაბამის დახმარებას. ეროვნულ დონეზე, საქართველოს მოსახლეობის 11 პროცენტი წარმოადგენს სიღარიბის ეროვნული მაჩვენებლის ზღვრის ქვემოთ რეგისტრირებულ პირს, თუმცა სიღარიბის ოფიციალური ზღვარი საჯარო ინფორმაციას არ წარმოადგენს. პროექტის განხორციელების არეალში, ოჯახების თითქმის მეხუთედი (353 საოჯახო მეურნეობებიდან 65 ანუ 18.3 პროცენტი) ამბობს, რომ იღებს სიღარიბის დახმარებას. 15 ამგვარი დაზარალებული საოჯახო მეურნეობა (ანუ 19%) იღებს სიღარიბის ამ დახმარებას.

საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები ხელმძღვანელობენ ნენსკრა და ნანკრას ხეობებში მუდმივად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების 23%-ს შეადგენს (იხილეთ ტომი #3 - სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება). ისინი დაზარალებული მოსახლეობის 11%-ს შეადგენენ (80-დან 9 საოჯახო მეურნეობა).

შვიდი საოჯახო მეურნეობების უფროსი ხანდაზმული პირია, რომელთაც საოჯახო მეურნეობის სხვა მარჩენელი არ ჰყავთ. დაზარალებული საოჯახო მეურნეობებიდან ერთი საოჯახო მეურნეობს უფროსი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია.

როგორც ეს მე-15 ცხრილშია მოცემული, 28 დაზარალებული საოჯახო მეურნეობებიდან შვიდმა განაცხადა, რომ საოჯახო მეურნეობის შემოსავალი ხელფასია, ხოლო 13-მა განაცხადა, რომ ისინი პენსიებს იღებენ.

დაზარალებული, მოწყვლადი დაზარალებული საოჯახო მეურნეობებიდან ექვსი დაზარალებული საოჯახო მეურნეობების ზარალი ხეებია. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაზე არიან დამოკიდებულები, ისევე როგორც შემოსავლის სხვა წყაროზე.

დაზარალებული, მოწყვლადი საოჯახო მეურნეობებიდან ცამეტი ზარალდება და კარგავს საძოვრებს; სამი საოჯახო მეურნეობა ნენსკრას კაშხლის, ხოლოდ 10 საოჯახო მეურნეობა ნაკრას წყალამგდების არეალში.

დაზარალებული, მოწყვლადი პირებიდან მხოლოდ ოთხმა განაცხადა, რომ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა მათი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს. ამ ოთხი დაზარალებული საოჯახო მეურნეობიდან, ერთი ზარალდება ნენსკრას კაშხლის არეალში საძოვრის დაკარგვით, ხოლოდ სამი - ნაკრას წყალამგდების ადგილას.

დაზარალებულ, მოწყვლად საოჯახო მეურნეობებზე პროექტის განხორციელების ზემოქმედების ანალიზი მოცემულია თავში 4.3.

80 დაზარალებული საოჯახო მეურნეობიდან 10 საოჯახო მეურნეობის ერთი წევრი მაინც იღებს ლტოლვილის დახმარებას. ლტოლვილები იძულებით გადაადგულებული პირები არიან, რომლებიც ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში აფხაზეთში 1990-იანი წლების განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად გადმოსახლდნენ. იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ეთნიკური სვანები არიან და ცხოვრობდნენ ადგილობრივ თემებში, რომელთანაც მათ ნათესაური კავშირები აკავშირებთ, მათი ლტოლვილობის სტატუსი არ წარმოადგენს მოწყვლადობის კრიტერიუმს პროექტის შედეგების მხედველობაში მიღებისას.

ცხრილი 14 - მოწყვლადობის კრიტერიუმების მიხედვით საოჯახო მეურნეობების მოწყვლადობის განაწილება

მოწყვლადობის კატეგორია	დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რ-ბა
მოწყვლადი საოჯახო მეურნეობის საერთო რ-ბა	28
საოჯახო მეურნეობების საერთო რ-ბა, რომლებიც სიღარიბის დახმარებას იღებენ	17
საოჯახო მეურნეობების საერთო რ-ბა, რომლებსაც ქალები უძღვებიან	9
საოჯახო მეურნეობების საერთო რ-ბა, რომლებსაც ხანდაზმულები უძღვებიან და სხვა მარჩენალი არ ჰყავთ	7
საოჯახო მეურნეობების საერთო რ-ბა, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობების პირები უძღვებიან [5]	1
კატეგორიების განაწილება	
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან (არ იღებენ სიღარიბის დახმარებას და არ არიან ხანდაზმულები, არ ჰყავთ სხვა მარჩენალი)	5
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან და იღებენ სიღარიბის დახმარებას (არ არიან ხანდაზმულები, არ ჰყავთ სხვა მარჩენალი)	2
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან და რომლებსაც ხანდაზმულები უძღვებიან და არ ჰყავთ სხვა მარჩენალი, მაგრამ სიღარიბის დახმარებას არ იღებენ	1
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ქალები უძღვებიან და სიღარიბის დახმარებას იღებენ და რომლებსაც ხანდაზმულები უძღვებიან და არ ჰყავთ სხვა მარჩენალი	1
დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებიც სიღარიბის დახმარებას იღებენ (რომლებსაც კაცები საოჯახო მეურნეობები და რომლებიც ხანდაზმულები არ არიან და არ ჰყავთ სხვა მარჩენალი)	13
საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ხანდაზმულები უძღვებიან, არ ჰყავთ სხვა მარჩენალი საოჯახო მეურნეობაში (რომლებსაც კაცები უძღვებიან, არ იღებენ სიღარიბის დახმარებას)	4
საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც ხანდაზმულები უძღვებიან, არ ჰყავთ სხვა მარჩენალი საოჯახო მეურნეობაში (რომლებსაც კაცები უძღვებიან, სიღარიბის დახმარებას იღებენ)	1

[5] Only one vulnerability criteria applies to this household, it is not woman-headed neither registered as poor.

ცხრილი 15 - შემოსავლის წყაროები და დაზარალებული, მოწყვლადი საოჯახო მეურნეობების დანაკარგები

პროექტის კომპონენტი	მოწყვლადობის კატეგორია	ინტერვიუს დროს გაცხადებული შემოსავლის წყარო						structures affected	crops affected	Trees lost (Num.)	Pasture area
		ხელფასი	პენსია	სოფლის მეურნეობა	მიწის ქირა						
ნენსკრას გზის რემონტი	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი	X		X				1 ღობე	no	0	no
	ქალები უძღვებიან + მოხუცები, რომლებსაც არ ჰყავთ სხვა მარჩენალი		X	X				1 ღობე	no	0	no
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი & ქალები უძღვებიან & ხანდაზმული უძღვება საოჯახო მეურნეობას, არ ჰყავს სხვა მარჩენალი			X	X			1 ღობე, 1 ხის ბეღელი + 1 ხის საქათმე	არა	0	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი & ქალები უძღვებიან		X	X	X			---	არა	0	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი		X	X	X			1 ღობე	არა	0	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი		X	X	X			---	არა	1 (ნიგოზი)	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი		X	X	X			---	არა	3 (ნიგოზი)	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი		X	X	X			---	არა	1 (ნიგოზი)	არა
	ქალები უძღვებიან	X	X	X				2 ღობე	არა	8 (ნიგოზი)	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი	X		X	X			3 ღობე	არა	0	არა
	ქალები უძღვებიან & ხანდაზმული უძღვება საოჯახო მეურნეობებას, არ ჰყავს სხვა მარჩენალი	X		X				1 ღობე	არა	9 (6 ნიგოზი)	არა
	ქალები უძღვებიან		X	X				2 ღობე	არა	0	არა
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი			X	X			2 ღობე	არა	13 (6 ნიგოზი)	არა
ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი	ქალები უძღვებიან			X				---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი			X	X			1 ხის ფაცხა + 1 ღობე	არა	0	კი
	ხანდაზმული უძღვება საოჯახო მეურნეობებას, არ ჰყავს სხვა მარჩენალი		X	X				---	არა	0	კი

პროექტის კომპონენტი	მოწყვლადობის კატეგორია	ინტერვიუს დროს გაცხადებული შემოსავლის წყარო						structures affected	crops affected	Trees lost (Num.)	Pasture area
		ხელფასი	პენსია	სოფლის მეურნეობა	მიწის ქირა	ბენეფიციარი					
	იძულებით გადაადგილებული პირი უძღვება		X					---	არა	0	კი
ნაკრას ჯებირი და წყალამგდები	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი			X				---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი	X		X	X			---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი	X	X	X				---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი			X	X			---	არა	0	კი
	ქალები უძღვებიან			X				---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი		X					---	არა	0	კი
	ხანდაზმული უძღვება საოჯახო მეურნეობებას, არ ჰყავს სხვა მარჩენალი			X				---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი + ქალი უძღვება		X		X		X	---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი	X						---	არა	0	კი
	რეგისტრირებულია როგორც ღარიბი		X			X		---	არა	0	კი
	ხანდაზმული უძღვება საოჯახო მეურნეობებას, არ ჰყავს სხვა მარჩენალი (სეზონური მაცხოვრებელი)		x					---	არა	0	კი

3.3.7 თემის ინფრასტრუქტურა

თემის ინფრასტრუქტურა მეტწილად ელემენტარულია. სკოლის შენობები ცუდ მდგომარეობაშია და რემონტს მოითხოვს, თუმცა მოსახლეობა კმაყოფილია მასწავლებლების პროფესიონალიზმის დონითა და ესმის განათლების მნიშვნელობა. კლინიკები მხოლოდ პირველად სამედიცინო დახმარებას სთავაზობენ მოსახლეობას. პოლიცია მდებარეობს ხაიშში, რომელიც ჭუბერიდან 10 კმ-ით, ხოლოდ ნაკიდან 35 კმ-ითაა დაშორებული. თუმცა, კანონი და წესრიგი მეტწილად თემის მეშვეობით ნარჩუნდება. ჭუბერში რამდენიმე მაღაზიაა, ნაკიში არცერთი. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჭუბერში აქა-იქ მოძრაობს, ხოლოდ ნაკიში საერთოდ არ არსებობს.

მოვაჭრეები ჭუბერს კვირაში რამდენჯერმე სტუმრობენ და მცირე ზომის ფურგუნებით ძირითადი საქონელი ჩამოაქვთ. ნაკიში საჭიროება სუსტია თუნდაც ამ დონის კომერციული საქმიანობის მხარდასაჭერად. ორივე ხეობაში არ არსებობს

შეკეთების მომსახურეობა. რამდენიმე წყლის წისქვილი (სიმინდის) თითოეულ ხეობაშია. თითოეულ თემშია სოფლის ადმინისტრაციის შენობა, თუმცა შენობების მდგომარეობა სავალალოა. ჭუბერში ორი მოქმედი ეკლესიაა, ნაკიში ათი ეკლესიაა, რომელთაგან მხოლოდ სამია მოქმედი. თითოეულ თემში ფეხბურთის მოედანია (დასასვენებლად).

არ არსებობს წყლის მიწოდების კოლექტიური სისტემა. საოჯახო მეურნეობებებს სასმელი წყლის საკუთარი სისტემა აქვთ, რომელიც ეფუძნება მიზიდულობის ძალაზე დამოკიდებულ წყლის მიწოდების სისტემას, წარმოადგენს წყლის წყაროსთან ან ფერდობებზე, მდინარის შენაერთთან მიერთებულ მილებს. მდინარის წყალი სასმელად არ გამოიყენება.

3.3.8 ზაფხულის საძოვრები

საძოვრების მიდამოების გამოყენების უფლება და საკუთრება განისაზღვრება ჩვეულებითი სამართლის უფლებებით. არსებული საძოვრების სავარაუდო ფართობი განისაზღვრა საჰაერო გამოსახულების ინტერპრეტირებით. ამისათვის კონსერვატიული მიდგომა იქნა გამოყენებული (რაც ნიშნავს, რომ გამოთვლილი სავარაუდო მონაკვეთი შესაძლოა ჯეროვნად არ იქნა შეფასებული). ეს იმიტომ მოხდა, რომ მხოლოდ ღია მინდვრები ჩაითვალა და როგორც ცნობილია, საქონელი ტყიან ადგილებშიც ძოვს.

სოფელ ჭუბურის საზაფხულო საძოვრების საერთო მონაკვეთი დაახლოებით 695 ჰა-ია. აღნიშნული რიცხვი არ მოიცავს ლუხისა და ტობარის საძოვრებს, ვინაიდან პროექტის განხორციელება ამ საძოვრებზე ზემოქმედებას არ ახდენს. ლუხისა და ტობარის საძოვრები სოფელ ხაიშის ნაწილია. ნენსკრას კაშხლის წყალსაცავის მშენებლობით დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობებმა განაცხადეს, რომ მათ გააჩნიათ ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებული კოლექტიური უფლება გამოიყენონ მომავალი წყალსაცავისმშენებლობის ადგილას მდებარე საძოვარი, სახელწოდებით მაშრიჭალა. ნენსკრას კაშხლის სამშენებლო ბანაკის აშენებით დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობებმა განაცხადეს, რომ მათ გააჩნიათ ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებული კოლექტიური უფლება გამოიყენონ *ქვემო მემულად* წოდებული საძოვარი, რომელიც კაშხლის სამშენებლო ბანაკის აშენების ადგილზე მდებარეობს, ისევე როგორც ორი სხვა საძოვრის გამოყენების უფლება, რომელიც მდინარე მემულის მიდამოებში მდებარეობს.

სოფელ ნაკის საზაფხულო საძოვრების საერთო არეალი 549 ჰა-ით განისაზღვრება. აღნიშნული არ მოიცავს შტიხირის საძოვარს, ვინაიდან იგი სხვა სოფლის ნაწილია და არ ზარალდება პროექტის განხორციელებით. ნაკრა წყალამგდების მონაკვეთში მცხოვრებმა დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობებმა განაცხადეს, რომ მათ გააჩნიათ ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებული უფლება გამოიყენონ ლაგირად წოდებუი საძოვარი, რომელიც ნაკრა წყალამგდების მონაკვეთში მდებარეობს. მათ ასევე ხელი მიუწვდებათ ნაკრას ხეობის დასავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მდებარე საძოვარზე.

260000 264000 268000 272000 276000

4784000 4780000 4776000 4772000 4768000 4764000 4760000 4756000

Legend

- Pasture Area permanently lost
- Pasture Area affected during construction
- Pasture Area not affected
- Pasture Route

N

WGS 84 UTM 38 N

0 0.5 1 2 3 km

Nenskra Dam and Reservoir

Powerhouse and Switchyard

Nenskra

Okrila

Tita

Tita

Sgurishi

Kari

Zeda Marghi

Devra

Devra

Letsperi

Kvemo Marghi

Lekalmakhi

Kedani

Lakhani

Nenskra

Jorkvali

Enguri

Darchi-Ormeleti

Lukhi

Tobari

Khaishi

Skordzeti

Lalkhorali

Khaishi

3339 m 3202 m 3584 m 3806 m 2927 m 2679 m 2551 m 2004 m 2701 m 3257 m 2084 m 2370 m 1842 m 1849 m 1342 m

SLR global environmental solutions

JSC Nenskra Hydro

NENSKRA HYDROPOWER PROJECT

Supplementary Environmental & Social Studies

რეგისტრირებუ ლი მიწის მფლობელი (მიწა, რომლის დაკანონება შესაძლებელია)	*(ამგვარი შემთხვევა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა)* *ახალი სახლში დასახლების პროგრამა (განსახლების ადგილის გამოვლენა და უზრუნველყოფა და აუცილებლობის შემთხვევაში დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფა + გადასახლების დახმარება და შეშფოთება + ტრანსპორირება + მინიმუმ სამთვიანი დახმარება + აუცილებლობის შემთხვევაში, კონკრეტული საარსებო საშუალების აღდგენა*	მუდმივი დანაკარგი: კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით. დროებითი დანაკარგი: მოხდება მიწის დაქირავება. თუკი საცხოვრებელი ნაკვეთი გამოუყენებადი გახდება, თუკი დაზარალებული პირი ამას მოისურვებს, პროექტი ამგვარ ნაკვეთს სრულად შეიძენს.	მუდმივი დანაკარგი: კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით. დროებითი დანაკარგი: მოხდება მიწის დაქირავება. თუკი საცხოვრებელი ნაკვეთი გამოუყენებადი გახდება, თუკი დაზარალებული პირი ამას მოისურვებს, პროექტი ამგვარ ნაკვეთს სრულად შეიძენს.	კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით + უფლება გადარჩენილ მასალაზე (კომპენსაციის პაკეტზე გავლენას არ მოახდენს).	კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით	ფურაჟის მიწოდება გარდამავალ პერიოდში (ფულით ან ნატურით ანაზღაურება, იხ. თავი 7.2.)	გადახდის გადაადგილ ების საფლავები, და ნებისმიერი დაკავშირებ ული ხარჯები ცერემონიალ ი ან ფულადი კომპენსაცია უნდა შეთანხმდეს ადგილმონა ცვლე საფლავების გადატანისა თვის ან რელიგიურ რიტუალთან დაკავშირებ ული თანხის გადახდა ან ფულადი კომპენსაცია შეთანხმდებ ა პროექტით დაზარალებ	არ ეხება

დაზარალებული მოსახლეობის კატეგორია	სახლის დაკარგვა (სახლი, რომელშიც ბინადრობენ) ფიზიკური გადასახლება	საცხოვრებელი მიწის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე და სხვა ნაგებობები (ხის ფაცხა, ღობეები)`	მარცვლეულის, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლეულის ზარალი	საძოვრის ან ხე-ტყის დამზადების უბნების ზარალი (ერთობლივად გამოყენებული)	საფლავები 1 შემთხვევა გამოვლინდა ელექტროსა დგურზე)	საჯარო ინფრასტრ უქტურის ზარალი
							ულ პირთან [6].	
მიწის მფლობელი, რომელის მიწაც ჯერ კიდევ უნდა დარეგისტრირდეს (მიწა, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია)	როგორც ზემოთ	როგორც ზემოთ+ დახმარება დარეგისტრირებაში	როგორც ზემოთ+ დახმარება დარეგისტრირებაში	როგორც ზემოთ	როგორც ზემოთ	როგორც ზემოთ+ დახმარება დარეგისტრირებაში	როგორც ზემოთ	არ ეხება
მიწის მფლობელი, რომლის მიწის დაკანონებაც შეუძლებელია	როგორც ზემოთ	კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუკი საცხოვრებელი ნაკვეთი გამოუყენებადი გახდება, თუკი დაზარალებული პირი ამას მოისურვებს, პროექტი ამგვარ ნაკვეთს სრულად შეიძენს.	კომპენსაცია სრული ჩანაცვლების ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუკი საცხოვრებელი ნაკვეთი გამოუყენებადი გახდება, თუკი დაზარალებული პირი ამას მოისურვებს, პროექტი ამგვარ ნაკვეთს სრულად შეიძენს.	როგორც ზემოთ	როგორც ზემოთ	ფურაჟის მიწოდება გარდამავალ პერიოდში (ფულით ან ნატურით ანაზღაურება, იხ. თავი 7.2.)	როგორც ზემოთ	არ ეხება

[6] The displacement of the graves will be made in compliance with the Georgian sanitary code. The religious authorities will be informed and consulted on the approach to be followed for the displacement of the graves.

დაზარალებული მოსახლეობის კატეგორია	სახლის დაკარგვა (სახლი, რომელშიც ბინადრობენ) ფიზიკური გადასახლება	საცხოვრებელი მიწის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე და სხვა ნაგებობები (ხის ფაცხა, ღობეები)`	მარცვლეულის, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლეულის ზარალი	საძოვრის ან ხე-ტყის დამზადების უბნების ზარალი (ერთობლივად გამოყენებული)	საფლავები 1 შემთხვევა გამოვლინდა ელექტროსა დგურზე)	საჯარო ინფრასტრუქტურის ზარალი
გამქირავებელი/მოიჯარე (ამგვარი შემთხვევა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა)	თუკი ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, დაქირავების ფულადი დახმარება ზემოქმედების პერიოდის განმავლობაში. თუკი ზემოქმედება მუდმივია, დაქირავების ფულადი დახმარება სამი თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.	თუკი ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, დაქირავების ფულადი დახმარება ზემოქმედების პერიოდის განმავლობაში. თუკი ზემოქმედება მუდმივია, დაქირავების ფულადი დახმარება სამი თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.	არ ეხება	თუკი ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, დაქირავების ფულადი დახმარება ზემოქმედების პერიოდის განმავლობაში. დაქირავების ფულადი დახმარება სამი თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება
სასოფლო-სამეურნეო მდგმურები (არენდატორები) და მოიჯარე-მონახევრეები (ამგვარი შემთხვევა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა)	არ ეხება	არ ეხება	დაქირავების ფულადი დახმარება სამი თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.	თუკი ზემოქმედება მხოლოდ დროებითია, დაქირავების ფულადი დახმარება ზემოქმედების პერიოდის განმავლობაში. დაქირავების ფულადი დახმარება სამი	კომპენსაცია მარცვლეულისა და წლიური კულტურების სრული ჩანაცვლების ღირებულებით. დაქირავების ფულადი დახმარება სამი თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი	დაქირავების ფულადი დახმარება სამი თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.	არ ეხება	არ ეხება

დაზარალებული მოსახლეობის კატეგორია	სახლის დაკარგვა (სახლი, რომელშიც ბინადრობენ) ფიზიკური გადასახლება	საცხოვრებელი მიწის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე და სხვა ნაგებობები (ხის ფაცხა, ღობეები)`	მარცვლეულის, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლეულის ზარალი	საძოვრის ან ხე-ტყის დამზადების უბნების ზარალი (ერთობლივად გამოყენებული)	საფლავები 1 შემთხვევა გამოვლინდა ელექტროსა დგურზე)	საჯარო ინფრასტრუქტურის ზარალი
				თვის განმავლობაში + დახმარება ჩასანაცვლებელი ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.	ქონების გამოსავლენად, დაქირავებისათვის ან არენდით ასაღებად.			
დაზარალებული ბიზნესის მფლობელი (ამგვარი შემთხვევა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა)	არ ეხება	ფულადი ანაზღაურება, რომელიც განისაზღვრება ერთი წლის წმინდა (ნეტო) შემოსავლით. შეფასება დაეფუძნება საგადასახადო დეკლარაციას ან ასეთი არ არსებობის შემთხვევაში, გამოითვლება საარსებ მინიმუმის საფუძველზე.					არ ეხება	არ ეხება
დაზარალებული ბიზნესის მუშაკი/თანამშრომელი (ამგვარი შემთხვევა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა)	არ ეხება	ფულადი ანაზღაურება დაკარგული ხელფასებისათვის, რომელიც განისაზღვრება სულ მცირე სამი თვისა და ექვს თვემდე ხელფასის ოდენობით, სულ მცირე საარსებო მინიმუმის ოდენობით + საარსებო საშუალებების აღდგენის ზომებში მონაწილეობის მიღების უფლების ქონით (იხ. თავი 7).					არ ეხება	არ ეხება
თემი (ნეკრას ჯებირის მშენებლობით დაზიანებული 1 ხიდი. აშენების შემდეგ ნეკრას ჯებირი ხიდად იქნება გამოყენებული)	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	არ ეხება	დაზიანებული, სხვადასხვა ტიპის ნაგებობების აღდგენა მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით

დაზარალებული მოსახლეობის კატეგორია	სახლის დაკარგვა (სახლი, რომელშიც ბინადრობენ) ფიზიკური გადასახლება	საცხოვრებელი მიწის დაკარგვა	სახნავ-სათესი მიწის დაკარგვა	სახლები, დამხმარე და სხვა ნაგებობები (ხის ფაცხა, ღობეები)`	მარცვლეულის, ხეების, ერთწლიანი და მრავალწლიანი მარცვლეულის ზარალი	საძოვრის ან ხე-ტყის დამზადების უბნების ზარალი (ერთობლივად გამოყენებული)	საფლავები 1 შემთხვევა გამოვლინდა ელექტროსა დგურზე)	საჯარო ინფრასტრუქტურის ზარალი
სოციალურად დაუცველი ადამიანები (განსაზღვრულია თავ 3.3.6.-ში)	იგივე ზომები რაც ზემოთ, კონკრეტული დახმარება და მოწყვლადობის შემწეობა, რომელიც პროექტის ფარგლებში დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის გაიცემა და რომელიც სამ თვემდე საარსებო მინიმუმის დახმარების ტოლია, 326 ლარი როგორც საარსებო მინიმუმი თვეში, სამი თვისათვის = 978 ლარს) კონკრეტული დახმარება, რომლის მიზანია თემის ინვესტირების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობებიდან სარგებლობის მიღება.							არ ეხება
მნიშვნელოვნად დაზარალებული ადამიანები (რომლებიც პროდუქტიული/ შემოსავლის მომტანი აქტივების 10%-ს ან მეტს კარგავენ)	იგივე ზომები რაც ზემოთ + საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები მნიშვნელოვნად დაზარალებული ადამიანებისათვის (იხ. თავი 7.3.)							არ ეხება
უმძიმესად დაზარალებული ადამიანები (რომლებიც პროდუქტიული/ შემოსავლის მომტანი აქტივების 20%-ზე მეტს კარგავენ)	იგივე ზომები რაც მნიშვნელოვნად დაზარალებული ადამიანებისათვის + საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები უმძიმესად დაზარალებული ადამიანებისათვის (იხ. თავი 7.4.) + უმძიმესი ზემოქმედების შემწეობა, რომელიც სამ თვემდე საარსებო მინიმუმის დახმარების ტოლია, 326 ლარი როგორც საარსებო მინიმუმი თვეში, სამი თვისათვის = 978 ლარს)							არ ეხება

შემდეგი პუნქტები დეტალურად განსაზღვრავს ცხრილ 30-ში წარმოდგენილ, ზოგიერთ კონკრეტულ უფლებას.

A. დახმარება დაზარალებული, მოწყვლადი საოჯახო მეურნეობებისათვის

თუკი, მიუხედავად აქტივების სრულად და დროულად ანაზღაურებისა, სოციალურად დაუცველი ოჯახი გაღარიბების გაზრდილი რისკის წინაშეა, ოჯახს უფლება ექნება მიიღოს დახმარება სამ თვემდე, რომელიცსაარსებო მინიმუმის ექვივალენტია. როგორც ეს თავ 3.3.6-შია მოცემული, საოჯახო მეურნეობები სოციალურად დაუცველია, თუკი ისინი:

- სოციალური სერვისის მიმწოდებელ ადგილობრივ ორგანიზაციაში არიან დარეგისტრირებული;
- საოჯახო მეურნეობებს ქალები უძღვებიან;
- საოჯახო მეურნეობების უფროსი ხანდაზმულია და სხვა მარჩენალი არ ჰყავს;

აღნიშნული ოჯახები მიიღებენ დახმარებას სამი თვის განმავლობაში თვეში 326 ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანობაში 978 ლარის ტოლია. აღნიშნული დახმარების ოდენობა აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნულის სამსახურის მიერ დადგენილი საარსებო მინიმუმის ოდენობიდან, რომელიც 2015 წლის ოქტომბერში ხუთსულიანი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმს შეადგენდა.

გარდა ამისა, შესამსუბუქებელი გარემოებების გარდა, მოწყვლადი ოჯახების დასახმარებლად და მათი ცხოვრების სტანდარტების გასაუმჯობესებლად, ისინი ასევე მიიღებენ კონკრეტულ დახმარებას და ისარგებლებენ თემის საინვესსტიციო გეგმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით. თემის საინვესტიციო გეგმა წარმოადგენს პროექტის მიერ განსაზღვრულ სარგებლობის განაცილების მექანიზმს - იხ. თავი 8 - ESMP).

B. დახმარება უმძიმესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის

როდესაც პროექტით დაზარალებული პირების პროდუქტიული აქტივების 20 პროცენტზე დაზარალდება (მაგალითად, სახნავ-სათესი მიწა და/ან სათიბი), პროექტით დაზარალებული პირი მიიღებს დამატებით შემწეობას უკიდურესად მძიმე ზემოქმედებისათვის, რომელიც საარსებო მინიმუმის სამი თვის დახმარების ტოლია. მინიმუმის საარსებო დახმარება 326 ლარია, სამი თვისათვის = 978 ლარს თითოეულ საოჯახო მეურნეობაზე. პროექტის განხორციელების შედეგად უკიდურესად დაზარალებული პირებს უფლება ექნებათ მიიღონ კონკრეტული შემწეობა მათი მფლობელობის სტატუსისაგან დამოუკიდებლად.

უკიდურესად დაზარალებული პირებს უფლება ექნებათ მიიღონ საარსებო საშუალების აღდგენის ზომები, როგორც ეს თავ 7-შია განსაზღვრული.

C. მიწის გამოუყენებელი ნაკვეთი

როდესაც მიწის ნაკვეთის საცხოვრებელი, დაუზიანებელი ნაწილები ხელმიუწვდომელი, გამოუყენებელი ან ეკონომიკურად გამოუსადეგარი ხდება, მფლობელის სურვილის შემთხვევაში, პროექტი სრულად შეიძენს დაზიანებულ მიწის ნაკვეთს. საცხოვრებელი მიწის ნაკვეთი ჩაითვლება გამოუყენებლად ან ეკონომიკურად გამოსადეგრად, თუკი მისი ზომა (ძალიან მცირე), ფორმა, ტოპოგრაფია... იმგვარია, რომ დარჩენილი ნაწილის დამუშავება შეუძლებელია ან

ფიზიკურად მიუწვდომელია, და/ან მთელს მიწაზე ადრე ჩატარებული სამუშაოები ვერ გაგრძელდება პროექტის მიერ მიწის შესყიდვის შემდეგ.

D. კომპენსაციის გადახდა

პროექტით დაზარალებულ პირზე კომპენსაციის გადახდა საბანკო გადარიცხვის მეშვეობით მოხდება. კომპენსაცია გადაირიცხება მის საბანკო ანგარიშზე ან გამოიწერება ჩეკი. ამ შემთხვევებში, პროექტი განახორციელებს ზომებს, რათა უზრუნველყოს ის, რომ პროექტით დაზარალებულმა პირმაშეძლოს ბანკში მისვლა და თანხების გამოტანა მისთვის მოსახერხებელ დროს. ამ შემთხვევებში, პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია ითანამშრომლებს ბანკებთან რეგიონალურ ცენტრებში რათა ბანკებმა მიიღონ არამეანაბრე პირები და დაეხმარონ მათ საჭიროებიდან გამომდინარე.

შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენება საბანკო ანგარიშები, რომლებსაც პროცენტები ერიცხებათ.

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური ჯგუფი შეინახავს კომპენსაციისა და გადახდის ჩანაწერებს (ყოველთვიურად), რათა უზრუნველყოს გადახდის ეფექტური მონიტორინგი და პროექტის მიერ დაზარალებული ადამიანებისათვის განკუთვნილი თანხების გამჭირვალე გამოყენება.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთებს, რომელთა დაკანონებაც შეუძლებელია, კომპენსაციის შეთანხმება გაიცემა საოჯახო მეურნეობის ორივე ცოლ-ქმრისა და უფროსის სახელზე... საჭიროების შემთხვევაში, პროექტი დაეხმარება დაზარალებულ პირებს გახსნან საბანკო ანგარიშები ცოლისა და ქმრის სახელზე. კომპენსაცია გაიცემა საოჯახო მეურნეობის უფროსზე, თუკი დაზარალებულ მეურნეობას მხოლოდ ქალი უძღვება. რეგისტრირებული საოჯახო მიწებისათვის, გადახდა მოხდება მიწის მფლობელი პირისათვის და პროექტი უზრუნველყოფს, რომ ორივე ცოლ-ქმარმა მიიღოს ერთნაირი ინფორმაცია გადახდისა და კომპენსაციის პროცესის შესახებ.

6 ქონების დანაკარგის შეფასება

ეს თავი აღწერს მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება ქონების დაკარგვის შემთხვევაში კომპენსაციის განაკვეთების დასადგენად. ეს თავი მხოლოდ დაკარგული აქტივების შეფასებას აღწერს. შესაძლო ფიზიკური გადასახლების შემთხვევებში (დღეისათვის ამგვარი შემთხვევა არ არსებობს) საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები აღწერილია თავ 5.2-ში - უფლებები და თავ 7-ში - საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამა.

შეფასების მეთოდოლოგიის დეტალური აღწერა, მათ შორის ერთეულის განაკვეთები, მოცემულია დანართ 2-ში.

LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის შედგენის მომენტისათვის, 2017 წლის იანვარში, ინვენტარიზაცია და შეფასება ჩატარდა მხოლოდ ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის, ნაკრას წყალამგდების, ელექტროსადგურის და ნენსკრას გზის რემონტის პროექტისათვის (იხ. თავი 1.1.5). დარჩენილი კომპონენტევისათვის, შემდგომში აღწერილი მეთოდოლოგია გამოყენებულ იქნება LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განახლებისას (2017 წლის აპრილისათვის ელექტროენერგიის მიწოდების ხაზების, ელექტროსადგურის მშენებლობის ბანაკისა და განთავსების უბნებისათვის და 2017 წლის ივლისისათვის ნაკრას გზის რემონტისათვის).

6.1 შეფასებისათვის აქტივების მონაცემების შეგროვება

დაზარალებული საოჯახო მეურნეობების გამოსავლენი ნაბიჯები აღწერილია თავ 3-ში. ქვემოთ მოცემულია მათი შეჯამება.

- სოციო-ეკონომიური კვლევა: სოციო-ეკონომიური კვლევა საოჯახო მეურნეობის დონეზე ჩატარდა ყველა საოჯახო მეურნეობისათვის, რომელიც ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში მუდმივად ცხოვრობს;
- საძოვრების რუქების შედგენა;
- პროექტის ფარგლებში მიწის გამოყენების საზღვრები (იხ. თავი 4);
- საკადასტრო კვლევა: გეოდეზისტებმა შეისწავლეს საკადასტრო სერვისები რაიონისა და ეროვნულ/ცენტრალურ დონეზე დაზარალებული მიწის სხვადასხვა სამართლებრივი კატეგორიების და პროექტისათვის საჭირო მიწის რეგისტრაციის სტატუსის შესასწავლად. გამოვლინდა დარეგისტრირებული მიწის ყველა ნაკვეთი.
- მიწის აზომვა: ჩატარდა საველე დათვალიერება, რომლის მიზანიც მოძიებული საკადასტრო ტოპოგრაფიული გეგმის გადამოწმება და განახლება იყო ადგილობრივ მოსახლეობაში დაურეგისტრირებელი მიწის მხედველობაში მიღებით. მიწა, რომელიც ჯერ კიდევ დაურეგისტრირებელია, მაგრამ მიმდინარეობს რეგისტრაცია ან როდესაც ჩამოთვლილ იქნა რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები. მოხდა ყველა დაზარალებული მიწის რუკის შედგენა (იხ. დანართი 2).

- აქტივების ინვენტარიზაცია: ჩატარდა აქტივების ინვენტარიზაცია პროექტის ფარგლებში გამოყენებული მიწის საზღვრის ფარგლებში მდებარე ყველა აქტივის სრული სიის დასადგენად. მათი არსი, ასაკი, ზომა, პროდუქტიულობა და ყველა სხვა შესაბამისი მახასიათებლები ჩაიწერა, აქტივებს გადაუღეს სურათები. თუკი დაზარალებული პირი ადგილზე არ იმყოფებოდა, გუნდი მოგვიანებით დაბრუნდა აქტივის ინვენტარიზაციის განსახილველად.

აღნიშნული ნაბიჯები გადაიდგა შემდეგ ობიექტებზე: ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი, ნაკრას წყალამღები, ელექტროსადგური და ნენსკრას გზის გაფართოების პროექტი სოფელ ჭუბერში. ეს ნაბიჯები გადაიდგმევა იმ ინფრაქსტრუქტურისათვის, რომელიც მოცემული ანგარიშის შედგენის მომენტისათვის განსაზღვრული არ არის და რომელიც მოიცავს შემდეგ ობიექტებს: 110 კვ ელექტროენერგიის გადაცემის ხაზი, მომსახურების ხაზი, ნაკრას გზის რემონტი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ინფრასტრუქტურა ან მიწა, რომელიც პროექტისათვის აუცილებელი იქნება.

6.2 სრული ჩანაცვლების ღირებულება როგორც კომპენსაციის საფუძველი

შესყიდული მიწისა და აქტივების შეფასების პრინციპები შემუშავდა კრედიტორების იძულებითი განსახლების პოლიტიკის მოთხოვნებისა და საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად. შეფასების პროცესი განისაზღვრა ყველა აქტივის სრული ჩანაცვლების ღირებულების შესაფასებლად.

იქ, სადაც შეუძლებელია ნატურით კომპენსაციის გაცემა (მაგალითად, მიწა მიწისათვის), კრედიტორები ითხოვენ, რომ ქონების დაკარგვის შემსუბუქებისასთვის გაცემული კომპენსაციის საფუძვლად სრული ჩანაცვლების ღირებულება გამოვიყენოთ. ნენსკრას პროექტისათვის გადაწყდა ფულადი კომპენსაციის და არა ნატურით კომპენსაციის შეთავაზება. აღნიშნული გადაწყვეტილება ნაწილობრივ დაზარალებული მოსახლეობის პრეფერენციით და ნაწილობრივ, ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში, შესაფერისი/ვარგისი, ალტერნატიული მიწის ნაკვეთების სიმწირითაა გამოწვეული. სახნავ-სათესი მიწა უკვე თითქმის მთლიანადაა გამოყენებული, ხოლო დარჩენილი მიწა უმეტესად უნაყოფოა. დაუზარალებელი საოჯახო მეურნეობებიდან მიწის ნაკვეთების შესყიდვა მიწის ხელმისაწვდომობის პრობლემის ერთი საოჯახო მეურნეობიდან მეორეზე გადატანად შეფასდა.

6.3 აქტივების შეფასება და კომპენსაციის ღირებულება

აქტივების შეფასება ჩატარდა შ.პ.ს. ათოსი-ის მიერ, რომელიც წარმოადგენს პროექტის მიერ დაქირავებულ, ოფიციალურად აკრედიტირებულ დამოუკიდებელ შემფასებელს. შეფასება ჩატარდა 2015 წლის ოქტომბერ-დეკემბერში. ექსპერტმა მხედველობაში მიიღო ცნობები წინა შეფასებების შესახებ (იქ, სადაც ეს შესაძლებელია) და ასევე გამოიყენა ბაზრის კვლევის ინფორმაცია, რომელიც სამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარდა და საჯაროდაა ხელმისავდომი. ბაზრის პირობების გამო, ვინაიდან ბაზრის ფასები, მთელს საქართველოში ერთი და იგივე არ არის, მხედველობაში იქნა მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტში

მოპოვებული ადგილობრივი ბაზრის ფასები. შეფასების დეტალური მეთოდოლოგია და ერთეულის განაკვეთები მოცემულია დანართში 2.

სრული ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრა აქტივების საბაზრო ღირებულებად, რომელსაც დაემატა ტრანზაქციის ხარჯები. ნაგებობებისა და აქტივების ამორტიზაცია მხედველობაში არ იქნა მიღებული. დაზარალებულმა ადამიანებმა არ უნდა გამოიყენონ საკუთარი ფინანსური რესურსები იგივე ღირებულების აქტივების ჩასანაცვლებლად. ეს ნიშნავს, რომ მათი ჩანაცვლების ხარჯები მოიცავს გადარიცხვის გადასახადებს, სარეგისტრაციო მოსაკრებელს და მიწის შესყიდვისათვის აუცილებელ სხვა ხარჯებს. ამდენად, სრული ჩანაცვლების ღირებულების გამოთვლა დაეფუძნა:

- გასხვისების მომენტისათვის საბაზრო ღირებულებას პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე (ანუ მესტიის მუნიციპალიტეტში);
- ტრანზაქციის და/ან ლეგალიზაციის ხარჯებს;
- გარდამავალი პერიოდის და აღდგენის ხარჯებს (მიწის მომზადება და/ან შეცვლა) და
- გადახდის სხვა მეთოდს, რომელიც მოცემული შემთვევისათვისაა შესაფერისი.

დაზიანებული აქტივების შეფასების მეთოდოლოგია აღწერილია ქვემოთ.

- მიწა: მიწის სრული ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრა ადგილობრივ ბაზარზე არსებული ტარიფების (მესტიის მუნიციპალიტეტი) მხედველობაში მიღებით, რომელსაც დაემატა აუცილებელი ტრანზაქციის ხარჯი, რომელიც აუცილებელია რეგისტრაციისათვის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რაიონულ დონეზე რეგისტრაციის ოფისსა და საკუთრების უფლებების აღიარების რაიონულ კომისიაში. საბაზრო ფასები განისაზღვრა მიწის ტიპის, მისი გამოყენებისა და ადგილმდებარეობის მხედველობაში მიღებით.
- <u>სახლები, დამხმარე ნაგებობების და შენობები.</u> სახლების, ხის ფაცხის, დამხმარე ნაგებობისა და ღობეების სრული ჩანაცვლების ღირებულება განისაზღვრება ნაგებობის ტიპის, მასალის ღირებულების, ტრანსპორტირებს, მშენებლობის ტიპის, მიწის მომზადების, მუშახელის, და სხვა სამშენებლო ხარჯების მიმდინარე განაკვეთებზე დაყრდნობით. დადგენილი ღირებულება ღირებულებაა, რომელიც აუცილებელია მსგავსი შენობის ან ნაგებობის ასაშენებლად, ანუ, რა დაჯდებოდა დღეს, იგივე პარამეტრებით შენობის აშენება. ამორტიზაციის ხარჯების გამოქვითვა არ ხდება.
- <u>მარცვლეული</u>: მარცვლეული ფასდება მოსავლის ორ სეზონს შორის შუა პერიოდში დაკარგული მოსავლის ადგილობრივ საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით. საბოლოო ჯამში, პროექტით დაზარალებულ პირებზე გაიცემა ერთ წელზე მეტი პერიოდის კომპენსაცია. პირველი ნათესის შემდეგ კომპენსაცია მთლიანი საბაზრო ღირებულებით გაიცემა.
- <u>უნაყოფო ხეები</u> ანაზღაურდება მომავალ შემოსავალზე დაყრდნობით, რომელიც იკარგება ხის ხელახლა გასაზრელად აუცილებელი წლებისათვის, იმავე ასაკამდე/ნაყოფიერების პოტენციალამდე, როდესაც ხე მოიჭრა. უნაყოფო ხეები ანაზღაურდება იმ ინვესტიციის საფუძველზე, რომელიც აუცილებელია ხის გასაზრდელად იმ ასაკამდე, როდესაც მოიჭრა.

6.4 დაზარალებული ადამიანების მიერ კომპენსაციის ღირებულების მოწონება

დაზარალებული ადამიანების მიერ კომპენსაციის ღირებულების მოწონების პროცესი შემდეგში მდგომარეობს:

- ერთეულის ღირებულების საჯაროდ გამოცხადდება შეხვედრებზე, რომელიც მოეწყობა LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის სამუშაო ვერსიის განსაჯაროებისას 2017 წლის მარტ-ივნისში.
- როდესაც ქონებრივი ზარალის შეფასება დასრულდება, შეფასების შედეგებით ჩატარდება აქტივების ინვენტარიზაცია. შემდეგ, შემფასებელი დაბრუნდება დაზარალებულ ადამიანებთან საპარტნიორო ფონდთან, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალურ ჯგუფთან (განსახლების განყოფილება) და მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად შეფასების შედეგის მოწონებისა და საკომპენსაციო პაკეტის ღირებულების განსახილველად. იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული ადამიანები დაეთანხმებიან ინვენტარიზაციის შედეგებს და საკომპენსაციო ღირებულებას, ისინი ხელს მოაწერენ ფორმას განსახლების განყოფილებისა და მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად. ხელმოწერილი ფორმის ერთი ასლი გადაეცემა დაზარალებულ ადამიანებს, ხოლო მეორე შეინახება განსახლების განყოფილებაში.
- იმ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებული ადამიანები არ დაეთანხმებიან შეფასების შედეგს, მათთან იწარმოება ინდივიდუალური მოლაპარაკება (1) გამოყენებული მეთოდოლოგიის დეტალურად ასახსნელად, (2) დაზარალებული ადამიანის მოსაზრებისა და უთანხმოების მიზეზის გასაგებად, (3) აუცილებლობის შემთხვევაში, შეფასების გადახედვა დაზარალებული ადამიანების მიერ მოწოდებული ელემენტების გათვალისწინებით.
- თუკი დაზარალებული ადამიანები კვლავაც არ ეთანხმებიან შეფასების შედეგს, მათ შეუძლიათ მიმართონ საჩივრის განხილვის მექანიზმს.
- როდესაც შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია ან როდესაც დაზარალებული ადამიანები ნებისმიერ მეგობრულ მორიგებას ეწინააღმდეგებიან, მეგობრული მორიგების როცესი დასრულდება და ექსპროპრიაციის პროცესი დაიწყება, როგორც ეს აღწერილია თავში 2.

7 საარსებო საშუალების აღდგენის პროგრამა

7.1 მიმოხილვა

საარსებო საშუალებების აღდგენა აუცილებელი არ არის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მაგრამ კრედიტორების პოლიტიკა მოითხოვს საარსებო საშუალებების მნიშვნელოვნად ან უკიდურესად მძიმედ დაზარალებისას საარსებო საშუალებების აღდგენას. ზემოქმედება საარსებო საშუალებებზე აღწერილია თავში 4.3. და საოჯახო მეურნეობები, რომლებზეც პროექტი მნიშვნელოვან ან უკიდურესად მძიმე ზემოქმედებას მოახდენს, შეჯამებულია შემდეგ ცხრილში.

ცხრილი 31 - მნიშვნელოვნად და უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების შეჯამება

პროექტის კომპონენტი	დაკარგული რესურსები და პროდუქტიული აქტივები	საოჯახო მეურნეობების რ-ბა, რომლებიც საძოვარს დაკარგავენ	მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რ-ბა	უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების რ-ბა,
კაშხალი და წყალსაცავის უბანი	მიწა და საძოვრის ტერიტორიები	20	11	9
ნენსკრას გზა	ხეები, ნაგებობები და მიწა	---	---	---
ელექტროსადგური	სახნავ-სათესი მიწა და ბაღები	---	---	4
ნაკრას წყალამღები	მიწა და საძოვარი ტერიტორიები	27	---	---

საოჯახო მეურნეობები, რომლებიც დაკარგავენ საძოვრის მიწას (დროებით ან მუდმივად) მიიღებენ ფურაჟს გარდამავალი პერიოდისათვის შვიდი წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობები სარგებელს მიიღებენ შემდეგით

- შეღავათიანი დაქირავება და უნარ-ჩვევების სწავლება/ტრენინგი;
- დახმარება მიღებული ფინანსური კომპენსაციის მართვაში;
- მხარდაჭერა არსებული ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;
- შემოსავლის ალტერნატიული წყაროს განვითარებისათვის აუცილებელი ინიციატივების მხარდაჭერა;
- დახმარება მიწის საკუთრების დაკანონებაში.

უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობები სარგებელს მიიღებენ შემდეგით:

- საარსებო საშუალების ადღგენის ყველა ზომა, რომელიც ხელმისაწვდომია მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის (იხ. ზემოთ).
- დახმარება მესაქონლეობის მდგრადი წარმოების განვითარებაში;
- დახმარება თხილის გაზრდასა და გაყიდვაში;
- დახმარება მეფუტკრეობის განვითარებასა და თაფლის გაყიდვაში;
- დახმარება მებაღეობის განვითარებაში.

ზემოთ აღწერილი ზომები უფრო დეტალურად მომდევნო თავებში განიხილება. ს.ს. ნენსკრას ჰესი საკუთარი ინიციატივით ასევე დააფინანსებს თემის ინვესტირების პროგრამას. თემის ინვესტირების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები არ წარმოადგენს საკომპენსაციო ან საარსებო საშუალების აღდგენის ზომას, მაგრამ ისინი შეავსებენ საარსებო საშუალების აღდგენის ზომებს (იხ. თავი 8 - ESMP თემის ინვესტირების პროგრამის აღწერისათვის).

7.2 ფურაჟის ტრანზიტული მიწოდება

მიწისა და აქტივების დაკარგვისათვის გაცემული კომპენსაციის გარდა, საოჯახო მეურნეობების ყველა ჯგუფი, რომელიც საძოვრის დაკარგვით დაზარალდება, მიიღებს ფურაჟის ტრანზიტულ მიწოდებას (ნატურით ან ნაღდი ფულით).

ფურაჟის დროებითი მიწოდება საოჯახო მეურნეობებისათვის მათ შესაძლებლობას მისცემს გამოკვებონ საქონელი ტრანზიტული პერიოდის განმავლობაში, იმ დროს, როდესაც ისინი დაკარგავენ საძოვრებისადმი ხელმისაწვდომობას და როდესაც, ყველა სხვა შესამსუბუქებელი ზომა, მათ შორის, საარსებო საშუალების აღდგენის ზომები განხორციელდა და ექსპლუატაციაშია. მიწოდებული ფურაჟის რაოდენობა საკმარისი იქნება მსხვილფეხა საქონლის იმ რაოდენობის გამოსაკვებად, რომელიც საოჯახო მეურნეობის საკუთრებაში იყო საძოვარზე ხელმისაწვდომობის დაკარგვამდე.

ტრანზიტული მიწოდება უზრუნველყოფილია სამშენებლო საქმიანობების ხუთი წლის განმავლობაში და ოპერირების/ექსპლუატაციაში გაშვების დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში. აღნიშნული შვიდწლიანი პერიოდი მოიცავს სამშენებლო საქმიანობით გამოწვეულ საძოვრის დროებით დაკარგვას, ისევე როგორც დროს, რომელიც საჭიროა სამშენებლო ნაგებობების აღების შემდეგ დროებითად დაზარალებული საძოვრების აღსადგენად.

საძოვრების დაკარგვით დაზარალებული საოჯახო მეურნეობების ჯგუფებს შესთავაზებენ მიიღონ ფურაჟის ტრანზიტული მიწოდება ნაღდი ფულით ან ნატურით.

- იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული საოჯახო მეურნეობა აიჩევს ტრანზიტული მიწოდების ნაღდი ფულით და არა ნატურით მიღებას, ტარიფი წლიურად შესწორდება შვრიის 1 კგ საბაზრო ღირებულებაზე დაყრდნობით, ყოველი წლის დასაწყისში, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური ჯგუფის მიერ ბაზრის კვლევაზე დაყრდნობით.

- იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული საოჯახო მეურნეობა აირჩევს ტრანზიტული მიწოდების ნატურით მიღებას, დაზარალებული საოჯახო მეურნეობის თითოეული ჯგუფის წარმომადგენლები აირჩევიან ს.ს. ნენსკრა ჰიდროსთან ერთად ფურაჟის მიმწოდებლის შესარჩევად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მშრალი და მწვანე ფურაჟის ხარისხი და რაოდენობა იყოს დამაკმაყოფილებელი.

7.3 საარსებო საშუალებების აღდგენა მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის

7.3.1 შეღავათიანი დაქირავება და უნარ-ჩვევების სწავლება/ტრენინგი

პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვით დაზარალებული ადამიანებმა დაადასტურეს, რომ სურთ სარგებელი მიიღონ პროექტის ფარგლებში არსებული დასაქმების შესაძლებლობებით. შედგა ორივე ხეობაში მუდმივად მცხოვრები საოჯახო მეურნეობების, მათ შორის პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვით დაზარალებული საოჯახო მეურნეობების, უნარ-ჩვევების რუკა და ჩატარდა ინვენტარიზაცია, რომელთა შედეგადად გამოვლინდა შემდეგი ზომები:

- დასაქმებისას უპირატესობა მიეცემა ადამიანებს, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები.
- პროექტი იმუშავებს ადგილობრივ თემებთან, რათა მაქსიმალურად გაზარდოს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება მშენებლობის პერიოდში წყალსაცავის ტერიტორიის მცენარეულობისაგან გაწმენდით სამუშაოებში.
- პროექტით დაზარალებული საოჯახო მეურნეობების უნარ-ჩვევების სამუშაო ასაკის წევრებისათვის შემუშავდება უნარების განვითარების ტრენინგების პროგრამა.

7.3.2 დახმარება მიღებული ფინანსური კომპენსაციის მართვაში

საოჯახო მეურნეობებისათვის მიწოდებული ფულადი კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს საოჯახო მეურნეობების ჩვეულ შემოსავლებსა და დანაზოგებს. შესაბამისად, პროექტი დააფინანსებს სემინარების ციკლს ფინანსურ მენეჯმენტში და დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს მოიწვევს სემინარებში მონაწილეობის მისაღებად. სემინარების მიზანია მხარი დაუჭიროს დაზარალებულ ადამიანებს, აღმოუჩინოს მათ დამოუკიდებელი ფინანსური რჩევა და დაეხმაროს საკუთარი კომპენსაციის იმგვარად ინვესტირებაში, რაც მათ კეთილდღეობას ხანგძლივ პერსპექტივაში გაამჯობესებს და თავიდან აიცილოს კომპენსაციის თანხების დაუგეგმავი ხარჯვით გამოწვეული საყოფაცხოვრებო ფასების ბუმი და მომატება.

7.3.3 მხარდაჭერა არსებული ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის

ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მხარს დაუჭერს კოოპერატივების შექმნას, რომლებიც ჩაატარებენ ტექნიკურ ტრენინგს, მიაწოდებენ ნედლეულსა და მომსახურებას (ვეტერინარული მომსახურება) გრძელვადიან პერსპექტივაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და გასაყიდი პროდუქტების ხარისხის გასაუმჯობესებლად. კოოპერატივების მიერ განხორციელებული საქმიანობები მოიცავს შემდეგს:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მათ შორის, საქონლის მოშენება; მეფუტკრეობა და თაფლის წარმოება,
- ხილის და თხილის წარმოება და შეცვლა;
- თევზის მეურნეობა (დასახლების ახლოს და არა ნენსკრაზე კაშხლის წყალსაცავში)

დაინიშნება სათათბირო-საკონსულტაციო ფირმა, რომელიც დაზარალებულ ადამიანებთან ერთად განსაზღვრავს მათი მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობების გაუმჯობესების საშუალებებს და პროექტი დააფინანსებს ამ ზომების განხორციელებას.

7.3.4 მხარდაჭერა შემოსავლის ალტერნატიული წყაროს განვითარებისათვის აუცილებელ ინიციატივებში

დაზარალებულ ადამიანებს შესაძლებლობა მიეცემათ განავითარონ შემოსავლის ალტერნატიული წყაროები. ს.ს. ჰიდრო ნენსკრა დაეხმარება მათ შემოსავლის მომტანი ალტერნატიული, მდგრადი საქმიანობების შემუშავებასა და განხორციელებაში.

სათათბირო-საკონსულტაციო ფირმა, რომელიც მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობების გაუმჯობესებისათვის შეირჩა, ამ ამოცანასაც განახორციელებს.

თემებისათვის დამატებითი სარგებლის უზრუნველსაყოფად, პროექტი ამ საქმიანობას მხარს დაუჭერს არა როგორც შემსუბუქების ზომების, არამედ როგორც თემის საინვესტიციო გეგმის ნაწილს, რომელიც წარმოადგენს პროექტის მიერ განსაზღვრულ სარგებლის განაწილების მექანიზმს (იხ. თავი 8 - ESMP).

7.3.5 დახმარება მიწის საკუთრების დაკანონებაში

დაზარალებული საოჯახო მეურნეობების უმეტესობა ფლობს დაურეგისტრირებელ მიწას. LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელებისას, და იქ, სადაც დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს შესაბამისი დოკუმენტაცია გააჩნიათ, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო დაეხმარება მათ მიწის დარეგისტრირებაში, საჭიროების შემთხვევაში მეურნეობებს ტექნიკური დახმარებით უზრუნველყოფს, რომელიც საჭიროა რეგისტრაციის ხარჯის გადასახდელად. მიწის ყველა იმ ნაკვეთის შემთხვევაში, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია, დაზიანებული მიწა მთლიანად დარეგისტრირდება. მიწის დაუზიანებელი ნაწილი ან დროებითად დაზიანებული ნაწილი დარეგისტრირდება მფლობელის სახელზე, ხოლო მუდმივად დაზიანებული ნაწილი დარეგისტრირდება კომპანიის სახელზე ან სახელმწიფოს მფლობელობაში.

7.3.6 დაუზიანებელ საძოვრებამდე მისასვლელი ბილიკების მდგომარეობის გაუმჯობესება (რემონტი)

ქვემო მემულის საძოვრის დაკარგვით დაზარალებულმა ადამიანებმა განმარტეს, რომ მათ ხელი მიუწვდებათ სხვა საძოვრებზე. ასევე განმარტეს, რომ ისინი შეძლებდნენ თივის მოსავლის გაუმჯობესებას ამ საძოვრებამდე მისასვლელი გზის რეკონსტრუქციის შემთხვევაში. მისასვლელ გზებზე მანქანა ვერ მოძრაობს, ამიტომ, მოსახლეობას სათიბებიდან თივა ვერ გამოაქვს. სათიბები მდებარეობს მდინარე მემულის მაღლა და მათ შკვანდირის და ზედა მემულის სათიბებად მოიხსენიებენ.

პროექტი გაარემონტებს მისასვლელ გზებს ისე, რომ შესაძლებელი იყოს მასზე მანქანის ტარება, და საშუალებას მისცემს დაზარალებულ მოსახლეობას გაზარდოს შკვანდირის და ზედა მემულის სათიბებში შეგროვებული თივის რაოდენობა.

გზა შეკეთდება კაშხლის მთავარი მშენებლობის საწყის ეტაპზე რათა ნაწილობრივ შემცირდეს მშენებლობის პერიოდში ქვემო მემულის საძოვრით გამოწვეული ზარალი.

7.3.7 დროებით ნაგებობებზე დაკარგული საძოვრის აღდგენა

EPC კონტრაქტორი აღადგენს მშენებლობისათვის გამოყენებულ მიწას მის პირვანდელ მდგომარეობამდე. ყველა საძოვარი აღდგება შესაძლებლობის ფარგლებში.

7.3.8 მსხვილი რქოსანი საქონლის გზა, რომელიც გვერდს უვლის წყალსაცავს

პროექტი შეისწავლის მსხვილი რქოსანი საქონლის გზის მდგომარეობას ნენსკრას ხეობის ჩრდილოეთ ნაწილამდე ხელმისაწვდომობის აღსადგენად. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს მაჩლიჭალას საძოვრის დაკარგვით დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს აღადგინონ ხელმისაწვდომობა მაჩლიჭალას საძოვარზე, რომელიც მომავალი წყალსაცავის ზემოთ მდებარეობს. პროექტი ჩართავს შესაბამის სამინისტროებს და მესტიის მუნიციპალიტეტს გზის ოფიციალურ მფლობელობასთან, მის სტატუსთან, ხელმისაწვდომობასთან და რემონტთან დაკავშირებით. აღნიშნული ზომა არა მხოლოდ საარსებო საშუალების აღდგენის ღონისძიებას წარმოადგენს, არამედ ასევე წარმოადგენს ტრავერსიული ზემოქმედების შემსუბუქების ზომას, როგორც ეს თავ 3-შია (სოციალური ზემოქმედების შეფასება) მოცემული. მისი ბიუჯეტი ჩართულია გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში და არ არის მოცემული მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის ამ გეგმაში (LALRP).

7.4 საარსებო წყაროების აღდგენა უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის

7.4.1 მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის ხელმისაწვდომი ზომები

უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის საარსებო წყაროების აღდგენის იმ ზომების გარდა, რომლებიც აღწერილია შემდგომ ქვე-თავებში, უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობები სარგებელს მიიღებენ ყველა იმ ზომით, რომელიც ხელმისაწვდომია მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის (აღწერილია თავ 7.3-ში).

7.4.2 დახმარება მესაქონლეობის მდგრადი წარმოების განვითარებაში

მიზანი: მესაქონლეობის მდგრადი წარმოების განვითარება. ზომების ორი სხვადასხვა პაკეტი განხორციელდება: ხანმოკლე ზომები და გრძელვადიანი ზომები (აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილ #32-ში).

ცხრილი 32: დახმარება მესაქონლეობის მდგრადი წარმოების განვითარებაში

ხანმოკლე/ გრძელვადიანი	ზომები
ხანმოკლე	სასუქით მომარაგება, რაც ფურაჟის არსებული მოსავალის გაზრდის საშუალებას იძლევა. 2016 წლის ოქტომბერში ჩატარებულ, დეტალურ ინტერვიუებზე დაყრდნობით, საშუალოდ, დაზარალებული საოჯახო მეურნეობისათვის ფურაჟის მოყვანა ხდება 0.8 ჰა მიწაზე, რომელიც, როგორც წესი, მდებარეობს საოჯახო მეურნეობის სახლში. თითოეული საოჯახე მეურნეობა მომარაგდება 80 კგ სასუქით, რაც მათ საშუალებას მისცემს 30%-ით გაზარდონ ფურაჟის წარმოება და ჰექტარზე 4 ტონამდე მშრალი მასალა მოიყვანონ. მოსალოდნელია, რომ ფურაჟის მოსავლის მოგება მხოლოდ ნაწილობრივ აანაზღაურებს უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საძოვრის დაკარგვით გამოწვეულ მუდმივ ზარალს. მაჩლიჭალას დაკარგვით, ისევე როგორც ელექტროსადგურის მშენებლობით დაზარალებული საოჯახო მეურნეობებს, ფურაჟის მოსავლის გაზრდა საშუალებას არ მისცემს დამატებითი ზომების გარეშე ხანგძლივ პერსპექტივაში შეინარჩუნონ მსხვილი საქონლის თავდაპირველი რაოდენობა. თუმცა, ფურაჟის წარმოების გაზრდა სოციალური მნიშვნელობის ამოცანაა და ხელს შეუწყობს საოჯახო მეურნეობების მსხვილფეხა საქონლის რაოდენობის შემცირებას.
გრძელვადიანი	მაღალი ნაყოფიერების მქონე თივის მარცვლების მიწოდება, სწრაფად მზარდი სახეობები, რაც დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს ხანგძლივ პერსპექტივაში საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ სათიბებზე თივის წარმოება (დასახლებულ პუნქტებსა და ზაფხულის საძოვრებზე).
გრძელვადიანი	სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით ტექნიკური ტრენინგის ჩატარება ფურაჟის მდგრადი წარმოების განვითარებისათვის.

7.4.3 დახმარება თხილის მოყვანასა და გაყიდვაში

ნენსკრას ხეობაში თხილი უკვე იწარმოება. ზომა მოიცავს დახმარებას, რომელის დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს საშუალებას მისცემს განავითაროონ თხილის წარმოება - რაც ზოგიერთი მათგანისათვის ახალი საქმიანობაა. თხილი შეიძლება გაიყიდოს და ამდენად, დაზარალებულ საოჯახო მეურნეობების შემოსავლის პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. საქართველო მსოფლიოში თხილის მეხუთე უმსხვილესი მწარმოებელია. თხილი საქართველოდან გასული ექსპორტის სრული რაოდენობის ერთ მეხუთედს შეადგენს. 2015 წელს, ზუგდიდში გაიხსნა თხილის გადამუშავების ქარხანა, რომელიც დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებიდან დაახლოებით 30 კმ-ში მდებარეობს. მისი წლიური წარმადობა 300 ტონა დამუშავებული თხილია.

თხილის ხეები, როგორც წესი, დარგვიდან ოთხ წელიწადში ისხამს ნაყოფს და ჰექტარზე მოსალოდნელი მოსავალია 1.200 კგ თხილი, რომელიც მომავალ წლებში იზრდება. მაქსიმალური მოსავლის მიღება ჩვეულებისამებრ ხდება დარგვიდან 10 წელიწადში. ნედლი თხილის ღირებულება (არადაუმუშავებელი) დღეისათვის 6 ლარია და შესაბამისად, წლიური შემოსავლები (საოპერაციო ხარჯების გამოკლებამდე) თხილის ხეების პლანტაციის ერთი ჰექტარიდან 7.200 ლარია. ჩატარდება ინვესტიციისა და საოპერაციო ხარჯების დეტალური ანალიზი მიწის ნაკვეთის დასადგენად, რომელზეც ოჯახებს თხილის მოყვანა შეუძლიათ.

დახმარება მოიცავს შემდეგს:

- თხილის ნერგების შეძენა და პროგრამაში მონაწილე საოჯახო მეურნეობებისათვის დარიგება.
- ხეების დარგვაში დახმარება. ძირები ჩაიყრება მიწის გამოუყენებელ ნაწილებში, დაზარალებული საოჯახე მეურნეობების სახლების ირგვლივ და ელექტროსადგურის მშენებლობისათვის დროებითად გამოყენებულ ადგილებში მათი აღდგენის შემდეგ.
- თუკი ეს შესაძლებელია, ხელისუფლებასთან მოხდება შეთანხმების მიღწევა თხილის ხეების დასარგავი მიწის გამოსაყოფად. ასევე მოხდება იმ მიწის გამოყენების შესაძლებლობის განხილვა, რომელიც ხეებისაგან გაიწმინდა და წარსულში ხე-ტყის დამზადების საქმიანობები მიმდინარეობდა.
- დარგვამდე მიწის მოსამზადებელი სამუშაოების და ნერგების დარგვისათვის გაწეული შრომითი მომსახურეობის ანაზღაურება.

პროგრამით მოსარგებლე საოჯახო მეურნეობები ხეებს ოთხი წლის განმავლობაში მოუვლიან, რაც აუცილებელია მოსავლის მისაღებად. მოსავლის მიღების შემდეგ მოახდენენ მოსავლის მართვას. მოსავლის აღება სავარაუდოდ ხელით მოხდება და არ იქნება მექანიზირებული პროცესი.

7.4.4 დახმარება მეფუტკრეობის განვითარებასა და თაფლის გაყიდვაში

ზომა მოიცავს დახმარებას მეფუტკრეობისა და თაფლის წარმოების განვითარებისათვის. თაფლის წარმოება ტექნიკური თავისებურებით გამოირჩევა და შედეგები დამოკიდებულია კლიმატზე და ჭირვეულობით გამოირჩევა. უფრო მეტიც, სანიტარული ასპექტი მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ მრავალ

დაავადებას შეუძლია გავლენა იქონიოს საფუტკრეზე. ეს საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს როგორც კაცების, ასევე ქალების მიერ.

მეფუტკრეობა შეიძლება განვითარდეს მიწის მცირე მონაკვეთზე და თაფლის გაყიდვა მოიტანს საოჯახო მეურნეობებისათვის შემოსავალს. ნენსკრასა და ნაკრას ხეობაში, მრავალ საოჯახო მეურნეობას უკვე ჰყავს ფუტკრები და ყიდის თაფლს (იხ. ანგარიშის თავი 3 - სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება). თუმცა, მეფუტკრეობა მოითხოვს გარკვეულ სპეციალურ ცოდნას და თაფლის წარმოება წლიდან წლამდე მერყეობს.

ჩატარედება ინვესტიციებისა და ოპერირების ხარჯების დეტალური ანალიზი თითოეული დაზარალებული საოჯახო მეურნეობისათვის საჭირო სკების რაოდენობის დასადგენად. მაგრამ, პირველადი ჩვენების მიხედვით, 20 სკას შეუძლია მოგვცეს 300 კგ თაფლი, რომლის ღირებულებაც 3.600 ლარია (მხედველობაში არ მიიღება საოპერაციო ხარჯები).

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ გაწეული დახმარება მოიცავს შემდეგს:

- ფუტკრების, სკების და თაფლის დასამზადებელი მოწყობილობის შეძენა და მიტანა (დამწიფების აპარატი, ექსტრაქტორი)
- პროფილაქტიკური მკურნალობა ჩატარდება პირველი სამი წლის განმავლობაში ფუტკრის დაავადებებისაგან დასაცავად; მეფუტკრეობისა და მიღების წარმოების შესახებ ტრენინგის ორგანიზება.

7.4.5 დახმარება მებაღეობის განვითარებაში

ზომა მოიცავს საოჯახო მეურნეობების დახმარებას ბოსტნეული მოიყვანონ პარნიკებში, რომელიც გარდა საოჯახო მოხმარებისა შესაძლოა გაიყიდოს ადგილობრივ მოსახლეობაზე და კაშხლის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში ჩართულ ადამიანებზე. მებოსტნეობა არ მოითხოვს მიწის შესყიდვას და ბაღი შესაძლოა გაშენდეს დაზარალებული მეურნეობის სახლის გარშემო. ინვესტიციის დაბრუნების დრო მოკლეა, ვინაიდან ბოსტნეული, რომელიც გაზაფხულზე ითესება, მოიწევა წლის შემდეგ პერიოდებში.

ჩატარდება ინვესტიციებისა და ოპერირების ხარჯების, მათ შორის წყლისა და გათბობის ენერგიის საჭიროების, დეტალური ანალიზი, თითოეული დაზარალებული საოჯახო მეურნეობისათვის აუცილებელი პარნიკის მოცულობის დასადგენად. მაგრამ, პირველადი ჩვენების მიხედვით, 200 მ2 გაშენებულ პარნიკზე შესაძლებელია პომიდვრის, ბადრიჯნის, კიტრისა და ლობიოს მოყვანა. შემოსავალი წელიწადში 3.800 ლარია (მხედველობაში არ მიიღება საოპერაციო ხარჯები).

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ გაწეული დახმარება მოიცავს შემდეგს:

- პარნიკის მასალების შესყიდვა და მიტანა;
- პირველი წლის მოსავლისათვის აუცილებელი თესლების მიტანა;
- შესაფერისი მექანიზირებული მოწყობილობის მიტანა, რომელსაც საოჯახო მეურნეობები გაინაწილებენ.

8 ინსტიტუციური მექანიზმები

მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის პროცესის მართვა მოხდება საქართველოს მთავრობისა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ.

- მიწის შესყიდვის პროცესის მართვა საქართველოს მთავრობისა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ ერთობლივად მოხდება.
- საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები განხორციელდება ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ.

ძირითადი დოკუმენტები, რომლებიც ადგენენ პასუხისმგებლობას მიწის შესყიდვისათვის საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციებსა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს შორის:

- განხორციელების დოკუმენტი, რომელიც გაფორმდა საქართველოს მთავრობისა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს შორის და რომელიც თარიღდება 2015 წლის 31 აგვისტოთი და განახლდა 2017 წელს. დოკუმენტი აყალიბებს თითოეული მხარის ვალდებულებებს პროექტის განხორციელების მთელი პერიოდის განმავლობაში, მათ შორის მიწის შეფასების პროცესისათვის.
- 2016 წლის 01 თებერვლის ბრძანება #94, რომელიც ნიშნავს ენერგეტიკის სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს საქართველოს მთავრობის სახელით აღასრულოს შეთანხმების ხელშეკრულების ვალდებულებები, რომლებიც მიწის შესყიდვასთანაა დაკავშირებული. ბრძანება ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას საპარტნიორო ფონდს მოახდინოს მიწის შესყიდვის პროცესთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა და მონიტორინგი. ამდენად, საპარტნიორო ფონდი წარმოადგენს საოპერაციო, სამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მიწის შესყიდვის პროცესს ნენსკრას ჰესისათვის ს.ს. ნენსკრა ჰიდროთან ერთად განახორციელებს.

8.1 პროექტსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული მიწის შესყიდვის ხელშეკრულება

ს.ს. ნენსკრა ჰიდროსა და საქართველოს მთავრობის ურთიერთობა მიწის შესყიდვის პროცესისათვის გაფორმებულია 2015 წლის 31 აგვისტოს ხელმოწერილ განხორციელების ხელშეკრულებაში და შემდეგში მდგომარეობს:

- ს.ს. ნენსკრა ჰიდროს წარუდგენს საქართველოს მთავრობის ანგარიშს მიწის შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის მშენებლობისა და ოპერირებისათვის აუცილებელი მიწის ყველა ნაკვეთი.
- საქართველოს მთავრობა განიხილავს ანგარიშს მიწის შესახებ და უთანხმოების არ არსებობის შემთხვევაში, დაამტკიცებს ანგარიშს.
- საქართველოს მთავრობა შეიძენს საკუთრების უფლებას ნებისმიერ კერძო მიწაზე, რომელიც ს.ს. ნენსკრასათვის აუცილებელი და გადასაცემი მიწის

ნაწილია, საკუთრება, რომელიც მოქმედია და თავისუფალია ვალდებულებებისაგან.

- საქართველოს მთავრობა ანიჭებს უფლებას ს.ს. ნენსკრა ჰიდროს ააშენოს საჯარო მიწაზე, რომელიც არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფაგლებში ვერ გადაეცემა ს.ს. ნენსკრა ჰიდროს.
- როდესაც მიწის ეფექტური ან დელეგირებული გადაცემის მტკიცებულება მიღებულია, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აანაზღაურებს საქართველოს მთავრობის მიერ, მიწის შესყიდვის და გადაცემისათვის აუცილებელ და გაღებულ ყველა ხარჯსა და დანახარჯს.

2016 წელს გამოცემული #95 ბრძანებულება აკონკრეტებს, რომ:

- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ენერგეტიკის სამინისტრომ უნდა გამოავლინოს კერძო და სახელმიწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები ნენსკრას ხეობაში, ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის არეალში. საპარტნიორო ფონდმა და ს.ს. ნენსკრა ჰიდრომ უნდა ჩაატაროს მიწის კვლევა და გაატაროს ამ ამოცანის მისაღწევად აუცილებელი ყველა ზომა.
- საპარტნიორო ფონდმა და ს.ს. ნენსკრა ჰიდრომ უნდა განახორციელოს ყველა საქმიანობა, რომელიც საჭიროა: 1. კერძო საკუთრებაში არსებულ, დაზარალებულ მიწის ნაკვეთებზე უფლებების დარეგისტრირებისათვის და 2. კერძო საკუთრებაში არსებულ, დაზარალებულ მიწის ნაკვეთის კომერციული ღირებულების დადგენისათვის შესაფერისი სტანდარტების, მათ შორის, კრედიტორების მოთხოვნების, მხედველობაში მიღებით.

- საპარნიორო ფონდმა უნდა შეიძინოს კერძო საკუთრებაში არსებული, დაზარალებული მიწის ნაკვეთები. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აუნაზღაურებს საპარტნიორო ფონდს ამ ხარჯებს განხორციელების ხელშეკრულების მუხლების მიხედვით. ეკონომიკის სამინისტრომ უნდა გადასცეს ს.ს. ნენსკრა ჰიდროს შესყიდული მიწის ნაკვეთების გამოყენების უფლება.

8.2 საოპერაციო მიდგომა კრედიტორების მოთხოვნებზე შესათანხმებლად

განხორციელების ხელშეკრულება არ აკეთებს მინიშნებას იძულებითი გადაადგილების შესახებ კრედიტორების პოლისების გათვალისწინების შესახებ. ბრძანება #95 მოიცავს ამგვარ მინიშნებას. ამიტომ, საპარტნიორო ფონდი და ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აყალიბებს მიდგომას მიწის შესყიდვის პროცესებისადმი, რომელიც თანხვედრაშია კრედიტორების პოლიტიკასთან (იხ. თავი 2.4-ში მოცემული ძირითადი პრინციპები). იგი აკონკრეტებს ს.ს. ნენსკრა ჰიდროს და საქართველოს სამთავრობო ორგანიზაციების როლს მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის პროცესების თითოეულ ეტაპზე. აღნიშნული მიდგომა აღწერილია ქვემოთ.

- ვინაიდან არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რათა საქართველოს მთავრობამ გასცეს კომპენსაცია დაურეგისტრირებელი მიწის დაკარგვისათვის, პროექტის ფარგლებში განხორციელებული მიწის შესყიდვის პროცესი ანსხვავებს მიწის მფლობელობის ორ სახეობას:
- მიწა, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია და რომელიც მოიცავს რეგისტრირებულ მიწას, ასევე მიწას, რომელიც შეიძლება დაკანონდეს მიწის

ტრადიციული მფლობელის სახელზე არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში.

- მიწა, რომლის დაკანონებაც შეუძლებელია, რომელიც მოიცავს ადგილობრივი თემის მიერ გამოყენებულ მიწას, რომელიც არსებული სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებული გამოყენების უფლების მქონე მიმღებზე და/ან კოლექტიურ ჩვეულებით ქონებად ვერ დარეგისტრირდება.

მიწის ტრადიციული მფლობელები წახალისდებიან და საჭიროების შემთხვევაში, კომპენსაციის მიღებამდე, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მფლობელებს მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენს დაზიანებული მიწის ნაკვეთების მათ სახელზე გაფორმებისათვის.

ნაბიჯ-ნაბიჯ მიდგომა, რომელიც საჭიროა დაზარალებული მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენისათვის (დაკანონებადი ან რომელთა დაკანონებაც შეუძლებელია) და კომპენსაციის გადახდისათვის, მოცემულია ცხრილში #33. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო ჩაერთვება მიწის შესყიდვის ყველა ეტაპზე, რათა უზრუნველყოს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მოამზადებს ძირითად დოკუმენტებს (ურთიერთგაგების მემორანდუმი კომპენსაციის პაკეტზე, კომპენსაციის შეთანხმება და გაყიდვისა და ყიდვის ხელშეკრულება).

კრედიტორების მოთხოვნების მიხედვით, პროექტი მიწაზე მფლობელობას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებულ მოსახლეობას გადაუხდის კომპენსაციას. როგორც ეს ცხრილში #33-ია მოცემული, დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის შეთანხმებული კომპენსაციის გადახდა მოხდება პირდაპირ ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ დაგვიანების თავიდან ასაცილებლად. ასევე, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს აიღებს სრულ პასუხისმგებლობას საარსებო საშუალებების აღდგენის ზომების განხორციელებაზე.

ყველა სახის მიწა, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია და რომელიც დროებითი მიზნებისათვის იქნება გამოყენებული, დარეგისტრირდება და მოხდება მისი დაქირავება. ასეთი მიწები გამოიყენება მშენებლობის პერიოდისათვის, რომლის დასრულების შემდეგაც EPC კონტრაქტორი აღადგენს მიწას და უკან დაუბრუნებს მფლობელს.

ცხრილი 33 - ნაბიჯ-ნაბიჯ მიდგომა მიწის შესყიდვისადმი (დაკანონებადი ან იმგვარი მიწისადმი, რომლის დაკანონებაც/ლეგალიზება შეუძლებელია)

მიდგომა მიწისადმი, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია	მიდგომა მიწისადმი, რომლის დაკანონებაც შეუძლებელია
ნაბიჯი 1: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო და საპარტნიორო ფონდი აყალიბებს რეგისტრაციის სამუშაო ჯგუფს	
ნაბიჯი 2: რეგისტრაციის სამუშაო ჯგუფი დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებთან ათანხმებს დაზარალებული მიწის ნაკვეთების მონაკვეთისა და საზღვრების შესახებ და ავლენს მიწის სტატუსს (დაკანონებად ან რომლის დაკანონებაც შეუძლებელია	
ნაბიჯი 3: თუკი დაზიანებული მიწის ნაკვეთები ჯერ-ჯერობით დაურეგისტრირებელია, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო დაეხმარება დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებთან რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების მოგროვებაში. ამისათვის, სპეციალისტ-ქვე-კონსულტანტი შეიძლება გახდეს საჭირო.	ნაბიჯი სამი: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო ეხმარება ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების მოგროვებაში. ამისათვის, სპეციალისტ-ქვე-კონსულტანტი შეიძლება გახდეს საჭირო.
ნაბიჯი 4: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მხარს დაუჭერს და საჭიროების შემთხვევაში, მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას აღმოუჩენს დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებს, საჯარო რეესტრის განყოფილებაში სარეგისტრაციო საბუთების წარსადგენად. პარალელურად, საპარტნიორო ფონდი მოითხოვს ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროებისაგან დაამყარონ კომუნიკაცია საჯარო რეესტრის განყოფილებასთან და გამოხატონ დაზარალებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საქართველოს-მთავრობის პოზიცია, რომ არ გააჩნიათ უთანხმოება ამ საკითხთან დაკავშირებით.	ნაბიჯი 4: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო საჯარო რეესტრის განყოფილებას წარუდგენს სარეგისტრაციო საბუთებს. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო პროცესის მონიტორინგს ჩაატარებს.
ნაბიჯი 5: დაზარალებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის განყოფილებაში. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აწარმოებს მონიტორინგს www.napr.gov.ge ვებ-გვერდის მეშვეობით.	ნაბიჯი 5: დაზარალებული მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის განყოფილებაში. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აწარმოებს მონიტორინგს www.napr.gov.ge ვებ-გვერდის მეშვეობით.
ნაბიჯი 6: მოლაპარაკების გუნდი ახდენს მოლაპარაკებას დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებთან მიწის შესყიდვის კომპენსაციის პაკეტზე და ადგენს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელსაც მხარეები ხელს მოაწერენ. ურთიერთგაგების მემორანდუმი აღწერს ყველა დანაკარგს (აქტივები და ქონება), რომელიც პროექტის მიერ მიწის გამოყენების პროცესში ზარალდება, ასევე (1) თითოეული დაზარალებული აქტივისა და ქონებისათვის შეთანხმებულ კომპენსაციას; და (2) გადახდაზე პასუხისმგებელ დაწესებულებას, თუკი დანაკარგი მდებარეობს მიწაზე, რომლის დაკანონებაც (ლეგალიზება) შეუძლებელია (იხ. მიდომა მიწისადმი, რომლის დაკანონებაც (ლეგალიზება) შეუძლებელია). მნიშვნელოვნად და უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის, ურთიერთგაგების მემორანდუმი ასევე განსაზღვრავს პროექტის მიერ შეთავაზებული საარსებო წყაროების აღდგენის ზომების პაკეტს.	ნაბიჯი 6: მოლაპარაკების გუნდი ახდენს მოლაპარაკებას დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებთან მიწის შესყიდვის კომპენსაციის პაკეტზე და ადგენს ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელსაც მხარეები ხელს მოაწერენ. ურთიერთგაგების მემორანდუმი აღწერს ყველა დანაკარგს (აქტივები და ქონება), რომელიც პროექტის მიერ მიწის გამოყენების პროცესში ზარალდება, ასევე (1) თითოეული დაზარალებული აქტივისა და ქონებისათვის შეთანხმებულ კომპენსაციას; და (2) გადახდაზე პასუხისმგებელ დაწესებულებას, თუკი დანაკარგი მდებარეობს მიწაზე, რომლის დაკანონებაც (ლეგალიზება) შეუძლებელია (იხ. მიდომა მიწისადმი, რომლის დაკანონებაც (ლეგალიზება) შეუძლებელია). მნიშვნელოვნად და უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის, ურთიერთგაგების მემორანდუმი ასევე განსაზღვრავს პროექტის მიერ შეთავაზებული საარსებო წყაროების აღდგენის ზომების პაკეტს.
ნაბიჯი 7: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ამზადებს გაყიდვისა და ყიდვის ხელშეკრულების ფორმას, რომელშიც მოცემულია მიწის შესყიდვის თანხა დაკანონებად მიწაზე გამოვლენილი ზარალისათვის.	ნაბიჯი 7: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო ამზადებს გაყიდვისა და ყიდვის ხელშეკრულების ფორმას, რომელშიც მოცემულია მიწის შესყიდვის თანხა დაკანონებად მიწაზე გამოვლენილი ზარალისათვის.

მიდგომა მიწისადმი, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია	მიდგომა მიწისადმი, რომლის დაკანონებაც შეუძლებელია
ნაბიჯი 8: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო და დაზარალებული, ტრადიციული მფლობელები ხელს აწერენ/აფორმებენ გაყიდვისა და ყიდვის ხელშეკრულებას.	ნაბიჯი 8: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო და დაზარალებული, ტრადიციული მფლობელები ხელს აწერენ/აფორმებენ კომპენსაციის ხელშეკრულებას.
ნაბიჯი 9: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოგასცემს გადახდის ინსტრუქციას ს.ს. ნენსკრა ჰიდროზე, რომელსაც თან დაურთავს გაყიდვისა და ყიდვის ხელშეკრულებას.	
ნაბიჯი 10: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო გადარიცხავს თანხას დაზარალებული, ტრადიციული მფლობელების საბანკო ანგარისზე და დაზარალებული, ტრადიციული მფლობელებისაგან გადახდის მიღების დამადასტურებელ საბუთს იღებს.	ნაბიჯი 9: ს.ს. ნენსკრა ჰიდრო გადარიცხავს თანხას დაზარალებული, ტრადიციული მფლობელების საბანკო ანგარისზე და დაზარალებული, ტრადიციული მფლობელებისაგან გადახდის მიღების დამადასტურებელ საბუთს იღებს.
ნაბიჯი 11. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო შეუძლია მიუთითოს EPC კონტრაქტორს დაიწყოს დამუშაოების განხორციელება.	ნაბიჯი 10: პროცესის დაწყებამდე სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გადასცემს მშენებლობის უფლებას. ს.ს. ნენსკრა ჰიდროს შეუძლია Salini-სათვის მითითების მიცემა სამუშაოების დასაწყებად.
ნაბიჯი 12: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო გადასცემს ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიწის ყოველი ნაკვეთის მფლობელობას, რომელიც პროექტის მიწის გამოყენების პროცესით მუდმივად ზიანდება.	

8.3 ვალდებულება

8.3.1 ბლოკ-სქემა

A. მიწის შესყიდვის პროცესი

შემდეგ გვერდზე მოცემული დიაგრამა 14 აღწერს მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმაში (LALRP) ჩართულ დაწესებულებებს, მიწის შესყიდვის ოთხი ძირითადი პროცესის მეშვეობით.

- ინტიტუციონალიზმი, რომლის მიხედვითაც ხდება სამთავრობო ორგანიზაციებისა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს განყოფილებები შექმნა, რესურსების დაქირავება და ვალდებულებების ფორმალიზება.
- მიწის რეგისტრაცია კომპენსაციის გაცემამდე: დზარალებული მიწის ნაკვეთების მფლობელების/მომხმარებლების და მიწის საზღვრების დადგენა, ლეგალიზებული მიწის რეგისტრირება ტრადიციულ მფლობელზე და არალეგალიზებადი მიწის სახელმწიფოზე რეგისტრირება.
- დაზარალებულ საოჯახო მეურნეობასა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს შორის მოლაპარაკება მიწის დანაკარგის კომპენსაციის დონის შეახებ. ხელმოწერილია შემდეგი ხელშეკრულებები: 1. ყიდვისა და გაყიდვის ხელშეკრულება სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და მიწის მფლობელს შორის, თუკი მიწა დარეგისტრირებულია მფლობელის სახელზე ან (2) კომპენსაციის ხელშეკრულება ს.ს. ნენსკრა ჰიდროს და მიწის მფლობელს შორის, თუკი მიწა დარეგისტრირებულია მფლობელის სახელზე.
- ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ თანხის გადახდა.

თითოეული დაწესებულების როლი აღწერილია ქვემოთ მოცემულ ქვე-თავებში.

B. საარსებო საშუალების აღდგენა


ს.ს. ნენსკრა ჰიდრო იღებს სრულ პასუხისმგებლობას განახორციელოს მე-7 და მე-9.2 თავებში აღწერილი, საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები.

8.3.2 საქართველოს მთავრობა

საქართველოს მთავრობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ს.ს. ნენსკრა ჰიდროსათვის სამართლებრივი ხელმისაწვდომობა მშენებლობისა და ოპერირებისათვის აუცილებელ მიწაზე. როგორც ეს თავ 8.1.-შია მოცემული, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიეცემა კერძო მიწაზე სამართლებრივი ხელმისაწვდომობა (1) ს.ს. ნენსკრა ჰიდროსათვის კერძო მიწების შეძენილი მფლობელობის გადაცემით; (2) ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიეცემა უფლება აწარმოოს მშენებლობა საჯარო მიწაზე, რომელიც ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მფლობელობაში ვერ გადაეცემა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტო წარმოაადგენენ სამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ამოცანის აღსრულებისათვის შეირჩა.

ამ ვალდებულების შესრულება გადაეცემა საპარტნიორო ფონდს. საპარტნიორო ფონდი დანიშნავს მიწის შესყიდვის მენეჯერს, რომელიც უხელმძღვანელებს საქმიანობათა კოორდინირებას შემდეგ ორგანიზაციებთან:

- ს.ს. ნენსკრა ჰიდროსთან, დაზიანებული მიწის ნაკვეთების გამოსავლენად, დაზიანებული აქტივებისა, ქონების ინვენტარიზაციისა და დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან კერძო მიწების ყიდვისა და გაყიდვის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების საწარმოებლად.
- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან კერძო მიწის ნაკვეთების შესაძენად და სახელმწიფოს სახელზე არსებული საჯარო მიწების რეგისტრაციისათვის.
- ეკონომიკის სამინისტროსთან, მიწის შესყიდვის პროცესის მონიტორინგისათვის.



დიაგრამა 14 - მიწის შესყიდვის პროცესის ბლოკ-სქემა

8.3.3 ს.ს. ნენსკრა ჰიდრო

ს.ს. ნენსკრა ჰიდრო პასუხისმგებელია მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებასა და მონიტორინგზე. კერძოდ, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო პასუხისმგებელია შემდეგზე:

- მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) და შედეგების კრედიტორების პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.
- მიწის ანაგარიშის მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა, რომელშიც გამოვლენილია და აღწერილია ყველა მიწის ნაკვეთი, რომლის შესყიდვაც მოხდება პროექტის განმავლობაში;
- საპარტნიორო ფონდის დახმარება მიწის შესყიდვის პროცესის ზოგად მართვაში, მათ შორის:
  - მიწის დაზარალებულ მფლობელებთან უფლებებისა და კომპენსაციის პაკეტების შესახებ მოლაპარაკების წარმოება;
  - სპეციალისტ-კონსულტანტების დაქირავება ტრენინგების ჩასატარებლად.
- მიწის დაზარალებული, ტრადიციული მფლობელების დახმარება მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურების გასავლელად;
- დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან მიწის შესყიდვის შესახებ ყველა სახის მეგობრული ხელშეკრულებების დაფინანსება.
- გასაჩივრების მექანიზმის ჩამოყალიბება და მონიტორინგი;
- ყველა სახის პროცესის, ხელშეკრულებებისა და საჩივრების დოკუმენტირება, როგორც მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) ნაწილის განხორციელება.
- დამოუკიდებელი, გარე, მონიტორინგის კონსულტანტისა და დასრულების ეტაპზე გარე აუდიტის დაქირავება.
- კრედიტორებისათვის ანგარიშგება (როგორც ეს მე-12 თავშია მოცემული).
- მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განახლება პროექტის იმ კომპონენტების ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც მოცემული გეგმის (LALRP) მომზადების დროისათვის ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული (ნაკრას გზის რემონტი, 110 კვ ელექტროენერგიის მიწოდების ხაზი, მომსახურების ხაზი, ელექტროსადგურის განლაგების უბნები).
- მე-7 თავში განსაზღვრული, დაზარალებულ მოსახლეობასთან ერთად საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობების განსაზღვრა და განხორციელება.
- EPC კონტრაქტორის მიერ კონტრაქტის შესრულების მართვა მშენებლობისას გამოყენებული დროებითი ადგილების აღდგენასთან და შესაძლებლობის ფარგლებში, საძოვრებად გარდაქმნასთან დაკავშირებით.

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელებისათვის, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მოახდენს სოციალური გუნდის ნაწილის მობილიზებას, რომელიც მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებაზე იქნება პასუხისმგებელი. ინფორმაცია ს.ს. ნენსკრა ჰიდროს გარემოსდაცვითი და სოციალური გუნდის შესახებ მოცემულია თავში #8: ESMP.

გუნდის წევრები, რომლებიც ახდენენ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებას, ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში #34.

ცხრილი 34 - ს.ს. ნენსკრა ჰიდროს გუნდი, რომელიც პასუხისმგებელია მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებაზე.

წევრი	პასუხისმგებლობა მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებაში
მთავარი ოპერაციული სპეციალისტი	პოზიცია დაფუძნებულია თბილისში, უძღვება ურთიერთობებს საქართველოს მთავრობასთან და საპარტნიორო ფონდთან. პასუხისმგებელია დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან მოლაპარაკებების წარმოებაზე.
გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯერი	პოზიცია დაფუძნებულია თბილისში, ხელმძღვანელებს გუნდის დანარჩენი წევრების მიერ მოთხოვნილი და მობილიზებული რესურსების მართვას. ზოგად ხელმძღვანელობას უწევს სოციალურ გუნდს კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. ამზადებს ანგარიშებს კრედიტორებისათვის.
სოციალური მენეჯერი	პოზიცია მუდმივად დაფუძნებულია სოფელ ჭუბერში. ხელმძღვანელობს მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების კოორდინაციასა და ზედამხედველობას ორივე ხეობაში და მუნიციპალიტეტისა და რაიონის დონეზე.
მიწის შესყიდვის და კომპენსაციის ოფიცერი	პოზიცია მუდმივად დაფუძნებულია სოფელ ჭუბერში. პასუხისმგებელია მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენაზე, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობაზე, ყველა დოკუმენტის მომზადებსა და გაფორმებაზე, რომელიც აუცილებელია მოლაპარაკებებისა და ტრანზაქციების მხარდასაჭერად და მიწის დაკარგვასთან დაკავშირებულის საჩივრების მართვაზე. პასუხისმგებელია საარსებო საშუალებების საქმიანობების განხორციელებასა და მონიტორინგზე.
მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) მონაცემთა ბაზის მენეჯერი	პოზიცია დაფუძნებულია თბილისში • ხელმძღვანელობს მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) მონაცემთა ბაზისა და საჩივრების მონაცემთა ბაზის განახლებასა და მართვას.
მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) სპეციალისტები და საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამის ტექნიკური პარტნიორები	დაქირავება შემდეგი კონკრეტული ამოცანების შესასრულებლად: • დახმარება მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განახლებაში: დახმარება შემდეგ საქმიანობებში: აღწერა, ღირებულების განსაზღვრა, დაგეგმვა და ანგარიშგება; • კრედიტორების პოლიტიკის შესრულებაზე რჩევის მიცემა; • საარსებო საშუალებების კონკრეტული საქმიანობების განსაზღვრა და განხორციელება, მაგალითად, მესაქონლეობის და სოფლის მეურნეობის მდგრადი ტექნიკა. • სოციო-ეკონომიკური კვლევების ჩასატარებლად, საჭიროების შემთხვევაში მოხდება მკვლევარების დამატებით დაქირავება.
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები	პოზიცია მუდმივად დაფუძნებულია სოფელ ჭუბერში. ხელმძღვანელობს საზოგადოებასთან და თემებთან ურთიერთობას.

8.3.4 განსახლების განყოფილება

საპარტნიორო ფონდი და ს.ს. ნენსკრა ჰიდრო აყალიბებენ განსახლების განყოფილებას, რომელიც შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- საპარტნიორო ფონდი მიწის შესყიდვის მენეჯერი.
- ს.ს. ნენსკრა ჰიდროს გუნდი, რომელიც მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებას ხელმძღვანელობს (იხ. ცხრილი 34), რომელსაც მართავს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების უფროსი ოფიცერი.

განსახლების განყოფილება წარმოადგენს მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განმახორციელებელ ორგანოს. იგი წარმოადგენს პროექტსა და დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს შორის მოლაპარაკებების წარმოების ოფიციალურ დაწესებულებას.

მისი როლია:

- მიწის შესყიდვაში ჩართულ, სხვა სამთავრობო ორგანიზაციებთან, მათ შორის სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან ურთიერთობა (ტრადიციული მფლობელების სახელზე არსებული ან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწების რეგისტრაცია (და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (ყიდვისა და გაყიდვის ხელშეკრულება).
- ს.ს. ნენსკრა ჰიდროსათვის, ენერგეტიკის სამინისტროსათვის, ეკონომიკის სამინისტროსათვის და ადგილობრივი თემებისათვის ანგარიშის წარდგენა.
- კომპენსაციის გადახდის მართვა და საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობების განხორციელება.

8.3.5 რეგისტრირების სამუშაო ჯგუფის

სამუშაო ჯგუფი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- მესტიის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი;
- საპარტნიორო ფონდისა და ს.ს. ნენსკრა ჰიდროს წარმომადგენელი;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ადგილობრივი განყოფილება;
- ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი;
- ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელი.

რეგისტრირების სამუშაო ჯგუფის ფუნქციაა მიაღწიოს შეთანხმებას მიწის დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებთან მიწის ნაკვეთების საზღვრებისა და პროექტის ფარგლებში დაზიანებული ტერიტორიის შესახებ. მას ხელმძღვანელობს განსახლების განყოფილება (საპარტნიორო ფონდი და ს.ს. ნენსკრა ჰიდრო) და აწყობს შეხვედრებს საჭიროების შემთხვევაში დაზიანებული მიწის ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებული მფლობელის დადგენის ხელშეწყობის მიზნით.

8.3.6 სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სამთავრობო ორგანიზაციას, რომლის მიზანია:

- აღასრულოს საქართველოს მთავრობის მიწის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებები 2015 წლის 31 აგვისტოს, ს.ს. ნენსკრა ჰიდროსთან ხელმოწერილი განხორციელების შეთანხმების საფუძველზე;
- რეგისტრაციის სამუშაო ჯგუფში მონაწილეობა, რათა მიაღწიოს შეთანხმებას მიწის დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელებთან მიწის ნაკვეთების საზღვრებისა და პროექტის ფარგლებში დაზიანებული ტერიტორიის შესახებ.
- კერძო მიწის ნაკვეთების შესყიდვა, რომლებიც პროექტის განხორციელების არეალში მდებარეობს და მათი ს.ს. ნენსკრა ჰიდროსათვის გადაცემა;
- დაარეგისტრიროს სახელმწიფოს სახელზე არსებული მიწა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში, რომელიც ს.ს. ნენსკრა ჰიდროს ვერ გადაეცემა.
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს ცენტრალურ დაწესებულებას, რომელიც ადგილობრივად ზუგდიდშია წარმოდგენილი.

8.3.7 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც მიწის მფლობელობის რეგისტრაციას ხელმძღვანელობს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო რეგისტრაციის რაიონული ოფისი წარმოადგენს რაიონის დონეზე მომუშავე საჯარო დაწესებულებას, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება განახორციელოს განმცხადებლების სახელზე მიწის რეგისტრაცია კანონიერი მფლობელების მიერ წარმოდგენილი სააპლიკაციო დოკუმენტებზე დაყრდნობით (პროექტით დაზარალებული პირები, რომლებიც ფლობენ დოკუმენტებს, მაგრამ მფლობელობა არ გაფორმებულა და რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს).

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ოფისის თანამრომლები:

- თანამშრომლებენ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) სამუშაო ჯგუფებთან, დაეხმარებიან მათ საარქივო დოკუმენტების მოძიებაში, განსაზღვრავენ პროექტით დაზარალებული პირების ქონების რეგისტრაციის სტატუსს.
- მიიღებენ და დაარეგისტრირებენ მიწის ნაკვეთების ქონებრივ უფლებებს, რომლებიც დადასტურებულია საკუთრების უფლებების აღიარების ნაკრას კომისიის მიერ;
- დაარეგისტრირებს მიწის კომპენსაციის ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერენ: პროექტით დაზარალებული პირები, სოფელ მესტიის მუნიციპალიტეტის და საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლები;
- ადგენს გადასახადს დაზარალებული ადამიანებისათვის ს.ს. ნენსკრა ჰიდროსაგან ფონდების მიღების შემდეგ.

8.3.8 საკუთრების უფლების აღიარების კომისია

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ (2007) საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს მთავრობამ შექმნა საკუთრების უფლების აღიარების კომისია რაიონულ დონეზე არაკანონიერ მფლობელებზე საკუთრების უფლების აღიარებისათვის, რაც რეგისტრირებისათვისაა აუცილებელი. საკუთრების უფლების აღიარების კომისია ამოწმებს და ამტკიცებს რეგისტრაციაზე საკუთრების განცხადებას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იხ. ზემოთ). საკუთრების უფლების აღიარების კომისია ამტკიცებს განცხადებებს პროექტით დაზარალებულ მხოლოდ იმ პირებთან, რომელთა მიწა არ არის დარეგისტრირებული, მაგრამ წარმოადგენს საცხოვრებელი ნაკვეთის მომიჯნავე, საცხოვრებელ ან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს (მიწის არაკანონიერი მფლობელები - განმარტება საქართველოს ნორმების მიხედვით)

8.3.9 მოლაპარაკების გუნდი

მოლაპარაკების გუნდი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- საპარტნიორო ფონდი და ს.ს. ნენსკრა ჰიდრო (განსახლების განყოფილება)
- ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი (დამკვირვებელი)
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი განყოფილება კერძო მიწებზე მოლაპარაკების საწარმოებლად.

მოლაპარაკების გუნდი აწარმოებს მოლაპარაკებას დაზარალებულ, ტრადიციულ მფლობელთან პროექტის საქმიანობებით გამოწვეული დაკარგული მიწის შესაძენ ფასზე, მიწისა და აქტივების ფასებზე. მოლაპარაკების გუნდი შეთანხმებას ახდენს მიწის დაკარგვით უკიდურასად და მნიშვნელოვნად დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან საარსებო საშუალებების აღდგენის ზომების პრინციპების შესახებ.

8.3.10 კონსულტანტები

ს.ს. ნენსკრა ჰიდრომ მოამზადა მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა (LALRP), რომელიც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე დამატებითი კვლევების ნაწილია. ამ სამუშაოს შესასრულებლად, გაფორმდა ხელშეკრულება დამოუკიდებელ საკონსულტაციო კომპანიასთან, რომელიც ჩაერთო მიწის შესყიდვის პროცესში, განსახლების კვლევასა და დოკუმენტაციის, მათ შორის, აღწერის, სოციო-ეკონომიკური კვლევის, ზარალის ინვენტარის, მიწისა და აქტივების ღირებულების სრული ჩანაცვლების ღირებულებით დადგენის პროცესში.

მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განახლებისათვის (პროექტის შემდეგი კომპონენტებისათვის: ნაკრას გზის რემონტი, ელექტროსადგურის განლაგების უბნები, ან 110 კვ ელექტროენერგიის მიწოდების ხაზი), გაფორმდა ხელშეკრულება მსგავს, დამოუკიდებელ საკონსულტაციო კომპანიასთან, რომლის ფუნქციაც განსახლების განყოფილების, მიწის კვლევების, აღწერის, ზარალის ინვენტარიზაციასა და ღირებულების დადგენაში დახმარებაა.

მონიტორინგის დამოუკიდებელი (გარე) ორგანიზაცია დაინიშნა მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელების ზედამხედველობისა და ნახევარი წლის შესრულების ანგარიშების მოსამზადებლად;

გარე აუდიტორი დაინიშნა დასრულების ეტაპზე გარე აუდიტის ჩასატარებლად.

8.3.11 (ქართული) სასამართლო

(საქართველოს) სასამართლო წარმოადგენს მიმართვის ბოლო ინსტანციას მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებასთან არსებული საკითხებისა და პრეტენზიებისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი, განსახლების განყოფილება და მიწის დაზარალებული მფლობელი ვერ მიაღწევენ შეთანხმებას კერძო საკუთრების შესყიდვის შესახებ, ენერგეტიკის სამინისტრომ, არსებულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით, შესაძლოა გამოიყენოს ექსპროპრიაციის უფლებამოსილება და ეკონომიკის სამინისტროს მეშვეობით მიმართოს სასამართლოს ექსპროპრიაციის მოთხოვნით. აღწერილი პროცედურის დამტკიცებისა და განხორციელების შემდეგ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მიიღებს ამ ქონებას სასამართლოს მიერ ექსპროპრიატორის უფლების მინიჭების შემდეგ.

უფრო მეტიც, იმ შემთხვევებში, როდესაც მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებისა და კომპენსაციის შესახებ საჩივრები და უკმაყოფილება არ გადაწყდება მე-11 თავში აღწერილი გასაჩივრების მექანიზმის მეშვეობით, პროექტით დაზარალებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს როგორც ბოლო ინსტანციის დაწესებულებას. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოა და უნდა აღსრულდეს.

8.3.12 კრედიტორები

დროდადრო პროექტის ზედამხედველობის გარდა, კრედიტორები შეისწავლიან და დაამტკიცებენ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმას (LALRP) და მის განახლებულ ვარიანტებს, ისევე როგორც შიდა და გარე მონიტორინგის ანგარიშებს, და ასევე შიდა, დასრულების ანგარიშს და გარე აუდიტს.

9 შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელება

9.1 საქმიანობები შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) ფარგლებში

9.1.1 შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების განრიგი

მიწის შესყიდვის მოსამზადებლად და განსახორციელებლად აუცილებელი ნაბიჯები და აქტივობები, საარსებო საშუალებები, დაზარალებულ პირებთან მოლაპარაკებების წარმოება, საკომპენსაციო და უფლებრივი პაკეტების განხორციელება და მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელება ჩამოთვლილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში #35.

საქმიანობათა განრიგი მოცემულია განტის ცხრილის მეშვეობით და აჩვენებს პროექტის სხვადასხვა კომპონენტების დაგეგმვასა და განხორციელების სტატუსს (იხ. სურათი 16 და 17).

ცხრილი 35 - მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალების აღდგენის განხორციელების საქმიანობები

ნაბიჯი	მოქმედება	ვალდებულება	სტატუსი (იანვარი 2017) და დრო
ა. მიწის შესყიდვის მომზადება			
ა1	მიწის მოთხოვნების იდენტიფიკაცია	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	იმ კომპონენტებისათვის, რომლებიც 2017 წლის იანვრისათვის განისაზღვრება (ელექტროგადამცემი ხაზები, ნაკრას გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სამშენებლო ბანაკის მშენებლობა და ნარჩენების განთავსების უბანი).
ა2	ზემოქმედების გამოვლენა	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	
ა3	მიწის ანგარიშის გამოცემა, მათ შორის კრედიტორების პოლიტიკის შესრულების ვალდებულება.	განსახლების განყოფილება	
ა4	მიწის ანგარიშის, მათ შორის, კრედიტორების პოლიტიკის შესრულების ვალდებულების, დამტკიცება.	სმ	
5	მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის დანიშვნა	სმ (სფ)	შესრულდა

ნაბიჯი	მოქმედება	ვალდებულება	სტატუსი (იანვარი 2017) და დრო
	საქართველოს მთავრობის სახელით (პარტნიორობის ფონდი)		
B განსახლებისა და საარსებო საშუალებების აღდგენის დაგეგმვა			
B1	ადგილობრივი ხელისუფლებისა და დაზარალებული ადამიანების ზემოქმედების შესახებ ინფორმაციის მიწოდება	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	გაკეთდა იმ კომპონენტებისათვის, რომლებიც 2017 წლის იანვრისათვის განისაზღვრება
B2	ყველა ტექნიკური შესაძლებლობის და სამშენებლო მეთოდის შესწავლა დეტალური დიზაინის მომზადების პროცესში ფიზიკური და ეკონომიკური გადაადგილების შესამცირებლად.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	
B3	აღწერა და აქტივების შეფასება	განსახლების განყოფილება + ადგილობრივი ხელისუფლება	
B4	მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) მომზადება	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	
B5	ს.ს. ნენსკრა ჰიდროს განსახლების განოფილების თანამშრომლების დაქირავება	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	შესრულდა
B6	საჩივრების განხილვის სისტემის შემუშავება და გამოქვეყნება	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	თებერვალი-მარტი 2017
B7	დაზარალებული ადამიანების სიის გამოკვრა სოფელ ჭუბერისა და ნაკის სოფლის ადმინისტრაციის შენებებზე	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო CLOS + მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი წარმომადგენლები	თებერვალი-მარტი 2017 იმ კომპონენტებისათვის, რომლებიც განსაზღვრული არის 2017 წლის იანვრისათვის
B8	მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის სახელმძღვანელო - GLAC: საინფორმაციო ბროშურა მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) მოკლე მიმოხილვის თემის წევრებისათვის წარსადგენად.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	თებერვალი-მარტი 2017

ნაბიჯი	მოქმედება	ვალდებულება	სტატუსი (იანვარი 2017) და დრო
გ9	მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) სამუშაო ვარიანტის განსაჯაროება ინტერნეტის მეშვეობით და ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	მარტი 2017
გ10 გ12	მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) საბოლოო გეგმა, მათ შორის განსაჯაროების შედეგები დამტკიცდა კრედიტორების მიერ.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017ივნისის ბოლო
გ11	განსახლების და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის დამატება იმ კომპონენტებისათვის, რომლება არ არის განსაზღვრული 2017 წლის იანვრისათვის (უფლებამოსილების ზღვრული თარიღის დადგენა, მიწის აზომვითი სამუშაოები და ქონებაზე ზემოქმედების სეფასება, სოციალური კვლევა და გეგმის დანართის დაწერა)	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	ჰესის მშენებელთა ბანაკი და მყარი ნაყარის განთავსების უბნები: 2017 წლის მარტიდან - ივნისამდე; ელექტროგადამცემი ხაზები: 2017 წლის მარტიდან ივლისამდე; ნაკრას გზის გაფართოება: 2017 წლის მაისიდან აგვისტომდე
გ. ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებთან საკითხის გადაჭრის მოლაპარაკებაზე დაფუძნებული პროცესი			
გ1	დაზარალებულ საოჯახო მეურნეობების ჩართულობა კომპენსაციასა და საარსებო საშუალებების სტრატეგიაზე შეთანხმების მისაღწევად. დაზარალებული საოჯახო მეურნეობები შეძლებენ კითხვების დასმას მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) მომზადებისას გაკეთებულ შეფასებებთან დაკავშირებით და პროექტის მიერ შეთავაზებულ საარსებო საშუალებების აღდგენის ზომებთან დაკავშირებით. პროექტით დაზარალებულ პირებთან შეთანხმების მიღევის შემდეგ, განსახლების განყოფილება აფორმებს ურთიერთგაგების მემორანდუმს საკომპენსაციო პაკეტის ან მიწის ფასის შესახებ.	მოლაპარაკების გუნდი	ჰესის განლაგების უბნისათვის, ნენკრას კაშხალზე და რეზერვუარის ტერიტორიაზე და ნენსკრას გზაზე დაიწყო 2016 წლის დეკემბერში, გაგრძელდება 2017 წლის აპრილამდე; ნაკრას წყალმიმღებისათვის: 2017 წლის მაისი - სექტემბერი;
გ2	დაკანონებადი და არადაკანონებადი მიწის შესყიდვა (იხ. თავი 9)	სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის თებერვლიდან მარტამდე
გ3	იმ კომპონენტებისათვის აუცილებელი ტერიტორების განსაზღვრება, რომლებიც 2017 წლის იანვრისათვის არ იყო განსაზღვრული (ელექტროგადამცემი ხაზები, ნაკრას გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სამშენებლო ბანაკის მშენებლობა და ნარჩენების განთავსების უბანი ელექტროსადგურის ტერიტორიაზე). განსაზღვრება მოხდება თემებთან მჭიდრო კონსულტაციების საფუძველზე. კონკრეტული ამოცანაა, თავიდან იქნეს აცილებული ფიზიკური გადაადგილება და საარსებო საშუალებებზე არასასურველი შედეგების შემცირება.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის თებერვლიდან მაისამდე
გ4	LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების	ს.ს. ნენსკრა	2017 წლის აპრილი

ნაბიჯი	მოქმედება	ვალდებულება	სტატუსი (იანვარი 2017) და დრო
	აღდგენის გეგმის განახლება, მისი ხელშეკრულებებთან ინტეგრირება და შეთანხმებული ღირებულებებისა და უფლებების დოკუმენტში ასახვა.	ჰიდრო	
გ5	თუკი ვერ მოხდება შეთანხმების მიღწევა, ენერგეტიკის სამინისტრო იწყებს ექსპროპრიაციის პროცესს.	ენერგეტიკის სამინისტრო და ეკონომიკის სამინისტრო	2017 წლის მაისი-ივნისი
გ6	განსახლების და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის დამატება იმ კომპონენტებისათვის, რომლებსაც არ არის განსაზღვრული 2017 წლის იანვრისათვის (უფლებამოსილების ზღვრული თარიღის დადგენა, მიწის აზომვითი სამუშაოები და ქონებაზე ზემოქმედების სეფასება, სოციალური კვლევა და გეგმის დანართის დაწერა)	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	ჰესის მშენებელთა ბანაკი და მყარი ნაყარის განთავსების უბნები: 2017 წლის აპრილი-მაისი; ელექტროგადამცემი ხაზები: 2017 წლის ივლისი; ნაკრას გზის გაფართოება: 2017 წლის ივლისდან სექტემბრამდე
დ. საარსებო საშუალებების აღდგენის ზომების განხორციელება			
დ1	LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის სპეციალისტებისა და ტექნიკური პარტნიორების დანიშვნა საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამისათვის. საარსებო საშუალებების აღდგენის კონკრეტული საქმიანობების განსაზღვრა და განხორციელება, მაგალითად, მესაქონლეობის და სოფლის მეურნეობის მდგრადი ტექნიკა. დაინიშნება სათათბირო-საკონსულტაციო ფირმა, რომელიც დაზარალებულ ადამიანებთან ერთად განსაზღვრავს მათი მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობების გაუმჯობესებისა და შემოსავლის ალტერნატიული წყაროების განვითარების საშუალებებს.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის მაისი
დ2	ფურაჟის ტრანზიტულ პერიოდში მიწოდება (საძოვრების დაკარგვა)	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის ივნისიდან
დ3	აქტივობები მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის: • შეღავათიანი დაქირავება და უნარ-ჩვევების სწავლება/ტრენინგი; • დახმარება მიღებული ფინანსური კომპენსაციის მართვაში; • მხარდაჭერა არსებული ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის; • დახმარება მიწის საკუთრების დაკანონებაში.	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის ივნისიდან
დ4	აქტივობები **უკიდურესად** დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის: • საარსებო საშუალების ადღგენის ყველა ზომა, რომელიც ხელმისაწვდომია მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის • საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობების ტექნიკურ-ეკონომიკური	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის ივნისიდან

ნაბიჯი	მოქმედება	ვალდებულება	სტატუსი (იანვარი 2017) და დრო
	კვლევის განხორციელება (თხილის წარმოების, მეფუტკრეობის, თაფლის გაყიდვის, მებაღეობისათვის) • საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობების განხორციელება (მასალების შესყიდვა, ჩამოყალიბება, საოჯახო მეურნეობების ტრენინგი, ზოგადი ტექნიკური დახმარება)		
ე. მონიტორინგი და ანგარიშგება			
ე1	შიდა მონიტორინგისა და პროექტის მიმდინარეობის ექვსი თვის ანგარიშები	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	2017 წლის თებერვლიდან. ყოველთვიური ანგარიშები ALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის პირველი სამი წლის განხორციელების განმავლობაში კვარტალური ანგარიშები LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის პირველი სამი წლის განხორციელების განმავლობაში ექსპლუატაციის შემდეგ სამი წლის განმავლობაში.
ე2	გარე მონიტორინგისა და პროექტის მიმდინარეობის ექვსი თვის ანგარიშები	გარე მონიტორი	ანგარიშები 6 თვეში ერთხელ 2017 წლის დასაწყისიდან, გრძელდება დასრულების აუდიტის ჩატარებამდე.
ე3	დასრულების შიდა ანგარიში	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო	ერთი ანგარიში, ბოლო კომპენსაციის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში
ე4	დასრულების გარე აუდიტი	გარე აუდიტი	ერთი ანგარიში, ბოლო კომპენსაციის გაცემიდან სამი წლის განმავლობაში. დასრულების შიდა ანგარიშის გამოცემის შემდეგ.

9.1.2 2017 წლის იანვარში დაწყებული საქმიანობები

LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის მოცემული გეგმის შედგენისათვის, 2017 წლის იანვარში შემდეგი საქმიანობები დასრულდა ან დაიწყო:

- ინსტიტუციონალიზაცია
  - ს.ს. ნენსკრა ჰიდროსა და საქართველოს მთავრობის ურთიერთობა მიწის შესყიდვის პროცესისათვის გაფორმებულია განხორციელების ხელშეკრულებაში, რომელსაც ხელი 2015 წლის 31 აგვისტოს მოეწერა. 2016 წლის 01 თებერვალს ხელი მოეწერა ბრძანება #95-ს. ბრძანება ნიშნავს განმახორციელებელ ორგანიზაციას (საპარტნიორო ფონდი) მიწის შესყიდვის პროცესის ს.ს. ნენსკრა ჰიდროსთან ერთად სამართავად (იხ. თავი 8.1.). განხორციელების ხელშეკრულება 2017 წლის თებერვალში განახლდა.
  - ერთობლივი მართვის პროცესის პროცედურები შეთანხმდა საპარტნიორო ფონდთან 2016 წლის 2 ნოემბერს.

- მიწის რეგისტრაცია:
  - სახელმწიფო მიწის რეგისტრაცია დაიწყო 2016 წლის მე-4 კვარტალში და ეფუძნება 2015 წლის მიწის ანგარიშს;
  - დაკანონებადი მიწისთვის.
    - ელექტროსადგურის ტერიტორიაზე, გამოვლინდა მიწის ნაკვეთების საზღვრები (როგორც დაკანონებადი, ასევე იმ მიწისათვის, რომლის დაკანონებაც შეუძლებელია), შედგა მიწის ნაკვეთების რუკა დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მონაწილეობით (იხ. დიაგრამა 15, გვ. 139). პროექტის მიერ გაწეული დახმარება სარეგისტრაციო დოკუმენტების მოსამზადებლად (ნახაზები + დოკუმენტები) - 2016 წლის დეკემბერი.
    - ნენსკრას გზის რეკონსტრუქცია, 14 საოჯახო მეურნეობას ინდივიდუალურ რეჟიმში მიეწოდა ინფორმაცია რეგისტრაციის, დახმარების და კომპენსაციის პროცესზე - 2016 წლის 26-28 დეკემბერს.


- საკომპენსაციო პაკეტების დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან მოლაპარაკება
  - ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ მომზადებული საკომპენსაციო შეთანხმება მზადაა ხელმოსაწერად და საოჯახო მეურნეობებისათვის კომპენსაციის გადასახდელად საოპერაციო სოფლის აშენების ადგილზე მცხოვრები საოჯახო მეურნეობებისათვის, მათ მიერ საკომპენსაციო პაკეტზე თანხმობის გამოცხადების შემდეგ.
  - 2016 წლის დეკემბერში დაიწყო საკომპენსაციო პაკეტზე მოლაპარაკება ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მშენებლობით დაზარალებული პირებისათვის და 2017 წლის იანვარშიც გრძელდება


9.2 განხორციელების განრიგი

2017 განხორციელების განრიგი მოცემულია განტის დიაგრამის მიხედვით (გვ. 140, დიაგრამა 16).

ზოგადი განრიგი მოცემულია განტის დიაგრამის მიხედვით (გვ. 141, დიაგრამა 17).


დიაგრამა 15 - ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების საზღვრები (როგორც დაკანონებადი, ასევე იმ მიწისათვის, რომლის დაკანონებაც შეუძლებელია).





დიაგრამა 16 - 2017 LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის მოცემული გეგმის განხორციელების განრიგი

დიაგრამა 17 - საარსებო საშუალებების აღდგენის სამუშაო გეგმის განრიგი



10 ინფორმაციის გამოქვეყნება, კონსულტაცია და მონაწილეობა

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) წარმოდგენილია თავ 8-ში: დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია ყურადღებას ამახვილებს მიწის შესყიდვის პროცესში ინფორმაციის გამოქვეყნებაზე მიწის შეძენით დაზარალებულ ადამიანებთან კონსულტაცი ასა და მათ მონაწილეობაზე.

10.1 ინფორმაციის გამოქვეყნება

LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის მოცემული გეგმა გარემოსდაცვითი და სოციალური პაკეტის დამატებითი მე-9 თავია, რომელიც ნენკსკრას ჰესისათვის 2015-2017 წლებში მომზადდა კრედიტორების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან სხვა თავები, კერძოდ კი, LALRP/მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა ინგლისურადაა შედგენილი, იგი ითაგმნება ქართულად, გეგმის 2017 წლის მარტში გამოქვეყნებამდე. დაბეჭდილი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება მესტიის მუნიციპალიტეტის ოფისის, სოფელ ჭუბერისა და ნაყის მოსახლეობისათვის სოფლის ადმინისტრაციის შენობებში, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს საინფორმაციო ცენტრში, ისევე როგორც ს.ს. ნენსკრა ჰიდროს თბილისის ოფისში 2017 წლის მარტ-ივნისში. პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრები მოსახლეობას ინფორმაციას სვანურ ენაზე აუხსნიან.

გამოქვეყნების ფაზის დასაწყისში, 2017 წლის მარტში, პროექტი ყველა დაზარალებულ ადამიანს დაურიგებს მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს/GLAC (მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის/LALRP-ის შეჯამება საზოგადოების წევრებისათვის), რომელიც წარმოადგენს საინფორმაციო ბროშურას მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის მოკლე მონახაზისა და პრინციპების თემის წევრებისათვის გასაცნობად.

ფაზისა და ოპერირების პირველი სამი წლის განმავლობაში პროექტი გამოაქვეყნებს ექვსი თვის და წლიურ გეგმებს (ქართულად და ინგლისურად). აღნიშნული ანგარიშები საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდება ჭუბერში მდებარე პროექტის საინფორმაციო ცენტრის, ჭუბერისა და ნაკის სოფლის ადმინისტრაციის შენობებში, მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის შენობასა და პროექტის ვებ-გვერდის მეშვეობით. ანგარიშებში შევა ინფორმაცია მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელების და საარსებო წყაროების საქმიანობების მიმდინარეობის შესახებ.

მშენებლობის ძირითადი ფაზისა და ოპერირების პერიოდში, ყოველ ექვს თვეში ქართულ ენაზე გამოიცემა ბიულეტენები, რომლებიც ასევე დარიგდება ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის პროექტის აქტივობების, მათ შორის მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად.

10.2 კონსულტაცია და ჩართულობის აქტივობებში მონაწილეობა

10.2.1 მიმოხილვა

მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის/LALRP შედგენისათვის, მიწის შეძენით დაზარალებული მოსახლეობა ინფორმირებულ იქნა ბოლო ვადის შესახებ; ჩატარდა აქტივების ინვენტარიზაცია და ინფორმაცია მის შესახებ ინდივიდუალურ რეჟიმში მიეწოდა დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებს. საინფორმაციო ლიფლეტები დარიგდა აქტივების ინვენტარიზაციისას (იხ. დანართი 3). აღწერის და აქტივების ინვენტარიზაციის შედეგები 2015 წლის დეკემბერში წარედგინა ჭუბერისა და ნაკის მოსახლეობას საჯარო ინფორმაციის გასავრცელებელ შეხვედრებზე. შეხვედრები ჩატარდა ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის, ასევე ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე საძოვრის დანაკარგით დაზარალებულ მოსახლეობასთან, რომლის მიზანიც ზემოქმედების მაშტაბის შესწავლა და ტექნიკურად და სოციალურად განხორციელებადი, საარსებო საშუალებების აღდგენის ზომების შემუშავება იყო. ელექტროსადგურის ტერიტორიაზე დაზარალებული საოჯახო მეურნეობები ჩაერთო პროცესში, მათთან პროექტისათვის დრობით და მუდმივად გამოსაყენებელი მიწის ნაკვეთების შესათანხმებლად და საკომპენსაციო პაკეტების წარსადგენად. ეს აქტივობები აღწერილია თავში 10.2.2. და 10.2.3.

2017 წლის იანვარში, ელექტროსადგურის ტერიტორიაზე და ნენსკრას გზის გასწვრივ მცხოვრებ დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან დაიწყო საკომპენსაციო პაკეტზე მოლაპარაკება. კომპენსაცია შეთანხმდა დაზარალებულ მეურნეობებთან, რომლებიც ოპერატორების სოფლის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. კომპენსაციის ხელშეკრულება ხელმოსაწერად მზადაა. საარსებო საშუალებების აღდგენის შეთავაზებული ზომები ჯერ უნდა დამტკიცდეს ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის და ასევე, ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე საძოვრის დანაკარგით დაზარალებულ მოსახლეობასთან.

2017 წლის იანვრისათვის განსახორციელებელია შემდეგი აქტივობები:

- სოფელ ჭუბერსა და ნაკში დაზარალებული ადამიანების აღწერის გამოქვეყნება;
- მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის/LALRP საჩივრების განხილვის მექანიზმის განხორციელება;
- მოწყვლად, დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან შესაბამისი შეხვედრების ჩატარება;

- მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის/LALRP გამოქვეყნება და მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს/GLAC დარიგება დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის.
- საკომპენსაციო პაკეტების წარდგენა და თითოეული დაზარალებული საოჯახო მეურნეობებისათვის ინდივიდუალურად შეთავაზებული საარსებო საშუალებების აღდგენის პაკეტის წარდგენა ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის, ასევე ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე.
- საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანებობების, მნიშვნელოვნად და უკიდურესად დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებასთან ინდივიდუალურად მოლაპარაკება.
- კონსულტაციები დეტალური დიზაინისთვის, რათა თავიდან ავიცილოთ და შემცირდეს ზემოქმედება. ბოლო ვადების გამოცხადება, აღწერა და კვლევები მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის/LALRP განახლებისათვის, კონსულტაციები ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროსადგურის მშენებლობის ბანაკის, განთავსების, ნანკრას გზის პროექტებისათვის.

მომავალი კონსულტაციების პროგრამა წარმოდგენილია თავში 10.3.

10.2.2 კონსულტაციები 2017 წლის იანვრისათვის

პროექტით დაზარალებულ პირებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა, ინტერვიუები საოჯახო მეურნეობის სოციალური კვლევისას და აღწერისას, ფოკუს ჯგუფის დისკუსიები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების მიერ განხორციელებული საქმიანობები.

2017 წლის იანვრისათვის პროექტით დაზარალებული პირების ჩართულობის საქმიანობები მოცემულია ცხრილ 36-ში და აღწერილია შემდგომ პარაგრაფებში.

ცხრილი 36 - დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან ჩატარებული კონსულტაციების ქრონოლოგია

თარიღი	კონსულტაციები ჩატარდა	გამოქვეყნებული ინფორმაცია	გამოთქმული პრეტენზიები/წუხილი	პროექტმა როგორ მოახდინა გამოთქმული პრეტენზიების/წუხილის დაკმაყოფილება
2015 წლის 25-26 ოქტომბერი	ელექტროსადგურის, ნენსკრას გზის რეკონსტრუქციის, ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის, ნენსკრას წყალამღების ტერიტორიაზე დაზარალებული ადამიანები.	• საბოლოო თარიღი (2015 წლის 26 ოქტომბერი) • მიწის შესყიდვისას გათვალისწინებული პროცესი და ზოგადი პრინციპი (აღწერა, აქტივების ინვენტარიზაცია და შეფასების პროცესი, რომელიც	• მიწის შესყიდვის განრიგი; • ერთეულის ფასები და კომპენსაციის განაკვეთები • კომპენსაცია ნენსკრას კაშცლისა და წყალსაცავის და ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე საძოვრის დაკარგვისათვის.	LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა პასუხს გასცემს მიწის შესყიდვასთან დაკავშირებულ პრეტენზიებს/წუხილს. იგი მომზადება კრედიტორების პოლიტიკის შესაბამისად და საჯაროდ გამოქვეყნდება. გაიმართება შეხვედრები შემსუბუქების ზომების განსასაზღვრად.

თარიღი	კონსულტაციები ჩატარდა	გამოქვეყნებული ინფორმაცია	გამოთქმული პრეტენზიები/წუხილი	პროექტმა როგორ მოახდინა გამოთქმული პრეტენზიების/წუხილის დაკმაყოფილება
		მომდევნო დღეებში უნდა ჩატარდეს); • საინფორმაციო ლიფლეტები მიწის შესყიდვის შესახებ და ძირითადი პირობები, რომლებსაც ინფორმაციისათვის უნდა დაუკავშირდეთ (იხ. თავი 3)	• გზების ახლოს მდებარე სახლებზე ვიბრაციის შესაძლო ზეგავლენა; • პროექტის ადგილობრივი სარგებელი.	ჩატარდება ობიექტების სიძველის კვლევა; პროექტი დაასაქმებს ადგილობრივ მუშაკებს მაქსიმალურ დონეზე. თემის ინვესტირების პროგრამა შემუშავებულია (იხ. თავი 3).
2015 წლის 16&17 დეკემბერი	ჭუბერისა და ნაკის თემები (56 და 27 მონაწილე)	• დამატებითი სოციო-ეკონომიკური მონაცემების კვლევების წინასწარი შედეგების პრეზენტაცია, მათ შორის LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის ფარგლებში განხორციელებული აღწერისა და აქტივების ინვენტარიზაციის პრეზენტაცია. • სამშენებლო განრიგის პრეზენტაცია. • საპრეზენტაციო მასალის ქართულ ენაზე მონაწილეებისათვის დარიგება (იხ. თავი 7 - დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP))	• კაშხლის უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფები • პროექტის ადგილობრივი სარგებელი • დასაქმების შესაძლებლობები • კლიმატის ცვლილება (იხილეთ თავი 7)	პროექტი დაასრულებს დამატებითი სოციო-ეკონომიკური მონაცემების კვლევებს და მოაწყობს საჯარო შეხვედრებს ყველა სახის ზემოქმედების, შემსუბუქების ზომებისა და ვალდებულებების დეტალურად წარსადგენად (2017 წლის მარტსა და ივნისში - იხ. თავი 7). 2015 წლის დეკემბერში, პროექტის ფარგლებში დაქირავებულ იქნება საზოგადოებასთან ურთიერთობების 2 სპეციალისტი, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას მიაწოდებს ინფორმაციას და კომპანიის მოთხოვნებს გადასცემს. საჭიროებების თანამონაწილეობითი კვლევა ჩატარდა 2016 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და შემუშავდა თემის საინვესტიციო პროგრამა (იხ. თავი 3 და თავი 8).
2016 წლის 16&17 თებერვალი	საძოვრების დაკარგვით დაზარალებული ფერმერები (მაჩლიჭალა, ქვემო მემული - ნენსკრას კაშხლისა და	• პროექტით გამოწვეული დანაკარგის მაშტაბის შეფასება; • კომპენსაცია და საარსებო საშუალებების აღდგენისათვის	• ზემოქმედება საერთოა ოჯახების ჯგუფებისათვის, ვინაიდან ოჯახების ჯგუფები ინაწილებენ ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებულ	ჩატარდა უნარ-ჩვევების ინვენტარიზაცია, და პროექტის მიზანი იქნება არაკვალიფიციური მუშების 100%-ით ჭუბერისა და ნაკის თემებიდან დაქირავება (თუკი არსებობს ამგვარი მუშახელი). გაიმართა

თარიღი	კონსულტაციები ჩატარდა	გამოქვეყნებული ინფორმაცია	გამოთქმული პრეტენზიები/წუხილი	პროექტმა როგორ მოახდინა გამოთქმული პრეტენზიების/წუხილის დაკმაყოფილება
	წყალსაცავის ტერიტორიაზე, ლაგირი - ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე)	შეთავაზებული წინასწარი გადაწყვეტილებები; • EPC კონტრაქტორის ვალდებულება შეინარჩუნოს ხელმისაწვდომობა პროექტის მიერ მიწის გამოყენების ტერიტორის გარეთ მდებარე საძოვრებზე (ზედა მემული, შკვანდირი; ნენსკრას კაშხალი და საძოვრები, რონლებიც ნაკრას წყალამღებზე და საძოვრებზე, მომავალი კაშხლის ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს).	გამოყენების უფლებას; • დასაქმების შესაძლებლობები; • საარსებო შესაძლებლობების აღდგენის ზომების განხორციელების დროისათვის აუცილებელი დახმარება.	შეხვედრები საარსებო წყაროების აღდგენის ზომებისა და ზემოქმედების მაშტაბის უკეთ შესასწავლად, მათ შორის კოლექტიური ზომების (იხ. ქვემოთ). ნაკრას წყალამღებზე - მიწა, რომლის ლეგალიზება შესაძლებელია, დარეგისტრირდება და გაიცემა კომპენსაცია.
2016 წლის 28 თებერვალი	ჭუბერის თემი	• ზოგადი ინფორმაცია პროექტის, მათ შორის მიწის შესყიდვის შესახებ ლექტროგადამცემი ხაზებისა და განთავსების ადგილებისათვის.	• ლახანის მოსახლეობა წუხდა, რომ პროექტის მიერ მიწის შესყიდვა მოხდებოდა სოფლის ფარგლებში 220 კვ გადაცემის ხაზის მშენებლობისათვის და ელექსტროსადგურის მშენებლობის ტერიტორიაზე ნარჩენების განთავსების ადგილების მოსაწყობად.	პროექტის მიერ გაკეთებული ახსნა-განმარტება. 220 კვ გადაცემის ხაზის მშენებლობისათვის მიწის შესყიდვა ჩატარდება GSE-ს მიერ კრედიტორების მოთხოვნების შესაბამისად. მიწის შესყიდვის მაშტაბი დღეისათვის უცნობია. რაც შეეხება ნარჩენების განთავსების ადგილებს, ისინი ჯერ არ განსაზღვრულა. ადგილები განისაზღვრება თემებთან მჭიდრო კონსულტაციით. კონკრეტული ამოცანაა, თავიდან იქნეს აცილებული ფიზიკური გადაადგილება და საარსებო საშუალებებზე არასასურველი შედეგების შემცირება. იხ. თავი 4.2.
5.04.2016	ელექტროსადგურის მშენებლობით დაზარალებული საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც	• დიალოგი შესაძლო, დროებითი, ფიზიკური გადაადგილების	• დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობებმა უარი განაცხადეს მიწის შესყიდვის განხილვაზე მანამ, სანამ პროექტი ითვალისწინებდა	მომდევნო შეხვედრები ჩატარდა და ტექნიკური გადაწყვეტა მოიძებნა ფიზიკური გადასახლების თავიდან ასაცილებლად (იხ. ქვემოთ).

თარიღი	კონსულტაციები ჩატარდა	გამოქვეყნებული ინფორმაცია	გამოთქმული პრეტენზიები/წუხილი	პროექტმა როგორ მოახდინა გამოთქმული პრეტენზიების/წუხილის დაკმაყოფილება
	ფიზიკური გადასახლება ემუქრებათ.	შესახებ მშენებლობის პერიოდის განმავლობაში უსაფრთხოების მიზნებით.	ფიზიკურ გადაადგილებას.	
6-7.04. 2016	მაჩლისჭალა და ქვემო მემული - ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის ტერიტორიაზე, ლაგირი - ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე - საძოვრების დაკარგვით დაზარალებული ფერმერები	• პროექტით გამოწვეული დანაკარგის მაშტაბის შეფასება; • კომპენსაცია და საარსებო საშუალებების აღდგენისათვის შეთავაზებული წინასწარი გადაწყვეტილებები; •	• ზემოქმედება საერთოა ოჯახების ჯგუფებისათვის, ვინაიდან ოჯახების ჯგუფები ინაწილებენ ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებულ გამოყენების უფლებას; • საარსებო შესაძლებლობების აღდგენის ზომების განხორციელების დროისათვის აუცილებელი დახმარება.	ფურაჟის მიწოდება გარდამავალი პერიოდისათვის ჩართულია საარსებო საშუალებების აღდგენის პროგრამაში (იხ. თავი 7). შემდგომი კონსულტაციები გაიმართა 2016 წლის ოქტომბერში • საარსებო საშუალებების აღდგენის ტექნიკურად და სოციალურად განსახორციელებელი ზომების გამოსავლენად.
2016 წლის ივნის-დეკემბერი	8 შეხვედრა ელექტროსადგურის მშენებლობით დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან	• კომპენსაციის პრინციპების, მშენებლობის პერიოდში დროებითი, ფიზიკური გადაადგილების თავიდან აცილების შესახებ. • მშენებლობის პერიოდში გამოყენებული მიწის ნაკვეთების თანამონაწილეობითი გამოვლენა.	დროებითი ფიზიკური გადაადგილებლობის შესაძლებლობით დაზარალებულმა საოჯახო მეურნეობებმა უარი განაცხადეს მშენებლობის პერიოდში სახლების დატოვებაზე.	პროექტში შეიცვალა ელექტროსადგურის მდებარეობა იმგვარად, რომ თავიდან ავიცილოთ დროებითი ფიზიკური გადაადგილებლობა. EPC კონტრაქტორი განსაზღვრავს და განახორციელებს ზომებს, რომლებიც ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რეჟიმის შენარჩუნებას უზრუნველყოფს ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში.
2016 წლის 12-18 ივნისი	საძოვრების დაკარგვით დაზარალებული ფერმერები (მაჩლიჭალა, ქვემო მემული - ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავის ტერიტორიაზე, ლაგირი - ნაკრას წყალამღების ტერიტორიაზე)	• ფოკუს ჯგუფები + 16 დეტალური, ინდივიდუალური ინტერვიუ • საძოვრების დაკარგვის ზემოქმედების შეფასება შემოსავალზე - საოჯახო მეურნეობის დონეზე. • საარსებო წყაროების	• მოთხოვნა პროექტმა შეაკეთოს დაუზიანებელ საძოვრებამდე მისასვლელი, არსებული გზები	საარსებო საშუალებების აღდგენის ზომები, რომლებიც დაზარალებულ ფერმერებთან ერთად ტექნიკურად და სოციალურად განხორციელებად ზომებად ჩაითვალა, ჩართულია LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმაში (იხ. თავი 10.2.3. და 7). საქონლის გვერდის ასავლელი გზა

თარიღი	კონსულტაციები ჩატარდა	გამოქვეყნებული ინფორმაცია	გამოთქმული პრეტენზიები/წუხილი	პროექტმა როგორ მოახდინა გამოთქმული პრეტენზიების/წუხილის დაკმაყოფილება
		აღდგენის ტექნიკურად და სოციალურად განსახორციელებელი ზომების თანამონაწილეობითი გამოვლენა.		განისაზღვრება, რომელიც ნენსკრას წყალსაცავის ჩრდილოეთით მდებარე საძოვრებამდე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ზედა მემულისა და შკვადირის საძოვრებამდე და ნენსკრას კაშხლამდე მისასვლელი გზები შეკეთდება.
2016 წლის 26-28 დეკემბერი	ნენსკრას გზის განახლებით დაზარალებული საოჯახო მეურნეობები	• ინდივიდუალური შეხვედრები; • პროექტის განრიგისა და მიწის შესყიდვის პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება; • საკომპენსაციო პაკეტების ინდივიდუალური პრეზენტაცია.	• კაშხლის უსაფრთხოება, ბუნებრივი კატასტროფები და მიკროკლიმატის ცვლილებები	2017 წლის აპრილიდან ივნისამდე გაიმართება საჯარო შეხვედრები პროექტის გავლენისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ. (იხილეთ თავი 7 SEP). კაშხლის უსაფრთხოებისა და ბუნებრივი კატასტროფები შეფასდა და ტექნიკური ზომები ჩართულ იქნა დასაშვები რისკების GIIP საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში მოსაქცევად (იხ. თავი 6 - ბუნებრივი კატასტროფები და კაშხლის უსაფრთხოება).

სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან ჩატარებული ოფიციალური შეხვედრები მოკლედაა აღწერილი მომდევნო პარაგრაფებში.

A. პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების/ESIA ანგარიშის გამოქვეყნების ფარგლებში ორგანიზებული საჯარო მოსმენები.

2015 წლის ივნისში სამი საჯარო მოსმენა მოეწყო. თითო თითო დაზარალებულ სოფელში - ჭუბურში, ნაკსა და მესტიაში. პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესის ფარგლებში შეხვედრების ჩატარებას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა. შეხვედრების მიზანი იყო Gamma Consulting Limited-ის მიერ მომზადებული პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების წარდგენა. შეხვედრაში მონაწილეობდნენ თემის, პროექტის განმახორციელებელი კომპანიის, ადგილობრივი ხელისუფლებისა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლები.

B. საინფორმაციო შეხვედრები განსახლების პოლიტიკის, პრინციპებისა და კომპენსაციის უფლებაზე

2015 წლის ოქტომბერში, SLR-ს მიერ ჩატარებული საკადასტრო და ღირებულების დასადგენი კვლევის ჩატარებამდე დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების კონტექსტში, შეხვედრები ადგილობრივ ხელისუფლებასთან ნაკსა და ჭუბერში. შეხვედრების მიზანი იყო ინფორმაციის მიწოდება შემდეგ საკითხებზე: 1. განსახლების პოლიტიკა და პრინციპები. 2. კომპენსაციის უფლებები, 3. საჩივრებისა და პრეტენზიების მექანიზმები და 4. პრეტენზიებისა და შენიშვნების მექანიზმები.

C. დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების წინასწარი დასკვნების პრეზენტაცია

2015 წლის დეკემბერში ჩატარდა შეხვედრები დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების წინასწარი დასკვნების საზოგადოებისათვის გასაცნობად. შეხვედრები ჩატარდა ჭუბერსა და ნაკიში. განიხილეს შემდეგი საკითხები: 1. კვლევების ძირითადი დასკვნების, 2. ნენსკრას ჰესისასთვის დაგეგმილი მშენებლობის განრიგი და 3. საჯარო კონსულტაციების შემდეგი ნაბიჯები.

10.2.3 LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის მომზადებაში დაზარალებული ადამიანების მონაწილეობა

A. ნენსკრას კაშხლისა და წყალსაცავზე, ნაკრას წყალამღებზე საძოვრების დაკარგვასთან დაკავშირებით.

2016 წლის თებერვალსა და აპრილში ჭუბერსა და ნაყიში მოეწყო შეხვედრები დაზარალებულ მოსახლეობასთან საძოვრების დანაკარგთან დაკავშირებით. შეხვედრების მიზანი იყო ზემოქმედების შესწავლა და შესაძლო ზემოქმედების მაშტაბის დადგენა და შემსუბუქების შესაძლო სტრატეგიებისა და საარსებო საშუალებების აღდგენის საქმიანობების შემუშავება, რომელთა განხორციელება ტექნიკურად შესაძლებელი და სოციალურად მისაღებია.

2016 წლის ოქტომბერში ჩატარდა კონკრეტული კვლევა და თანამონაწილეობითი სავარჯიშო: (1) საოჯახო მეურნეობის დონეზე გავლენის მაშტაბის დასადგენად და (2) დაზარალებული საოჯახო მეურნეობის მოსაზრებების განხილვა საარსებო საშუალებების აღდგენის ზომებთან დაკავშირებით. ექსპერტი მაღალმთიან ადგილებში მესაქონლეობის სფეროში შეხვდა ქვემო მემულისა და მაჩლიჭალას (ნენსკრას კაშხალი და წყალსაცავი) და ლაგირის საძოვრის (ნაკრას წყალამღები) დაკარგვით დაზარალებულ 16 ოჯახს. დეტალური ინტერვიუები და დისკუსიები ჩატარდა დაზარალებული საოჯახო მეურნეობის სრულ საერთო შემოსავალში სოფლის-მეურნეობის საქმიანობებით მიღებული შემოსავლის წილის განსაზღვრისათვის. შეგროვდა დაზარალებული საოჯახო მეურნეობის იდეები და მოსაზრებები. მოხდა ამ იდეებისა და მოსაზრებების მათთან განხილვა ტექნიკურად და სოციალურად შესაძლებელი გადაწყვეტილებების გამოსავლენად. შედეგები მოცემულია ცხრილში #37.

ცხრილი 37 - დაზარალებული საოჯახო მეურნეობის იდეები და მოსაზრებები საარსებო საშუალებების აღდგენის ზომებთან დაკავშირებით

საძოვრების დაკარგვით დაზარალებული საოჯახო მეურნეობების მიერ საარსებო საშუალებების აღდგენის შესაძლებლობის განხილვა ტექნიკური და სოციალური განხორციელებადობის თვალსაზრისით.	რესპოდენტების რ-ბა	რესპოდენტების %
არსებული გზების/ბილიკების/ტრასების გაუმჯობესება	8	50%
პარნიკი	2	13%
თხილი	4	25%
პირუტყვის გენეტიკური გაუმჯობესება	4	25%
მეფუტკრეობა	2	13%
მეთევზეობა	1	6%
რძის შეგროვება	1	6%
მორწყვა	2	12%
სულ	16	100%

B. ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მიწის შესყიდვისა და სამშენებლო საქმიანობებთან დაკავშირებით

2016 წლის აპრილიდან 2016 წლის დეკემბრამდე შეხვედრები ჩატარდა ელექტროსადგურის ტერიტორიაზე მიწის შესყიდვით დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან. განიხილეს საკომპენსაციო შესაძლებლობა, ისევე როგორც სამშენებლო საქმიანობების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობები. პროექტმა წამოაყენა სამშენებლო მოედანთან ძალზედ ახლოს მცხოვრები ორი საოჯახო მეურნეობის დროებითი, ფიზიკური გადაადგილების აუცილებლობა. საოჯახო მეურნეობებმა უარი განაცხადეს დროებით გადაადგილებაზე. პროექტმა შეიმუშავა ტექნიკური გადაწყვეტილება მშენებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში ამ საოჯახო მეურნეობებისათვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობების უზრუნველსაყოფად.

C. ნენსკრას გზასთან დაკავშირებით

2016 წლის დეკემბრის ბოლო კვირას ჩატარდა შეხვედრა ნენსკრას გზის რეკონსტრუქციის შედეგად დაზარალებულ ადამიანებთან მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განრიგისა და პრინციპის წარსადგენად და განსახილველად.

D. დაზარალებული ადამიანების მონაწილეობა იმ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, რომელიც 2017 წლის იანვრისათვის განსაზღვრული არ არის

ინფრასტრუქტურა, რომელიც 2017 წლის იანვრისათვის განსაზღვრული არ არის, განისაზღვრება 2017 წლის ივნისში თემებთან მჭიდრო კონსულტაციით. მათი კონკრეტული ამოცანა საარსებო საშუალებებზე ნებისმიერი ნეგატიური შედეგის შემცირებაა.

10.3 სამომავლო კონსულტაციების პროგრამა

ეს თავი აღწერს საკონსულტაციო საქმიანობებს, რომლებიც 2017 წლის დასაწყისში ჩატარდება. საქმიანობები წაკითხულ უნდა იქნეს მე-8 ტომთან (გარემოსდაცვითა და სოციალური მართვის გეგმა) და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმასთან (ტომი 7) ერთობლიობაში.

ცხრილი 38 - ს.ს. ნენსკრა ჰიდროს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის სამომავლო საქმიანობები

საქმიანობები		დრო
საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის განხორციელება	საჩივრების ადგილობრივი კომიტეტის ჩამოყალიბება თითოეულ ხეობაში	02-03.2017
	საჩივრების მონაცემთა ბაზის შექმნა	02-03.2017
	საჩივრების მონაცემთა ბაზის მართვა	2017 წლის თებერვლიდან შემდგომ
პროექტის ვებ-გვერდი	გარემოსდაცვითი ინფორმაციის განსაჯაროება	2017 წლის მარტიდან შემდგომ
	გარემოსდაცვითი და სოციალური შესრულებისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია	2017 წლის მარტიდან შემდგომ
	საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის განსაჯაროება	2017 წლის მარტიდან შემდგომ
	კომენტარების თავის ჩართვა	2017 წლის მარტიდან შემდგომ
	გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევის სრული ვერსიის განსაჯაროება	2017 წლის მარტიდან შემდგომ
მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განხორციელება	მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის სახელმძღვანელოს/GLAC დარიგება. GLAC: მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის/LALRP-ის შეჯამება თემის წევრებისათვის, მოხდება ორივე ხეობაში მისი წარდგენა.	02-03.2017
	ჭუბერისა და ნაკის სოფლის ადმინისტრაციის შენეობებში აღწერის სიის გამოქვეყნება	02-03.2017
	მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) გამოქვეყნება ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში და ვებ-გვერდზე.	03.2017
	შესაბამისი შეხვედრები ან ინდივიდუალური ინტერვიუები დაზარალებულ საოჯახო მეურნეობებთან და პირებთან. სამიზნე ჯგუფი: განათლების არმქონე პირები (მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) შედგენისას დაზარალებულ პირებს შორის ასეთი მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოვლინდა) და ყველა დაზარალებული საოჯახო მეურნეობება, რათა უფრო უკეთ გაიგონ ზემოქმედება და შემსუბუქების შესაძლებლობები, რომლებიც კონკრეტულად მათ ეხებათ.	2017 წლის თებერვლიდან მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) დასრულებამდე, საკომპენსაციო პაკეტზე მოლაპარაკებამდე, და შემდგომ ცალკეულ შემთხვევებში.
	საკომპენსაციო პაკეტებზე მოლაპარაკება და	მიმდინარე

საქმიანობები		დრო
	კომპენსაციის ხელშეკრულების ხელმოწერა	
	საარსებო საშუალებების აღდგენაზე მოლაპარაკებები პროექტით მნიშვნელოვნად და უკიდურესად დაზარალებულ პირებთან.	მიმდინარე, დაიწყო 2016 წლის ივლისში
	დახმარება მიწის დარიგისტრირებაში	მიმდინარე, დაიწყო 2016 წლის ივლისში
	საძოვართან დაკავშირებით გადაწყვეტილების განხორციელება: საარსებო საშუალებების აღდგენის გადაწყვეტილებების თანამონაწილეობითი განსაზღვრა	მიმდინარე
მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განახლება ელექტროენერგიის მიწოდება ხაზებიs, ჰესის სამშენებლო ბანაკებისa და განთავსების ადგილებთან დაკავშირებით.	კონსულტაციები დეტალურ პროექტირებასთან დაკავშირებით, რომელთა მიზანიც ზემოქმედების შემცირება ან თავიდან აცილებაა; აღწერის და კვლევების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. იგივე მოქმედებები, როგორც ზემოთ.	2017 წლის აპრილამდე
მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განახლება ნაკრას გზისათვის	კონსულტაციები დეტალურ პროექტირებასთან დაკავშირებით, რომელთა მიზანიც ზემოქმედების შემცირება ან თავიდან აცილებაა; აღწერის და კვლევების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. იგივე მოქმედებები, როგორც ზემოთ.	2017 წლის ივლისამდე
პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების/ESIA და დამატებითი გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების გამოქვეყნება და განხილვა	გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განსაჯაროება ადგილობრივად, და ასევე პროექტის ვებ-გვერდზე.	2017 წლის მარტი
	გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP) განსაჯაროება ადგილობრივად, და ასევე პროექტის ვებ-გვერდზე.	2017 წლის მარტი
	ოფიციალური შეხვედრების მოწყობა გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის, მათ შორის, მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის (LALRP), ადგილობრივ თემებთან განსახილველად.	2017 წლის მარტიდან ივნისამდე

ცხრილი 39 - კონტრაქტორის დაინტერესებული პირების ჩართულობა სამუშაოების ადრეულ ეტაპზე

საქმიანობები		დრო
მუშაკების საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის განხორციელება	საჩივრებზე რეაგირების შესაბამისი მექანიზმის შემუშავება და განხორციელება პროექტში დასაქმებული მუშაკებისათვის, მათ შორის კონტრაქტორებისათვის	2016 წლის მაისიდან EPC-ის კონტრაქტის დასრულებამდე
	მუშაკების საჩივრებზე რეაგირების მექანიზმის ეფექტურობის დადასტურება	2016 წლის მაისიდან EPC-ის კონტრაქტის დასრულებამდე
დასაქმების პროცესების განსაჯაროება	დასაქმების პროცესების განსაჯაროება ადგილზე	06/016
ინფორმაცია მოძრაობის მართვის შესახებ	მოძრაობის მართვის გეგმის ადგილზე პრეზენტაცია	2016 წლის სექტემბრამდე
	სატრანსპორტო მოძრაობასთან დაკავშირებით, ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზება.	2016 წლის სექტემბრიდან მშენებლობის ბოლომდე
	სიძველის კვლევის განხორციელება	2016 წლის სექტემბრამდე
საძოვრებამდე მისასვლელი, გვერდის ავლის გზების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროება.	საძოვრებამდე მისასვლელი, გვერდის ავლის გზების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროება.	მშენებლობის ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე.

ცხრილი 40 - მშენებლობის ძირითად ეტაპზე დაინტერესებული მხარეების ჩართვის საქმიანობები

საქმიანობები		დრო
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) ყოველწლიური განახლება	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) ყოველწლიური განახლება მშენებლობის ძირითადი სამუშაოების განმავლობაში.	მშენებლობის ძირითადი სამუშაოების განმავლობაში.
Regular meetings with PAPs	ადგილობრივ მოსახლეობასთან რეგულარული, არაფორმალური შეხვდრების მოწყობა	მშენებლობის ძირითადი სამუშაოების განმავლობაში.
	ექვს თვეში ერთხელ პროექტის ფარგლებში გამოცემული ბიულეტენი, რომელიც დარიგდება ორივე ხეობაში	მშენებლობის ძირითადი სამუშაოების განმავლობაში.
	არაფორმალური შეხვედრება მშენებლობის პერიოდში საჭიროების მიხედვით	მშენებლობის ძირითადი სამუშაოების განმავლობაში.
მუდმივი ინფორმაცია სამშენებლო	მძიმე სამშენებლო საქმიანობების შესახებ წინასწარ ინფორმაციის გავრცელება	მშენებლობის ძირითადი

საქმიანობები		დრო
საქმიანობების შესახებ		სამუშაოების განმავლობაში.
	ნებისმიერი საქმიანობის წინასწარ გამოცხადება, რომელიც გავლენას იქონიებს მოძრაობაზე ზუგდიდი-მესტიის გზაზე	მშენებლობის ძირითადი სამუშაოების განმავლობაში.
საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმა	საგანგებო სიტუაციის სამოქმედო გეგმა შემუშავება და განსაჯაროება n	წყალსაცავის ავსების დაწყებამდე
არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ პირებთან ყოველწლიური შეხვედრების ჩატარება	არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეროვნულ დონეზე დაინტერესებულ პირებთან ყოველწლიური შეხვედრების ჩატარება	წლიურად მშენებლობის პერიოდში

ცხრილი 41 - დაინტერესებული პირების ჩართულობის საქმიანობები ოპერირების ეტაპზე

საქმიანობები		დრო
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) საექსპლუატაციო ფაზა	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) საექსპლუატაციო ფაზის განსაზღვრა და განსაჯაროება	ექსპლუატაციის ფაზის დასაწყისში (2020)
გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხორციელების პერიოდში პროექტით დაზარალებულ პირებთან მუდმივი შეხვედრები	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის განხორციელების პერიოდში პროექტით დაზარალებულ პირებთან მუდმივი შეხვედრები ექვს თვეში ერთხელ პროექტის ფარგლებში გამოცემული ბიულეტენი, რომელიც დარიგდება ორივე ხეობაში	პროექტის ოპერირების მთელი პერიოდის განმავლობაში

11 საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი

მოცემული თავი აღწერს საჩივრებზე რეაგირების მექანიზმს (GRM). ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მიწის შესყიდვითა და განსახლებით დაზარალებულ ადამიანებს ჩართავს შემრიგებლური, სამართლიანი და გამჭირვალე ზომებით. ყურადღება მუდმივად გამახვილდება საჩივრების თავიდან აცილებაზე და არა საჩივრებზე რეაგირების პროცესზე. საჩივარი შეიძლება განისაზღვროს როგორც არსებული ან აღქმული პრობლემა, რომელიც დაზარალებული ადამიანების საჩივრის საფუძველი შეიძლება გახდეს.

ს.ს. ნენსკრა ჰიდრომ შეიმუშავა საჩივრებზე რეაგირების მექანიზმი, რომელიც დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ნაწილია (ტომი 7, დამატებითი სოცი-ეკონომიკური კვლევები). ეს მექანიზმი მოიცავს ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში მცხოვრები ადამიანების ყველა საჩივარს, მათ შორის LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით გაკეთებული საჩივრებისათვის).

ს.ს. ნენსკრა ჰიდრო განახორციელებს საჩივრების მეგობრულად გადაწყვეტის მექანიზმს, რომლის მიზანია დაეხმაროს მესამე პირებს სასამართლო სისტემისათვის რაც შესაძლებელია მეტი საჩივრით მიმართვის თავიდან აცილება. ეს მექანიზმი მოიცავს საჩივრების არასასამართლო, მეგობრული წესით განხილვისა და გადაწყვეტის ორ დონეს: 1. პირველი - საჩივრის ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ შიდა განხილვა და 2. მეორე - ხეობის დონეზე საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი. დიაგრამა 18 გვ. 162-ზე გვიჩვენებს საჩივრის მართვის ორიდონიან მექანიზმს.

იმ შემთხვევებში, სადაც დაზარალებული პირები ან ჯგუფები არ არიან კმაყოფილი მეგობრული მექანიზმის შედეგით, მათ ყოველთვის ექნებათ შეაძლებლობა, გადაწყვეტის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მიმართონ სასამართლოს.

მოხდება თითოეული საჩივრის დოკუმენტირება და თითოეული საჩივრის გადაწვეტის პროცესისა და კომუნიკაციის სისტემატურად მიდევნება.

ქვემოთ აღწერილია საჩივარზე რეაგირების პროცესი იმ საჩივრებისათვის, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს: კომპენსაცია, ეკონომიკური გადაადგილება და საარსებო წყაროს აღდგენა.

11.1 საჩივარზე რეაგირების პროცესი

ნენსკრას ჰესი პროექტის საჩივარზე რეაგირების ორდონიანი პროცესი მოიცავს შემდეგ მთავარ ნაბიჯებს:

1. საჩივრების მიღება და რეგისტრაცია
2. საფუძვლის შემოწმება
3. გადაწყვეტა პროექტის დონეზე (I დონე)
4. საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი (მეორე დონე)

აღნიშნული ნაბიჯები აღწერილია ქვემოთ.

A. საჩივრების მიღება

საჩივრების შეტანა მოხდება: 1. ადგილობრივ დონეზე, ნენსკრასა და ნაკრას ხეობებში, 2. პროექტის სათაო ოფისში, თბილისში და 3. პროექტის ვებ-გვერდის მეშვეობით.

დაზარალებული თემიდან ნებისმიერი პირი შეძლებს საჩივრის შეტანას.

- საჩივრის წარმოდგენა ხდება წერილობითი საჩივრის რეგისტრაციის ფორმის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია: 1. სოფლების: ჭუბერისა და ნაკის სოფლის ადმინისტრაციების შენობებში და 2. თითოეული სამშენებლო ობიექტის შესასვლელში. პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები განიხილავენ ამ რეესტრებს კვირაში ორჯერ მაინც.
- საჩივრის წარმოდგენა ხდება პროექტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის, ან EPC კონტრაქტორის გარემოსდაცვითი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერების, ტელეფონით, ან წერილობითი საჩივრის რეგისტრაციის ფორმით, ან პირდაპირ, სიტყვიერი განხილვის მეშვეობით.

საჩივრის რეგისტრაციის ფორმა მოცემულია დანართ 5-ში. საჩივრის ფორმა და საჩივრის რეგისტრი დამონტაჟდება სოფელ ჭუბერისა და ნაკის ადმინისტრაციების შენობებში, ასევე სამშენებლო უბნების შესასვლელში.

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი დაზარალებულ თემებს აუხსნის საჩივრის შეტანისა და რეგისტრაციის შესაძლებლობასა და გზებს. შეხვედრები მოეწყო ყოველ სოფელში, 2016 წლის იანვარ-თებერვალში. საჩივრის მექანიზმის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება ვებ-გვერდის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიკვრება ბილბორდებზე თითოეულ თემში და სოფელ ჭუბერისა და ნაკის ადმინისტრაციების შენობების შესასვლელში. ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერის პოზიცია მუდმივად სოფელ ჭუბერშია დაფუძნებული და მოახდენს საჩივარზე რეაგირების მექანიზმისა და მონაცემთა ბაზის ადმინისტრირებას.

B. საჩივრების რეგისტრაცია

ყველა საჩივარი ჩაიწერება და დარეგისტრირდება პროექტის საჩივრის მონაცემთა ბაზაში ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერის მიერ. შეინახება შემდეგი ინფორმაცია: 1. სახელი, გვარი და საკონტაქტო დეტალები, 2. საჩივრის დეტალები, როდის და როგორ იქნა წარმოდგენილი, მიღებული, გაცემული პასუხი და დახურვა. ყველა საჩივრის მიღების დადასტურება

ხდება მიღებიდან 7 დღეში და პასუხი გაიცემა მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

C. საფუძვლის შემოწმება

საჩივრის შემოტანისა და რეგისტრირების შემდეგ, ს.ს. ჰიდრო ნესკრას სოციალური მენეჯერი განსაზღვრავს საჩივარი საფუძვლიანია თუ არა, ანუ, იმსახურებს თუ არა შემდგომ განხილვას.

მას შემდეგ, რაც საჩივარი საფუძვლიანად ჩაითვლება, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერი (1) ახდენს საჩივრის შემომტანის წერილობით ინფორმირებას ერთი კვირის განმავლობაში, (2) განსაზღვრავს საკითხის/პრობლემის გადაწყვეტას საჩივრის პროექტის დონეზე განხილვისათვის (საჩივრის გადაწყვეტის პირველი დონე) ერთი კვირის განმავლობაში და (3) ხვდება საჩივრის შემომტანს პირველადი გადაწყვეტილების შეთავაზებიდან ორი კვირის განმავლობაში.

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერი გადაწყვეტს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა, მიზეზი, თუ რატომ არ მოხდა საჩივრის დაშვება, ინახება საჩივრის მონაცემთა ბაზაში და გადაწყვეტილება ეცნობება მომჩივანს ერთი კვირის განმავლობაში.

D. დაზარალებული პირების საჩივრების განხილვა პროექტის დონეზე

მას შემდეგ, რაც საჩივარი კლასიფიცირდება როგორც საფუძვლიანი, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერი ჩაატარებს საჩივრის გადაწყვეტას პირველ დონეზე. საჩივრის დასამუშავებლად გადაიდგმევა შემდეგი ნაბიჯები:

- ჩართულ მხარეთა განსაზღვრა;
- საჩივარში წამოჭრილი საკითხებისა და წუხილის/პრეტენზიების გარკვევა პირდაპირი დიალოგის მეშვეობით;
- წუხილის/პრეტენზიების კლასიფიცირება ბრალის სერიოზულობასთან მიმართებაში, შესაძლო ზემოქმედება ინდივიდის ან ჯგუფის კეთილდღეობასა და უსაფრთხოებაზე ან საკითხის საზოგადოებრივი იმიჯი.
- საჩივრის განაწილება შესაფერისი ექსპერტიზის მქონე თანამშრომელზე;
- საჩივრის გადაწყვეტის მეთოდის განსაზღვრა - ყველაზე გავრცელებული მიდგომები, რომლებიც სხვა მიდგომას არ გამორიცხავს, იქნება:
- კომპანია მომჩივანს საკითხის პირდაპირ გადაწყვეტას სთავაზობს;
- კომპანია და თემი ერთად იღებს გადაწყვეტილებას;
- კომპანია და თემი იყენებს ტრადიციულ ან ჩვეულებით სამართალზე დაფუძნებულ ადგილობრივ პრაქტიკას.
- სხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების შეგროვება, მათ შორის კომპანიის და საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმებული, ნეიტრალური, ტექნიკური აზრის მოსმენა.
- საწყისი ვარიანტების განსაზღვრა, რომელიც მხარეებმა განიხილეს და შეისწავლეს. საკითხის გადაწყვეტისა და დარეგულირების სხვადასხვა მიდგომები;

- შეთანხმებისამებრ, საჩივრის გადაწყვეტის პროცესის ჩატარება;
- საჩივრის დახურვა ამისათვის განკუთვნილი, საჩივრის დახურვის ფორმის ხელმოწერით (რაც ნიშნავს, რომ საჩივარი ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებლად გადაწყდა) ან საჩივრის გადაწყვეტის კომისიისათვის მიმართვა.

პროექტით დაზარალებული პირის საჩივრების პროექტის დონეზე განხილვა მოხდება საჩივრის მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში.

თუკი პროექტით დაზარალებული პირი უკმაყოფილოა შეთავაზებული გადაწყვეტით, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი გადაამისამართებს საჩივარს საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტში, რომელიც საჩივრის გადაწყვეტის მეორე დონეა.

E. საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი

საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი ითვლება საჩივარზე რეაგირების მექანიზმის მეორე დონედ. ორგანო ჩამოყალიბდება მდინარის თითოეულ ხეობაში. მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება აჩვენებს, რომ ადგილზე საჩივარზე რეაგირების ამგვარი მექანიზმის არსებობა ხელს უწყობს საჩივრების უმეტესობის გადაწყვეტას სასამართლო პროცედურების გარეშე (ანუ, ადმინისტრაციულ კოდექსით მოთხოვნილი პროცედურების ან სასამართლო პროცესის გარეშე). მექანიზმი პროექტის დაუბრკოლებელი განხორციელებისა და საჩივრების დროულად დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი ჩამოყალიბდება მდინარის ყოველი ხეობისათვის. კომიტეტი ოფისი განთავსდება მუნიციპალიტეტის შენობაში. როგორც ქვემოთაა ჩამოთვლილი, საჩივრის გადაწყვეტის ადგილობრივი კომიტეტი შედგება შემდეგი წევრებისაგან:

- ადმინისტრაციული ოფიცრების წარმომადგენლები (მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი თემში და სოფელ ჭუბერისა და ნაკრას მოადგილე მესტიის საკრებულოში).
- პროექტის წარმომადგენლები: საველე სოციალური მენეჯერი, მიწის შესყიდვის და კომპენსაციის ოფიცერი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები;
- ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიწის შესყიდვის და კომპენსაციის ოფიცერი;
- პროექტით დაზარალებული ორი პირი (ერთი ქალი, ერთი კაცი). მათ აირჩევენ დაზარალებული თემები. ს.ს. ნენსკრა ჰიდროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი აუხსნის და გაავრცელებს ინფორმაციას პროექტის შესახებ 2016 წლის ივლისში ჩატარებულ შეხვედრებზე. განრიგისა და თემების გადაწყვეტილების მიხედვით, ისინი შეაგროვებენ კანდიდატურებს და ჩაატარებენ არჩევნებს.

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერი იმოქმედებეს როგორც საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტის მდივანი (შექმნა, კოორდინაცია, დოკუმენტაცია).

ცხრილი 42 - საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტის შემადგენლობა

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერი	მომწვევი
ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიწის შესყიდვის და კომპენსაციის ოფიცერი	წევრი
ადმინისტრაციული ოფიცრების 2 წარმომადგენელი (მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელი თემში)	წევრი
მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თემებიდან არჩეული საკრებულოს წევრი (ჭუბერი და ნაკრა)	წევრი
პროექტით დაზარალებული პირების წარმომადგენელი (კაცი)	წევრი
პროექტით დაზარალებული პირების წარმომადგენელი (ქალი)	წევრი

როგორც საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი ჩაერთვება იმ შემთხვევაშI, თუკი საჩივარი, რომელიც საჩივრის გადაწყვეტის პირველ დონეზე ვერ გადაწყდა, ჯერ კიდევ მიმდინარეა.

თითოეული საჩივრისათვის, საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი გადაწყვიტავს საჭიროა თუ არა დამატებითი გამოძიების ჩატარება. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტის შეხვედრამდე დამატებითი ინფორმაცია შეგროვდება საჩივრის შემომტანი პროექტით დაზარალებულ პიროვნებისაგან. აღნიშნული ინფორმაცია შეხვედრამდე საჩივრის შემომტან პროექტით დაზარალებულ პირს მიეწოდება. საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი მიაწოდებს პროექტით დაზარალებულ პირს ინფორმაციას განხილვა-შეხვედრის თარიღის, დროისა და ადგილის შესახებ და შესაბამისად, მოიწვევს პროექტით დაზარალებულ პირს მასში მონაწილეობის მისაღებად.

საჩივრის გადაწყვეტის კომიტეტი მიიღებს მომჩივანს და მასთან ერთად განიხილავს საჩივრის გადაწყვეტილების გზებს. ამის შემდეგ, კომიტეტი შეადგენს და ხელს მოსაწერს საკითხზე განხილვის ოქმს. თუკი საჩივარი დამაკმაყოფილებლად გადაწყდა, პროექტით დაზარალებულ პირი ხელს მოაწერს ოქმს მიღწეული შეთანხმების დასადასტურებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც პროექტი დათანხმდება დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას, მოხდება ოქმში ამის დაკონკრეტება. ოქმში ასევე ჩაიწერება განხორციელების გრაფიკი.

მომჩივანს წერილობით მიეწოდება ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა იგი თუ არა განხილვისას. თუკი ს.ს. ნენსკრა ჰიდროს გადაწყვეტილება ვერ დააკმაყოფილებს პროექტით დაზარალებულ მომჩივანს, მას შეუძლია დამატებითი მოქმედებების განხორციელება საკუთაი საქმის შესაბამისი სასამართლოსათვის წარდგენით (რაიონული სასამართლო).

11.2 საჩივრების დახურვა

საჩივარი ითვლება "გადაწყვეტილად" ანუ "დახურულად" ორივე მხარისათვის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილების მიღწევისას და გამოსასწორებელი ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისას. როდესაც შეთავაზებული გადაწყვეტილება საჩივრის გადაწყვეტის შესახებ თანხმდება პროექტსა და

მომჩივანს შორის, განხორციელებისათვის აუცილებელი დრო დამოკიდებულია გადაწყვეტილების ბუნებაზე. თუმცა, ამ გადაწყვეტილების განხორციელებისათვის აუხილებელი მოქმედებები განხორციელდება ყველაზე გვიან ერთი თვის განმავლობაში. როდესაც გადაწყვეტილება განხორციელდება ან განხორციელდა, საჩივრის დახურვის ფორმა უნდა შეივსოს ორივე მხარის მიერ (ს.ს. ნენსკრას საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი და მომჩIვანი), რომელშიც მითითებულია, რომ მომჩივანი საჩივარს დახურულად განიხილავს. ეს ფორმა შეინახება პროექტის საჩივრის მონაცემთა ბაზაში.

თუმცა, გარკვეულ სიტუაციებში პროექტმა შესაძლოა "დახუროს" საჩივარი მაშინაც კი, როდესაც მომჩივანი შედეგით უკმაყოფილოა. ეს ხდება მაშინ, როდესაც, მაგალითად, მომჩივანი ვერ ახერხებს საჩივრის დასაბუთებას ან საქმე გვაქვს აშკარა სპეკულაციურ ან თაღლითურ მცდელობასთან. ამგვარ სიტუაციებში, მოხდება პროექტის მიერ საჩივრის გამოსაძიებლად და გადაწყვეტილების მისაღებად მიღებული ზომების დოკუმენტირება და მომჩივანს მიეწოდება ინფორმაცია მდგომარეების შესახებ. ს.ს. ნენსკრა ჰიდრო არ უარყოფს საჩივარს ზერელე განხილვით და საჩივრებს შეინახავს საჩივრების სპეციალურ რეესტრში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომჩივანს ეცნობა და ჰქონდა დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების მიწოდების შესაძლებლობა.


11.3 საჩივრების ჩანაწერები და დოკუმენტაცია

ს.ს. ნენსკრა ჰიდროს სოციალური მენეჯერი მართავს მონაცემთა ბაზას, რომელშიც შეინახება წერილობით საჩივრები შემოსული (1) ნენსკრას და ნაკრას ხეობებიდან, (2) თბილისში, სათაო ოფისის დონეზე და (3) ვებ-გვერდის მეშვეობით. მონაცემთა ბაზა შეიცავს საჩივრის შემომტანი პირის სახელსა და გვარს ან ორგანიზაციის დასახელებას, საჩივრის აღწერასა და თარიღს, ნებისმიერ შემდგომ მოქმედებებს, საბოლოო შედეგს და როდის და როგორ მოხდა გადაწყვეტილების მომჩივნისადმი შეტყობინება. მონაცემთა ბაზის მაგალითი მოცემულია დანართში 6. სოციალური მენეჯერი მართავს საჩივრების მონაცემთა ბაზას და საჩივრების მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეიტანს პროექტის ფარგლებში ექვს თვეში ერთხელ გამოცემულ გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალურ ანგარიშში (როგორც ეს აღწერილია თავში 12).

11.4 კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია

საჩივრების მართვასთან დაკავშირებით საკონტაქტო პირია პროექტის სოციალური მენეჯერი

აღწერა	საკონტაქტო დეტალები
კომპანია:	ს.ს. ნენსკრა ჰიდრო
ვის:	სოციალური მენეჯერი
მისამართი:	საქართველო, თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა 6
ელექტრონული ფოსტა:	info@nenskrahydro.ge
ვებ - გვერდი:	www.nenskra.com. ბმული - გასაჩივრების მექანიზმი: http// www.nenskrahydro.ge./en/texts/page/10
ტელეფონი	0 322 430 421 საქართველოდან +99532 430 421 საზღვარგარეთიდან



დიაგრამა 18 - საჩივრების მართვის პროცესი

ყველა საჩივარი მიღებულ და წარმოებაში ჩაშვებული იქნება 7 დღის განმავლობაში; პასუხი გაცემულ იქნება არა უგვიანეს 30 დღისა

12 მონიტორინგი და შეფასება

მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელების ამოცანაა ადამიანების ცხოვრებისა და საარსებო საშუალებების სტანდარტების სულ მცირე პროექტის განხორციელებამდე არსებულ დონეზე შენარჩუნებაა. მიზანშეწონილია ამ სტანდარტების გაუმჯობესება პროექტის ფარგლებში. მონიტორინგი წარმოადგენს ამ ამოცანის მიღწევის პროცესში წარმატების დოკუმენტირების საშუალებას. იგი იძლევა უკუკავშირს მიღწეული პროგრესის შესახებ და იძლევა გამოვლენილი პრობლემების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე გადაწვეტის საშუალებას რათა ხელი შეუწყოს ახალი საცხოვრისითა და საარსებო საშუალებების აღდგენის ზომების დროულ შეცვლასა და კორექტორებას. მონიტორინგის ამოცანაა:

- უზრუნველყოს პროექტით დაზარალებული პირების საცხოვრებელი სტანდარტის აღდგენა ან გაუმჯობესება;
- გაარკვიოს საქმიანობების განრიგის მიხედვით ანუ ვადებში განხორციელება;
- შეისწავლოს საკმარისია თუ არა კომპენსაციის, სარეაბილიტაციო/აღდგენის ზომები;
- გამოავლინოს პოტენციური პრობლემები ან საკითხები; და
- გამოავლინოს მეთოდები პრობლემების სწრაფად გადასაწყვეტად.

მონიტორინგი წარმოადგენს საზომს დროში, რომელიც აჩვენებს მოხდა თუ არა წინსვლა ამოცანისაკენ ან ამოცანის მიღწევის გზაზე გადახვევა. მონიტორინგი იძლევა გადაუმუშავებელ მონაცემებს კითხვებზე პასუხის გასაცემად და შეფასება ამ მონაცემებს იყენებს და ახდენს მათ ინტერპრეტაციას.

12.1 მონიტორინგი

12.1.1 შიდა მონიტორინგი

შიდა მონიტორინგი ჩატარდება რეგულარულად ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიწის შესყიდვის გუნდის მიერ LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელებისას. შიდა მონიტორინგი ჩატარდება როგორც პროქტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების საერთო თანამონაწილეობითი მონიტორინგის ნაწილი. დაზარალებული თემების წარმომაგენლები შედგება ამ თემებთან ერთად და მონაწილეობას მიიღებენ მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის განსაზღვრაში, კვლევებში და შედეგების ანალიზში. თანამონაწილეობითი მონიტორინგის მექანიზმი აღწერილია ტომში 8: ESMP.

შიდა მონიტორინგის ინდიკატორები დაკავშირებულია პროცესთან, პირდაპირ შედეგთან და ზემოქმდებასთან - დაკანონებული მიწის ნაკვეთების რ-ბა, დადებული ხელშეკრულებების რ-ბა, მიმდინარე კომპენსაციის რ-ბა,

გაცემული კომპენსაციის რ-ბა, მიმდინარე და გადახდილი საკომპენსაციო გადასახადი, ქონების მფლობელი; საარსებო საშუალებების აღდგენის მიმდინარე პროგრამები; საჩივრები ტიპისა და გადაწყვეტის დროის მიხედვით. ეს ინფორმაცია შეგროვდება ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიწის შესყიდვის გუნდის წარმომადგენლების მიერ პროექტის განხორციელების არეალში.

შიდა მონიტორინგის ყოველთვიური ანგარიშები მომზადდება LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელების პირველი სამი წელიწადის განმავლობაში. შიდა მონიტორინგის კვარტალური ანგარიშები მომზადდება პროექტის ოპერირების დაწყებიდან პირველ სამ წლამდე. ანგარიშებში შევა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მიღწევები დღემდე;
- ხელმოწერილი კომპენსაციის შეთანხმებები რ-ბა;
- გადახდილი კომპენსაციის ოდენობა;
- პროექტით დაზარალებული პირების რ-ბა, რომელმაც მიიღო ტრანზიტული დახმარება, ტიპი (ნატურით ან ნაღდი) და რ-ბა;
- საარსებო საშუალებების აღდგენის განხორციელებული საქმიანობების რ-ბა და ხასიათი, პროექტით დაზარალებული პირების რ-ბა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმიანობებში
- მოცემულ პერიოდში შესრულებული და შეუსრულებელი ამოცანები;
- წამოჭრილი პრობლემები.
- დარეგისტრირებული საჩივრების რ-ბა, სახეობა, ადგილი და მომჩივანის სქესი და გადაწყვეტილი საჩივრების რ-ბა. და
- გამოსასწორებელი ზომების რეკომენდირებული ვარიანტები.

კმაყოფილების კვლევა ჩატარდება ბოლო კომპენსაციის გადახდიდან ორ თვეში დაზარალებული ადამიანების კომპენსაციის პროცესით კმაყოფილების დონის გამოსაკვლევად.

12.1.2 გარე მონიტორინგი

LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელება დამოკიდებულია გარე მონიტორინგზე რათა მოხდეს დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საარსებო საშუალებების შესაბამის დონეზე აღდგენის უზრუნველყოფა. მონიტორინგი მხედველობაში მიიღებს თავად დაზარალებული მეურნეობების მიერ საკომპენსაციო თანხების პროექტის ფარგლებში გაცემული საკომპენსაციო თანხებით ან ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მხარდაჭერის შედეგად საარსებო საშუალებების აღდგენის ეფექტურობას. გარე მონიტორი განიხილავს შიდა მონიტორინგის შედეგებს და დაადასტურებს მათ პროექტის განხორციელების ადგილებში ექვს თვეში ერთხელ ვიზიტის მეშვეობით LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელების პირველი სამი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ წლიურად თუკი მნიშვნელოვანი საკითხი არ გამოვლენილა. ექვს თვეში ერთხელ ჩატარებული გარე მონიტორინგის ანგარიშები მიეწოდებათ კრედიტორებს.

გარე მონიტორინგი ჩატარდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე გამოცდილი მესამე-პირების, სპეციალისტების მიერ, რომლებიც შეთანხმდება ს.ს. ნენსკრა ჰიდროსა და კრედიტორების მიერ. გარე მონიტორთან დაკავშირებამდე, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო და კრედიტორები შეთანხმდებიან სამუშაო აღწერილობასა და ანგარიშის ფორმატზე. გარე მონიტორინგის მიზანია დაადგინოს შიდა მონიტორინგის მეთოდების მდგრადობა და პროექტის შედეგების შესაბამისობა გადაწყვეტილ მიზნებთან. გარე მონიტორინგის ამოცანები მოიცავს:

- შიდა მონიტორინგის ანგარიშების მიმოხილვასა და გადამოწმებას;
- დაზარალებული პირების საოჯახო მეურნეობების აქტივების აღწერის კვლევის ინფორმაციის გადამოწმებას;
- საჩივრების მექანიზმის ეფექტურობის გადამოწმებას;
- კონსულტაცია დაზარალებულ საოჯახო მეურნეობეთან, ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საზოგადოების ლიდერებთან;
- შემოწმება იმისა, გაიზარდა თუ არა დაზარალებული საოჯახო მეურნეობების საარსებო საშუალებები ან მოხდა თუ არა მათი აღდგენა ან სულ მცირე, პროექტამდე არსებულ დონეზე აღდგენა, და
- შემოწმება გაიზარდა თუ არა დაზარალებული მეურნეობების შესაძლებელობები და პირდაპირი და არაპირდაპირი სარგებლობის დადგენა.

თუკი არსებობს შეუსაბამობა განხორციელების პროცესში ან კრედიტორების პოლიტიკის გაუთვალისწინებლობა, გარე მონიტორი წამოაყენებს გამოსასწორებელ მოქმედებებს და ს.ს. ნენსკრა ჰიდრო შესთავაზებს დროში გაწერილ მოქმედებებს (ბიუჯეტით) პროექტის შესრულების უზრუნველსაყოფად.

12.2 შეფასებები

12.2.1 დასრულების შიდა ანგარიში

ფიზიკური გადაადგილებისა და კომპენსაციის გადახდის სამი წლის შემდეგ, ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიწის შესყიდვის გუნდი ჩაატარებს შიდა შეფასებას იმის დასადგენად, მოხდა თუ არა LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის ამოცანების მიღწევა. შიდა შეფასება მომზადდება დასრულების ანგარიშის სახით, რომელიც წარედგინება კრედიტორებს.

შიდა დასრულების ანგარიშს მოსამზადებლად, სოციო-ეკონომიკური კვლევა და კმაყოფილების კვლევა ჩატარდება ს.ს. ნენსკრა ჰიდროს განსახლების განყოფილების მიერ. სოციო-ეკონომიკური კვლევაში ჩაერთვება ყველა დაზარალებული საოჯახო მეურნეობა. შედარებისათვის დაუზარალებელი საოჯახო მეურნეობებიც გამოიკითხება. შიდა დასრულების ანგარიში მოახდენს შემდეგი საკითხების დოკუმენტირებას:

- ყველა დასრულებული საქმიანობის მიმოხილვა როგორც LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის

განხორციელების ნაწილი (მონიტორინგის ყველა შეგროვებული მონაცემის სინთეზი);

- პროექტით დაზარალებული პირების კმაყოფილება საარსებო საშუალებების აღდგენის პროცესით;
- მიღებული და გადაწყვეტილი საჩივრების რ-ბა და ტიპი;
- პროექტით დაზარალებული პირების მიერ ჩამოყალიბებული ახალი ბიზნესების ან ეკონომიკური საქმიანობების რაოდენობა;
- პროექტით დაზარალებული პირების შემოსავლის დონეები და ცხოვრების სტანდარტები და მათი განვითარება/ცვლილება 2015 წელს დამატებითი გარემოსაცვითი და სოციალური კვლევების ფარგლებში ჩატარებული საბაზისო კვლევის განხორციელების პერიოდიდან.
- პროექტით დაზარალებული პირების საარსებო საშუალებებისა და შემოსავლის წყაროების სახეობები და მათი განვითარება/ცვლილება 2015 წელს დამატებითი გარემოსაცვითი და სოციალური კვლევების ფარგლებში ჩატარებული საბაზისო კვლევის განხორციელების პერიოდიდან.

12.2.2 გარე დასრულების ანგარიში

შიდა დასრულების აუდიტის ანგარიშის კრედიტორებისთვის წარდგენის შემდეგ, ს.ს. ნენსკრა ჰიდროსა და კრედიტორებს შორის შეთანხმების საფუძველზე პროექტი დაიქირავებს გარე შემფასებელს, რომელიც ჩაატარებს LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის დასრულების აუდიტს. დასრულების აუდიტი მოიცავს განხორციელებული შემამსრუბუქებელი ზომების მთლიანობაში განხილვას, განხორციელების გეგმების ამოცანებისადმი შედარებას და დასკვნას, შეიძლება თუ არა მონიტორინგის პროცესის დასრულება. აუდიტი შეაფასებს განხორციელდა თუ არა LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა და კრედიტორების მოთხოვნები იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებით. განხორციელების პროცესში ხარვეზების აღმოჩენის ან კრედიტორების მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აუცილებელი გამოსასწორებელი მოქმედებები განისაზღვრება და ს.ს. ნენკსრა ჰიდრო წამოაყენებს დროში გაწერილ მოქმედებებსა და ბიუჯეტებს კრედიტორების მოთხოვნების შესრულების უზრუნველსაყოფად.

12.3 მონიტორინგისა და შეფასების განრიგი

ცხრილი 43 წარმოადგენს მონიტორინგისა და ანგარიშგების საქმიანობების განრიგს.

ცხრილი 43 - მონიტორინგისა და ანგარიშგების საქმიანობების განრიგი

მონიტორინგისა და ანგარიშგების საქმიანობები	ანგარიშგება	სიხშირე / განრიგი
შიდა მონიტორინგი	ყოველთვიური ანგარიშები	LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში
	კვარტალური ანგარიშები	LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განხორციელებიდან პირველი სამი წლის განმავლობაში და ექსპლუატაციის დაწყებიდან სამ წლამდე
გარე მონიტორინგი	ანგარიშები ექვს თვეში ერთხელ	მიმდინარეობს დასრულებამდე
შიდა დასრულების ანგარიში	1 ანგარიში	ბოლო კომპენსაციის გაცემიდან სამი წლის შემდეგ
გარე დასრულების აუდიტი	1 დასრულების აუდიტი	ბოლო კომპენსაციის გაცემიდან სამი წლის შემდეგ - შიდა დასრულების ანგარიშის გამოცემის შემდეგ.

12.4 მონიტორინგის ინდიკატორები

მონიტორინგი და შეფასება ჩვეულებისამებრ იყოფა სამ კომპონენტად:

- პროცესების შიდა მონიტორინგი, მომსახურეობების, რესურსების ან საქონლის გასაზომად, რომლებიც ხელს უწყობენ გავლენის და საბოლოო ჯამში სასურველი შედეგების მიღწევას, რომელიც ჩატარდება რეგულარულად.
- მწარმოებულობის (ან შესრულების) მონიტორინგი, რომელიც ზომავს წვლილის პირდაპირ გაზომვად შედეგებს. შიდა პროცესი.
- LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა განსაზღვრავს მაშტაბს, რომლის მიხედვითაც პროექტის წვლილისა და გავლენის მეშვეობით მოხდება LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის ამოცანების მიიღწევა ან სავარაუდო მიღწევა.

მონიტორინგის ინდიკატორები ამ სამი კომპონენტისათვის ჩამოთვლილია ცხრილში #44.

ცხრილი 44 - მონიტორინგის ინდიკატორები

მონიტორინგის ინდიკატორი	წყარო	სიხშირე / განრიგი
წვლილი		
LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის ბიუჯეტის საერთო ხარჯვა	ფინანსური ჩანაწერები	Monthly
ხარჯები განაწილება შემდეგი სახით: ფულადი კომპენსაცია საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებები გარდამავალი პერიოდის დახმარებები პროექტით დაზარალებული პირების და სხვა დაინტერესებული მხარეების კონსულტაცია და ჩართულობა სოციალურად დაუცველი ადამიანების დახმარება პროექტის ზოგადი განხორციელება და ზედნადები ხარჯები	ფინანსური ჩანაწერები + LALRP მონაცემთა ბაზა	Monthly
მობილიზებული თანამშრომლების რ-ბა, სრულ/ნაწილობრივ განაკვეთზე, შიდა ორგანიზაციული ან გარე, განაწილებული პასუხისმგებლობისა და უნარის მიხედვით	JSC Nenskra Hydro HR-dept.	Monthly
პროექტით დაზარალებული პირების რ-ბა კატეგორიის მიხედვით (უფლების/კომპენსაციის მატრიქსის მიხედვით)	Census & საჩივრების მართვის სისტემა	Monthly
გავლენა		
კომპენსაციის ხელმოწერილი შეთანხმებების რ-ბა და თანხა	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
გადახდილი კომპენსაციის ოდენობა და თანხა;	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
პროექტით დაზარალებული პირების რ-ბა, რომელმაც მიიღო ტრანზიტული დახმარება, ტიპი (ნატურით ან ნაღდი) და რ-ბა;	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
საარსებო საშუალებების აღდგენის განხორციელებული საქმიანობების რ-ბა და ხასიათი, პროექტით დაზარალებული პირების რ-ბა, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ საქმიანობებში	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
პროექტში დაქირავებული დაზარალებულებული პირების რ-ბა	კონტრაქტორი და ოპერატორის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება + LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
პროექტით დაზარალებულებული პირების მიერ დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთების რ-ბა	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
თითოეულ ხეობაში გაუმჯობესებული საძოვრების გზების რ-ბა და სიგრძე	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
განხორციელებული საქმიანობების რ-ბა, რომელთა მიზანი პროექტით	LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური

მონიტორინგის ინდიკატორი	წყარო	სიხშირე / განრიგი
დაზარალებულებული პირების თივის წარმოების მხარდაჭერაა		
პროექტით დაზარალებულებული პირებისათვის გაწეული დახმარების ან სატრანზიტო შემწეობის რ-ბა, ხასიათი, ოდენობა და სახეობა	LALRP database	ყოველთვიური
შედეგი		
მოცემულ პერიოდში მიღებული საჩივრების რ-ბა და ტენდენცია დროის მიხედვით	საჩივრების მართვის სისტემა	ყოველთვიური
ღია, მიმდინარე საჩივრების რ-ბა და ტენდენცია დროის მიხედვით	საჩივრების მართვის სისტემა	ყოველთვიური
დახურული აჩივრების რ-ბა და ტენდენცია დროის მიხედვით	საჩივრების მართვის სისტემა	ყოველთვიური
საჩივრების დამუშავების საშუალო დრო	საჩივრების მართვის სისტემა	ყოველთვიური
კომპენსაციის გადახდის საშუალო დრო	ფინანსური დავალიანება + LALRP მონაცემთა ბაზა	ყოველთვიური
პროექტით დაზარალებულებული პირების კმაყოფილება კომპენსაციით	კმაყოფილების კვლევა	ბოლო კომპენსაციის გადახდიდან ორ თვეში
პროექტით დაზარალებულებული პირების შემოსავლის დონე და ცხოვრების დონე	სოციო-ეკონომიკური კვლევა	შიდა შეფასება
პროექტით დაზარალებული პირების მიერ ჩამოყალიბებული ახალი ბიზნესების ან ეკონომიკური საქმიანობების რაოდენობა;	სოციო-ეკონომიკური კვლევა	შიდა შეფასება
პროექტით დაზარალებული პირების საარსებო საშუალებებისა და შემოსავლის წყაროების სახეობები	სოციო-ეკონომიკური კვლევა	შიდა შეფასება
პროექტით დაზარალებული პირების კმაყოფილება საარსებო საშუალებების აღდგენის პროცესით;	კმაყოფილების კვლევა	შიდა შეფასება

13 ბიუჯეტი და დაფინანსება

13.1 დაფინანსება

13.1.1 მიწისა და აქტივების დაკარგვის კომპენსაციის დაფინანსება

2015 წლის 31 აგვისტოს საქართველოს ხელისუფლებასა და ს.ს. ნეკსრა ჰიდროს შორის განხორციელების ხელშეკრულების მე-8 თავის მიხედვოთ, ს.ს. ნეკსრა ჰიდრო გადაიხდის:

- პროექტისათვის საჭირო სახელმწიფო მიწისათვის, 1 ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტ თანხას (მასში შედის ყველა სახის გადასახადი, რეგისტრაციისა და გამოკვლევის ჰონორარი და სხვა ხარჯები) და
- აუცილებელი ხარჯები კერძო მიწაზე ყველა სამართლებრივი უფლების კანონის შესაბამისად შესაძენად.

ვინაიდანაც იმპლემენტაციის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს დანაკარგის სახით მიწას, რომელიც დარეგისტრირებულია სახელმწიფოზე, და შესაბამისად არავითარ კომპენსაციას და საარსებო საშუალებების აღდგენას ამ მიწასთან დაკავშირებით, სს ნენსკრა ჰიდრო საკუთარი სახსრებიდან გადაიხდის:

- საკომპენსაციო თანხას იმ აქტივებისა და ქონებისათვის, რომელიც განთავსებული არის სახელმწიფოზე დარეგისტრირებულ მიწაზე
- იმ საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებების საფასურს, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე გეგმით

მთლიანობაში, დაზარალებული საოჯახო მეურნეობისათვის ყველა სახის გადახდა მოხდება ს.ს. ნენსკრა ჰიდროს მიერ:

- თუკი შესაძლებელია მიწის ლეგალიზება (უკვე რეგისტრირებულია ან რეგისტრაციის პროცესი მიმდინარეობს), ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მფლობელს, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და მფლობელს შორის გაყიდვისა და ყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გადაუხდის.
- თუკი მიწის ლეგალიზება დაზარალებული საოჯახო მეურნეობის სახელზე შეუძლებელია, ს.ს. ნენსკრა ჰიდრო მფლობელს გადაუხდის ს.ს. ნენსკრა ჰიდროსა და მფლობელს შორის კომპენსაციის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

13.1.2 LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის სხვა ღონისძიებების დაფინანსება

ს.ს. ნენსკრა ჰიდრო ასევე პირდაპირ დააფინანსებს შემდეგ საქმიანობებს:

- თავ 7-ში განსაზღვრული საარსებო წყაროების აღდგენის ყველა ღონისძიებები;
- გარდამავალი პერიოდის დახმარებები;
- მოწყვლადობის დახმარებები;
- საჩივარზე რეაგირების პროცესის განხორციელება და მართვა;
- შიდა და გარე მონიტორინგი, შეფასებაა და დასრულების აუდიტი;
- მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განახლება, რომელიც მოიცავს ნაკრას გზის რეკონსტრუქციას, 35 კვ ელექტროხაზის მომსახურეობის ხაზი ელექტროსადგურსა და კაშხლის მონაკვეთს შორის და 110 კვ სიმძლავრის ელექტროენერგიის მომსახურეობის ხაზი კუდონის ქვესადგურიდან ელექტრსადგურამდე, ელექტროსადგურის სამშენებლო ბანაკი.

13.1.3 საქართველოს მთავრობის მიერ გაღებული ხარჯები

საქართველოს მთავრობის მიერ გაღებული ხარჯები მოიცავს განხორციელებაში ჩართული ყველა სახელმწიფო და საჯარო მოხელის ხელფასს (საპარტნიორო ფონდი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო)

13.2 ბიუჯეტი

მიწის შესყიდვის და საარსებო წყაროების აღდგენის ოპერაციისათვის 2017 წლის იანვარში დაგეგმილი ბიუჯეტი მოცემულია ცხრილში #45.

მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 7,367,001 ლარს (~ 2,887,595 ა.შ.შ. დოლარი $1 = GEL 2.7 გაცვლითი კურსით, სადაც 1,575,011 ლარი ანუ 21% მიწის შესყიდვისათვის გათვალისწინებული კომპენსაციებია)

ცხრილი 45 - LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმა 2017 წლის იანვარში

საკითხი	ფასი (ლარი)	ფასი (აშშ დოლარი)	კომენტარი
მიწის შესყიდვა			
კომპენსაცია მიწის დაკარგვისათვის			
სახელმწიფოს სახელზე დარეგისტრირებული მიწა	2.70	1	---
მიწის მფლობელებზე დარეგისტრირებული მიწა ან მიწა, რომლის დაკანონებაც შესაძლებელია	783,533	290,691	36 ჰა, 61 სმ
კომპენსაცია აქტივების დაკარგვისათვის			
შენობა-ნაგებობები	293,108	108,743	14 ხის ფაცხა, ღობე და დამხმარე ნაგებობა
ხეები და ერთწლიანი კულტურები	498,367	184,894	1182 ხი, კარტოფილის 1 მინდორი და სიმინდის 1 მინდორი
საარსებო საშუალების აღდგენა			
შემწეობა გარდამავალ ეტაპზე - საკვები კულტურები	271,320	100,660	საძოვრის დაკარგვით დაზარალებული საოჯახო მეურნეობა
მნიშვნელოვნად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების დახმარების ზომები			
შეღავათიანი დაქირავება;	-	-	ხარჯის გარეშე
უნარ-ჩვევების სწავლება/ტრენინგი;	106,750	50,000	ერთიანი თანხა
დახმარება მიღებული ფინანსური კომპენსაციის მართვაში;	30,000	14,051	ერთიანი თანხა
მხარდაჭერა არსებული ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესებისათვის;	213,500	100,000	ერთიანი თანხა
მხარდაჭერა შემოსავლის ალტერნატიული წყაროს განვითარებისათვის აუცილებელ ინიციატივებში;	213,500	100,000	ერთიანი თანხა
დაუზიანებელი საძოვრების გაუმჯობესება;	213,500	100,000	ერთიანი თანხა
დაუზიანებელ საძოვრებამდე ხელმისაწვდომობის აღდგენა;	-	-	მოცემულია ESMP-ში
დროებითი ნაგებობის მშენებლობით დაზარალებული საძოვრების აღდგენა.	-	-	მოცემულია ESMP-ში
დროებითი ნაგებობის საქონლის გზა, რომელიც გვერდს უვლის რეზერვუარს			მოცემულია ESMP-ში
უკიდურესად დაზარალებული საოჯახო მეურნეობების დახმარების ზომები			
სასუქი	156,000	57,876	ნატურით
თხილი	78,000	28,938	პირველადი ინვესტიცია + წვლილი 5 წლის განმავლობაში
მეფუტკრეობა	78,000	28,938	პირველადი ინვესტიცია + წვლილი 5 წლის განმავლობაში

საკითხი	ფასი (ლარი)	ფასი (აშშ დოლარი)	კომენტარი
მებაღეობა	65,000	24,115	პირველადი ინვესტიცია + წვლილი 5 წლის განმავლობაში
საკონსულტაციო მომსახურება	657,394	243,750	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევების საოჯახო მეურნეობის დონეზე და დახმარება განხორციელების პერიოდში.
სხვა ერთჯერადი ღონისძიებები			
კომპენსაცია/დაზარალებული საფლავების გადაადგილება	3,195	1,185	9 საფლავი ელექტროსადგურის ტერიტორიაზე
დაუცველობის დახმარება	27,384	10,159	28 დსმ
დახმარება უკიდურესი ზემოქმედებისათვის	12,714	4,717	13 დსმ
საქონლის გზა, რომელიც გვერდს უვლის რეზერვუარს	-	-	მოცემულია ESMP-ში
გასაჩივრების მექანიზმი			
საჩივრის განხილვის ადგილობრივი კომიტეტი	134,850	50,000	საჩივრის განხილვის მოქმედი კომიტეტი
საჩივრის განხილვის კომიტეტი პროექტის დონეზე	-	-	მოცემულია ESMP-ში
მონიტორინგი			
შიდა მონიტორინგი და შეფასება	-	-	მოცემულია ESMP-ში
გარე მონიტორინგი და დასრულების აუდიტი	550,000	257,611	შეფასება 5 წლის განმავლობაში (100,000 ლარი წელიწადში) და დასრულების აუდიტი (50,000 ლარი)
LALRP/ მიწის შესყიდვისა და საარსებო საშუალებების აღდგენის გეგმის განახლება			
მიწის შესყიდვის და საარსებო საშუალებების აღდგენის ღონისძიებები	1,348,500	500,000	სავარაუდო თანხა შესწორდება კომპონენტების დეტალურად შედგენისას
LALRP კონსულტაცია	404,550	150,000	იგივე
ქვეჯამი	6,139,167	2,406,329	
გაუთვალისწინებელი და ზედნადები ხარჯები	1,227,833	481,266	20 % ჯამის
ჯამი	**7,367,001**	**2,887,595**	

დანართები

დანართი 1 - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ექსპროპრიაციის პროცედურის აღწერა

ნაბიჯი 1: მინისტრის ბრძანების გამოცემა

მინისტრის ბრძანების გამოცემის შედეგად ექსპროპრიაციის უფლება ენიჭება სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო ან კერძო იურიდიულ პირს. ბრძანება გამოიცემა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად. ბრძანება განსაზღვრავს მიწის ექსპროპრიაციის გარდაუვალ აუცილებლობას საზოგადოებრივი საჭიროებისათვის და რწმუნებულს (სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან საჯარო ან კერძო იურიდიულ პირი) ეძლევა უფლება მოახდინოს ქონების ექსპროპრიაცია.

ნაბიჯი 2: ყველა ქონების ინვენტარიზაცია, რომელსაც ექპროპრიაცია ეხება

ბრძანების გამოცემის შემდეგ, ჩატარდება ინვენტარიზაცია და დადგინდება ღირებულება ყველა იმ ქონებაზე, რომელზეც ექსპროპრიაცია ხორციელდება. პირი ან სააგენტო, რომელიც გადაუდებელი აუცილებლობის საჭიროებას ეყრდნობა, უზრუნველყოფს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ შესასყიდი ქონების ინვენტარიზაციისა და ღირებულების ჩატარებას. თუკი ჩამორთმეული ქონება სხვა ქონებით უნდა ჩანაცვლდეს, ჩანაცვლებული ქონება დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ უნდა შეფასდეს. თუკი შემფასებელი ფიქრობს, რომ ექსპროპრიაციის შემდეგ დარჩენილი ქონება უმნიშვნელოა ზომით, ფორმითა და მდგომარეობით, მაგრამ იგი დაკავშირებულია ქონებასთან, რომლის ექსპორპრიაციაც ხდება და ამდენად, იგი გამოუსადეგარი ხდება - მთელი ქონება და არა მარტო პროექტის კომპანიის მიერ სასურველი ნაწილი დაექვემდებარება ექსპროპრიაციას. და ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო მიწების შეფასება ასევე მოიცავს მასზე მოყვანილი ნებისმიერი მარცვლეულის ღირებულებას. ღირებულება გამოითვლება როგორც შემოსავალი, რომელსაც მფლობელი მიიღებდა მიმდინარე ეკონომიკური წლის განმავლობაში მარცვლეულის დათესვის და გაყიდვის შემთხვევაში. თუმცა, თუკი მინდორი დაითესა აქტივების ინვენტარიზაციის შემდეგ, ნათესების ღირებულება არ იქნება მხედველობაში მიღებული დანაკარგის გამოანგარიშებისას.

ნაბიჯი 3: მიწის მფლობელების ინფორმირება ექსპროპრიაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებით

მიწის მფლობელების ექსპროპრიაციის შესახებ ინფორმირების მიზნით, ინფორმაცია დაიბეჭდება ადგილობრივ და ცენტრალურ გაზეთებში. ინფორმაცია უნდა შეიცავდეს პროექტის განხორციელების, ჩამორთმეული ტერიტორიისა და ქონების მოკლე აღწერას.

ნაბიჯი 4: სასამართლოსათვის განცხადების წარდგენა

სასამართლოსათვის განცხადების წარდგენა ხდება მას შემდეგ, რაც ზემოთაღწერილი საქმიანობები განხორციელდება. საქართველოს კანონის "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ", მეხუთე მუხლის მიხედვით, ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების საკითხს განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო. სასამართლოსადმი

წარგენილი ექსპროპრიაციის განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგი სახის ინფორმაციას:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დასახელება;
- განმცხადებლის სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- წარმომადგენლის სახელწოდება, სახელი, გვარი და მისამართი, თუ განცხადება შეაქვს წარმომადგენელს;
- განმცხადებლის მოთხოვნა;
- გარემოებები, რომლებზედაც განმცხადებელი აგებს თავის მოთხოვნას;
- მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ამ გარემოებებს;
- განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხა.

3. განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს: ა) იმ ქონების დეტალური აღწერა, რომელზეც მოითხოვება ექსპროპრიაციის უფლება; ბ) მინისტრის შესაბამისი ბრძანება; გ) ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების დეტალური აღწერა; დ) ექსპროპრიაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დამადასტურებელი საბუთი.

ნაბიჯი 5: სასამართლოსათვის განცხადების წარდგენის თარიღის შესახებ მიწის მფლობელების ინფორმირება

მფლობელებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია სასამართლოსათვის განცხადების წარდგენისა და სასამართლო მოსმენის შესახებ. პირმა, რომელიც დაინტერესებულია ექსპროპრიაციით, უნდა უზრუნველყოს, რომ ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების ყველა მფლობელი ინფორმირებულ იქნას სასამართლოსათვის განცხადების წარდგენის და სასამართლო საქმის თარიღის შესახებ.

ნაბიჯი 6: სასამართლოს მიერ განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა

სასამართლო განიხილავს განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას ექსპროპრიაციის შესახებ. სასამართლო, განცხადების განხილვის შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების შესახებ. გადაწყვეტილება ასახელებს პირს, რომელსაც მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება და ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების დეტალური აღწერას, ასევე შეიცავს შესაბამის მითითებას მიწის მფლობელებისათვის კომპენსაციის დროულად გაწევის შესახებ. სასამართლო გადაწვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულდება. ეს ნიშნავს, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამგვარი გადაწყვეტილება გასაჩივრდება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება გასაჩივრების გამო.

ნაბიჯი 7: ექსპროპრიაცია

მას შემდეგ რაც სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, ქონების ექსპროპრიაციის განმახორციელებელი დაწესებულება მიწის მფლობელს ქონების ყიდვის შეთავაზებას წარუდგენს და მოლაპარაკებებს აწარმოებს მიწის მფლობელებთან შეთანხმების მისაღწევად. გარდა ამისა, დაწესებულება მიწის მფლობელს აწვდის დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაცემულ წერილობით დოკუმენტს, რომელიც ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების (რომელზეც გაიცემა კომპენსაცია) ღირებულის შეფასებას ადასტურებს (მიწის მფლობელთან შეთანხმებით). კომპენსაციის ოდენობა ან ქონების ღირებულება არ უნდა იყოს ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების ღირებულებაზე ნაკლები.

ნაბიჯი 8: სასამართლო წარმოება იმ შემთხვევაში, თუკი უთანხმოება წარმოიშვება ქონების საბაზრო ღირებულებასა და კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით

სასამართლო წარმოება ქონების საბაზრო ღირებულებასა და კომპენსაციის თანხასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუკი ექსპროპრიატორი და ქონების მფლობელი ვერ შეთანხმდებიან ქონების საბაზრო ღირებულებისა და კომპენსაციის თანხის შესახებ - საქართველოს საპროცესო კოდექსის თანახმად - ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება მიმართოს იმავე რეგიონალურ სასამართლოს მიწის ნაკვეთის ადგილსამყოფლის მიხედვით. ექსპროპრიატორის მოთხოვნას თან ერთვის: ა) იმ ქონების დეტალური აღწერა, რომლის განსახორციელებლად მოითხოვება ექსპროპრიაციის უფლება; ბ) დოკუმენტები, რომლებიც ეხება საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის პროექტის განხორციელებას; გ) რაიონული (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე. სასამართო უფლებამოსილია დანიშნოს დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელიც ჩაატარებს ქონების შეფასებას დროის გარკვეულ მონაკვეთში და სასამართლოს მიაწვდის ანგარიშს ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონების საბაზრო ფასის შესახებ და მფლობელისათვის კომპენსაციის სახით შეთავაზებული სხვა ქონების შესახებ (თუკი კომპენსაცია დამატებითი ქონების მეშვეობით განხორციელდება). დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშზე დაყრდნობით და ორივე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების საფუძველზე, სასამართლო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ქონებისათვის აუცილებელი კომპენსაციის ოდენობის შესახებ. ექსპროპრიატორი პასუხისმგებელია აანაზღაუროს ორივე მხარის სასაართლოს წარმოების ყველა ხარჯი.

დანართი 2 - შეფასების მეთოდოლოგია

A. დაზარალებული მიწების შეფასება

A.1 მეთოდოლოგია

მიწა შეიძლება შეფასდეს სრული ჩანაცვლების ღირებულების საშუალო საბაზრო ღირებულებაზე დაფუძნებით. იგი ეფუძნება გაყიდვის საშუალო ღირებულებას შესადარებელი მიწის სახეობის, ადგილისა და მახასიათებლებისათვის. ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ მიწის გაყიდვა სვანეთში იშვიათია და არაოფიციალური გაყიდვების შესახებ მონაცემები არ არსებობს. გასაყიდი მიწა, როგორც წესი, რეგისტრირებულია და ყიდვა/გაყიდვის ოფიციალური კონტრაქტიც დარეგისტრირებულია. არსებული ინფორმაცია რეგისტრირებული საბაზრო გაყიდვების შესახებ გამოვიყენეთ მიწის ჩანაცვლებითი ღირებულების გამოსათვლელად.

საშუალო საბაზრო გაყიდვებზე დაყრდნობით, შესწორებები გაკეთდა პარამეტრების შედარების შედეგად, გარემოებიბიდან გამომდინარე შემდეგი თანმიმდევრობით:

1. მიწის ნაკვეთების გაყიდვის ფაქტიური სტატუსი (დასრულებული ტრანზაქციებისათვის ან გაყიდვის წინადადებისათვის)
2. ბაზარზე გაყიდვების დინამიკა (ფასების ტენდენცია და გაყიდვის დრო).
3. მდებარეობა;
4. ფიზიკური პარამეტრები;
5. ეკონომიკური პარამეტრები;
6. გამოყენება;
7. უძრავი ქონების არსებობა.

A.2 მიწის კომპენსაციის დასადგენი პრინციპები

<u>შედარება</u>

დაზარალებული მიწის ნაკვეთები, რომელთა ღირებულება გამოითვლება, მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში. დაზარალებული მიწის ნაკვეთები მდებარეობს კომპაქტურად, შემოფარგლულ არეალზე (ნენსკრა და ნაკრას ხეობები). მიწის ნაკვეთების კატეგორიები და ფასები მსგავსია. მიწის ნაკვეთების ფასი მერყეობს და დამოკიდებულია მიწის სახეობაზე (საცხოვრებელი, სახნავ-სათესი, კომერციული მიწა, სათიბი), კონფიგურაციაზე, ტოპოგრაფიასა და მიწის ნაყოფიერების პარამეტრებზე.

ღირებულების შეფასებისათვის მესტიის მუნიციპალიტეტში მიწის ბაზართან დაკავშირებული მონაცემთა ბაზა იქნა გამოყენებული. დაზარალებული მიწის ნაკვეთების მსგავსი (ანალოგიური) ნაკვეთები გამოვლინდა მონაცემთა ბაზაში. გამოყენებულ იქნა ფაქტიური ტრანზაქციების ხარჯები, ისევე როგორც მიწის ნაკვეთის შესაბამისი წინადადებები (განცხადებები). შემთხვევები და ინფორმაციის შესაბამისი წყაროები მოყვანილია ქვემოთ ცხრილში. უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ბაზარი არ არის ძალიან აქტიური და მსგავსი შემთხვევების შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაცია არსებობს 2015 წლის მონაცემთა ბაზაში.

(ანალოგიურ) მიწის ნაკვეთების ფასებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, უძრავი ქონების კომპანიებიდან და სხვადასხვა ვებ-გვერდებზე მოძიებული გაყიდვის სარეკლამო განცხადებებიდან.

შედარებულ აქტივებზე კორექტირებული ფასები შეჯერდა შედარებისათვის გამოყენებული ხუთი მიწის ნაკვეთის საშუალო შეწონილი ღირებულების გამოთვლით. შესწორებული ფასების შეჯერებისას მეტი ღირებულება მიენიჭა მიწის იმ ნაკვეთს, რომელიც ყველაზე მეტად ჰგავდა შესაფასებელ აქტივს (რათა უმცირესი შესწორება ყოფილიყო აუცილებელი).

ცხრილი 1 - 1 კვ საცხოვრებელ მიწის ნაკვეთისათვის ბაზრის ფასის საშუალო აწონითი ღირებულების გამოთვლა

არა	აღწერა	მისამართი	1 კვ მიწის ნაკვეთის ტრანზაქციამდე/შემდეგი ფასი (აშშ დოლარი)	ინფორმაციის წყარო	1 კვმ ფასი დკვლარირებული წყაროში ($)	ტრანზაქციები (გარიგება) შეთავაზება	შეთავაზების შესწორება	1 კვ მ შესწორებული ფასი (აშშ დოლარი)	მდებარეობა	შესწორება	1 კვ მ შესწორებული ფასი	ფიზიკური მახასიათებლები	შესწორება n	1 კვ მ შესწორებული ფასი	Ri შესწორებული ფასის რეიტინგული წონა	∑ R	Vi	Vwa 1 საბაზრო ფასი 1 კვ მიწის ღირ
1	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*	*8*	*9*	*10*	*11*	*12*	*13*	*14*	*15*	*16*	*17*	*18*	*19*
1	1130 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საცხოვრებელი) მიწა	სოფელი ბეჩო მესტიის მუნიციპალიტეტი საკადასტრო კოდი: 42.09.35.060	8.6 ლარი / კვ. მ (გარიგება)	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 1,06,2015	8,60	გარიგება	არა	8,6	მსგავსი	არა	8,6	უკეთესი	-1	7,6	1,0	5,0	1,5	8,0
2	405 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საცხოვრებელი) მიწა	სოფელი ბეჩო მესტიის მუნიციპალიტეტი საკადასტრო კოდი: 42.09.34.111	9,19 ლარი / კვ. მ (გარიგება)	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 1 20,02,2015	9,19	გარიგება	არა	9,2	მსგავსი	არა	9,2	უკეთესი	-1	8,2	1,0		1,6	
3	286 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საცხოვრებელი) მიწა	სოფელი ბეჩო მესტიის მუნიციპალიტეტი საკადასტრო კოდი: 42.09.34.092	9,09 ლარი / კვ. მ (გარიგება)	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტ ო125,05,2015	9,09	გარიგება	არა	9,1	მსგავსი	არა	9,1	უკეთესი	-1	8,1	1,0		1,6	
4	620 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო (საცხოვრებელი) მიწა	სოფელი ბეჩო მესტიის მუნიციპალიტეტი საკადასტრო კოდი: 42.09.35.013	9,23 ლარი / კვ. მ (გარიგება)	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო1 22,08,2015	9,2	გარიგება	არა	9,2	მსგავსი	არა	9,2	უკეთესი	-1	8,2	1,0		1,6	
5	1 მ² მ. კომერციული მიწის ნაკვეთი	ნორმატიული ფასი	10,6 ლარი / კვ. მ (გარიგება)	მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №3 4 თებერვალი 2015	10,6	აუქციონის საწყისი ფასის	5 %	11,1	მსგავსი	No	11,1	უკეთესი	-3	8,1	1,0		1,6	

მიწის განაკვეთების გაანგარიშება

საშუალო შეწონილი ღირებულების გამოყენებით, შეფასებული აქტივის ფასი გამოთვლილ იქნა შემდეგი ფორმულის საშუალებით:

$$Vwa = \sum(Pi\ x\ Ri\ ) / \sum Ri \quad (i = 1 \ldots n;\ n = 5\ )$$

სადაც

- Vwa - 1 მ2 მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასის საშუალო შეწონილი ღირებულება;
- Pi - შესწორებული (კორექტირებული) გასაყიდი ფასი შედარებისათვის გამოყენებული მიწის თითოეული ნაკვეთისათვის;
- Ri – შესწორებული (კორექტირებული) გასაყიდი ფასის რეიტინგული წონა შედარებისათვის გამოყენებული მიწის თითოეული ნაკვეთისათვის
- ∑ R – რეიტინგული წონის ჯამები
- n = 5

საშუალო შეწონილი ღირებულება უფრო კარგად წარმოაჩენს დაზიანებული მიწის ნაკვეთის რეალურ საბაზრო ფასს, ვიდრე შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთის საშუალო შესწორებული ფასები (∑Pi /n).

ცხრილი 2 - ცხრილ 1-ის ახსნა

ცხრილი 1	ახსნა
7	სვეტი 7 განმარტავს სვეტ 6-ში დეკლარირებული ფასების ხასიათს - ზოგიერთი ფასი ესადაგება გარიგებებსა და განხორციელებულ ტრანზაქციებს და ეს ფასები ბაზრის ფასად ითვლება, რომელიც გამოქვითვას არ მოითხოვს. სხვა ფასები ესადაგება მოცემულ წყაროებში გამყიდველების მიერ გამოცხადებუ`ლ გაყიდვის სარეკლამო წინადადებებს. ეს ფასები არ ითვლება რეალურ საბაზრო ფასად და შესაბამისად გამოქვითვას არ ითხოვს, რაც ასახულია სვეტში 8 და 9. ქართულ ბაზარზე მინიმალური ცდომილება რეალურ საბაზრო ფასსა და რეკლამირებულ შეთავაზებულ ფასს შორის 10 პროცენტია. სტატისტიკურად, შეთავაზებული ფასი საქართველოში 10-15%-ით მაღალია, ვიდრე ფაქტობრივი საბაზრო ფასი. საბაზრო ეკონომიკა ჯერ-ჯერობით სრულად არ არის განვითარებული, გამყიდველი, როგორც წესი, ცდილობს მიიღოს ზემოგება თუკი მყიდველს არ აქვს ინფორმაცია უძრავი ქონების შესახებ და თანხმდება შემოთავაზებულ ფასს. 10%-იანი შესწორება არ იყო აუცილებელი მიწის შედარებისათვის გამოყენებული (ანალოგიური) ნაკვეთების ფასებზე #1 - 4, ვინაიდან ისინი რეალურად გაიყიდა და მათი საბაზრო ფასი განსაზღვრულია. არ მომხდარა შევაჭრება ამ მიწის ნაკვეთების ფასებზე და შესაბამისად, არც ფასდაკლება. შესწორება +5% გამოყენებულ იქნა #5 მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ვინაიდან მე-7 სვეტში მოცემული ფასი არის აუქციონის საწყისი ფასი. საბოლოო ფასი სავარაუდოდ +5% მაღალია.
10 & 13	ცხრილში 10 და 13 მოცემულია მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობისა და ფიზიკურ მახასიათებლებზე დაფუძნებული შესწორებები. სიტყვა "უკეთესი” ნიშნავს, რომ შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთი უკეთესია, ვიდრე დაზარალებული მიწის ნაკვეთი, ანუ შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ფასი უფრო მაღალია, ვიდრე დაზარალებული მიწის ფასი. სიტყვა "მსგავსი" ნიშნავს, რომ შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთი ობიექტის მსგავსია და ანალოგიური ნაკვეთის საბაზრო ფასი არაა საჭირო შემცირდეს ან გაიზარდოს ობიექტისათვის მოსარგებად. სიტყვა "უარესი" ნიშნავს, რომ შედარებისათვის გამოყენებული მიწის ფასი უფრო ნაკლებია, ვიდრე შეფასებული ობიექტი და შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთის ფასი უნდა გაიზარდოს ობიექტისათვის მოსარგებად.
10	შედარებისათვის გამოყენებული მიწის სვეტი 10 აჩვენებს, რომ შეფასებული მიწის ნაკვეთი შედარებისათვის გამოყენებული ანალოგიური მიწის ნაკვეთის მსგავსია და ფასდაკლება არ

ცხრილი 1	ახსნა
	მომხდარა (სვეტი 11).
13	სვეტი 11 - შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთი უკეთესია, ვიდრე შეფასებული მიწის ნაკვეთები და ამდენად, ფასდაკლება მოხდა (სვეტი 15): (-1) შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთისათვის 1, 2, 3, და 4 და (-3) შედარებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთი 5-სათვის. შესწორებები გაკეთდა ფიზიკურ მახასიათებლებზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს, რომ ანალოგიურ და შესაფასებელ ობიექტებს შორის სხვაობას შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: ინფრასტრუქტურა (წყლის მიწოდება, საკანალიზაციო სისტემა, ელექტროენერგიის მიწოდება, კომუნიკაციები, გაზის მიწოდება, ა.შ.). შესასწორებელი თანხები გამოთვლილ იქნა იმ ხარჯებთან ერთად, რომელიც საჭიროა მიწის ნაკვეთის მშენებლობისათვის შესაფერის მდგომარეობაში მოსაყვანად მშენებლობის ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.
16	სვეტი 16 გვიჩვენებს შედარებისათვის გამოყენებული (ანალოგიური) მიწის ნაკვეთის რეიტინგს, რომელიც ფასდება ექსპერტის შეფასების მიხედვით რამდენიმე კრიტერიუმზე დაყრდნობით. ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი შესადარებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთის საბაზრო პოზიციაა (გაიყიდა თუ არა რეალობაში, თუ მხოლოდ გასაყიდად იქნა გამოტანილი). გაყიდული მსგავსი მიწის ნაკვეთის ფასები უფრო ახლოსაა საბაზრო ფასებთან, ამავე დროს, შესადარებელი მიწის ნაკვეთის ფასები, რომლებიც გასაყიდად იქნა გამოტანილი, ნაკლებად რეალურია. მეორე კრიტერიუმია - ადგილმდებარეობა (რამდენად ახლოსაა შესადარებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთი შესაფასებელ ობიექტთან). რაც უფრო ახლოსაა შესადარებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთი ობიექტთან, მით უფრო მეტად შეიძლება მისი ფასის შედარება ობიექტის ფასთან). მესამე კრიტერიუმიც შესადარებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთის ფიზიკური მახასიათებელია. ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, ყველა ანალოგს მსგავსი წონა მიენიჭა - 1.

ამდენად, 1 მ2 შეფასებული ქონების სრული ჩანაცვლების ღირებულება გამოითვალა საშუალო შეწონილი ფასის მიხედვით (მოცემულია ცხრილში 1). აღნიშნული ცხრილი აჩვენებს საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის სრული ჩანაცვლების ღირებულებას (საცხოვრებელი სასოფლო-სამეურნეო მიწისათვის). სხვა კატეგორიების მიწის ფასები ეფუძნება ამ საბაზისო ფასის მიახლოებას.

სრული ჩანაცვლების ღირებულება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისათვის გამომდინარეობს იმავე ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი მიწის ნაკვეთის ფასიდან. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასები კომერციული მიწის ფასებთან შედარებით ნაკლებია და განსხვავება დაახლოებით უდრის ოფიციალურ საკომპენსაციო გადასახადს, რომელიც გადასახდელია მიწის სოფლის-მეურნეობის კატეგორიიდან არასასოფლო მიწის კატეგორიად შესაცვლელად. ცხრილი 3 აჩვენებს ერთეულის ფასებს, რომელიც დაყოფილია მიწის კატეგორიების მიხედვით.

ცხრილი 3 - ერთეულის ტარიფები მიწისათვის

#	მიწის კატეგორიები	სრული ჩანაცვლების ღირებულება 1 მ2-ზე (ლარში)
1	საცხოვრებელი	8
2	კომერციული	11
3	სასოფლო-სამეურნეო მიწები	6
4	სათიბი	1

B. ნაგებობების ღირებულების შეფასება

შენობები და სხვა ნაგებობები შეფასდა ჩანაცვლების ღირებულებით და ეფუძნება პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებს საბაზრო ღირებულების მიხედვით, რომელიც აუცილებელია ანალოგიური შენობის ასაშენებლად, ანუ რა დაჯდებოდა დღეისათვის, ანალოგიური შენობის მსგავსი პარამეტრებით აშენება. პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები თითოეული შემთხვევისათვის შემდეგი წესით გამოითვლება:

(a) პირდაპირი ხარჯები მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

(I) მშენებლობის შრომითი ხარჯები;

(Ii) სამშენებლო მასალების შესყიდვა;

(Iii) მოსამზადებელი ხარჯები;

(Iv) მოწყობილობები დაქირავება ან შეძენა;

(V) კონტრაქტორის მოგება და ზედნადები ხარჯები;

(Vi) ხარჯები მშენებლობის/რემონტის უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველსაყოფად;

(Vii) დროებითი ნაგებობები მოწყობის ღირებულება;

(Viii) დროებითი კომუნიკაციები (დენი, წყალი, გაზის მიწოდება და ა.შ.);

(Ix) საწყობის ხარჯები;

(X) ტრანსპორტირების ხარჯები;

(Xi) სხვა ხარჯები

(b) არაპირდაპირი ხარჯები მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

(I) პროფესიული მომსახურების ღირებულება:

1. კომპენსაცია არქიტექტორისათვის/დიზაინერისათვის;
2. საინჟინრო მომსახურების კომპენსაცია;
3. იურიდიული ხარჯები;
4. შემფასებლის მომსახურების კომპენსაცია;
5. სხვა ხარჯები

(Ii) ნებართვის ხარჯები;

(Iii) სადაზღვევო ხარჯები;

(Iv) დაფინანსება %;

(V) გარანტია რომელიც აუცილებელია კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების შესასრულებლად და ახალი შენობის ასაშენებლად;

(vi) სხვა ხარჯები.

C. კომპენსაციები მრავალწლიანი ნარგავებისათვის:

C.1 ნერგები:

ნერგების კომპენსაცია ხდება ბაზარზე არსებული ღირებულების მიხედვით.

C.2 ნაყოფიერი ასაკის ხეხილი

მათი ღირებულება ჩაითვალა დაკარგულ შემოსავლად მანამ, სანამ ახალი ნერგი მიაღწევს ნაყოფიერების იმავე ნიშნულს, როდესაც მოხდა ხის მოჭრა. გამოთვლა ეყრდნობა შემდეგ კრიტერიუმს:

- ხეების სხვადასხვა ჯიშის ნაყოფიერება პროდუქტიულობის სხვადასხვა პერიოდის ან ხის ასაკისათვის (რომელიც განსაზღვრულია კონსულტანტების მიერ მომზადებულ ცხრილში და ეყრდნობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს და აღიარებულია აკადემიური გამოცემების მიერ, რომლებიც დეტალურად აღწერენ ხის საშუალო ნაყოფიერებას ხუთი წლის ინტერვალის ფარგლებში).
- ხის ნაყოფის საშუალო ღირებულება (წვლილის გამოკლებით) ფერმერის ადგილზე გასაყიდი ფასით.
- წლების რ-ბა, რომელიც საჭიროა ხის პროდუქტიულობის მოჭრის ასაკამდე (ეტაპამზე) გასაზრდელად.

მიღებული ღირებულება დაითვლება წლიური ნაყოფიერი წვლილის ღირებულებისათვის და წლების რაოდენობისათვის, რომელიც საჭიროა ნერგიდან ნაყოფიერების მოჭრის ეტაპამდე მისაღწევად. ერთი ნაყოფიერი ხის კომპენსაციის ფორმულაა:

$$C = Cs + (K\,x\,V - M)\,x\,L$$

სადაც:

- C - ხის საკომპენსაციო ღირებულება (ლარი).
- Cs - 1 ნერგის ღირებულება (ლარი)
- K = საშუალო წლიური წარმადობა 1 მოჭრილი ხის იმავე ჯიშის და ასაკისათვის (კგ-ში თითო ხეზე).
- V = საბაზრო ფასი ფერმერის ჭიშკართან 1 კგ პროდუქტისათვის.
- L = წლები, რომლებიც ანაზღაურდება (წლების რ-ბა, რომელიც საჭიროა მოჭრილი ხის მსგავს პროდუქტიულობამდე/ასაკობრივ ჯგუფამდე გასაზრდელად).
- M = სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების საშუალო წლიური ხარჯები (ლარი)

ცხრილი 4 აჩვენებს ხეების ღირებულებას სხვადასხვა სახეობისა და ასაკობრივი ჯგუფებისათვის, რომელიც გამოითვალა ზემოთ აღწერილი ფორმულის მოხედვით.

ცხრილი 4 = პროდუქტიული ხეების ერთეულის განაკვეთები

ხის სახეობა	ასაკი ჯგუფი	საშუალო მოსავლიანობა 1 კგ	პროდუქტიულობის დაწყების [illegible]	წლები, რომლებიც [illegible]	ნერგის ღირებულება	1 კგ ხილის ღირებულება	კომპენსაცია 1 წლისათვის	წლიური ხარჯები (ლარი)	1 ხე (ლარი)
ატამი	1-5	3	3	2	5	1.0	3	3	5
	6-10	30	3	7	5	1.0	30	10.7	140
	11-15	30	3	7	5	1.0	30	10.7	140
	16-20	15	3	7	5	1.0	15	10.7	35
	21+	10	3	7	5	1.0	10	10.7	0
ხურმა	1-5	3	3	3.3	5	2.0	6	3	15
	6-10	10	3	7	5	2.0	20	10.7	70
	11-15	20	3	7	5	2.0	40	20.7	140
	16-20	20	3	7	5	2.0	40	20.7	140
	21+	10	3	7	5	2.0	20	10.7	70
ვაშლი	1-5	2	3	5	5	2.0	4	4	5
	6-10	10	3	10	5	2.0	20	10.5	100
	11-15	50	3	10	5	2.0	100	80.5	200
	16-20	50	3	10	5	2.0	100	80.5	200
	21+	35	3	10	5	2.0	70	62.5	80
მსხალი	1-5	2	6	5	5	2.0	4	4	5
	6-10	10	6	10	5	2.0	20	11.5	90
	11-15	60	6	15	5	2.0	120	100.4	300
	16-20	60	6	15	5	2.0	120	100.4	300
	21+	60	6	13	5	2.0	120	100.4	260
ქლიავი/ ტყემალი	1-5	3	5	5	4	1.5	4,5	1.7	18
	6-10	10	5	10	4	1.5	15	8.4	70
	11-15	30	5	10	4	1.5	45	32.4	130
	16-20	25	5	10	4	1.5	38	25.4	130
	21+	7	5	10	4	1.5	10.5	5.4	55
კაკალი	1-5	2	10	5	5	5,0	10	4	35
	6-10	4	10	10	5	5,0	20	10.5	100
	11-15	15	10	15	5	5,0	75	10.3	975
	16-20	30	10	15	5	5,0	150	17.4	1995
	21+	30	10	15	5	5,0	150	17.4	1995
თხილი	1-5	4	3	5	2	1,5	6	4.4	10
	6-10	7	3	8	2	1,5	10,5	4.25	52
	11-15	15	3	8	2	1,5	23	5.75	140
	16-20	15	3	8	2	1,5	23	5.75	140
	21+	10	3	8	2	1,5	15	5.25	80
ყურძენი ხეივნის ათვის	1-5	10	3	3	1	1.0	10	5.3	15
	6-10	15	3	5	1	1.0	15	10.2	25
	11-15	30	3	5	1	1.0	30	15.2	75
	16-20	30	3	5	1	1.0	30	15.2	75
	21+	25	3	5	1	1.0	25	15.2	50
შავი ბალი/ტკბილი ბალი	1-5	8	3	3	1	1.5	12	7.3	15
	6-10	15	3	5	1	1.5	22,5	11.1	58
	11-15	34	3	5	1	1.5	51	20.2	155
	16-20	34	3	5	1	1.5	51	20.2	155
	21+	25	3	5	1	1.5	37,5	20.1	88
ზღმარტლი	1-5	2	3	5	2	1.5	3	1.4	10
	6-10	9	3	5	2	2.4	21,6	1.4	103
	11-15	12	3	5	2	2.3	27,6	1.4	133
	16-20	12	3	5	2	2.3	27,6	1.4	133
	21+	10	3	5	2	2.3	23	1.4	110
წაბლი	1-5	3	3	5	2	1.5	5	4.4	5
	6-10	15	3	5	2	1.5	22,5	8.3	73
	11-15	25	3	5	2	1.5	37,5	8.3	148
	16-20	25	3	5	2	1.5	37,5	8.3	148
	21+	20	3	5	2	1.5	30	8.4	110

D. კომპენსაციები წლიური მარცვლეულისათვის

წლიური მარცვლეულის ერთეულის განაკვეთები შეფასდა მარცვლეულის (დაკარგული) რაოდენობის გამრავლებით მის საბაზრო ღირებულებაზე გამრავლებით. მარცვლეულის მოსალოდნელი ღირებულება დაზარალებული სასოფლო-სამეურნეო მიწის 1მ2-ზე გამოითვლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით. ცხრილი 5 გვიჩვენებს ამ მონაცემებზე მარცვლეულის იმ სახეობებისათვის, რომლებიც პროექტის ტერიტორიაზე დაზიანდება.

ცხრილი 5 - ერთეულის ფასი წლიური მარცვლეულისათვის (კარტოფილი, სიმინდი, თივა)

მარცვლეული	მარცვლეულის წლიური პროდუქტიულობა (ტონა ჰა-ზე) 2006	2007	2008	2009	2010	2011	საშუალო პროდუქტიულობა ტონა ჰა-ზე 2006-2011	საშუალო პროდუქტიულობა 1 კგ 1 მ2 2006-2011	საბაზრო ფასი 1 კგ (ლარი)	კომპენსაციის ღირებულება 1 მ2 დაზარალებული მარცვლეულის პლანტაციებისათვის (ლარი)
კარტოფილი	7.5	7.4	6.5	6.5	5.4	6.5	6.6	0.7	1.5	**1.00**
სიმინდი	1.5	2.2	1.9	2	1.7	2.4	2.0	0.195	1.2	**0.23**
თივა	1.6	1.6	5.3	1	5.6	3.1	2.38	0.24	0.25	**0.06**

დანართი 3 - აქტივების ინვენტორიზაციამდე დარიგებული ლიფლეტები

საინფორმაციო ლიფლეტი დარიგდა დაზარალებულ მოსახლეობაში 2015 წლის ოქტომბერში ჩატარებული აღწერისა და აქტივების ინვენტარიზაციისას. ბიულეტენის ქართული ვერსია მოცემულია მომდევნო გვერდზე, რომელსაც მოსდევს ინგლისური თარგმანი.

280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი

საინფორმაციო ბროშურა (25-26.10.2015)

კერძო მიწასა და ქონებაზე პროექტის ზემოქმედების საკითხებზე


I. ზოგადი ინფორმაცია პროექტზე

საქართველოს სტრატეგიული განვითარების გეგმაში ენერგეტიკის განვითარება მიჩნეულია ერთერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. ეს განპირობებულია იმით, რომ საქართველო ვერ ახერხებს ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მზარდი მოთხოვნილების საკუთარი რესურსებით დაკმაყოფილებას. ამავდროულად, საქართველო ფლობს ჰიდროენერგეტიკული რესურსების დიდ პოტენციალს - 88.5 მილიარდ კვტ. სთ წელიწადში, რომლის გამოყენება ბოლო მონაცემებით არ აღემატება 10%-ს. შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიმართულებას ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება წარმოადგენს. განხილვის პროცესშია მთელი რიგი მცირე, საშუალო და დიდი ჰესის და შესაბამისი ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის პროექტები. ამ პროექტების ერთობლიობა გაზრდის საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობას და უსაფრთხოებას და საშუალებას მისცემს ქვეყანას გაზარდოს ელექტროენერგიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში.

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის განხორციელებისათვის ერთერთი მნიშვნელოვანი პროექტია მდ. ნენსკრაზე ჰიდროელექტროსადგურის პროექტი. პროექტით გათვალისწინებულია სეზონური რეგულირების, 280 მვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია. ჰესის მშენებლობა დაგეგმილია მდ. ნენსკრას ხეობაში და გამოყენებული იქნება მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას ჩამონადენი. 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პოტენციური წლიური გამომუშავება 1.2 მლრდ კვტ/სთ. იქნება. სადგური ელექტროენერგიის გამომუშავებას 2019 წლიდან დაიწყებს, ხოლო პროექტი საბოლოოდ 2021 წელს დასრულდება.

საპარტნიორო ფონდმა, კორეულ კომპანია K-Water-მა, საქართველოს მთავრობამ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (ესკო) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ხელი მოაწერეს ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებათა პაკეტს. პროექტის მიხედვით ჰესის მშენებლობის პროცესში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურის მოწყობა:

- 135 მ სიმაღლის და 820 მ სიგრძის ქვანაყარი კაშხალი მდ. ნენსკრაზე;
- 182 მლნ მ^3 ტევადობის წყალსაცავი;
- 13 მ სიმაღლის და 57 მ სიგრძის დაბალ ზღურბლიანი კაშხალი მდ. ნაკრაზე;
- 12.4 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბი მდ. ნაკრას ხეობიდან მდ. ნენსკრას ხეობაში წყლის გადაგდებისათვის;
- 15.1 კმ სიგრძის წყალგამტარი გვირაბი ნენსკრას წყალსაცავიდან სადაწნეო სისტემამდე;
- სადაწნეო შახტა და ჰესის შენობა;
- ქვესადგური და ელექტროგადაცემის ხაზი.


3 წყალსაცავი
4 კაშხალი
5 წყალსაგდები
სადერივაციო
2 გვირაბი
ნაკრას
წყალმიმღები
1
მდ. ნაკრა
წყალგამტარი
გვირაბი
6
მდ. წენსკრა
გვირაბის
სამშენებლო
შტოლნა
სადაწნეო
შახტის
სამშენებლო
შტოლნა
8 9 ჰესის შენობა
ქვესადგური
7 სადაწნეო შახტა
მდ. ენგური
10 გადამცემი ხაზი 220 კვ
1 ნაკრას წყალმიმღები
H (m) 13
(m) 57
2 სადერივაციო გვირაბი
L (km) 12.4
D. Int (m) 4.5
ax (m³/s) 46.0
3 წყალსაცავი
A (km²) 3.0
V (Mm³) 182
xOL(m.asl) 1'432.5
4 კაშხალი
TYPE ACRD
H (m) 125
CL (m) 820
(Mm³) 13.8
5 წყალსაგდები
TYPE Lateral overflow+tunnel
L (m) 940
Gates NO
PMF (m³/s) 475
6 წყალგამტარი გვირაბი
L (km) 15.1
D. Int (m) 4,5
n³/s) 50
7 სადაწნეო შახტა
L (m) 1850
D. Int (m) 3.0
Q (m³/s) 50
8 ჰესის შენობა
TYPE OUTDOOR
TURBINES PELTON 4
P (MW) 4 x 70
LxWxH (m) 90x35x24
9 ქვესადგური
TYPE GIS
VOLTAGE (kV) 220
xWxH (m) 27x13x10
10 გადამცემი ხაზი
ქვესაგურამდე
VOLTAGE (kV) 220
L (km) 50
SCALE: 1/80'000 FOR A3 AND 1/40'000 FOR A1
0 400 800 1600 2400 3200 4000m
NENSKRA HYDROPOWER PROJEC
JSC Nenskra
STUCKY
PRELIMINARY DESIGN
GENERAL PROJECT LAYOUT
PLAN VIEW
DRAFT

II. პროექტის განმახორციელებელი და დამფინანსებელი ორგანიზაციები და რეგულაციები, რომლებსაც ექვემდებარება პროექტის განხორციელება

საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე პროექტი განხორციელდება „ნენსკრა ჰიდრო“-ს მიერ, რომელიც წარმოადგენს საპარტნიორო ფონდის და კორეულ კომპანია K-Water-ის მიერ ჩამოყალიბებულ ერთობლივ კომპანიას. მშენებლობას უმსხვილესი იტალიური კომპანია — Salini Impregilo ახორციელებს.

პროექტის განხორციელებისას გარემოს დაცვის და სოციალური საკითხების, მათ შორის -კერძო მიწასა და ქონებაზე ზემოქმედების და კომპენსაციის საკითხების დარეგულირებისათვის, გამოყენებულ იქნება როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), აზიის განვითარების ბანკის (ADB) და სხვა საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების სოციალური და გარემოს დაცვის პოლიტიკა. დონორების პოლიტიკა მოიცავს დამატებით მოთხოვნებს, რაც გულისხმობს, როგორც კომპენსაციის გადახდის პროცესის მოწესრიგებას ერთიანი გეგმის ფარგლებში, ასევე გარკვეული დახმარების აღმოჩენას სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე და მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისათვის.

III. მოსალოდნელი ზემოქმედება კერძო მიწასა და ქონებაზე

განსხვავებით ბევრი სხვა ჰესების პროექტისაგან, მოცემულ პროექტს, არ ექნება მნიშვნელოვანი ზემოქმედება კერძო მიწებზე და მასზე განლაგებულ უძრავ ქონებაზე. ჰესის ობიექტები (კაშხალი, შეტბორვის ზონა, ჰესის შენობა და ა.შ.) ისეა დაგეგმილი, რომ შესაძლო ზემოქმედება მინიმუმამდე არის დაყვანილი. მიუხედავად ამისა, წინასწარი მონაცემებით მოსალოდნელია არის შემდეგი სახის ზემოქმედებები:

<u>ნენსკრას ხეობაში</u>

- ჰესის შენობის და მისი დამხმარე ნაგებობების ტერიტორიაზე სავარაუდოდ არ ხვდება საცხოვრებელი სახლები, შესაძლებელია მოხვდეს მიწის რამდენიმე კერძო ნაკვეთი, აღნიშნული წარმოადგენს პროექტის ყველაზე ძლიერი ზემოქმედების ობიექტს;
- კაშხლის და მისი დამხმარე ნაგებობების ტერიტორიაზე განლაგებული, მწყემსების საზაფხულო ბაგები ექვემდებარება დაშლას და სხვა ადგილზე გადატანას;
- პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ჭუბერის ცენტრიდან ს. ტიტამდე შემაერთებელი გზის გაფართოება 8მ-დე. იმ უბნებზე, სადაც გზა გადის ს. ლარი-ლარის მახლობლად, მოსალოდნელია, რომ გზის გაფართოება გამოიწვევს რამდენიმე კერძო ნაკვეთის შემომფარგვლელი ღობის ეზოს სიღრმეში გადაწევის აუცილებლობას და მიწის ვიწრო ზოლის განთვისებას პროექტის მიერ. თეორიულიად, არ არის გამორიცხული ზემოქმედება უშუალოდ გზის პირას განლაგებულ შენობა-ნაგებობებზე, ხეებზე, ნათესებზე, ასევე - მიმდებარე სახელმწიფო მიწაზე განლაგებულ ხეებზე, წყალსადენ მილებსა და ელექტროგადამცემ ხაზებზე.

ნაკრას ხეობაში

- მცირე ზომის დამბისა და მისი დამხმარე ნაგებობების განლაგების ტერიტორია მოიცავს რამდენიმე ნაკვეთს, რომლებიც ტრადიციულად გამოყენებული არის ნაკრის თემის მაცხოვრებლების მიერ საძოვრებად, ტყით სარგებლობისათვის და ა.შ.
- პროექტის დღევანდელი გეგმის შესაბამისად, არ არის გათვალისწინებული ზუგდიდი-მესტიის გზიდან ნაკრამდე გზის გაფართოვება და დამატებითი მიწის განთვისება პროექტის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელი არის მშენებლობის პროცესში გზის მიმდებარე ნაკვეთებზე ღობეების ან სხვა სტრუქტურების დაზიანების რისკი.

ყველა ჩამოთვლილი სახის ზემოქმედება, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სახის ზემოქმედება კერძო მიწაზე და მასთან დაკავშირებულ ქონებაზე, რომლების გამოვლენილ იქნება მიმდინარე სოციალური კვლევების ფარგლებში, ასახვას ჰპოვებს **განსახლების სამოქმედო გეგმის** დოკუმენტში. განსახლების სამოქმედო გემაში მოცემული იქნება თითოეულ მიწის ნაკვეთზე და კერძო პირების ქონებაზე ზემოქმედების დეტალური ინვენტარიზაცია, ზარალის შეფასება და განსაზღვრულ იქნება კომპენსაციის სახე და ოდენობა.

გარდა ცალკეული ოჯახების სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთებისა, პროექტის ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს თემის საერთო მოხმარების მიწების - საძოვრების მცირე ნაწილის და ძირითად საძოვრებამდე მიმავალი გზების დაკარგვაში, სასმელი წყლის მომარაგების და სხვა ინფრასტრუქტურული სისტემების დაზიანებაში. ამგვარი სახის ზემოქმედებები ასევე იქნება დეტალურად შესწავლილი - ნაწილობრივ, განსახლების სამოქმედო გეგმაში, და ასევე - საარსებო საშუალებების და პირობების აღდგენის გეგმაში.

IV. კომპენსირების პრინციპები

პროექტის მშენებლობისთვის მიწა შესყიდული იქნება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე დროს, გათვალისწინებული იქნება ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის დამატებითი მოთხოვნები, რაც გულისხმობს, როგორც კომპენსაციის გადახდის პროცესის მოწესრიგებას ერთიანი გეგმის ფარგლებში, ასევე გარკვეული დახმარების აღმოჩენას უმწეობის/სოციალურად დაუცველის სტატუსის და მიყენებული ზიანის მიხედვით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პოლიტიკა მოითხოვს:

- მიწის შესყიდვის და განსახლების ზემოქმედება იქნება თავიდან აცილებული ან შემცირებული პროექტის ალტერნატიული ვარიანტების განხილვის საშუალებით;
- მიწის შესყიდვის და განსახლების სამოქმედო გეგმა იქნება მომზადებული და განხორციელებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს, როგორც მინიმუმ, ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების (ზმპ) ცხოვრების პროექტამდელი სტანდარტის შენარჩუნება ან აღდგენა;
- განხორციელდება ზმპ-ებთან კონსულტაციები და მათი აზრი გათვალისწინებული იქნება პროექტის დამუშავების და განხორციელებისას;

- მიწის და ქონების დაკარგვასთან დაკავშირებული ზიანი სრულად იქნება ანაზღაურებული ჩანაცვლების პრინციპით, დღევანდელი საბაზრო ღირებულების შესაბამისად;
- პროექტის მიერ დაკავებული მიწის კომპენსაციას გაცემულ იქნება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახებისათვის ყველა იმ მიწის ნაკვეთზე, რომლებიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში, ან რომელთან მიმართებაშიც ოჯახს გააჩნია იურიდიული საფუძველი მიწაზე საკუთრების აღიარებისათვის (მიღება-ჩაბარების აქტები; ამონაწერი საკომლო წიგნიდან; და ა.შ.). დონორების წესების შესაბამისად, რეგისტრაციის საფუძვლად ჩაითვლება ასევე - მიწის ნაკვეთის ფლობის/სარგებლობის ტრადიციული უფლების დადასტურება ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალურ და რაიონულ დონეზე) მიერ. პირები, რომლებიც სარგებლობენ მიწის ნაკვეთით თვითნებურად, არ მიიღებენ საკუთრივ მიწის კომპენსაციას, მაგრამ დაკარგული შენობა-ნაგებობები, ხეები და ერთწლიანი კულტურები ანაზღაურებულ იქნება სრულად;
- ზემოქმედების ქვეს მოქცეული მიწის ყველა ნაკვეთი, რომელიც არ არის რეგისტრირებული, მაგრამ მასთან მიმართებაში ოჯახს გააჩნია იურიდიული საფუძველი მიწაზე საკუთრების აღიარებისათვის, იქნება რეგისტრირებული და კომპენსაცია გადახდილ იქნება ამის შემდეგ. რეგისტრაციისათვის საჭირო კადასტრული ნახაზები გადაეცემათ ოჯახებს უსასყიდლოდ;
- სოციალურად დაუცველ და მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს და ოჯახებს, ზიანის კომპენსაციის გარდა, გაეწევა დამატებითი სარეაბილიტაციო დახმარება; სოციალურად დაუცველ ოჯახებად ჩაითვლება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები (სოციალური სააგენტოს მონაცემთა ბაზების შესაბამისად) და მარჩენალის გარეშე დარჩენილი მარტოხელა ქალები ან ივალიდები. მწვავე ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებად ჩაითვლება პირები, რომლებიც პროექტის განხორციელების შედეგად ჰკარგავენ ოჯახის შემოსავლის 10%-ს ან მეტს;
- კომპენსაციის ანაზღაურება და სარეაბილიტაციო დახმარება სრულად იქნება გადახდილი შესაბამის საპროექტო უბანზე სამუშაოების დაწყებამდე;
- ზმპ-ების საჩივრების გადასაწყვეტად (თუ ასეთი იქნება) შესაბამისი არაფორმალური მექანიზმები იქნება შემუშავებული და დანერგილი.

<u>ზღვრული თარიღი</u>

უფლება კომპენსაციაზე შეზღუდული იქნება პროექტისათვის დადგენილი ზღვრული თარიღით, როდესაც დაიწყება ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერა და დეტალური აზომვითი კვლევა. პირები, რომლებიც მიწის ნაკვეთს დაიკავებენ ამ თარიღის შემდეგ, არ იქნებიან უფლებამოსილი აიღონ კომპენსაცია მიწაზე ან კომპენსაცია ამ მიწაზე ზღვრული თარიღის შემდეგ აშენებული შენობა-ნაგებობებისათვის ან დარგული ხეებისა და დათესილი ერთწლიანი კულტურებისათვის.

კომპენსაციის და სარეაბილიტაციო დახმარების ოდენობის განსაზღვრის პრინციპები

- პროექტით დაკავებული მიწის საკომპენსაციო ფასს განსაზღვრავენ დამოუკიდებელი აუდიტორები. 1 კვ.მ მიწის ფასი განსაზღვრულ იქნება

ბოლო წლის განმავლობაში თემის სოფლებში გაყიდული მიწის (საჯარო რეესტრის მონაცემები) და გასაყიდად გაკეთებული შემოთავაზებების ანალიზის საფუძველზე (შედარების მეთოდი) ანალოგიური მიწის ნაკვეთებისათვის;

- შენობა-ნაგებობების ფასი განსაზღვრულ იქნება მასალების, ტრანსპორტირების, მუშახელის დღევანდელი ღირებულების და ყველა იმ დამატებითი ხარჯების (გადასახადები; საბანკო ტრანზაქციები; პროექტირების და ნებართვის ფასი) გათვალისწინებით, რაც საჭირო არის იმავე ტერიტორიაზე მსგავსი ახალი შენობა-ნაგებობის ასაშენებლად.
- ერთწლიანი კულტურების კარგვის შემთხვევაში ანაზღაურებულ იქნება 1 წლის მოსავალი სრულად, პროდუქციის საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით;
- მრავალწლიანი ნარგავები ანაზღაურდება ხეების სახეობის, მსხმოიარობის, პროდუქციის საბაზრო ღირებულების და ხეების წლოვანების მიხედვით. ანაზღაურებულ იქნება იმდენი წლის მოსავლის ღირებულება, რაც აუცილებელია ნერგიდან მოცემული მსხმოიარობის ხის გაზრდამდე.

ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები ასევე მიიღებენ მხარდაჭერას და საარსებო პირობების აღსადგენად გარკვეული სახის დახმარებას, კერძოდ:

- ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები – ანუ ის ოჯახები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მიწის 10%-ს ან მეტს კარგავენ, მიიღებენ 3 თვის საარსებო მინიმუმის ტოლფას კომპენსაციას (3 თვის საარსებო მინიმუმი 5 წევრიანი ოჯახისათვის, გამოქვეყნებული საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ);
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი სოციალურად დაუცველი ოჯახები მიიღებენ 3 თვის საარსებო მინიმუმის ტოლფას კომპენსაციას.

პროექტის მიერ მიყენებული ზარალის სრულად აღრიცხვისა და კომპენსაციების სწორად განსაზღვისათვის მნიშვნელოვანია, რომ ზემოქმედების ქვეშ მოქცეულმა პირებმა მონაწილეობა მიიღონ მიწის ნაკვეთის საზღვრების დაზუსტების, აზომვითი სამუშაოების და ქონების ზიანის შეფასების პროცესში.

V. საჩივრების განხილვის და დაკმაყოფილების მექანიზმები

გასაჩივრების მექანიზმი შესაძლებლობას მისცემს დაზარალებულ პირებს, რომ გაასაჩივრონ ისეთი გადაწყვეტილება ან ქმედება მიწის და სხვა ობიექტების კომპენსაციასთან დაკავშირებით, რომელსაც არ ეთანხმებიან. უკმაყოფილების და საჩივრების გამოხატვის პროცესი აღწერილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში №2, ხოლო საჩივრების შევსების ფორმა მოცემულია ცხრილში №3.

ფუნქციონირებს საჩივრების განხილვის ორ საფეხურიანი მექანიზმი: 1. ადგილობრივი დონის საჩივრების განხილვის კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და „ნენსკრა ჰიდრო“-ს წარმომადგენლები; და 2. საჩივრების განხილვის კომისია, რომელიც ფუნქციონირებს „ნენსკრა ჰიდროს“-ს ცენტრალური ოფისის დონეზე.

ცხრილი №2: საჩივრების განხილვის პროცედურა

1. საჩივრების განხილვა მოხდება, პირველ რიგში, ადგილობრივ დონეზე შექმნილი საჩივრების განხილვის კომიტეტის მიერ.
2. თუ საჩივრის დაკმაყოფილება არ მოხერხდა მუნიციპალიტეტის დონეზე, დაზარალებული პირი წარადგენს წერილობით საჩივარს საჩივრების განხილვის კომისიასთან, რომელიც ფუნქციონირებს „ნენსკრა ჰიდრო“-ს ცენტრალური ოფისის დონეზე. დაზარალებულ პირს შეუძლია საჩივრის შეტანა 2 კვირის განმავლობაში ადგილობრივი დონის საჩივრების განხილვის კომიტეტიდან პასუხის მიღების შემდეგ. საჩივრის განსამტკიცებლად მას უნდა დაერთოს შესაბამისი დასაბუთება.
3. ცენტრალური დონის საჩივრების განხილვის კომისია საჩივრის რეგისტრაციიდან 2 კვირის განმავლობაში გასცემს მას პასუხს. გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მიწის შესყიდვის და განსახლების ჩარჩო-დოკუმენტის მოთხოვნებს.
4. თუ საჩივრის განხილვის სისტემა ვერ დააკმაყოფილებს დაზარალებულ პირს, მას შეუძლია გადადგას შემდგომი ნაბიჯები, საკითხის სასამართლოში გასაჩივრების სახით (რაიონულ სასამართლოში).

VI. შემდგომი საინფორმაციო და საკონტაქტო ინფორმაცია

განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში, საპროექტო გუნდი იქნება მუდმივ კავშირში ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ოჯახებთან და ჩაატარებს რიგ კონსულტაციებს, როგორც ინდივიდუალური ოჯახების დონეზე, ასევე ჯგუფურად. კვლევის შედეგად მოპოვებული და დაზუსტებული ინფორმაცია იქნება ღია და ხელმისაწვდომი და საკომპენსაციო თანხების გაანგარიშების და განსახლების სამოქმედო გეგმის (გსგ) დოკუმენტის დასრულების შემდეგ, გამოქვეყნდება, როგორც გსგ დოკუმენტი, ასევე - განახლებული საინფორმაციო ბროშურა, რომელშიც ასახული იქნება კვლევის შედეგები და საკომპენსაციო ტარიფები.

შეკითხვების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ:

პროექტის მენეჯერი: თეიმურაზ კოპაძე, მისამართი: „ნენსკრა ჰიდრო“, ბესიკის ქ. №4, ოფისი 204, თბილისი, საქართველო, ელ. ფოსტა:kopadze.trimuraz@gmail.com

სოციალური კვლევების ჯგუფი: მედგარ ჭელიძე, მობილური: 599162221; ელ. ფოსტა: medgarcorresp@yahoo.com

ამზომველები: მალხაზ კომლაძე მობილური: 599 360322.

Information Booklet

Impacts on private land and property


I. General

The strategic development plan for Georgia considers the development of power engineering as one of the priorities for the country. This is because Georgia fails to meet the growing demand for power in the country with its own resources. At the same time, Georgia has great potential of hydropower resources – 88.5 mlrd. KW.hr. a year, and as per the most recent data suggest, the maximum use of this potential is only 10%. Consequently, one of the priorities of the state policy of Georgia is the maximum use of the hydropower resources of the country. Construction projects of a number of small, average and large HPPs and relevant power transmission lines are under consideration. The set of these projects will improve the energy independence and safety of Georgia and will enable the country to augment the electrical power export to its neighboring countries.

One of the most important projects for the realization of the power potential of the country is the HPP project across the river Nenskra. The project envisages the construction and exploitation of the HPP of a seasonal regulation with 280 MW installed capacity. The construction of the HPP is planned in the gorge of the river Nenskra and will use the discharge of the rivers Nenskra and Nakra. The potential annual output of the hydropower station will be 1.2 mlrd. KW/hr. The HPP will start generating the electrical power from in 2019 and the Project will be complete in 2021.

The Partner Fund, Korean K-Water, Government of Georgia, JSC Electricity System Operator Commercial “ESCO” and JSC “Georgian State Electrosystem” signed a package of projects to implement Nenskra Hydropower Station Project. The Project envisages the construction of the following infrastructure:

- A 135-m-high and 820-m-long rock fill dam across the river Nenskra.
- A water reservoir with the storage capacity of 182 mln. m3.
- A 13-m-high and 57-m-long low-sill dam.
- A 12.4-km-long derivation tunnel for diversion of water from the river Nakra gorge to the river Nenskra gorge.
- A 15.1-km-long water derivation tunnel that will bring water from the Nenskra reservoir to the power house.
- A pressure shaft and HPP building.
- A sub-station and power transmission line.


3 წყალსაცავი
4 კაშხალი
5 წყალსაგდები
სადერივაციო
2 გვირაბი
ნაკრას
წყალმიმღები
1
მდ. ნაკრა
მდ. ნენსკრა
წყალგამტარი
გვირაბი
6
გვირაბის
სამშენებლო
შტოლნა
სადაწნეო
შახტის
სამშენებლო
შტოლნა
8 9 ჰესის შენობა
ქვესადგური
7 სადაწნეო შახტა
10 გადამცემი ხაზი 220 კვ
მდ. ენგური
1 ნაკრას წყალმიმღები
H (m) 13
(m) 57
2 სადერივაციო გვირაბი
L (km) 12.4
D. int (m) 4.5
ax (m³/s) 46.0
3 წყალსაცავი
A (km²) 3.0
V (Mm³) 182
xOL(m.asl) 1'432.5
4 კაშხალი
TYPE ACRD
H (m) 125
CL (m) 820
(Mm³) 13.8
5 წყალსაგდები
TYPE Lateral overflow+tunnel
L (m) 940
Gates NO
PMF (m³/s) 475
6 წყალგამტარი გვირაბი
L (km) 15.1
D. int (m) 4.5
n³/s) 50
7 სადაწნეო შახტა
L (m) 1850
D. int (m) 3.0
Q (m³/s) 50
8 ჰესის შენობა
TYPE OUTDOOR
TURBINES PELTON 4
P (MW) 4 x 70
LxWxH (m) 90x35x24
9 ქვესადგური
TYPE GIS
VOLTAGE (kV) 220
xWxH (m) 27x13x10
10 გადამცემი ხაზი
ჯვრის ქვესაგურამდე
VOLTAGE (kV) 220
L (km) 50
SCALE: 1/80'000 FOR A3 AND 1/40'000 FOR A1
0 400 800 1600 2400 3200 4000m
CLIENT APPROVAL
Approved by:
Date
No Revision Date Drn Designed Checked
NENSKRA HYDROPOWER PROJEC
JSC Nenskra
STUCKY
INITIAL DESIGN
GENERAL PROJECT LAYOUT
PLAN VIEW
1/1
A1 [40000]
A3 [80000]
Drawn by D. TAVMANISHVILI
Designed by L. CAVALE
Checked by L. CAVALE
DRAFT

II. Project implementing and financing organizations and regulations for the Project implementation

As per the agreement concluded with the Government of Georgia, the Project will be implemented by "Nenskra Hydro", the joint company established by the Partner Fund and Korean "K-Water". The construction works will be carried out by a large Italian company "Salini Impregilo".

In the course of the Project implementation, the environmental protection and social issues, including the questions of compensation the impacts on private lands and property, will be regulated by both, Georgian legislation and social and environmental safeguard policy of the European bank for Reconstruction and Development (EBRD), Asian Development Bank (ADB) and other international donor organizations. The policy of the donors sets additional requirements to organize the process of compensation payment as a single plan and render certain assistance to the people with the status vulnerability and under severe impact.

III. Expected impact on private land and property

Unlike many other HPP projects, the given Project will not have a significant impact on the private lands and real property on them. The HPP facilities (dam, flooding zone, HPP building, etc.) are planned in the way to minimize the possible impact. Despite this, as per the preliminary data, the following impacts are possible:

In the Nenskra gorge:

- Presumably, no residential houses are found on the territory of the HPP building or its auxiliary facilities, but some private land plots only. This is the maximum impact of the Project.
- The summer camps for shepherds on the territory of the dam and its auxiliary facilities are to be demolished and moved to other location.
- Within the scope of the Project, the road from the center of Chuberi to village Tita is to be widened to 8 m. Along the areas where the road runs near village Lari-Lari, widening of the road will make it necessary to move the fences around some private land plots deeper in the gardens to allow a RoW for the Project. Theoretically, an immediate impact on the buildings and premises, trees and sowed areas along the road as well on the trees, water pipelines and power transmission lines on the state land is not excluded.

In the Nakra gorge:

- The territory where a small dam and its auxiliary facilities are located covers several land plots traditionally used by the Nakra community as pastures, for forest use, etc.
- As the present plan of the Project suggests, no widening of the road from Zugdidi-Mestia to Nakra or use of an additional land area as Project RoW is planned, either. Despite this, a risk of damage to the fences or other structures adjacent to the road during the construction works is to be considered.

All the above-listed impacts, like any other impact on the private land or associated property revealed through the social surveys, will be described in the Resettlement Acton Plan. A detailed inventory of the impacts on each land plot and private property, calculation of damage and type and size of compensation will be given in the Resettlement Acton Plan.

In addition to the land plots used/owned by the individual families, the Project impact may imply the loss of small areas of pastures or access road to the pastures, damage to the drinking water and other infrastructural systems. Such kinds of impact were also studied thoroughly – partly in the Resettlement Acton Plan and then, in the Livelihood Restoration Plan.

III. Terms of compensation

The land for the Project construction was purchased in line with the legislation of Georgia. At the same time, the additional requirements of the European bank for Reconstruction and Development (EBRD) will be considered. These requirements are for the organization of the process of compensation payment as a single plan and render certain assistance to the people with the status vulnerability and under severe impact. The requirements of the EBRD policy are as follows:

- To avoid or minimize the land acquisition and resettlement impact by considering the Project alternatives.
- A land acquisition and resettlement action plan will be developed and realized to at least reserve or restore their pre-project means of subsistence and living standards.
- Consultations will be held with APs and their opinion swill be considered in the development and realization of the Project.
- Any harm associated with the land or property loss will be compensated at a full replacement cost, based on the existing market values.
- The compensation for the land occupied by the Project will be issued to the AFs for all land plots registered at the Public Registry, or for which the families have the legal basis for the entitlement recognition (acceptance reports, excerpts from community books, etc.). In line with the Donors' rules, another basis for registration will be the approval of traditional right of ownership/use of the land plot by the local authority (at a municipal and regional level). Those using the land plots illegally (squatters) will not be entitled to compensation, but the lost buildings and premises, trees and annual crops will be fully compensated.
- All land plots under the impact not registered, but with the family with a legal basis to recognize the land entitlement, will be registered with consequent payment of due compensation. The families will receive the cadastre drawings needed for the registration for free.
- Socially unprotected and severely impacted persons and families, in addition to the damage compensation, will be given extra rehabilitation aid. Families below the poverty line (in line with the database of the Social Agency), women-headed families without breadwinners and disabled will be considered as socially unprotected. Persons losing 10% or more of the family incomes due to the Project implementation will be considered as severely affected ones.
- The compensation will be fully paid and the rehabilitation aid will be fully rendered prior to the onset of the works on the Project site.
- Relevant informal mechanisms to resolve the AP's claims, if any, will be developed and introduced.

IV. Cut-off date

The title for compensation will be limited by the Project cut-off date set on the starting day of the AP Census/DMS. The persons occupying the land plots after this date, will not be eligible to land compensation or compensation for the buildings and premises built or trees planted or annual crops sown on the same land after the cut-off date.

V. Principles to determine the size of compensation and rehabilitation assistance

- The compensation value of the land occupied by the Project will be determined by independent auditors. The price of 1 sq.m. land will be fixed by considering the analysis of the land sold in the last year in the community villages (based on the Public Registry data) and similar land plots offered for sale (comparison method).
- The price of the buildings and premises will be set by considering the current value of materials, transportation and labor and any additional costs needed to build similar new buildings and premises on the same territory (taxes, bank transactions, design and permit fees).
- In case of losing annual crops, a one-year harvest will be fully compensated by considering the market value of the products.
- Perennial crops will be compensated by considering the kinds, fruitfulness, product market value and age of trees. The value of harvest for the number of years needed for a tree to reach a fruitful age from a seedling will be compensated.

The APs will also be supported and rendered certain assistance to restore their livelihoods, in particular:

- The families under severe impact, i.e. the families losing 10% or more of their agricultural land, will receive the compensation of minimum 3 months' living subsistence (the minimum 3 months' living subsistence for a 5-member family is published by the National Statistics Office of Georgia).
- The socially unprotected AFs will receive the compensation of minimum 3 months' living subsistence.

In thoroughly calculating the Project-induced damage and fixing due compensation, the APs are important to participate in fixing the land plot borders, survey measurement and property damage evaluation works.

VI. Grievance Redress Mechanisms

A grievance resolution mechanism will be set up to allow an AP appealing any disagreeable decision, practice or activity arising in relation to the land or other compensation. Complaint and grievances will follow the process described below.

There is a two-step Grievance Redress Mechanisms: (1) at a local Grievance Redress Committee affiliating the representatives of local municipality and "Nenskra Hydro", and (2) at a Grievance Redress Committee operating at the central office of "Nenskra Hydro".

Table 1 - Grievance Resolution Process - Land/ Crops Compensation Issues

1. Initially, complaint resolution will be attempted by the locally established Grievance Redress Committee.
2. If still unsettled at a municipality level, a grievance can then be lodged in writing with the Grievance Redress Committee operating at the central office of "Nenskra Hydro". The AP must lodge the complaint within 2 weeks after receiving response on the original complaint from the Grievance Redress Committee and must produce documents supporting his/her claim.
3. The central Grievance Redress Committee will provide a response within 2 weeks of registering the complaint. The reached decision must meet the requirements of land acquisition and resettlement frame document.
4. Should the grievance redress system fail to satisfy the APs, they can pursue further action by submitting their case to the appropriate court of law (Rayon Court).

VI. Further reference and contact information

During the development of the Resettlement Action Plan, the project team will be in contact liaison with the AFs and will hold a number of consultations for them, both with separate families and in groups. The information gained through the study and defined further will be open and available, and after the compensation calculation and Resettlement Action Plan (RAP) is complete, will be published as a RAP document. In addition, an updated Information Booklet showing the outcomes and compensation rates will be published.

If you have any questions, please, do not hesitate to contact:

- Project Manager: Timuraz Kopadze, “Nenskra Hydro”, #4, Besiki street, Office No. 204, Tbilisi, Georgia, e-mail: kopadze.trimuraz@gmail.com
- Social research group: Medgar Chelidze, 599162221 (mob); e-mail: medgarcorresp@yahoo.com
- Surveyor: Malkhaz Komladze, 599 360322 (mob).

დანართი 4. დაზარალებული მიწის ნაკვეთების რუკები

დახურული ინფორმაცია

დანართი 5. საჩივრის რეგისტრაციის ფორმის ნიმუში

საჩივრის #

_____

სრული სახელი:
შენიშვნა: შეგიძლიათ ანონიმურად შეავსოთ განაცხადი. მოთხოვნის ან სურვილის შემთხვევაში მესამე მხარეებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია თქვენი თანხმობის გარეშე.
სახელი _____ გვარი _____
სქესი: ❑ კაცი ❑ ქალი
❑ მსურს საჩივარი ანონიმურად წარვადგინო
❑ მოვითხოვ ჩემი პირადობა ჩემი თანხმობის გარეშე არ გამჟღავნდეს

_____

საკონტაქტო ინფორმაცია
მონიშნეთ როგორ გსურთ დაგიკავშირდეთ (ფოსტა, ტელეფონი, ელ-ფოსტა).
❑ ფოსტით: გთხოვთ მიუთითოთ საფოსტო მისამართი:
_____
_____
❑ ტელეფონით: _____
❑ ელფოსტით:_____

_____

სასურველი ენა
❑ ქართული
❑ სვანური
❑ სხვა: .....

_____

ინციდენტის ან საჩივრის აღწერა:
რა მოხდა? სად მოხდა? ვის დაემართა? პრობლემის შედეგი რა არის?

_____

ინციდენტების / საჩივრის თარიღი
❑ ერთჯერადი ინციდენტი / საჩივარი (თარიღი _____)
❑ ერზე მეტჯერ მოხდა (უკვე მერამდენედ? _____)
❑ მიმდინარე (არსებული პრობლემა)

_____

თქვენი აზრით რა უნდა მოხდეს პრობლემის გადასაწყვეტად?

ხელმოწერა: _____ თარიღი:_____

_____

_____

გთხოვთ, ეს ფორმა სს ნენსკრას საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს დაუბრუნეთ:
[სახელი]
მისამართი _____ ტელ .: _____ ან ელ-ფოსტა: ____@____.com

დანართი 6. საჩივრების მონაცემთა ბაზის ნიმუში


საჩივრის ან კომენტარის ნომერი	მოსარჩელის სახელი	მოსარჩელის სქესი	მოსარჩელის მისამართი	მოსარჩელის ტელეფონი	მოსარჩელის ელ.ფოსტა	საჩივრის მიღების თარიღი	საჩივრის აღწერა	საჩივრის კატეგორია	ღონისძიების თარიღი	ღონისძიების აღწერა	საჩივარი გადაწყდა დისკუსით	მომჩივნის მიერ გადაწყვეტის მიღების მტკიცებულება	ადგილობრივ დონეზე საჩივრების მოგვარების კომიტეტის თარიღი	საჩივარზე რეაგირების ადგილობრივი კომიტეტი	მომჩივნის მიერ გადაწყვეტის მიღების მტკიცებულება	პროექტის დონეზე საჩივრების მოგვარების კომიტეტის თარიღი	მომჩივნის მიერ პროექტის დონეზე გადაწყვეტილი საჩივრის მიღების მტკიცებულება	საჩივარზე რეაგირების ადგილობრივი კომიტეტი	საჩივრის დახურვის თარიღი
#1																			
#2																			
#3																			
#4																			
#5																			

SLR

global environmental solutions



Industry



Infrastructure



Mining & Minerals



Oil & Gas



Planning & Development



Renewable & Low Carbon



Waste Management